ნორმატიული აქტებისა და ტესტების კრებული მასწავლებელთათვის

დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა
თავისუფალი პროფკავშირი

ნორმატიული აქტებისა და ტესტების კრებული მასწავლებელთათვის

- საქართველოს კონსტიტუცია
- კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
- ეროვნული სასწავლო გეგმა
- შრომის კოდექსი
- ბავშვის უფლებათა კონვენცია

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი - 2010

ძვირფასო კოლეგებო,

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი აგრძელებს ზრუნვას თქვენი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ მათემატიკის მეთოდური სახელმძღვანელოების კომპლექტი. ასევე, მომზადებულია სახელმძღვანელო ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ინგლისურ ენაში.

ამჯერად კი გთავაზობთ ნორმატიული აქტებისა და ტესტების კრებულს, რომელიც მნიშვნელოვნად დაგეხმარებათ პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული იმ საკანონმდებლო დოკუმენტების შესწავლაში, რომლის ცოდნაც მოგეთხოვებათ სასერთიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დროს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ტესტები ვერ იქნება სასერთიფიკაციო გამოცდების ტესტების ზუსტი ნიმუში, მაგრამ უთუოდ დაგეხმარებათ, კრიტიკული თვალით წაიკითხოთ მოცემული ნორმატიული დოკუმენტები და ხარისხიანად მოემზადოთ სასერთიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად.

გარწმუნებთ, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ყოველთვის იზრუნებს თქვენს არამარტო კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არამედ მაქსიმალურად დაიცავს თქვენს უფლებებს უშუალოდ სასერთიფიკაციო გამოცდების დროს.

წიგნის მომზადებაზე მუშაობდნენ: მაია ლიპარტელიანი,
ნატალი ქორიძე,
თამარ ავალიანი,
თინათინ გაგნიძე,
სალომე თალაკვაძე.

ყველა სკოლის ბიბლიოთეკას (რომელშიც დასაქმებული არიან სპმთპ-ის წევრები), საჩუქრად გადაეცემა წიგნის ერთი ეგზემპლარი. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წევრს წიგნის გამოწერა შეუძლია მისი თვითღირებულების ფასად.

კომერციული თვალსაზრისით წიგნის გამოყენება აკრძალულია.

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010

© საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

ISBN 978-9941-10-204-2

უაკ (UDC) 331.105.44(479.22)(094)
ს. 323

საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია - 25.08.1995 წ ძალაშია - 25.08.1995 წ

25.01.2010 წ - მდგომარეობით

საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

თავი 1 - ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, რომელიც ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა "საქართველო".

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აგრეთვე სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 3

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;

ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცისა და კონტინენტური შელფის სტატუსი, მათი დაცვა;

გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;

დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;

ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;

ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო და სადაზღვევო კანონმდებლობა;

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; სავაჭრო ფლოტი; გემთა ალმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;

კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;

ლ) თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში;

მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

ნ) კანონმდებლობა ფარმაცევტული პრეპარატების შესახებ;

ო) კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების შესახებ;

პ) კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ;

ჟ) სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;

რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;

ს) კანონმდებლობა მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების შესახებ.

2. ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ".

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ".

მუხლი 4

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა - რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.

3. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

4. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

მუხლი 5

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

მუხლი 7

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

მუხლი 8

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე-აფხაზური.

მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

მუხლი 10

საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

მუხლი 11

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით.

თავი 2 - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.

2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.

2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება.

3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.

2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა - 9 თვეს.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მათ მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალურ შუღლის გაღვივებას. 4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს შეზღუდვები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობაზე.

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 31

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი აღგნს შეღავათებს.

მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 33

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი აღგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 37

1. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით, სარგებლობის უფლება. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

3. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ

უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული,მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუქმედებითი ძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

3. სახალხო დამცველის უფლებამოსილებს განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 47

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

თავი 3 - საქართველოს პარლამენტი

მუხლი 48

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 48'

1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი და ქ. ქუთაისი. პარლამენტის პლენარული სხდომები იმართება მხოლოდ ქ. ქუთაისში.

2. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.

შენიშვნა: (ეს მუხლი ამოქმედდეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომდევნო საერთო საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან)

მუხლი 49

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 75 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 75 პარლამენტის წევრისაგან.

2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

3. პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

4. სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე.

მუხლი 50

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის მხარდაჭერაც დადასტურებულია ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის. ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობა არ შეიძლება იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1%-ზე მეტი. მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში მონაწილეობის წესი და პირობები განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით.

2. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს მაინც. მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით.

2'. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

3. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან მესამოცე დღეს. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე. პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებიდან მესამოცე დღეს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების თარიღს პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

3'. პარლამენტი საქმიანობას წყვეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან. პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პარლამენტი იკრიბება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების, ანდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასაწყვეტად. თუ პარლამენტი არ შეიკრიბა 5 დღის განმავლობაში ან არ დაამტკიცა (გააგრძელა) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება, მაშინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება. საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს, თუ პარლამენტი შეკრებიდან 48 საათში არ დაამტკიცებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას. პარლამენტის შეკრება არ იწვევს პარლამენტის წევრების საპარლამენტო თანამდებობების და ხელფასების აღდგენას. პარლამენტი წყვეტს საქმიანობას ზემოაღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

4. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

5. პარლამენტის წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

მუხლი 51

საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

მუხლი 51'

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:

ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში;

ბ) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;

გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

მუხლი 52

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

4. პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

5. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

6. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

მუხლი 53

1. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

2. წინა პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.

3. პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

მუხლი 54

1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ: ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა; ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი; გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად; დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას; ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა; ვ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში; ზ) გარდაიცვალა.

მუხლი 55

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით.

2. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავმჯდომარის მოვალეობას მისივე

დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.

4. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ახორციელებს სრულ აღმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში.

მუხლი 56

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.

2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა დროებით კომისიაში არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

მუხლი 57

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. ბიურო ამ კანონით თანამდებობის პირთა დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებს შესაბამისი კომიტეტების დასკვნის საფუძველზე განიხილავს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით. დასკვნა წარედგინება პრეზიდენტს და ბიურო იღებს გადაწყვეტილებებს პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

მუხლი 58

1. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები.

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით.

მუხლი 59

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან პასუხი.

2. პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

3. პარლამენტი უფლებამოსილია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი

პასუხისმგებლობის საკითხი. თუ პრემიერ-მინისტრი არ გაათავისუფლებს მთავრობის წევრს, ასეთ შემთხვევაში, იგი ორი კვირის ვადაში პარლამენტს წარუდგენს თავის მოტივირებულ გადაწყვეტილებას.

მუხლი 60

1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტის და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

3. კენჭისყრა ყოველთვის არის ღია ან სახელობითია, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. პარლამენტის სხდომის ოქმი, საიდუმლო საკითხების გამოკლებით, ქვეყნდება პარლამენტის ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 61

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას - რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.

3. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4. პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრიბება. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.

მუხლი 62

პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 63

1. 75-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.

2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, ან საკონსტიტუციო სასამართლომ - კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.

3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

4. თუ 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წარდგენა.

5. დაუშვებელია პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო და საომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

მუხლი 64

1. კონსტიტუციის დარღვევისას ან/და დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, კონტროლის პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

2. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ სრული შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები. ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება.

მუხლი 65

1. საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას.

2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც: ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას; ბ) სამხედრო ხასიათისაა; გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას; დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან; ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.

3. პარლამენტს უნდა ეცნობოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების შესახებ.

4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში, დაუშვებელია საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 66

1. პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი

მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.

1'. კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი.

2. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. პარლამენტის თანხმობა მიიღება დადგენილების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.

4. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

მუხლი 67

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

2. საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მათივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

3. თუ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს პარლამენტში განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტი მთავრობის მიერ მოწონებულად ჩაითვლება.

მუხლი 68

1. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

2. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

3. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვის დადგენილია კონსტიტუციის 66-ე მუხლით. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროქტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონი ან ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა. კონსტიტუციის შესწორება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

5. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

6. კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

თავი 4 - საქართველოს პრეზიდენტი

მუხლი 69

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.

3. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

მუხლი 70

1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

3. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით. ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობა არ შეიძლება იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1%-ზე მეტი.

4. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

5. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური.

6. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

7. თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, ან თუ მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი, არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები.

8. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.

9. პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

10. პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

მუხლი 71

1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს:

“მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის”.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

მუხლი 73

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;

ა’) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

ბ) ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრის - მინისტრის დანიშვნაზე;

გ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები;

დ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე;

ე) თანხმობას აძლევს მთავრობას პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე;

ვ) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს,

როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზებთან დაკავშირებით გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ი) პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

კ) კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებს და განკარგულებებს;

ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით;

მ) წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

ო) ახორციელებს მსჯავრდებულთა შეწყალებას;

პ) დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

ჟ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა (ეს ქვეპუნქტი ამოქმედდეს ორგანული კანონით შესაბამისი საკითხების მოწესრიგების შემდეგ);

რ) პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი - დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას;

ს) 51’ მუხლის “ა” - “ღ” ქვეპუნქტებით გათვალიწინებული გარემოებების არსებობისას პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და თანხმობა მისცეს მას მინისტრების დანიშვნაზე. ზემოაღნიშნული გარემოებების ამოწურვიდან ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტი ხელახლა წარუდგენს პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

2. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.

4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

5. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

6. პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 74

1. საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

2. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 75

1. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუხებელია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში, რაც დადატურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ღალატისა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლით, და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი: ა) კონსტიტუციის დარღვევისათვის, რაც დადასტურებული უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით; ბ) თუ უზენაესი სასამართლოს დასკვნით დადასტურებულია მის ქმედებაში სახელმწიფო ღალატისა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

მუხლი 76

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, აგრეთვე თუ პარლამენტი დათხოვნილია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრი. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას, პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით, ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე. პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს პირველი ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების მქონე მთავრობის წევრი.

2. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "ი" ქვეპუნქტებით და 74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, ასევე დაითხოვოს პარლამენტი.

3. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

მუხლი 76'

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი 77

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს, ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

თავი 4’ - საქართველოს მთავრობა

მუხლი 78

1. მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

2. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები). პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე წევრს - ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება. მთავრობა და მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

2’. პირველი ვიცე-პრემიერისა და ვიცე-პრემიერის მოვალეობის დაკისრების წესი და უფლებამოსილებები განისაზღვრება კანონით.

3. მთავრობა კონსტიტუციის, კანონების და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.

5. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და კანონით, რომლის პროექტსაც პარლამენტს წარუდგენს მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით.

6. მთავრობა უფლებამოსილია გადადგეს საკუთარი გადაწყვეტილებით.

7. მთავრობის უფლებამოსილება იწყება კონსტიტუციით დადგენილი წესითა და შემთხვევებში მთავრობის წევრების დანიშვნისთანავე.

მუხლი 79

1. მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი.

2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციას და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე, მოახსენებს საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

3. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.

4. პრემიერ-მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას, აგრეთვე, ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში.

5. პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს, უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები.

6. პრემიერ-მინისტრი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს.

7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს.

მუხლი 80

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების შემდეგ მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტი იღებს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნას და მასვე შეუძლია დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის დანიშვნამდე.

2. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის გადადგომის, გადაყენების ან უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის განმავლობაში საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით 10 დღის ვადაში - მთავრობის წევრების კანდიდატურებს. ამ პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული პროცედურის დასრულებიდან 3 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

3. პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. მთავრობის წევრები უნდა დაინიშნონ ნდობის გამოცხადებიდან სამი დღის ვადაში. პარლამენტი უფლებამოსილია ნდობა არ გამოუცხადოს მთავრობის შემადგენლობას და იმავე გადაწყვეტილებაში დასვას მთავრობის ცალკეული წევრის აცილების საკითხი. პრეზიდენტის მიერ აცილების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების გაზიარების შემთხვევაში დაუშვებელია აცილებული პირის მთავრობის იმავე შემადგენლობაში დანიშვნა მთავრობის გათავისუფლებული ან გადამდგარი წევრის ნაცვლად.

4. თუ მთავრობის შემადგენლობამ და მისმა სამთავრობო პროგრამამ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას. პარლამენტი ახორციელებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურას.

5. თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი 5 დღის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე 5 დღის ვადაში, დანიშნავს მინისტრებს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა.

მუხლი 81

1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას სრული შემადგენლობის უმრავლესობით. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან არ იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას. თუ პარლამენტი არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 100 დღისა კვლავ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. 51' მუხლის "ა"-"დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული

გარემოებების არსებობისას უნდობლობის გამოცხადების შესახებ განმეორებითი კენჭისყრა უნდა გაიმართოს ამ გარემოებების ამოწურვიდან 15 დღეში.

2. პარლამენტი უფლებამოსილია დადგენილებით აღძრას მთავრობისთვის უპირობო უნდობლობის გამოცხადების საკითხი. თუ დადგენილების მიღებიდან არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 20 დღისა პარლამენტი სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას. თუ პარლამენტი მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს, მთავრობის უნდობლობის საკითხის დასმა შემდგომი 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით მთავრობის გადაყენების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი არ არის მთავრობის მომდევნო შემადგენლობაში დანიშნოს იგივე პირი პრემიერ-მინისტრად ან წარადგინოს პრემიერ-მინისტრობის იგივე კანდიდატურა.

4. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია დასვას მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტში განსახილველ სახელმწიფო ბიუჯეტის, საგადასახდო კოდექსის და მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტებზე. პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პარლამენტი მთავრობას ნდობას არ გამოუცხადებს, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის განმავლობაში გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

5. ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებით კენჭისყრა უნდა გაიმართოს საკითხის დასმიდან 15 დღის განმავლობაში. ამ ვადაში კენჭისყრის ჩაუტარებლობა ნიშნავს ნდობის გამოცხადებას.

6. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებისას შესაბამისი კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა.

მუხლი 81'

1. პარლამენტის მიერ მთავრობისა და მისი სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების შემდეგ მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას.

2. პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 81''

1. სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მინისტრი კანონის, პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებას.

3. სახელმწიფო მინისტრი ინიშნება კონსტიტუციით დადგენილი წესით განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.

4. მთავრობის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, დააფუძნოს

საწარმო, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობისა.

5. მთავრობის წევრი უფლებამოსილია გადადგეს თანამდებობიდან.

მუხლი 81'''

1. საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

2. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე და ახორციელებს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 81'4

პროკურატურის ორგანოები შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი. პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

თავი 5 - სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 82

1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

2. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

5. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 83

1. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

2. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა დადგენილია ორგანული კანონით.

3. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.

4. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

მუხლი 84

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფ-ლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

5. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 85

1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

3. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მუხლი 86

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

2. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მუხლი 86'

1. მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. (ეს მუხლი ამოქმედდეს ორგანული კანონით შესაბამისი საკითხების მოწესრიგების შემდეგ)

მუხლი 87

1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

მუხლი 88

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან - საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 89

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

ვ') იხილავს დავას "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

მუხლი 90

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი საკასაციო სასამართლო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 91

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

თავი 6 - სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

მუხლი 92

1. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად ნიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს,რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 93

1. მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

2. მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. თუ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის განმავლობაში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

3. კონსტიტუციის 51' მუხლის "ა"-"დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობისას სახელმწიფო ბიუჯეტს დეკრეტით ამტკიცებს პრეზიდენტი.

4. მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

5. პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

6. თუ პარლამენტმა ვერ მოახერხა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის დაცვით წარდგენილი ბიუჯეტის მიღება სამი თვის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

7. სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას, პრეზიდენტი დეკრეტით დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.

8. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები - მთავრობის მიერ პარლამენტთან შეთანხმებული სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

მუხლი 94

1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.

3. გადასახადებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

მუხლი 95

1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

მუხლი 96

1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.

2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

მუხლი 97

1. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. კონტროლის პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.

3. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ - თავისი საქმიანობის ანგარიშს.

4. კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

თავი 7 - სახელმწიფოს თავდაცვა

მუხლი 98

1. საქართველოს სუვერენული უფლებაა აწარმოოს თავდაცვითი ომი.

2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.

3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით - პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 99

1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

2. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 100

1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. ამასთან, საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალთა გამოყენება დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.

2. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

მუხლი 101

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას აღგენს კანონი.

თავი 8 - კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 102

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

ა) პრეზიდენტს;

ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

გ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

4. კონსტიტუციის 68-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 103

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

თავი 9 - გარდამავალი დებულებები

მუხლი 104

1. საქართველოს კონსტიტუცია ძალაში შედის საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

2. კონსტიტუციის 49-ე, 50-ე და 70-ე მუხლები ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 104'

1. კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი და 58-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანისთანავე.

2. 2004 წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტამდე მისი შემადგენლობა, აგრეთვე ფრაქციის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ამ პარლამენტის არჩევნების დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. 2008 წელს საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მაისში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

მუხლი 104''

საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება აღუდგეთ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ იმ პარლამენტის წევრებს, რომელთაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდათ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ მათი ადგილმონაცვლეების უფლებამოსილება არ არის ცნობილი, და რომლებიც აღნიშნულზე თანხმობას განაცხადებენ 2010 წლის 1 იანვრამდე.

მუხლი 105

1. 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივა დადასტურებულია 50000 ხელმოწერით მაინც, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისათვის.

2. პროპორციული სისტემით არჩევნები ტარდება ერთიანი პარტიული სიით.

3. პოლიტიკურ გაერთიანებას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში

წარადგინოს დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც იმავდროულად მის პარტიულ სიაშია.

4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ კენჭისყრის მონაწილეთა არანაკლებ ერთი მესამედისა.

5. თუ პარლამენტის წევრი პირველ ტურში ვერ აირჩა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.

6. ეს მუხლი ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

მუხლი 106

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციას, კონსტიტუციასთან და კანონებთან მათ შესაბამისობას.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები, ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.

მუხლი 107

1. კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო წყობილების ორგანული კანონების მიღებამდე ძალაში რჩება სასამართლო წყობილების მოქმედი კანონმდებლობა.

2. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ძალაში შევა შესაბამისი სისხლის სამართლის საპროცესო საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მიღებულ უნდა იქნეს 1996 წლის 1 თებერვლამდე.

მუხლი 108

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში სათანადო ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანა გამონაკლისის წესით დასაშვებია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების გარეშე.

მუხლი 109

1. შესაბამისი წესით მიღებულ კონსტიტუციას ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრები ხელს აწერენ კონსტიტუციის ტექსტს. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში ტექსტი ღიად უნდა ინახებოდეს საქართველოს ყველა ადგილობრივი ორგანოს შენობაში, რათა მოსახლეობა გაეცნოს მის შინაარსს.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

მიღებულია - 08.04.2005 წ ძალაშია - 04.05.2005 წ

13.12.2009 წ - მდგომარეობით

გამოქვეყნებულია №20 მაცნეში (04.05.2005)

თავი 1 - ზოგადი დებულებანი

მუხლი 1 - საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი განათლების სფეროში და ამ კანონის მოქმედების სფერო

1. ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური შეთანხმება, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები.

2. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.

მუხლი 2 - ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აკრედიტაცია - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის პირობებს, მას გარკვეული დროით მიენიჭება პირობითი აკრედიტაცია, რათა ამ დროის განმავლობაში აკრედიტაციის პირობები სრულად დაკმაყოფილდეს;

ბ) დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა - ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დადგენილი გაკვეთილების (საათების) გარდა, მასწავლებლის მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად;

გ) დისციპლინური გადაცდომა - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა;

დ) დისციპლინური დევნა - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა;

ე) დისციპლინური სახდელი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომისათვის გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა;

ე') ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო - დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებს;

ვ) ეროვნული სასწავლო გეგმა - დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ და მაქსიმალურ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებების აღწერას;

ზ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება - საჯარო სკოლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში საათების მაქსიმალური რაოდენობის ფარგლებში გაწეული მომსახურება;

თ) ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება - საჯარო სკოლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სააღმზრდელო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებში გაწეული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;

ი) ეროვნული შეფასებების სისტემა - სისტემა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ამოწმებს, რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა მიღწევები ეროვნული სასწავლო გეგმებით დადგენილ მიღწევათა დონეებს და რამდენად რეალურია ამ დონეების დაძლევა;

კ) ექსტერნატი - იმ პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები;

ლ) ვაუჩერი - სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოშვებული იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების დასაფინანსებლად;

მ) ზოგადი განათლება - განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს;

ნ) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული ზოგადი განათლების სისტემის მიზნებს. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი არის ეროვნული სასწავლო გეგმის და ზოგადი განათლების სისტემის ძირითადი მაჩვენებლების შემუშავების საფუძველი. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს იღებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;

ო) ზოგადი განათლების საფეხურები - საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი);

პ) ზოგადი განათლების სისტემა - ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების, მათი განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, იმ სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების მიღებას;

ჟ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც;

რ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობა, რომლის სუბიექტები საჯარო სკოლაში არიან: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ასევე სააპელაციო კომიტეტი - ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ს) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

ტ) თვითშეფასება - სკოლის მიერ მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის შემოწმება. თვითშეფასების პროცესში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები;

უ) ინკლუზიური სწავლება - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად;

ფ) კაპიტალური ხარჯები - გადასახდელები, რომელთა მიზანია კაპიტალური აქტივების, სტრატეგიული და განსაკუთრებული მარაგის, საქონლის, მიწის, არამატერიალური აქტივების შეძენა, შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპორტო და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა, კაპიტალური რემონტი, მშენებლობა და რეკონსტრუქცია;

ქ) კერძო სკოლა - კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათ-ლებლო დაწესებულება;

ღ) კლასი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა დროებითი, სულ მცირე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შენარჩუნებული ერთიანობა, რომელიც შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმებში მოცემული რეკომენდაციებისა და ამ დაწესებულების წესდების მიხედვით და რომელში გაერთიანებული მოსწავლეებიც ძირითადად ერთად სწავლობენ ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს;

ღ') მასწავლებელი - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ღ'') მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი - მასწავლებლის ქცევის სავალდებულო ნორმების, დისციპლინური გადაცდომისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეების, დისციპლინური წარმოების, მათ შორის, დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანოს შექმნის წესის ერთობლიობა;

ღ''') მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი;

ღ'4) მასწავლებლობის მაძიებელი - პირი, რომელიც დროებით ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად;

ყ) მოდიფიცირებული სასწავლო გეგმა - ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, განსხვავებული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;

შ) მშობელი - მოსწავლის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი;

ჩ) მცირეკონტინგენტიანი სკოლა - სკოლა, რომელშიც ადგილობრივი პირობების გამო სწავლობს მცირე რაოდენობის მოსწავლე. მცირეკონტინგენტიანი სკოლის ნორმატივს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

ცა) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

ძ) პედაგოგიური საქმიანობა - მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან საგაკვეთილო და დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა;

წ) პილოტირება - ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ამ მიზნების მიღწევის საშუალებების რეალურობის შემოწმება სკოლებში;

წ') მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიო - მასწავლებლის პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა;

ჭ) სასკოლო დრო - სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული, აგრეთვე მისი სპონსორობით ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო;

ხ) სასკოლო სასწავლო გეგმა - სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს;

ჯ) საჯარო სკოლა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება;

ჯ') სერტიფიცირება - მასწავლებლისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება;

ჰ) სკოლის დირექცია - სკოლის დირექტორი, მისი მოადგილე/მოადგილეები და ბუღალტერია;

ჰ') სკოლის პედაგოგიური საბჭო - სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო;

ჰ'') სკოლის სამეურვეო საბჭო - სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანო;

ჰ''') ჩხრეკა - მოქმედება, რომლის მიზანია დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომელიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენა და ამოღება სკოლაში საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

მუხლი 3 - ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები

1. საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

ბ) საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;

გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;

დ) ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას;

ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დადგენას;

ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციულ და ფინანსურ ავტონომიას;

ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას;

თ) ინკლუზიური სწავლების დამკვიდრებას;

ი) მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებას.

მუხლი 4 - სწავლების ენა

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართული ან აფხაზური.

2. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება ხორციელდება ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე, მეორე სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა.

3. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ორივე სახელმწიფო ენისა.

4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ორივე სახელმწიფო ენისა.

მუხლი 5 - ეროვნული სასწავლო გეგმა

1. ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლითაც განისაზღვრება ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და თანაფარდობა, აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის რაოდენობა, საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების სწავლებისათვის აუცილებელი მინიმალური საათების რაოდენობა, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები.

2. ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრება იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველ საგანში თუ საგნობრივ ჯგუფში კლასის ან საფეხურის დამთავრებისას. ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე

მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

3. ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ საგნებსა და საგნობრივ ჯგუფებს:

ა) ქართული (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აფხაზური და ქართული) ენა და ლიტერატურა;

ბ) საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები;

გ) მათემატიკა;

დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

ე) უცხოური ენები;

ვ) ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგნები და საგნობრივი ჯგუფები იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება ხორციელდება ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ისწავლება ქართულად, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართულად ან აფხაზურად.

5. ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

6. ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება უნდა იყოს აკადემიური, ობიექტური, ნეიტრალური და პლურალისტური.

მუხლი 6 - ზოგადი განათლება

1. სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას. სახელმწიფო დოკუმენტის ნიმუშს და მისი გაცემის წესს აღგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაჩქარებული გავლა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

3. მოსწავლის ან მისი მშობლის მოთხოვნის შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გასცეს მოსწავლის მიერ საგნების გავლის დამადასტურებელი ცნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით.

4. დაუშვებელია მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევამდე.

5. ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აქვთ ზოგადი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება.

6. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების მინიმალური ასაკია 6 წელი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიძლება განსაზღვროს გამონაკლისი შემთხვევები.

7. ზოგადი განათლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ფარგლებში შეიძლება მოიცავდეს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის ათვისება ზოგადი განათლების

დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად შეიძლება დადასტურდეს სახელობო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 7 - ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მიერ მის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს ზოგადი განათლების სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელება შეუძლებელია სტანდარტული ვაუჩერის მეშვეობით, სახელმწიფო ასეთ მოსწავლეებს უზრუნველყოფს გაზრდილი ვაუჩერით ან/და დამატებითი დაფინანსებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

3. გაზრდილი ვაუჩერის ოდენობა და დამატებითი დაფინანსება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოფდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელებას მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლის, სპეციალური, კორექციული ან ლინგვისტური უმცირესობის სკოლის ან კლასის ფარგლებში, თუ არსებობს 3 მოსწავლე დაწყებით საფეხურზე, 6 მოსწავლე საბაზო საფეხურზე და 21 მოსწავლე საშუალო საფეხურზე.

თავი 2 - მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 8 - ძირითადი გარანტიები

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ ამ თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით.

2. სკოლას უფლება აქვს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე შეზღუდოს გარეშე პირთა უფლებები და თავისუფლებები.

3. სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, აგრეთვე თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე:

ა) ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოებისა;

ბ) ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარების ან უკანონო ქმედების წახალისებისა;

გ) უხამსობის ან ცილისწამების გავრცელების, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივების, დანაშაულისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზებისა;

დ) სასწავლო პროცესის მსვლელობის, სკოლის საქმიანობის ან სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელის შეშლისა.

4. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის სრული დაცვით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.

5. დაუშვებელია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც არსებითად მათი გაუქმების ტოლფასია. ნებისმიერი შეზღუდვა ან რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების ადგილის, დროის და ფორმის ისეთ ნეიტრალურ შეზღუდვებს, რომლებიც გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამომხატველობით ეფექტზე და ტოვებს ალტერნატიული გზებით მათი განხორციელების ეფექტიან შესაძლებლობას.

6. ამ კანონით აღიარებული მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას მათი კანონიერება ივარაუდება. მათ შესახებ წარმოშობილი დავისას ამ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის უკანონობის მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს.

7. დაუშვებელია სკოლის მიერ ისეთი ღონისძიების დაფინანსება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს.

8. ეს კანონი არ უარყოფს იმ საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც არ არის აქ მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან.

მუხლი 9 - ზოგადი განათლების მიღების უფლება

1. ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა.

2. ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის, აგრეთვე იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებათ, განათლების სისტემის მართვის ორგანოები ქმნიან სპეციალურ და კორექციულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შესაბამისად ხორციელდება მათი აღზრდა, სწავლება, მკურნალობა, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. ასეთ მოსწავლეთა დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

4. ზოგადი განათლების მიღება შეიძლება ექსტერნატის ფორმით. ექსტერნატის ფორმით მიღებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია აკრედიტებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. ექსტერნს უფლება აქვს მიიღოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მხოლოდ ექსტერნატის ფორმით სრული ზოგადი განათლების დაძლევის შემთხვევაში.

4'. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესებსა და პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების შემთხვევაში ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღებასთან დაკავშირებით დაადგინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები.

5. ზოგადი განათლების მიღება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ალტერნატიული ფორმებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით.

6. სახელმწიფო იცავს მოსწავლის და მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლებას.

მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლება არ გულისხმობს:

ა) სავალდებულო განათლებისთვის თავის არიდების უფლებას;

ბ) ისეთ განათლებას, რომელიც ხელს შეუშლის ამ კანონის მიზნების მიღწევას.

7. სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.

8. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.

9. სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

10. სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.

11. სკოლიდან გარიცხულ მოსწავლეს უფლება აქვს სწავლა სხვა სკოლაში განაგრძოს.

12. მოსწავლეს უფლება აქვს გადავიდეს ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში ზოგადი განათლების იმავე საფეხურზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 10 - საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ.

2. სკოლა ვალდებულია ყოველ ახალ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გააცნოს მათი უფლებები და თავისუფლებები.

3. სკოლა ვალდებულია უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისას მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გონივრულ ვადაში განუმარტოს შეზღუდვის საფუძველი.

მუხლი 11 - სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში.

2. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ მიიღონ სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.

3. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მათი აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობა.

4. მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს მისი ჭეშმარიტი ინტერესი.

მუხლი 12 - გასაჩივრების უფლება

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთ უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

2. სკოლა ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება.

3. საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, აგრეთვე სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, განიხილავს სასამართლო. საჯარო სკოლის დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებასთან ერთად საჩივრდება სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

მუხლი 13 - ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა

1. დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზება.

2. დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

3. დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია სკოლაში მიღებისას. ეს ნორმა არ გამორიცხავს შესარჩევი კონკურსის ჩატარების შესაძლებლობას იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებასა და განათლებას.

4. დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია.

5. ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

6. სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.

7. სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება.

მუხლი 14 - გამოხატვის თავისუფლება

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიონ, მიიღონ, შექმნან, შეინახონ, დაამუშაონ ან გაავრცელონ ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენონ სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად, მისაღებად, შესაქმნელად, შესანახად, დასამუშავებლად ან გასავრცელებლად, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. მოსწავლეს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა.

3. დაუშვებელია სასკოლო გამოცემათა სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფა და სასკოლო

ბიბლიოთეკაში წიგნების ცენზურა. ეს ნორმა არ ზღუდავს სკოლას, დააწესოს არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვები, რათა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა დაცვა ასაკის შეუსაბამო ლიტერატურის მავნე ზეგავლენისაგან.

4. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ საქველმოქმედო მიზნებისათვის, დადგენილი წესით მოიზიდონ ნებაყოფლობითი შემოწირულობები. სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური სახსრების ან სხვა სიკეთის გამოძალვა.

5. მოსწავლეს და მასწავლებელს აქვთ სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.

6. სკოლას უფლება აქვს დააწესოს სასკოლო ფორმა ისე, რომ არ შეზღუდოს მოსწავლის და მასწავლებლის გამოხატვის თავისუფლება. მოსწავლეს და მასწავლებელს უფლება აქვთ დასაბუთებული უარი თქვან სასკოლო ფორმის ტარებაზე.

7. სასკოლო ფორმის დაწესებისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფინანსური შესაძლებლობები და თუ მას არ შეუძლია ფორმის შეძენა, სკოლამ უნდა უზრუნველყოს იგი ფორმით.

მუხლი 15 - შეკრების თავისუფლება

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ წინასწარი შეტყობინების საფუძველზე სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით შეკრების თავისუფლება.

2. დაუშვებელია, სკოლამ წარმართოს ან აკონტროლოს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა შეკრების მსვლელობა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. სკოლას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, დაესწროს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა შეკრებას.

3. გარეშე პირს უფლება აქვს, დაესწროს მოსწავლეთა შეკრებას მხოლოდ მათი მიწვევით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რაც დაკავშირებულია სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

მუხლი 16 - გაერთიანების თავისუფლება

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ კანონით დადგენილი წესით გაერთიანების თავისუფლება.

2. დაუშვებელია, სკოლა ჩაერიოს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გაერთიანების საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. დაუშვებელია, გარეშე პირმა წარმართოს ან აკონტროლოს მოსწავლეთა გაერთიანება.

მუხლი 17 - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

1. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ, გაამჟღავნონ ინფორმაცია თავიანთ პირად ცხოვრებაზე.

2. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პერსონალური მონაცემების შეგროვებისას და შენახვისას სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით.

3. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია დისციპლინური მონაცემებისგან განცალკევებით უნდა ინახებოდეს.

4. სკოლას უფლება აქვს მოსთხოვოს მოსწავლეს და მასწავლებელს, გაიარონ სამედიცინო შემოწმება დაავადებებზე, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე. სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი სამედიცინო შემოწმების გავლის ხელმისაწვდომობა.

5. დაუშვებელია მოსწავლის და მასწავლებლის პირადი ცხოვრების, კერძო კომუნიკაციის, აგრეთვე მოსწავლის და მასწავლებლის პირად სარგებლობაში გადაცემული, სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების ხელშეუხებლობის უფლების თვითნებური შეზღუდვა.

მუხლი 18 - რწმენის თავისუფლება

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კანონით დადგენილი წესით აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება.

2. დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.

3. საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს.

4. საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.

მუხლი 19 - დისციპლინა

1. სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

2. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.

3. სკოლის შინაგანაწესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გარდა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევება, სკოლიდან დროებით დათხოვნა და სხვა დისციპლინური სახდელები. მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს. სკოლა ვალდებულია მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების ან სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში მოსწავლე თავისი მზრუნველობის ქვეშ ჰყავდეს.

4. დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.

5. დისციპლინური დევნისას სკოლა ვალდებულია განუმარტოს მოსწავლეს ან მასწავლებელს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.

6. მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. მოსწავლეს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს.

7. სკოლა ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისგან.

8. დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.

9. დაუშვებელია მოსწავლის ჩხრეკა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული გადაცდომა. მოსწავლის ჩხრეკა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სკოლის მიერ საამისოდ უფლებამოსილმა პირმა. დაუშვებელია მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა.

10. დაუშვებელია სკოლის მიერ მოსწავლის ან მასწავლებლის დისციპლინური დევნა იმ ქმედებისთვის რომელიც მან ჩაიდინა სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სკოლას აქვს დასაბუთებული ინტერესი.

11. მოსწავლეს და მასწავლებელს უფლება აქვთ დისციპლინური დევნისას ისარგებლონ დუმილის უფლებით. დუმილის უფლება არ ათავისუფლებს მოსწავლეს და მასწავლებელს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

12. მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება - სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება - დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით.

13. სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლესთან კონტაქტის დამყარებამდე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გადაუდებელი აუცილებლობისას, პოლიციის თანამშრომელი ან სხვა საჯარო მოსამსახურე ვალდებულია სკოლას შეატყობინოს კონტაქტის მიზანი, საქმის გარემოება და მისი მეშვეობით დაუკავშირდეს მოსწავლეს. სკოლა ვალდებულია მოსწავლეს განუმარტოს მისი უფლებები და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის მშობელს, გარდა მშობლის მიერ ბავშვის უფლების ხელყოფის შემთხვევისა.

მუხლი 20 - ძალადობის დაუშვებლობა და უსაფრთხოება

1. დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21 - მასწავლებლის სხვა უფლებები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დაწესებულებას მუშაობისთვის აუცილებელი პირობების შექმნა;

ბ) მიიღოს შრომის ანაზღაურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით;

გ) აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით;

დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. მასწავლებლის შრომის ანაზღაურება სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურის მინიმალურ ხელფასზე ნაკლები.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მასწავლებელს შორის შრომითი ხელშეკრულება იდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

4. მასწავლებლის შრომის ანაზღაურება იზრდება საჯარო სკოლის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად.

თავი 2' - მასწავლებლის პროფესია

მუხლი 21' - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი

1. მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეებს ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს.

2. მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სერტიფიცირებულია ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

3. მასწავლებელი არ შეიძლება იყოს ნასამართლობის მქონე პირი.

4. მასწავლებლის სერტიფიცირება მოიცავს მასწავლებლობის უფლების მოპოვებასა და განახლებას.

5. მასწავლებლობის უფლების მოპოვება ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში მოიცავს:

ა) ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

ბ) მაძიებლობის პერიოდის წარმატებით გავლას;

გ) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას.

6. მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის აუცილებელია მასწავლებლის პროფესიული განვითარება ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

7. მასწავლებელი ვალდებულია:

ა) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება;

ბ) იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე;

გ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;

დ) დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;

ე) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით წარუდგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 21'' - ზოგადი განათლების მასწავლებლის სახეები და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

1. ზოგადი განათლების მასწავლებლის სახეებია:

ა) დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია

იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი ან საგნობრივი ჯგუფი დაწყებით საფეხურზე;

ბ) საგნის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საგანი საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე;

გ) საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ყველა საგანი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ საგნობრივ ჯგუფშია გაერთიანებული, საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე;

დ) სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი;

ე) სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტანდარტს თითოეული სახის მასწავლებლისათვის. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მასწავლებელი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიას შეიძლება ასწავლიდეს პროფესიის მასწავლებელი, რომელიც არის სახელობო განათლების მასწავლებელი "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 21''' - მასწავლებლის განათლება

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2. საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) შესაბამისი უმაღლესი სახელოვნებო ან სასპორტო განათლება და გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის ამ კანონის 21'' მუხლის პირველი პუნქტის "ა"-"დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი მასწავლებელი და რომელსაც აგრეთვე გავლილი აქვს სპეციალური აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

მუხლი 21'4 - მასწავლებლობის მაძიებელი

1. მასწავლებლობის უფლება შეიძლება მოიპოვოს პირმა, რომელიც დადგენილი წესით გაივლის

რეგისტრაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში, როგორც მასწავლებლობის მაძიებელი, და წარმატებით გაივლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 1-წლიან მაძიებლობის პერიოდს.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი რეგისტრაციაში ატარებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მაძიებლობის პერიოდის განმავლობაში მასწავლებლობის მაძიებელს აუნაზღაუროს შრომა. მასწავლებლის სერტიფიცირებისათვის არ აქვს მნიშვნელობა, იღებს თუ არა მასწავლებლობის მაძიებელი შრომის ანაზღაურებას.

4. მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს ამ კანონით მასწავლებლისათვის გათვალისწინებული ყველა უფლებითა და შეღავათით, გარდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ამ კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობის მიღებისა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლებებისა.

5. მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით პირმა სკოლაში შეიძლება იმუშაოს არა უმეტეს 2 წლისა, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. მაძიებლობის პერიოდის დასრულების შემდეგ სკოლის დირექტორი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს დადგენილი წესით წარუდგენს დოკუმენტს მასწავლებლობის მაძიებლის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ. დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მასწავლებლობის მაძიებელი აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;

ბ) მასწავლებლობის მაძიებელი არ აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

7. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს ვაკანსია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ შეივსო, განსაზღვრული ვადით, შესაბამისი ვაკანსიის შევსებამდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების უფლება აქვს პირს, რომელსაც არ აქვს მოპოვებული მასწავლებლობის უფლება ამ კანონით დადგენილი წესით.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლობის მაძიებლისათვის სწავლების უფლების მინიჭების ვადას განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 21’5 - მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა

1. მასწავლებლობის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

2. სასერტიფიკაციო გამოცდის მიზანია შესაბამისი მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან პირის ცოდნისა და უნარების შესაბამისობის დადგენა.

3. სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ რეგისტრირებული პირი.

4. სასერტიფიკაციო გამოცდა შედგება 2 ნაწილისაგან:

ა) შინაარსობრივი ნაწილი, რომელიც ამოწმებს მასწავლებლის მიერ შესაბამისი ეროვნული სასწავლო გეგმითა და შესაბამისი მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული პროფესიული ცოდნის დონეს;

ბ) უნარების ნაწილი, რომელიც სიტუაციური ამოცანების საშუალებით ამოწმებს მასწავლებლის უნარს, შეარჩიოს სწორი სტრატეგია და მიიღოს მართებული გადაწყვეტილება სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გამოცდების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 21'6 - მასწავლებლის სერტიფიკატი

1. ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი გასცემს მასწავლებლის სერტიფიკატს, რომელიც მოქმედებს გაცემიდან 8 წლის განმავლობაში.

2. მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

მუხლი 21'7 - მასწავლებლის პროფესიული განვითარება

1. მასწავლებელი ვალდებულია განაახლოს მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის სერტიფიკატის ვადის ამოწურვის შემდეგ პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისათვის. მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის მასწავლებელი ვალდებულია დააგროვოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული კრედიტები. მასწავლებლობის უფლება განახლდება 8 წლის ვადით.

2. მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვების ალტერნატიული შესაძლებლობებია:

ა) აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა;

ბ) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

გ) საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება ან/და განხორციელება, მასწავლებლობის მაძიებლებისა და სხვა პედაგოგებისათვის ცოდნის გაზიარება და სხვა).

3. მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვება შესაძლებელია აგრეთვე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რამდენიმე კომპონენტის კომბინაციით.

4. მასწავლებლის პროფესიული განვითარების დაფინანსების შესაძლო წყაროებია:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახსრები, მათ შორის, ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის სახსრები;

გ) მასწავლებლის მიერ თვითდაფინანსება;

დ) დონორების მიერ დაფინანსება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრები.

5. მასწავლებლის პროფესიული განვითარების, პრაქტიკული გამოცდილებისა და პროფესიული წარმატებების აღრიცხვა ხორციელდება მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიოს მეშვეობით. პორტფოლიოს ნიმუშს და მისი მომზადების წესს ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

6. თუ მასწავლებლის სერტიფიკატის ვადის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი ვერ დააგროვებს

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებულ კრედიტებს და არ განაახლებს სერტიფიკატს, იგი კარგავს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსს.

7. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევა შესაძლებელია, თუ მასწავლებელი არღვევს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ ვალდებულებებს და მისი ქმედება ეწინააღმდეგება ამავე სტანდარტით დადგენილ ღირებულებებს. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობები განისაზღვრება მასწავლებელთა სერტიფიცირების ღებულებით.

მუხლი 21'8 - მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

1. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი.

3. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესსა და საფასურს ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანხმობით.

4. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში აღინიშნება აგრეთვე ამ პროგრამის კრედიტების რაოდენობა.

თავი 3 - ზოგადი განათლების დაფინანსება

მუხლი 22 - სახელმწიფოს მიერ ზოგადი განათლების დაფინანსება

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში.

2. სახელმწიფო სწავლისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს იმ სკოლაში, რომელიც ახორციელებს დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. კერძო და საჯარო სკოლაში სწავლებას ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით სახელმწიფო დააფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მინიჭებული აქვს აკრედიტაცია, ან თუ იგი წარმოადგენს ამ კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

3. სახელმწიფოს მიერ მოსწავლის განათლების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერების ოდენობები განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონისათვის მაქსიმალური დატვირთვის მიხედვით, განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ მოსწავლეთა ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად, განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფაში თანასწორობის პრინციპის დაცვით. ვაუჩერით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმდინარე ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი თანხა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აღნიშნული დაწესებულების კაპიტალური ხარჯების დასაფარავად.

4. ყოველ მშობელს აქვს უფლება, სასკოლო ასაკს მიღწეული ბავშვის განათლების დასაფინანსებლად მიიღოს ვაუჩერი, რომლის განთავსება შესაძლებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაწესებულებაში. სახელმწიფო დაფინანსება გრძელდება იმავე პუნქტით გათვალისწინებულ სხვა დაწესებულებაში მოსწავლის გადასვლის შემთხვევაში.

5. საჯარო სკოლის კაპიტალურ ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან/და საჯარო სკოლა.

6. მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა, რომელშიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულების ხარჯები აღემატება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივით დაფინანსების მოცულობას, უფლებამოსილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღოს დამატებითი დაფინანსება გაზრდილი ვაუჩერის სახით ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული დაფინანსება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ ზოგადი განათლების მიღების უფლება ხორციელდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე. იმ ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, რომელთანაც ზოგადი განათლების მიღების უფლების საკითხი არ არის მოწესრიგებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და შეთანხმებით, საქართველოს სახელმწიფო დაფინანსება განისაზღვრება ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე. იმ სახელმწიფოთა ნუსხას, რომელთა მოქალაქეების მიერ ზოგადი განათლების მიღებას საქართველოს სახელმწიფო ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე აფინანსებს, აქვეყნებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 23 - დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების დაფინანსება

1. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია საბაზო საფეხურის ეროვნული ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, სამეურვეო საბჭო ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს მიმართავს ამ მოსწავლის სწავლების დაფინანსების გაგრძელების თხოვნით. დაფინანსება შეიძლება გაგრძელდეს მოსწავლის მიერ საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევამდე. ამ შემთხვევაში საჯარო სკოლა ვალდებულია შესთავაზოს მოსწავლეს ზოგადი განათლების მიღება ალტერნატიული ფორმებით.

2. თუ მოსწავლემ 3 წლის განმავლობაში ვერ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური, მისი მიმართვის საფუძველზე სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დაფინანსების გახანგრძლივების თხოვნით. ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია შეარჩიოს სწავლის გაგრძელების კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ფორმა.

3. სამეურვეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ შეიძლება აანაზღაუროს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ხარჯები. სახელმწიფომ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიძლება დააფინანსონ სპეციალური მიზნობრივი სასწავლო პროგრამები.

თავი 4 - ზოგადი განათლების სისტემის მართვა

მუხლი 24 - საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში

საქართველოს პარლამენტი:

ა) განსაზღვრავს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის ძირითად

მიმართულებებს, შეიმუშავებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს;

ბ) წარდგენიდან 1 თვის ვადაში ამტკიცებს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს;

გ) პერიოდულად ისმენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ანგარიშს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ფინანსური საქმიანობის, ეროვნული და რეგიონული პროგრამების შესრულების შესახებ.

მუხლი 25 - საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში

1. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

2. საქართველოს მთავრობა:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენიდან 1 თვის ვადაში იღებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს ერთ მოსწავლეზე გათვლილ ფინანსურ ნორმატივებს და მათი შესაბამისი სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერების ოდენობებს.

3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორებს.

მუხლი 26 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის - საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე:

ა) ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ზოგადი განათლების სფეროში;

ბ) შეიმუშავებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს და წარუდგენს საქართველოს მთავრობას;

გ) შეიმუშავებს განათლების სისტემის ინდიკატორების ამსახველ ძირითად დოკუმენტს;

დ) შეიმუშავებს და ამტკიცებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დებულებებს;

ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორების კანდიდატურებს;

ვ) ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წინადადებების საფუძველზე ამტკიცებს ეროვნულ სასწავლო გეგმებს;

ვ') ამტკიცებს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ზოგადი განათლების ნაწილში;

ზ) აღგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის მატერიალურ-ტექნიკურ, პროგრამულ და ადამიანური რესურსების ნორმატივებს;

თ) ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზირებას;

ი) განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულებასა და საფასურს;

კ) განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობების მშენებლობის სტანდარტებს შესაბამის დარგობრივ სამინისტროსა და უწყებებთან ერთად;

ლ) აღგენს ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად;

მ) იღებს ზომებს ყველა მოსწავლის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე, აგრეთვე სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების მიერ ზოგადი განათლების მისაღებად; შეიმუშავებს ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულებას; შეიმუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის ან/და ალტერნატიული ფორმებით სწავლების დებულებას;

ნ) აფუძნებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით და ამტკიცებს მის წესდებას; უფლებამოსილია მოახდინოს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოქმედებებს სამინისტრო ახორციელებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარდგინების საფუძველზე;

ნ') აფუძნებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით; (ეს ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2011-2012 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

ო) ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს;

ო') უზრუნველყოფს ახალდაფუძნებულ ან/და რეორგანიზებულ საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს პირველი არჩევნების ჩატარებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას;

პ) რეგისტრაციაში ატარებს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულ სკოლის დირექტორს და სამეურვეო საბჭოს წევრებს;

ჟ) უფლებამოსილია გაფრთხილების გარეშე დაითხოვოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო, თუ იგი უკანონოდ გაათავისუფლებს დირექტორს, რაც დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილებით;

რ) საჯარო სკოლის მიერ ზედიზედ ორჯერ აკრედიტაციის გაუვლელობის ან მისთვის ზედიზედ ორჯერ პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, აგრეთვე ამ კანონის 49-ე მუხლის 6' და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილია დაითხოვოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო ან/და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება საჯარო სკოლის დირექტორს;

ს) ამტკიცებს უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების ან სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებისა და საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების წესსა და საფასურს;

ტ) ამტკიცებს ეროვნული შეფასებების ჩატარების განრიგს;

ტ') ამტკიცებს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესს;

უ) თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნებთან, მათ ზოგადსაგან-

მანათლებლო დაწესებულებებთან ხარისხის შემოწმებისა და უზრუნველყოფის სფეროში;

ფ) ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესს;

ქ) ახორციელებს საჯარო სკოლების სახელმწიფო კონტროლს და პასუხისმგებელია ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესრულებაზე. ამ მიზნით სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს ამ სკოლების ფინანსური შემოწმება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

ღ) აფუძნებს სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს საჯარო ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით;

ყ) ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, აკრედიტაციის ჩატარების მიზნით;

შ) ადგენს საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესს, სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესსა და პირობებს;

შ') საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს:

შ'.ა) მასწავლებლის დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

შ'.ბ) მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;

შ'.გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემას;

შ'.დ) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს;

შ'.ე) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

შ'.ვ) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესს, აგრეთვე მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშს და მისი გაცემის წესს;

შ'.ზ) მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებას და მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშს;

შ'.თ) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის, აგრეთვე მასწავლებლობის უფლების მოპოვებისა და განახლების საფასურის ოდენობას;

ჩ) ნიშნავს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატის ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საშტატო განრიგით გათვალისწინებული შემადგენლობიდან;

ც) ადგენს საჯარო სკოლებში წლის განმავლობაში სასწავლო დღეების მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას, არდადეგების მინიმალურ და მაქსიმალურ ხანგრძლივობას; აგრეთვე უფლებამოსილია, დაადგინოს სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა; განსაზღვრავს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც ბავშვს უფლება ეძლევა, 6 წლის ასაკამდე დაიწყოს ზოგადი განათლების მიღება;

ც') ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმას;

ძ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

წ) ადგენს საჯარო სკოლების დირექტორებისა და არჩევითი ორგანოების წევრების რეგისტრაციის წესს;

ჭ) პროფესიული კავშირების მონაწილეობით ადგენს საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობასა და პირობებს, ამტკიცებს სკოლების მიერ მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების სავალდებულო პირობებს;

ხ) პროფესიულ კავშირებთან თანამშრომლობით გეგმავს ღონისძიებებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ჯ) განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანხმობით ამტკიცებს მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა და საფასურს;

ჰ) ამტკიცებს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ფორმას;

ჰ') ახორციელებს საჯარო სკოლების ნუმერაციას და აადგენს მათთვის სახელის მინიჭების წესს;

ჰ'') უფლებამოსილია დააწესოს გრანტები და სტიპენდიები განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა წახალისების მიზნით;

ჰ''') ახორციელებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვას და აადგენს მათი აღრიცხვის წესს;

ჰ'''') ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

ჰ'5) აადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას;

ჰ'6) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს საკუთარ ტერიტორიულ ორგანოებს, ამტკიცებს მათ დებულებებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ამ ორგანოების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აწარმოებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრს, რეგისტრაციაში ატარებს საჯარო სკოლების დირექტორებს, დირექტორების მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში - მათი მოვალეობის შემსრულებელ მოადგილეებს, მოვალეობის სხვა შემსრულებლებს, სამეურვეო საბჭოს წევრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მონაცემი რეგისტრირდება მისი წარდგენიდან 30 დღის ვადაში;

ბ) მონაცემი არ რეგისტრირდება, თუ დარღვეულია ამ კანონისა და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები;

გ) მონაცემი რეგისტრირებულად მიიჩნევა, თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მის წარმდგენს 30 დღის ვადაში არ აცნობებს აღმოჩენილი კანონდარღვევის შესახებ;

დ) მონაცემი, რომელიც აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს უკავშირდება, რეგისტრირდება შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს

და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 27 - საქართველოს სამინისტროების უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში

1. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად უზრუნველყოფენ პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებასა და განათლებას, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით აფუძნებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს წარდგინებით. აღნიშნული დაწესებულებები გაივლიან აკრედიტაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით. ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებასა და განათლებას, მათ შორის, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, აფინანსებს დარგობრივი სამინისტრო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

1'. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად უზრუნველყოფენ პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებასა და განათლებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ერთობლივად შეიძლება დააფუძნონ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით. (ეს ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2011-2012 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

2. ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ პროფილური სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ზედამხედველობს დარგობრივი სამინისტრო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 28 - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

1. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ფუნქციებია:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმის მომზადება, პილოტირება და დანერგვის ხელშეწყობა;

ბ) საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ეროვნული შეფასებების სისტემის შემუშავება, დანერგვა, ეროვნული და სხვა შეფასებების განხორციელება;

გ) სახელმძღვანელოების ეროვნულ სასწავლო გეგმებთან შესაბამისობის დადგენა და სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 28' - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ფუნქციებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მასწავლებელთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვა;

ბ) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მომზადება;

გ) მასწავლებელთა ასოციაციებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მომზადების უზრუნველყოფა;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებლების ვაკანსიების რეგისტრაცია;

ე) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესის შემუშავება;

ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაწილეობით მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულების შემუშავება;

ზ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის შემუშავება, მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიოს ნიმუშისა და მისი მომზადების წესის დამტკიცება;

თ) მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და შეთანხმება;

ი) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში დადადგენილი წესით სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევა;

ლ) მასწავლებელთა სერტიფიცირება ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

მ) საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 29 - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროთა უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე:

ა) არის ზოგადი განათლების სისტემის მართვის ძირითადი რგოლი, ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ზოგადი განათლების სფეროში;

ბ) უზრუნველყოფს ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესრულებას;

გ) ორგანიზებას უწევს ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვას, ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს ეროვნული შეფასებების განხორციელებაში;

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობას;

ე) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

ვ) ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასებებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ზოგადსაგანმანათლებლო, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების წესდებებს;

ზ') აფუძნებს სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს კერძო სამართლის არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით; (ეს ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2011-2012 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

თ) აწარმოებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრს; რეგისტრაციაში ატარებს საჯარო სკოლების დირექტორებს, დირექტორების მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მათი მოვალეობის შემსრულებელ პირებს, სამეურვეო საბჭოს წევრებს ამ კანონითა და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესით, აღნიშნულ მონაცემებს განმეორებით სარეგისტრაციოდ უგზავნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მონაცემთა რეგისტრაცია იწვევს მათ ძალაში შესვლას;

ი) ახორციელებს ზოგადი განათლების დაფინანსებას ამ კანონით გათვალისწინებული წესით;

კ) ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს;

ლ) უფლებამოსილია გაფრთხილების გარეშე დაითხოვოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო, თუ იგი უკანონოდ გაათავისუფლებს დირექტორს, რაც დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილებით;

მ) საჯარო სკოლის მიერ ზედიზედ ორჯერ აკრედიტაციის გაუვლელობის ან მისთვის ზედიზედ ორჯერ პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში უფლებამოსილია დაითხოვოს სამეურვეო საბჭო ან/და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს;

ნ) გამოითხოვს მასალებსა და ინფორმაციას ან ადგილზე შეისწავლის საჯარო სკოლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესრულებას;

ო) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

პ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

ჟ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად იბარებს საჯარო სკოლის გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის შესრულების, სასწავლო პროცესისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ;

რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად შექმნას, გარდაქმნას და გააუქმოს საკუთარი ტერიტორიული ორგანოები შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, დაამტკიცოს მათი დებულებები, თანამდებობაზე დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს მათი ხელმძღვანელები და მოადგილეები.

3. თუ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესახებ საქართველოსა და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული განათლების სამინისტროს არსებობა, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 30 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო:

ა) ხელს უწყობს სკოლას ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში და ამ მიზნით იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს, ადგენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან

გამოსაყოფი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესასრულებლად საჭირო დამატებითი ფინანსური სახსრების ოდენობას;

ბ) ხელს უწყობს საჯარო სკოლებში სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამების განხორციელებას;

გ) უზრუნველყოფს მოსწავლეთა კოორდინირებულ სოციალურ და სამედიცინო მომსახურებას;

დ) იღებს ზომებს სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად;

ე) იღებს ზომებს იმ მოსწავლეთა მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირებას;

ზ) იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზომებს მოსწავლეთა სკოლაში დასწრების უზრუნველსაყოფად;

თ) უფლებამოსილია გამოითხოვოს ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრების განკარგვასთან არის დაკავშირებული;

ი) ამ მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარგლებში ფინანსური დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია მიმართოს სკოლის სამეურვეო საბჭოს დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის დაყენების წინადადებით, ხოლო სამეურვეო საბჭოს უმოქმედობის შემთხვევაში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეურვეო საბჭოს დათხოვნის ან/და დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წინადადებით;

კ) უფლებამოსილია მის ტერიტორიაზე არსებულ სკოლაში დანიშნოს სამეურვეო საბჭოს წევრი;

კ') აფუძნებს სკოლამდელ სააღმზრდელო, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით;

ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი 5 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

მუხლი 31 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი.

1'. კერძო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი წესით, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზირებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სახელმწიფო აღიარებისათვის აუცილებელია შესაბამისი აკრედიტაციის გავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საჯარო სკოლის აკრედიტაციის ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო, ხოლო კერძო სკოლის აკრედიტაციის ხარჯებს - დაინტერესებული პირი. აკრედიტაციის საფასურს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

5. კერძო სკოლა, რომელიც აკრედიტებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე ამ კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუძნებული სკოლა, უფლებამოსილია მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება ამ კანონით გათვალისწინებული წესით.

6. კერძო სკოლაზე ვრცელდება ამ კანონის I, II, III, IV, V და XII თავების შესაბამისი დებულებები.

7. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობა სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე.

მუხლი 32 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაცია

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან და ეროვნულ სასწავლო გეგმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ახორციელებს აკრედიტაციას. სახელმწიფო ცნობს მხოლოდ აკრედიტებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემულ ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე ამ მუხლითა და ექსტერნატის დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემულ დოკუმენტს.

2. აკრედიტაციის გავლა სავალდებულოა ყველა ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. ახალდაფუძნებულმა ლიცენზირებულმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ აკრედიტაცია უნდა მიიღოს ამ პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვადების გასვლიდან არა უგვიანეს 1 წლისა, რის შემდეგაც იგი კარგავს ახალდაფუძნებული ზოგადსაგამანათლებლო დაწესებულების სტატუსს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირველი აკრედიტაცია ტარდება ამ დაწესებულების საქმიანობის დაწყებიდან:

ა) 3 წლის შემდეგ - თუ იგი ახორციელებს დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას;

ბ) 2 წლის შემდეგ - თუ იგი ახორციელებს საბაზო ან/და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე.

3. აკრედიტაციის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი).

4. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და მუშაობას წარმართავს ამ კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად. განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს მართავს დირექტორი.

4'. განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო, რომელიც რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით წარუდგენს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორს.

5. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციას, აკონტროლებს აკრედიტაციის პირობების შესრულებას, ხოლო აკრედიტაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია, გააუქმოს მინიჭებული აკრედიტაცია.

6. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

7. კონკრეტული აკრედიტაციის ჩასატარებლად განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ნიშნავს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წევრებს, რომელთა კანდიდატურებსაც უთანხმებს აკრედიტაციის მაძიებელს. შეთანხმების პროცედურა განისაზღვრება აკრედიტაციის დებულებით.

8. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ასახელებს ჯგუფის წევრთა კანდიდატურებს.

9. თუ ტარდება საჯარო სკოლის აკრედიტაცია, აკრედიტაციის მაძიებელთან შეთანხმების მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წევრებს ამტკიცებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორი.

10. აკრედიტაციის ჩატარების პირობაა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ წინასწარ მიწოდებული ფორმების მიხედვით აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასება.

11. ექსპერტთა ჯგუფი განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს წარუდგენს დასკვნას აკრედიტაციის მაძიებლის რესურსების შესახებ.

12. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. თუ დირექტორი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციას, იგი ვალდებულია, დაასაბუთოს გადაწყვეტილება.

13. გადაწყვეტილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის შესახებ ფორმდება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით, რომელიც რეგისტრირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში და ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. გადაწყვეტილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის შესახებ შეიძლება იყოს 4 სახის:

ა) აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;

ბ) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;

დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.

15. პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს აკრედიტაციის მინიჭების პირობის შესრულების წესი.

16. გარდა პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევისა, ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებას აკრედიტაცია მიენიჭება არა უმეტეს 6 წლის ვადით.

17. აკრედიტაციის პირობითი მინიჭების შემთხვევაში შემდგომი აკრედიტაცია ტარდება არა უგვიანეს 1 წლისა. ვადა განისაზღვრება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

18. თუ საჯარო სკოლა შექმნილია დარგობრივი სამინისტროს წარდგინებით, აკრედიტაციის პირობები თანხმდება ამ დარგობრივ სამინისტროსთან; ასეთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოში სავალდებულოა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროფილური ან სპეციალური სახელოვნებო, საშემსრულებლო, სპორტული მომზადების ან განათლების პროგრამის ექსპერტის მონაწილეობა; ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისა და წევრების კანდიდატურები უნდა შეთანხმდეს აკრედიტაციის მაძიებელთან; თუ აკრედიტაციის მაძიებელი ორჯერ უარს იტყვის შეთავაზებულ სხვადასხვა კანდიდატურაზე, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია, შეთანხმების გარეშე დანიშნოს ჯგუფის წევრი, რომელიც არ შეიძლება იყოს აკრედიტაციის მაძიებლის მიერ უარყოფილი პირი.

19. საჯარო სკოლის აკრედიტაციის ჩატარების, მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურების ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო, ხოლო კერძო სკოლის აკრედიტაციის ხარჯებს - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

20. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ვალდებულია, სამართლებრივი დახმარება გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი აკრედიტაციის საკითხებზე შეიმუშავებს ყოველწლიურ რეკომენდაციებს.

21. სახელმწიფო აღიარებს ზოგადი განათლების დამადასტურებელ მხოლოდ იმ დოკუმენტს, რომელიც გაცემულია აკრედიტაციის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, აგრეთვე ექსტერნატის წესით მიღებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემულ აღიარების დოკუმენტს.

22. კერძო სკოლა სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მინიჭებული აქვს აკრედიტაცია, პირობითი აკრედიტაცია, ან თუ იგი წარმოადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

23. საჯარო სკოლის მიერ ზედიზედ ორჯერ აკრედიტაციის გაუვლელობა ან მისთვის ზედიზედ ორჯერ პირობითი აკრედიტაციის მინიჭება არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოს დათხოვნის ან/და დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი.

24. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელ მოსწავლეს, მხოლოდ მაშინ, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მინიჭებული აქვს აკრედიტაცია ან პირობითი აკრედიტაცია ან თუ იგი არის ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, აგრეთვე ექსტერნატის წესით მიღებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტის მფლობელებს.

25. ამ მუხლის 23-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია განსაზღვრული ვადით დანიშნოს წარმომადგენელი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც კოორდინაციას უწევს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებისმიმდინარეს აქმიანობასდაშეიმუშავებსრეკომენდაციებსაღნიშნულიდაწესებულების საქმიანობის გაგრძელების მიზანშეწონილობისა და ამ დაწესებულების მოსწავლეთა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განთავსების შესაძლებლობების თაობაზე. სამეურვეო საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში დირექტორი ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ახალი სამეურვეო საბჭოს არჩევამდე უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებანი.

26. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

27. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის აკრედიტაციის გაუქმების ან არმინიჭების შემთხვევაში დაწესებულების მოსწავლეებს ეთვლებათ ზოგადი განათლების მიღება იმ კლასის, ხოლო თუ ეს კლასი საფეხურის დამასრულებელია - საფეხურის ჩათვლით, რომელზედაც ისინი იმყოფებიან დაწესებულებისათვის აკრედიტაციის გაუქმების ან არმინიჭების მომენტში.

მუხლი 33 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებები და უფლებამოსილებები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია:

ა) მოსწავლეებს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს;

ბ) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა;

გ) დაიცვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმა;

დ) განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით;

ე) უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად;

ვ) შექმნას ზოგადი განათლების ალტერნატიული ფორმებით მიღების შესაძლებლობა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისი საფეხურის სხვა მოსწავლეთაგან განცალკევებით;

ზ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის დააწესოს შეღავათები მათი სწავლისა და აღზრდისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად;

თ) არ დაუშვას არამეცნიერული შეხედულების ან თეორიის, როგორც მეცნიერული თეორიის ან ფაქტის, სწავლება;

ი) ჰქონდეს თვითშეფასების სისტემა;

კ) უზრუნველყოს სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე მყოფი მოსწავლის უსაფრთხოება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს მასწავლებლობის მაძიებელი სკოლაში;

მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია სკოლაში არსებული მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებლების ვაკანსიების შესახებ;

ნ) მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მათ შორის, პროფესიული მზადების პროგრამაში მათი მონაწილეობის ხარჯების დაფინანსების ან თანადაფინანსების გზით.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია:

ა) შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს იმ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებლად დაწესებულებამდე მისვლის და შინ დაბრუნების საშუალება;

ბ) მოსთხოვოს საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების წესდებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება ამ დაწესებულების მასწავლებლებს, სხვა თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს;

გ) შექმნას პირობები ინკლუზიური სწავლებისათვის;

დ) ამ კანონის მიზნების მისაღწევად ითანამშრომლოს სხვა სკოლებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

ე) უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარების და კვების პუნქტების არსებობა;

ვ) უზრუნველყოს მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკით, რომელიც ეფუძნება მოსაზრებათა პლურალიზმს და უზრუნველყოფს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას, მის მიერ ქვეყნის თვითმყოფადობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შეთვისებას;

ზ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების დონის შესაბამისად მიიღოს ზომები მისი შრომის ანაზღაურების გაზრდის მიზნით;

თ) ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ზღვრების ფარგლებში, პროფესიული სწავლების ცენტრთან ხელშეკრულების საფუძველზე ან უშუალოდ შესაბამისი ლიცენზიის ფლობის შემთხვევაში მოსწავლეს შესთავაზოს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები.

3. საჯარო სკოლას უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება მოსწავლეებს მიაწოდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ამ მომსახურებაში მასწავლებელი არ იღებს დამატებით ანაზღაურებას;

ბ) ამ მომსახურებას არ აქვს საგაკვეთილო სახე;

გ) ამ მომსახურებას მასწავლებელი ეწევა მოსწავლეთა მშობლებთან შეთანხმებით;

დ) ამ მომსახურების გაწევა უფასოა მოსწავლეთათვის.

4. საჯარო სკოლას უფლება აქვს მოსწავლეებს მიაწოდოს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო, მათ შორის, ფასიანი მომსახურება. საჯარო სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ასეთი მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა დაწესებულების ყველა მოსწავლისათვის.

მუხლი 34 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. საჯარო სკოლის რეორგანიზაციას ან ლიკვიდაციას ახორციელებს მისი დამფუძნებელი:

ა) თუ დაწესებულების საქმიანობა ანტიკონსტიტუციურია;

ბ) თუ აუცილებელია დაწესებულების ფიზიკური ან/და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია;

გ) თუ დაწესებულება არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე;

დ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. კერძო სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საჯარო სკოლის რეორგანიზაცია, რომელსაც ახლავს საჯარო სკოლების გაერთიანება/მიერთება ან ერთი საჯარო სკოლის გაყოფა/გამოყოფა, აგრეთვე საჯარო სკოლის ლიკვიდაცია, იწვევს რეორგანიზებული და ლიკვიდირებული საჯარო სკოლების მართვის ორგანოების უფლებამოსილებათა შეწყვეტას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი რეორგანიზებულ საჯარო სკოლაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დირექტორის არჩევამდე ნიშნავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, რომელიც სამეურვეო საბჭოს არჩევამდე უფლებამოსილია განახორციელოს სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებანი, გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

თავი 6 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპები

მუხლი 35 - პასუხისმგებლობა და სტრუქტურა

1. საჯარო სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებაზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესსა და ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია დაწესებულების დირექტორი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და სტრუქტურული ერთეულის წევრი.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით შეიძლება წესდებით გათვალისწინებული იყოს სააპელაციო კომიტეტის არსებობა.

2'. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საჯარო სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

3. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, შეიძლება წესდებით გათვალისწინებული იყოს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის არსებობა, რომლის არჩევის/დანიშვნის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონითა და დაწესებულების წესდებით.

4. საჯარო სკოლის მართვა ხორციელდება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე.

მუხლი 36 - ინტერესთა კონფლიქტი

1. სამეურვეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სკოლის დირექციის წევრი. სამეურვეო საბჭოში, როგორც მოსწავლის მშობელი, არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ამავე სკოლასთან აქვს შრომითი ურთიერთობა.

2. კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, არ შეიძლება იყენებდნენ ამ პროგრამების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში

არსებულ უძრავ ქონებას. (ეს პუნქტი ამოქმედდეს 2008-2009 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

3. საჯარო სკოლის მიერ დადებული გარიგების, გარდა შრომითი ხელშეკრულებისა, მეორე მხარე არ შეიძლება იყოს სკოლის დირექტორი, დირექციის სხვა წევრი, სამეურვეო საბჭოს წევრი ან ამ პირთა ახლო ნათესავი. ამ კანონის მიზნებისათვის "ახლო ნათესავი" გულისხმობს "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირს.

4. საჯარო სკოლის დირექტორსა და მის ახლო ნათესავს შორის შრომითი ხელშეკრულების დასადებად სავალდებულოა სამეურვეო საბჭოს თანხმობა. თუ სამეურვეო საბჭოს წევრი გარიგების მეორე მხარის ახლო ნათესავია, იგი არ მონაწილეობს კენჭისყრაში.

5. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის და სააპელაციო კომიტეტის წევრები არ შეიძლება იყვნენ ერთმანეთის ახლო ნათესავები. გამონაკლისის დაშვება შეიძლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, მცირეკონტინგენტიან სკოლებში.

თავი 7 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭო

მუხლი 37 - სამეურვეო საბჭო

1. სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული არანაკლებ 6 და არა უმეტეს 12 წარმომადგენლისაგან, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისაგან. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოში დანიშნოს 1 წევრი. სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისას მცირეკონტინგენტიანი სკოლებისათვის გამონაკლისის დაშვება შეიძლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით. მშობლებისგან არჩეული წევრები თანაბრად უნდა წარმოადგენდნენ სკოლაში არსებულ თითოეულ საფეხურს. სამეურვეო საბჭოს წევრი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. სამეურვეო საბჭოს მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოსაგან არჩეული წევრების რაოდენობა განისაზღვრება სკოლის წესდებით.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლება აქვს წარგზავნოს წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, რომელიც სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს გამოიწვიონ თავიანთი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოდან.

5. სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს. იგი წარმოადგენს სკოლას დირექტორთან ურთიერთობებში. საბჭოს თავმჯდომარე მონაცვლეობით აირჩევა საბჭოს შემადგენლობაში მშობლებისგან და პედაგოგიური საბჭოსგან არჩეულ წევრთაგან და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლისაგან, არა უმეტეს მათი უფლებამოსილების ვადისა. სამეურვეო საბჭოს წევრი - მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი არ შეიძლება არჩეულ იქნეს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ.

5'. სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება აქვს სამეურვეო საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს ან სამეურვეო საბჭოში ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის "ჩ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს მიერ დანიშნულ წარმომადგენელს. სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩიოს სხდომის თავმჯდომარე, რომელიც ამ რიგგარეშე სხდომაზე ახორციელებს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებს.

6. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

7. სამეურვეო საბჭო იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში 3-ჯერ მაინც, ყოველი მესამედის დასაწყისში.

მუხლი 38 - სამეურვეო საბჭოს ფუნქციები

1. სამეურვეო საბჭო:

ა) ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სკოლის დირექტორს, რომელსაც რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

ბ) სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, აგრეთვე ამტკიცებს დირექტორის მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას;

გ) სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს, სკოლიდან გადაყვანის პირობებს;

დ) გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმებისა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის თაობაზე;

ე) აკონტროლებს სკოლის დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;

ვ) უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულება შეუწყვიტოს სკოლის დირექტორს;

ზ) ინახავს და აღრიცხავს სამეურვეო საბჭოში მშობელთა და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელთა არჩევნების ბიულეტენებსა და ოქმებს;

თ) სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;

ი) უფლებამოსილია, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდების ჩატარების მიზნით დაავალოს დირექტორს, მიმართოს გამოცდების ეროვნულ ცენტრს და დადოს შესაბამისი ხელშეკრულება;

კ) უფლებამოსილია მოსთხოვოს სკოლის დირექტორს, ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენისას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ლ) დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სააპელაციო კომიტეტი, სამეურვეო

საბჭო განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, რომლებიც ეხება დირექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის ან სააპელაციო კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით;

მ) ითანხმებს სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ სკოლის წესდების პროექტს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა", "ბ", "გ", "დ", "კ" და "მ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს სამეურვეო საბჭო იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ხოლო "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას - სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.

მუხლი 39 - სამეურვეო საბჭოს არჩევის წესი

1. სამეურვეო საბჭოში თანაბარი რაოდენობით აირჩევიან მშობელთა და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლები, აგრეთვე საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი.

2. სამეურვეო საბჭოს არჩევის წესს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა მშობლების თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპების დაცვით.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით დაადგინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი. სამეურვეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებები საჩივრდება სასამართლოში და მათი გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტების მოქმედების შეჩერებას.

4. სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები ძალაში შედის მათი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 40 - სამეურვეო საბჭოს წევრისა და სამეურვეო საბჭოსთვის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. სამეურვეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) თუ პედაგოგიურმა საბჭომ შეუწყვიტა მას უფლებამოსილება, როგორც საკუთარ წარმომადგენელს საბჭოში;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი მშობელთა რაოდენობის გადაწყვეტილებით;

გ) თუ სკოლასა და მას შორის შეწყდა ურთიერთობა შემდეგი საფუძვლით:

გ.ა) მასწავლებელსა და სკოლას შორის შეწყდა შრომითი ურთიერთობა;

გ.ბ) მოსწავლე აღარ სწავლობს ამ სკოლაში;

გ.გ) მოსწავლე, რომლის წარმომადგენლადაც ის ითვლება, აღარ სწავლობს ამ სკოლაში;

დ) თუ სამეურვეო საბჭოს წევრი გარდაიცვალა;

ე) თუ სამეურვეო საბჭოს წევრმა უფლებამოსილება მოიხსნა პირადი განცხადების საფუძველზე;

ვ) თუ სამეურვეო საბჭოს წევრის მიმართ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ზ) თუ სამეურვეო საბჭოს წევრი სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

თ) თუ სამეურვეო საბჭოს წევრ მოსწავლის მშობელსა და საჯარო სკოლას შორის წარმოიშვა შრომითი ურთიერთობა;

ი) თუ სამეურვეო საბჭოს წევრი გახდა საჯარო სკოლის დირექციის წევრი.

2. სამეურვეო საბჭოს წევრის გათავისუფლებულ ადგილს დარჩენილი ვადით იკავებს ის მშობელი ან/და პედაგოგიური საბჭოს ის წევრი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში მიიღო სხვა კანდიდატებზე მეტი, მაგრამ საბჭოში მოსახვედრად არასაკმარისი რაოდენობის ხმები.

3. სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საჯარო სკოლის რეორგანიზაციის შემთხვევაში, რომელსაც ახლავს საჯარო სკოლების გაერთიანება/მიერთება ან ერთი საჯარო სკოლის გაყოფა/გამოყოფა;

ბ) ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის "ქ" და "რ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით.

4. სამეურვეო საბჭო ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სამეურვეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება შესაბამისი დოკუმენტების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რეგისტრაციის მომენტიდან. დოკუმენტები რეგისტრირდება მათი წარდგენიდან 30 დღის ვადაში. დოკუმენტები რეგისტრირებულად მიიჩნევა, თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მათი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში არ აცნობებს სკოლას აღმოჩენილი დარღვევის შესახებ. ამ მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის "გ.ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამეურვეო საბჭოს წევრი მოსწავლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ საჭიროებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რეგისტრაციას.

5. უფლებამოსილებაშეწყვეტილ სამეურვეო საბჭოს წევრს უნდა აღუდგეს სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი გაუქმდა.

თავი 8 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექცია

მუხლი 41 - დირექცია

1. სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, მისი მოადგილის/მოადგილეებისა და ბუღალტერიისაგან.

2. დირექტორი შეიძლება იყოს ამ კანონის შესაბამისად არჩეული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, 3 წლის მუშაობის სტაჟი და არ მიუღწევია 65 წლის ასაკისთვის. დირექტორი აირჩევა 6 წლის ვადით. ერთ სკოლაში პირის დირექტორად არჩევა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. დირექტორი არჩევიდან 2 კვირის ვადაში ნიშნავს იმ მოადგილეს, ხოლო მოადგილის თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში - სკოლის იმ თანამშრომელს, რომელიც დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში შეასრულებს დირექტორის მოვალეობას, და ამ მონაცემს აგზავნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სარეგისტრაციოდ.

4. დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების

60 სასწავლო დღის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნამდე დირექტორის ფუნქციებს ასრულებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რეგისტრირებული პირი.

4'. ახალი დირექტორის არჩევა იწვევს დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების შეწყვეტას.

5. დირექტორის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან იმავე სკოლაში. გამონაკლისის სახით, დირექტორი, თუ მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლება, უფლებამოსილია ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასწავლებლის სრული პედაგოგიური დატვირთვის მესამედამდე, შესაბამისი ანაზღაურებით. მაღალმთიანი რეგიონებისა და მცირეკონტინგენტიანი სკოლებისათვის გამონაკლისის დაშვება შეიძლება შესაბამისი საპატიო მიზეზის არსებობისას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით.

6. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, დაწესებულების სამხატვრო ხელმძღვანელმა შეიძლება განახორციელოს დირექტორის უფლებამო.

მუხლი 42 - დირექტორის არჩევის წესი

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

1'. საჯარო სკოლის დირექტორის კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დააწესოს კონკურსში მონაწილეობის საფასური.

2. სამეურვეო საბჭო კონკურსგავლილი დირექტორობის კანდიდატებიდან ირჩევს დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე.

2'. დირექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადავო აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას.

3. თუ დირექტორობის კანდიდატი სამეურვეო საბჭოს წევრია, იგი არ მონაწილეობს კენჭისყრაში.

4. სამეურვეო საბჭო დირექტორის არჩევნების ოქმებსა და სამეურვეო საბჭოს დადგენილების დამოწმებულ ასლებს სარეგისტრაციოდ წარადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. არჩევნების შედეგები ძალაში შედის აღნიშნული დოკუმენტების სამინისტროში რეგისტრაციის მომენტიდან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება დირექტორის რეგისტრაციაში გატარების საკითხზე საჩივრდება სასამართლოში და მისი გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეგისტრირებულ დირექტორთან სამეურვეო საბჭო დებს შრომით ხელშეკრულებას სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. სამეურვეო საბჭოს მიერ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად დირექტორის არარჩევის/ვერარჩევის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დანიშნოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომლის

დანიშვნა და განთავისუფლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დისკრეციული უფლებამოსილებაა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის ან განთავისუფლების თაობაზე საჩივრდება სასამართლოში და მისი გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

7. მცირეკონტინგენტიან სკოლაში კონკურსის ჩაშლის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნოს 65 წელს მიღწეული პირი, რომელთანაც სამეურვეო საბჭო დებს შესაბამის ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.

მუხლი 43 - დირექტორის ფუნქციები

1. სკოლის დირექტორი:

ა) ახორციელებს სკოლის მართვას;

ბ) წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობებში, გარდა ამ კანონითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის შინაგანაწესს და სკოლის ბიუჯეტს;

დ) შეიმუშავებს საშტატო განრიგს;

ე) მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში;

ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პირობებისა და წესის შესაბამისად უზრუნველყოფს მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას;

ზ) უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში;

ზ') უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წევრ მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში;

თ) სკოლის სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში - ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ;

ი) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, მათ შორის, სკოლის ქონების შესახებ, გარდა იმ გარიგებებისა, რომელთათვისაც საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულია სამეურვეო საბჭოს ან კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა;

კ) სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;

ლ) ზედამხედველობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს;

მ) შეიმუშავებს სკოლის წესდების პროექტს და წარუდგენს სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად, ხოლო საბჭოსთან შეთანხმებულ პროექტს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად;

ნ) სამეურვეო საბჭოს დავალების შემთხვევაში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდების ჩატარების მიზნით მიმართავს გამოცდების ეროვნულ ცენტრს და დებს შესაბამის ხელშეკრულებას;

ნ') ასრულებს საჯარო სკოლის მართვის ორგანოების ფუნქციებს ახალდაფუძნებული ან/და რეორგანიზებული საჯარო სკოლის პირველი სამეურვეო საბჭოს შექმნამდე;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

2. დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს.

3. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ დირექტორმა ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებები განახორციელოს სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად.

მუხლი 44 - დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საჯარო სკოლის დირექტორს უფლებამოსილება უწყდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ, კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, აგრეთვე 65 წლის ასაკის მიღწევისას, გარდა ამ კანონის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. დირექტორს უფლებამოსილება უწყდება შესაბამისი გადაწყვეტილებისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. ახალი დირექტორის არჩევამდე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნამდე დირექტორის უფლებამოსილებებს ახორციელებს ამ კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირი.

თავი 9 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური საბჭო

მუხლი 45 - პედაგოგიური საბჭო

1. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

2. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვოს სამეურვეო საბჭოში მათი წარმომადგენლის მოსმენა.

3. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.

4. პედაგოგიურ საბჭოში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

5. პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა.

6. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილებები შეიძლება განახორციელოს სამხატვრო საბჭომ. სამხატვრო საბჭოს ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს ხელმძღვანელი, რომელიც აირჩევა/ინიშნება წესდებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 46 - პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები

პედაგოგიური საბჭო:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;

ბ) სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას;

გ) ირჩევს თავის წარმომადგენლებს სამეურვეო საბჭოში;

დ) უფლებამოსილია ვადამდე გადაირჩიოს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში.

თავი 10 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა თვითმმართველობა

მუხლი 47 - მოსწავლეთა თვითმმართველობა

1. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის ამ კანონისა და სკოლის წესდების თანახმად არჩეული ორგანო. იგი წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს.

2. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს.

3. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპების დაცვით.

4. მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე.

მუხლი 48 - მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები

მოსწავლეთა თვითმმართველობა:

ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;

ბ) უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;

გ) ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში;

დ) სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;

ე) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს.

თავი 11 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლი, ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება და ბუღალტრული აღრიცხვა

მუხლი 49 - სახელმწიფო კონტროლი

1. სკოლაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტრო, კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები - საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებაზე ზედამხედველობას.

3. საჯარო სკოლა მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის შესრულებისა და სასწავლო პროცესის შესახებ. ანგარიშის წარდგენის ფორმებსა და ვადებს ადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

4. ამ კანონით გათვალისწინებული კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოითხოვს მასალებსა და ინფორმაციას ან ადგილზე შეისწავლის სკოლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებას.

5. სკოლამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარუდგინოს მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში.

6. ამ კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია სკოლას მისცეს წერილობითი გაფრთხილება ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

6'. სამეურვეო საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ვადამდე არ შეუწყვეტს უფლებამოსილებას სკოლის დირექტორს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია არ დაეთანხმოს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება სკოლის დირექტორს. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ წარდგინებას დაინტერესებული მხარე სასამართლოში ასაჩივრებს დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

6''. ამ მუხლის მე-6, 6' და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტები საჩივრდება სასამართლოში და მათი გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტების მოქმედების შეჩერებას.

7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დაითხოვოს სამეურვეო საბჭო ან/და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს, თუ საჯარო სკოლა წერილობით გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრის დარღვევას ან/და სკოლა 1 წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს. დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დანიშნოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. ამ შემთხვევაში მოქმედებს ამ კანონის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესი.

8. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი 50 - საჯარო სკოლის ქონება

1. საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცემა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საჯარო სკოლა მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებას განკარგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 51 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსები

1. სკოლის ძირითადი დაფინანსება ხორციელდება ამ კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით, აგრეთვე ამ კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

2. საჯარო სკოლას უფლება აქვს მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით, თუ ეს საქმიანობა არ არის სახიფათო ჯანმრთელობისათვის და არ ახდენს მავნე ზეგავლენას მოსწავლეთა ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. მიღებული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

3. სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში.

4. სკოლას აქვს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში და ბეჭედი.

მუხლი 52 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა

1. საჯარო სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით.

2. დირექტორი უფლებამოსილია გადაუდებელი აუცილებლობისას სამეურვეო საბჭოს თანხმობის გარეშე გადაანაცვლოს ბიუჯეტის ერთი მუხლის სახსრების არა უმეტეს 10%-ისა მეორე მუხლში. ამ ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს მასწავლებელთა ხელფასების შემცირება. სკოლის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში დირექტორი უფლებამოსილია ყოველთვიურად გასცეს თანხები არა უმეტეს გასული წლის ბიუჯეტის 1/12-ის ოდენობით.

3. სამეურვეო საბჭოს თანხმობა აუცილებელია ისეთი გარიგების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება სკოლის ბიუჯეტის 5%-ს.

4. საჯარო სკოლა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტებს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი 12 - გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 53 - კანონის მიღებასთან დაკავშირებით ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს "განათლების შესახებ" საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი; მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი; მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი; მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის "ო", "პ", "ჟ" და "ს" ქვეპუნქტები; მე-20 მუხლის "კ", "ლ" და "ნ" ქვეპუნქტები; 21-ე მუხლი; 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი; 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა.ბ", "ა.გ" და "ა.დ" ქვეპუნქტები; 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი; მე-

40 მუხლის მე-3 პუნქტი; 44-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები, აგრეთვე აღნიშნული კანონის ყველა ის ნორმა, რომელიც ამ კანონისაგან განსხვავებულად არეგულირებს ამავე კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობებს.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 25 თებერვლის [1]16 ბრძანება "სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ტიპიური დებულების დამტკიცებისა და თანმდევ ღონისძიებათა შესახებ" და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული ყველა ის ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი, რომელიც ამ კანონისაგან განსხვავებულად არეგულირებს ამავე კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობებს.

მუხლი 54 - მოსამზადებელი კანონპროექტები

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე მოამზადოს კანონპროექტები "სააღმზრდელო საქმიანობის შესახებ", "პროფესიული განათლების შესახებ" და "საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების აკრედიტაციის შესახებ".

2. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

3. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი 55 - სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებები

1. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებები შეიძლება არსებობდნენ კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, ამტკიცებს მის წესდებას, ახორციელებს მასზე სახელმწიფო კონტროლს, მის რეორგანიზაცია-ლიკვიდაციას, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ამ დაწესებულების ხელმძღვანელს.

3. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებები, გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან, ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

მუხლი 56 - სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები

იმ სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარო ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, რომელიც აგრეთვე ახორციელებს მასზე სახელმწიფო კონტროლს, მის რეორგანიზაცია-ლიკვიდაციას, ამტკიცებს ამ დაწესებულების წესდებას, ნიშნავს და ათავისუფლებს მის ხელმძღვანელს. აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს იმ სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე, ამტკიცებს ამ დაწესებულების წესდებას, ნიშნავს და ათავისუფლებს მის ხელმძღვანელს.

მუხლი 56' - სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი

1. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი

შეიძლება იყოს შესაბამისი აკადემიური ან პროფესიული უმაღლესი სახელოვნებო ან სასპორტო განათლების მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, ასევე გავლილი აქვს მაძიებლობის პერიოდი და წარმატებით ჩააბარა მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილი.

2. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელზე სერტიფიკატი გაიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სერტიფიცირების დებულების შესაბამისად.

3. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების წესი და პირობები.

4. სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებენ ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის "ლ", "მ" და "ნ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და ახორციელებენ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

5. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებისა და წესის განსაზღვრის მიზნით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო მონაწილეობს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულების იმ ნაწილის შემუშავებაში, რომელიც ეხება სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა მომზადებასა და განვითარებას.

მუხლი 57 - საშუალო პროფესიული განათლების დაწესებულებები

1. საშუალო პროფესიული განათლების დაწესებულება შეიძლება არსებობდეს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით:

ა) 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე, თუ 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე მის მიერ განხორციელებული საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე, იყო 2 წელი;

ბ) 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე, თუ 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე მის მიერ განხორციელებული საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე, იყო 3 წელი.

1'. კერძო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში აღნიშნული ვადების დაცვით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე.

1''. 2007-2008 სასწავლო წლიდან საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება არა აქვთ, განახორციელონ მიღება საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველ კურსზე.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საშუალო პროფესიული განათლების დაწესებულებას აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, ამტკიცებს მის წესდებას, ახორციელებს მასზე სახელმწიფო კონტროლს, მის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას.

3. იმ საშუალო პროფესიული განათლების დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ სახელოვნებო და სასპორტო განათლებასა და მომზადებას, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით აფუძნებს დარგობრივი სამინისტრო, რომელიც ამტკიცებს მის წესდებას, ნიშნავს დირექტორს,

ახორციელებს მასზე სახელმწიფო კონტროლს, მის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას.

4. საშუალო პროფესიული განათლების დაწესებულება, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირია, ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ან/და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

5. საშუალო პროფესიული განათლების მიღება შეიძლება საბაზო განათლების მიღების შემდეგ. ის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე სახელმწიფოს 100%-იანი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი - საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც 2005-2006 სასწავლო წლის ბოლომდე ახორციელებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, უფლებამოსილი არიან გასცენ ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი იმ მოსწავლეებზე, რომლებმაც 2005-2006 სასწავლო წლის ბოლომდე დაასრულეს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები და ისწავლეს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 2 წლის განმავლობაში. 2005-2006 სასწავლო წლის დასრულებამდე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ამ დაწესებულებებში ფინანსდება პროგრამული დაფინანსების ფარგლებში.

5'. ლიცენზირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი - საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, გარდა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომისა, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დასადასტურებლად გასცემენ ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საშუალო პროფესიული განათლების დაწესებულებები ექვემდებარებიან აკრედიტაციას. აკრედიტაციის წესს, პირობებს და საშუალო პროფესიული განათლების დაწესებულებების სტანდარტებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შესაბამის დარგობრივ სამინისტროსთან შეთანხმებით, სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის წარდგინების საფუძველზე.

7. საშუალო პროფესიული განათლების ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება ამ კანონით დადგენილი წესით, ხოლო საკუთრივ პროფესიული განათლება ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან ან/და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

მუხლი 58 - ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით დაფუძნების უზრუნველყოფა

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2005 წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყოფს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით დაფუძნებას, ასევე არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ახალი წესდებების დამტკიცებას ამ კანონის შესაბამისად.

2. იმ საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო- სააღმზრდელო დაწესებულებებზე, რომლებიც არ არიან საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირები და სახელმწიფო ბიჯეტიდან ფინანსდებიან, ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ მოქმედი ნორმები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს წესდების ერთიან ნიმუშს, რომლის მიხედვითაც დაფუძნდება ეს დაწესებულებები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქვეყნებს წესდების ნიმუშს და შესაბამისად დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ნუსხას.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკური განვითარების, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროები ამ კანონის მიღებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობას წარუდგენენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის

იურიდიული პირების სახით დაფუძნებისათვის საჭირო ღონისძიებათა ფინანსური და სამართლებრივი უზრუნველყოფის გეგმას.

5. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს ეტაპობრივად, არა უგვიანეს 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებისა.

6. ამ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2011-2012 სასწავლო წლის დასაწყისიდან.

7. ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის "ნ'" ქვეპუნქტი, 27-ე მუხლის 1' პუნქტი, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ'" ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2011-2012 სასწავლო წლის დასაწყისიდან; საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აკრედიტაციის შემდეგ დამფუძნებლის მიერ შეიძლება რეორგანიზებულ იქნეს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად, რის შემდეგაც აღნიშნული იურიდიული პირი ჩაითვლება შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამონაცვლედ.

მუხლი 59 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2006-2007 სასწავლო წლის დასრულებამდე უზრუნველყოს საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების პირველი არჩევნების ჩატარება. პირველი არჩევნები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული განრიგითა და წესით.

2. ამ კანონის ამოქმედება არის ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ერთ საფეხურს მაინც, აგრეთვე იმ სკოლისგარეშე დაწესებულების, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე, ხელმძღვანელის (დირექტორის) გათავისუფლების საფუძველი, რაც ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, ხოლო სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებათა შემთხვევაში - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით. ამ კანონის შესაბამისად დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ხოლო ამ კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული სკოლისგარეშე დაწესებულების ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შემსრულებელს 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი.

3. ამ კანონის ამოქმედება იწვევს საჯარო სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. ამ კანონის საფუძველზე პირველად არჩეული დირექტორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რეგისტრაცია იწვევს ამ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და ადმინისტრაციის/დირექციის თანამდებობის პირების უფლებამოსილების შეწყვეტას.

5. პირველად არჩეულმა დირექტორმა რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

6. საჯარო სკოლები აკრედიტებულად ჩაითვალონ 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე. ამ დრომდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შემდგომი აკრედიტაციის დაწყება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის საშუალებით.

7. ლიცენზირებული კერძო სკოლები აკრედიტებულად ჩაითვალონ 2013-2014 სასწავლო წლის

დაწყებამდე მიმდინარე სასწავლო პროგრამების დასრულებამდე.

8. 2010-2011 სასწავლო წლიდან ამ კანონის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აკრედიტებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პროფესიული მომზადების პროგრამა და ჩაბარებული აქვს სათანადო სასერტიფიკაციო გამოცდა.

9. საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების პირველი არჩევნების შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

მუხლი 60 - სასწავლო პროგრამების ზოგადი განათლების საფეხურებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს ყველა ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულებაში სწავლების დაწყება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მუხლი 61 - მასწავლებელთა პირველი სერტიფიცირება

1. მასწავლებლის პირველი სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდეს არა უგვიანეს 2010 წლის 31 დეკემბრისა.

2. 2014 წლის ბოლომდე ყველა მოქმედმა მასწავლებელმა უნდა ჩააბაროს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა, რათა მოიპოვოს მასწავლებლობის უფლება.

3. 2014 წლის ბოლომდე მასწავლებლად მუშაობის დაწყება ან მასწავლებლობის მაძიებლად რეგისტრაცია შეუძლია მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირს.

4. 2014 წლის ბოლომდე მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმ მოქმედ მასწავლებელს, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 1 წლის სტაჟი ან წარმატებით აქვს გავლილი მაძიებლობის პერიოდი, აგრეთვე იმ პირს, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 1 წლის სტაჟი, მიუხედავად იმისა, სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასასვლელად რეგისტრაციის მომენტისთვის არის თუ არა ის მოქმედი მასწავლებელი. ამ დრომდე სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრულ პირებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განათლებასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ჩაეთვლებათ დაკმაყოფილებულად.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2009 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს ამ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, ხოლო 2010 წლის 31 დეკემბრამდე - ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის "შ", "ჯ" და "ჭ"" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიღება.

მუხლი 62 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება

1. ამ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ზოგადი განათლების ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე გადასვლა განხორციელდეს ეტაპობრივად, არა უგვიანეს 2007-2008 სასწავლო წლისა. ამ დრომდე ზოგადი განათლების დაფინანსებას ახორციელებს ადგილობრივი მმართველობის ორგანო. იმ ქალაქებში, რომლებიც არ შედის არც ერთი რაიონის შემადგენლობაში, აგრეთვე სადაც არ არსებობს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს განსხვავება ადგილობრივი მმართველობის/თვითმმართველობის

ორგანოს მიერ გამოყოფილ დაფინანსებასა და ერთ მოსწავლეზე გათვლილ ფინანსურ ნორმატივს შორის.

2. ამ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ზოგადი განათლების ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე გადასვლამდე ადგილობრივი მმართველობის/თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები სამეურვეო საბჭოში სარგებლობენ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3. ამ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს არა უგვიანეს 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებისა.

მუხლი 63 - 12-წლიან ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაზე გადასვლა

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს 2006-2007 სასწავლო წლიდან 12-წლიან ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაზე ეტაპობრივი გადასვლა.

2. 12-წლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება არ შეეხება 2006-2007 წლის დასაწყისში მე-11 კლასში მყოფ მოსწავლეებს.

3. ამ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დებულება დამტკიცდეს არა უგვიანეს 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებისა.

4. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ფუნქციებს მის შექმნამდე ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

მუხლი 63' - ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარება

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 64 - კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 8 აპრილი.

დადგენილება № 84 - "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცების შესახებ

მიღებულია - 18.10.2004 წ ძალაშია - 18.10.2004 წ

02.11.2009 წ - მდგომარეობით

მიმღები: საქართველოს მთავრობა

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "პ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს თანდართული "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები".

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ზოგადი განათლების სფეროში საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები შეიმუშავოს "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი

ზურაბ ჟვანია

გამოქვეყნებულია №122 მაცნეში (29.10.2004)

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელწმიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიღრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის.

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითადი საშუალებები:

მოზარდის ზემოთ აღწერილი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის საქართველოს სახელმწიფო კისრულობს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს და დანერგოს:

1. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკითა და კანონმდებლობით განისაზღვრება როგორც სასკოლო განათლების სფეროში ჩაბმული მხარეების უფლებები და მოვალეობები, ისე მიზნების მიღწევის ძირითადი გზები და საშუალებებიც.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემა

ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემას ქმნიან სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა და დაფინანსების წყაროების მქონე დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის პრინციპებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო წესდებების მიხედვით. სასკოლო სისტემა მოიცავს მუდმივად განვითარებად მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

სასკოლო სისტემის მართვის აუცილებელი კომპონენტებია: ლიცენზირება, აკრედიტაცია და ატესტაცია; სკოლის ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის განვითარება; სასკოლო სისტემის მართვის ძირითადი ფორმების განსაზღვრა და მათი შესრულების უზრუნველყოფა; ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და ფუნქციონირების ხარისხის შეფასება; ეროვნული შეფასებისა და საგამოცდო სისტემების შექმნა და მართვა.

4. ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელ ოდენობას; ცოდნის განვითარების ზოგად ხერხებს; საჭირო ინფორმაციის ოდენობასა და შესაბამის უნარ-ჩვევებს თითოეული საფეხურის დამთავრებისას; საგნებსა და პრიორიტეტებს სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

საზოგადოებრივი აქტიურობისა და არსებული რესურსების ეფექტიანი ამოქმედების გარეშე ეს ცალკეული საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მოზარდში ზემოჩამოთვილ უნარ-ჩვევათა სრულყოფილ განვითარებას. ამიტომ ამ ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ისეთ განსხვავებულ პირობებში, როგორიცაა გამოცდები თუ არჩევნები, საკლასო ოთახი თუ სახლი, კლუბი, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო თუ სახელოსნო. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას.

სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობას.

სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობებისა თუ სხვა ნიშნების მიხედვით.

ბრძანება №1014 - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ

მიღებულია - 21.11.2008 წ ძალაშია - 03.12.2008 წ

19.01.2010 წ - მდგომარეობით

მიმღები: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21''-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის "შ'.ბ" ქვეპუნქტის, "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" და "მ" ქვეპუნქტების საფუძველზე, "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილების და "მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 9 თებერვლის N29 დადგენილების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ნოდია

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

თავი 1 - ზოგადი დებულებანი

მუხლი 1 - რეგულირების სფერო და მიზანი

1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში - სტანდარტი), "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ღ3" ქვეპუნტის შესაბამისად, განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, მასწავლებლის პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს. სტანდარტი აერთიანებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული საგნის მასწავლებლისათვის ზოგადი განათლების საფეხურების შესაბამისად.

2. სტანდარტი მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სტანდარტი ვრცელდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ყველა სახის მასწავლებელზე. სტანდარტი გამოიყენება აგრეთვე მასწავლებლობის მაძიებლის ცოდნის შეფასებისათვის.

მუხლი 2 - სტანდარტის სტრუქტურა

1. სტანდარტი შედგება 3 ნაწილისაგან:

ა) განვითარებისა და სწავლის თეორიები;

ბ) სწავლება და შეფასება;

გ) პროფესიული გარემო.

2. განვითარებისა და სწავლის თეორიების ნაწილი ასახავს მოსწავლის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებსა და სწავლის თეორიებს, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის.

3. სწავლებისა და შეფასების ნაწილი აღწერს პედაგოგიური საქმიანობისათვის საჭირო მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომლებიც აუცილებელია ეფექტური სწავლისა და სწავლებისთვის.

4. პროფესიული გარემოს ნაწილი ასახავს პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს, რომლებიც მასწავლებელს ეხმარება კოლეგებთან ურთიერთობაში, საკუთარი პრაქტიკის დახვეწასა და კანონმდებლობის შესაბამისი პროფესიული საქმიანობის წარმართვაში.

თავი 2 - განვითარებისა და სწავლის თეორიები

მუხლი 3 - განვითარების თეორიები

მასწავლებელმა იცის მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელმა იცის თუ როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

ბ) მასწავლებელი ავლენს მოსწავლის ინტელექტუალური და სოციალური განვითარების ძირითადი თეორიებისა და ფიზიკური განვითარების კანონზომიერების ცოდნას სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში;

გ) მასწავლებელი აცნობიერებს მოსწავლეების განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათ გავლენას სწავლებაზე და სწავლაზე;

დ) მასწავლებელმა იცის და ითვალისწინებს ოჯახური, საზოგადოებრივი და სხვა ფაქტორების გავლენას მოსწავლის განვითარებასა და სწავლაზე.

მუხლი 4 - სწავლის თეორიები

მასწავლებელმა იცის სწავლის ძირითადი თეორიები, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელი ავლენს სწავლის ძირითადი თეორიების ცოდნას;

ბ) მასწავლებელმა იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

გ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის აგებაში;

დ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

თავი 3 - სწავლება და შეფასება

მუხლი 5 - სასწავლო გარემო

მასწავლებელმა იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე;

ბ) მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებდეს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში;

გ) მასწავლებელი აცნობიერებს კლასის სტრუქტურაში მოსწავლეთა არაფორმალური როლების მნიშვნელობას და ხელს უწყობდეს საკლასო ერთობის შექმნას;

დ) მასწავლებელმა იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები, მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;

ე) მასწავლებელმა იცის, როგორ მოაწყოს სასწავლო ფიზიკური გარემო ეფექტური სწავლებისათვის;

ვ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

ზ) მასწავლებელმა იცის, როგორ იმოქმედოს უბედური შემთხვევის დროს ან აღმოუჩინოს მოსწავლეს ან კოლეგას პირველადი სამედიცინო დახმარება;

თ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში;

ი) მასწავლებელმა იცის გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები;

კ) მასწავლებელი აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლის განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგებზე;

ლ) მასწავლებელმა იცის, როგორ მართოს მოსწავლეების ქცევა წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში, როგორ ასწავლოს თანამშრომლობითი ურთიერთობები და ხელი შეუწყოს აზრის გაბედულად გამოხატვას;

მ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი ქცევის დამოუკიდებლად შეფასებისა და მართვის უნარის ჩამოყალიბებაში;

ნ) მასწავლებელს შეუძლია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგნის ეფექტურად სწავლების მიზნით;

ო) მასწავლებელი პროფესიულად ფლობს სწავლების ენას.

მუხლი 6 - მოტივაცია და კომუნიკაცია

მასწავლებელმა იცის მოტივაციისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგია და იყენებს ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში. ამ მიზნით მასწავლებელმა:

ა) იცის სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები და აანალიზებს მათ შესაძლო შედეგს კონკრეტულ სიტუაციაში;

ბ) იცის, როგორ გაუღვივოს მოსწავლეებს შემეცნებითი ინტერესი და სწავლის ღირებულების მიმართ გაცნობიერებული დამოკიდებულება;

გ) იცის და ითვალისწინებს, რა გავლენას ახდენს კომუნიკაციაზე მოსწავლეთა

თავისებურებები;

დ) იცის და იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიას მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად;

ე) იცის, როგორ გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხი კოლეგებთან, მშობლებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობებისთვის;

ვ) იცის, როგორ განუვითაროს მოსწავლეს ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევა.

მუხლი 7 - სასწავლო პროცესი

მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით;

ბ) მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და შეუძლია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შედგენა;

გ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაამყაროს საგანთა შორის კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების და პროგრამების დონეზე;

დ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაგეგმოს სწავლება კოლეგებთან ერთად;

ე) მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და ამ გეგმის მიხედვით სწავლება და შეფასება.

მუხლი 8 - შეფასების მეთოდები

მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა, აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის, იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელმა იცის და იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას;

ბ) მასწავლებელი აცნობიერებს შეფასების ძირითად პრინციპებს და იცავს მათ საკუთარ პრაქტიკაში;

გ) მასწავლებელმა იცის და იყენებს შეფასების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად;

დ) მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში, სხვათა შესაძლებლობების შეფასება/აღიარებასა და საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაში.

მუხლი 9 - სწავლების სტრატეგია და მეთოდები

მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული

მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელი ავლენს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად;

ბ) მასწავლებელი ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავ-ლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში;

გ) მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდი მოსწავლეებში შემეცნებითი და სოციალური უნარების გასავითარებლად.

თავი 4 - პროფესიული გარემო

მუხლი 10 - კოლეგებთან ურთიერთობა

მასწავლებელმა იცის კოლეგებთან ეფექტური თანამშრომლობითი ურთიერთობის ფორმები. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელმა იცის სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან პროდუქტიული თანამშრომლობის მეთოდები საკუთარი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;

ბ) მასწავლებელი თანამშრომლობს კოლეგებთან მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლად და აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად;

გ) მასწავლებელმა იცის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები სასწავლო რესურსების მოძიების მიზნით;

დ) მასწავლებელი ხელს უწყობს კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში;

ე) მასწავლებელმა იცის, როგორ შეუწყოს ხელი ახალბედა მასწავლებელს პრაქტიკული საქმიანობის დაწყებაში.

მუხლი 11 - თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

მასწავლებელმა იცის, როგორ შეაფასოს საკუთარი გამოცდილება, განაახლოს პროფესიული ცოდნა და გააუმჯობესოს პროფესიული საქმიანობა. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი სამუშაო გამოცდილება და იზრუნოს მის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე;

ბ) მასწავლებელს შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევა, პედაგოგიური საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

გ) მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს პროფესიული განვითარების სხვადასხვა საშუალება და რესურსი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გასავითარებლად;

დ) მასწავლებელს შეუძლია გააანალიზოს პროფესიული ლიტერატურა და გამოიყენოს ის საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 12 - სამართლებრივი აქტების ცოდნა

მასწავლებელი იცნობს პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელი იცნობს და ხელმძღვანელობს პედაგოგიური საქმიანობის შესახებ არსებული ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით;

ბ) მასწავლებელმა იცის და იცავს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს;

გ) მასწავლებელი იცნობს და იცავს ეთიკის ნორმებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს;

დ) მასწავლებელი აცნობიერებს სამართლებრივ და ეთიკის მოთხოვნებს სასწავლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით;

ე) მასწავლებელს შეუძლია სახელმწიფო ენაზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის გაგება.

მუხლი 13 - მოსწავლის ინტელექტუალური და სოციალური განვითარების თეორიების, სწავლის ძირითადი თეორიებისა და სამართლებრივი აქტების ჩამონათვალის დამტკიცება

ამ სტანდარტის მე-3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით და მე-4 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული განვითარების თეორიებისა და სწავლის ძირითადი თეორიებისა და მათი ავტორების, ასევე მე-12 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი მტკიცდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

თავი 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

მუხლი 14 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები ქართულ ენასა და ლიტერატურაში

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მიმართულება ზეპირ მეტყველებაში გააჩნია შემდეგი პროფესიული უნარ-ჩვევები:

ა) სხვათა მეტყველების, მოსაზრების (დამოკიდებულების) მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით;

ბ) საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი მოსმენის სტრატეგიების გამოყენება (კითხვის დასმა, მოსმენილის პერიფრაზირება, ჩანიშვნა და ა.შ.);

გ) სამეტყველო ქცევის წარმართვა სამეტყველო სიტუაციისა და აუდიტორიის გათვალიწინებით. საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო სტრატეგიებისა და აუდიტორიაზე ზემოქმედების ვერბალური და არავერბალური ხერხების ეფექტური გამოყენება;

დ) მართლმეტყველების წესების დაცვა, აზრის ცხადად, ლაკონურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვა;

ე) ვერბალური (მაგ.: ყურადღების მისაპყრობად რიტორიკული შეკითხვები, ჩანართები) და არავერბალური (მაგ.: მხედველობითი კონტაქტი, ჟესტიკულაცია, ხმის აწევ-დაწევა, საუბრის ტემპის შეცვლა) საშუალებების ეფექტური გამოყენება;

ვ) ზეპირი გამოსვლის მოსამზადებელი სტრატეგიების გამოყენება (ინფორმაციის შეგროვება, ტექსტის დაგეგმვა, ჩანაწერების მომზადება, ტექსტის დამახსოვრება, შესაბამისი თვალსაჩინო მასალის მომზადება, რეპეტიციის გავლა).

2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მიმართულება კითხვაში გააჩნია შემდეგი პროფესიული უნარ-ჩვევები:

ა) სხვადასხვა ტიპის (მხატვრული და არამხატვრული), სტილისა და ჟანრის ტექსტების გაანალიზება შინაარსობრივი, თემატური, იდეური, ფუნქციური და კომპოზიციური თვალსაზრისით;

ბ) ტექსტის ანალიზი სტრუქტურისა და ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების გათვალისწინებით;

გ) კითხვის სტრატეგიების გამოყენება.

3. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მიმართულება წერაში გააჩნია შემდეგი პროფესიული უნარ-ჩვევები:

ა) სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტის შექმნა მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისი მახასიათებლებისა და ენობრივი ნორმების დაცვით;

ბ) წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება (მიზნის და აუდიტორიის განსაზღვრა, ნაწერის დაგეგმვა, კომპოზიციის აგება, სამუშაო ვერსიის ხელახალი გადასინჯვა და რედაქტირება-კორექტირება).

მუხლი 15 - ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების უნარ-ჩვევები

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს, რომელიც ასწავლის ქართულს როგორც მეორე ენას, გააჩნია შემდეგი უნარ-ჩვევები:

ა) შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება ქართულის, როგორც მეორე ენის, მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ) შეუძლია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდების გამოყენება საკომუნიკაციო უნარების (მოსმენა, ლაპარაკი, წერა და კითხვა) გასავითარებლად;

გ) შეუძლია არაქართულენოვან მოსწავლეთა საჭიროებებისა და ენობრივი შესაძლებლობების შეფასება სწავლების სტრატეგიის შესარჩევად;

დ) ქართული გრამატიკის სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინება და ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც მოსწავლეებს გაუადვილებს მის ათვისებას;

ე) მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად მულტისენსორული მეთოდების გამოყენება, სახალისო საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნა.

მუხლი 16 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ასევე მასწავლებელს, რომელიც ასწავლის ქართულს, როგორც მეორე ენას, გააჩნია შემდეგი პროფესიული ცოდნა:

ა) ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ:

ა.ა)ქართული ენის ბუნება. ენის რაობა და ფუნქციები. ენა და მეტყველება.

ბ) ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხები:

ბ.ა) ასო და ბგერა. მარცვალი. ძირითადი ფონეტიკური პროცესები. ინტონაცია. პაუზა.

გ) გრამატიკა:

გ.ა) მეტყველების ნაწილები. წინადადება, წინადადების წევრები, წინადადების სახეები შინაარსისა და აგებულების მიხედვით.

დ) ლექსიკოლოგია:

დ.ა) სიტყვების სემანტიკა, სიტყვათა სემანტიკური და ლექსიკური კავშირები, სიტყვაწარმოება და სიტყვათწარმოქმნა.

ე) ორთოგრაფია:

ე.ა) ორთოგრაფიული წესები და ნორმები.

ვ) პუნქტუაცია:

ვ.ა) პუნქტუაციის წესები.

ზ) ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება:

ზ.ა) ტექსტისა და წინადადების კომპონენტები (თავი, ფრაგმენტი, აბზაცი);

ზ.ბ) წინადადებათა გადაბმის სახეები (ჯაჭვური, პარალელური, შერეული);

ზ.გ) მეტყველების ფუნქციური ტიპები (აღწერა, თხრობა, მსჯელობა), მათი სტრუქტურული და სტილური თავისებურებანი;

ზ.დ) ტექსტების ფუნქციურ-სტილური ტიპოლოგია (ყოფითი, მხატვრული, შემეცნებითი და ა.შ.);

ზ.ე) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები: ტროპული მეტყველება და სტილური ფიგურები (ეპითეტი, მეტაფორა, ირონია, ჰიპერბოლა, შედარება, გაპიროვნება, განმეორება, პარალელიზმი...), ფრაზეოლოგიზმები, დიალექტიზმი, ჟარგონი, ნეოლოგიზმი და სხვ..

თ) ლიტერატურა: ფოლკლორული ჟანრები: ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები (ქართული და უცხოური), მითები (ქართული და უცხოური); ბიბლიური მოთხრობები და იგავები; ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ცნობილი პროზაული და პოეტური ნაწარმოებები; ლიტერატურული ზღაპრები; მოთხრობები; კომიქსები; იგავ-არაკები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები; ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, ლექსები (საბავშვო, ლირიკული და სიუჟეტიანი); გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიები და მოგონებები;

ი) ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თეორიები და მეთოდები (კომუნიკაციური, ევრისტიკული, ინდუქციური და სხვა.).

თავი 6 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მათემატიკაში

მუხლი 17 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები მათემატიკაში

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს აქვს შემდეგი უნარ-ჩვევები მათემატიკაში:

ა) მიმართულება რიცხვები და მოქმედებები:

ა.ა) რიცხვების ადეკვატურად გამოყენება სხვადასხვა ასპექტში. რიცხვით სისტემებს შორის კავშირების გამოსახვა სხვადასხვა ხერხით, პოზიციური სისტემების გამოყენება, რიცხვების კლასიფიკაცია;

ა.ბ) ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება. რიცხვებზე მოქმედებების თვისებების გამოყენება, მათ შორის კავშირების დასაბუთება და მათი გამოყენება;

ა.გ) რაოდენობების შეფასებისა და შედარების სხვადასხვა ხერხის გამოყენება. რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასება სხვადასხვა ხერხით;

ა.დ) ზომის სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება (მათ შორის, რეალურ ვითარებაში).

ბ) მიმართულება კანონზომიერებები და ალგებრა:

ბ.ა) განტოლებისა და უტოლობის ამოხსნა და მათი გამოყენება პრობლემების გადაჭრისას.

გ) მიმართულება გეომეტრია და სივრცის აღქმა:

გ.ა) გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, მათი სახეობების შედარება და კლასიფიცირება. გეომეტრიულ ფიგურათა წარმოდგენისა და მათ შესახებ დებულებათა ფორმულირების ხერხების გამოყენება;

გ.ბ) ფიგურებისა და მათი ელემენტების ზომების დადგენა და შეფასება სხვადასხვა ხერხით და მათი გამოყენება პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად;

გ.გ) გეომეტრიული გარდაქმნების თვისებების ჩამოყალიბება და მათი გამოყენება გეომეტრიული და პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისას;

გ.დ) სივრცით ფიგურასა და მის შლილებს შორის კავშირების დადგენა.

დ) მიმართულება მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა:

დ.ა) მონაცემთა მოწესრიგებისა და წარმოდგენის ხერხების ადეკვატურად გამოყენება დასმული ამოცანის ამოსახსნელად. მონაცემთა წარმოდგენის ხერხების ინტერპრეტირება;

დ.ბ) მონაცემთა მოპოვების ხერხების ადეკვატურად შერჩევა და მათი გამოყენება დასმული ამოცანის გადასაჭრელად საჭირო მონაცემების მოსაპოვებლად;

დ.გ) მონაცემთა ანალიზი რიცხვითი და გრაფიკული მეთოდების გამოყენებით; შედეგების ინტერპრეტირება და დასკვნების ჩამოყალიბება.

მუხლი 18 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა მათემატიკაში

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა ალგებრისა და ანალიზის საწყისებში იცის:

ა) სიმრავლე, სიმრავლეებს შორის მიმართებები, მოქმედებები სასრულ სიმრავლეებზე, სიმრავლე, ქვესიმრავლე, ორი სიმრავლის ტოლობა, ცარიელი სიმრავლე. ელემენტარული ოპერაციები სიმრავლეებზე, სიმრავლეთა გაერთიანება, თანაკვეთა, სხვაობა, სიმრავლის დამატება;

ბ) მთელი რიცხვები. მარტივი და შედგენილი რიცხვები. გამყოფი და ჯერადი, არითმეტიკული მოქმედებები მთელ რიცხვებზე, მთელი რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად. დაშლის ერთადერთობა (არითმეტიკის ძირითადი თეორემა), რამდენიმე მთელი რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა, გაყოფადობის ნიშნები და მათი კავშირი ათობით პოზიციურ სისტემასთან, ნაშთი;

გ) რაციონალური რიცხვები, რაციონალური რიცხვების წარმოდგენა წილადებისა და ათწილადების სახით. რაციონალური რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე. რიცხვითი გამოსახულებები, მოქმედებათა თანმიმდევრობა რიცხვით გამოსახულებებში, არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებები, რიცხვითი უტოლობები და მათი თვისებები, რიცხვის ჩაწერის ათობითი პოზიციური სისტემა;

დ) რიცხვითი ღერძი. რიცხვითი შუალედები, წერტილის კოორდინატი, ნამდვილი რიცხვის შესაბამისი წერტილის გამოსახვა რიცხვით ღერძზე;

ე) რიცხვის მოდული, მოდულის ძირითადი თვისებები და მისი გეომეტრიული აზრი;

ვ) პროპორცია, პროპორციის თვისებები, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა, რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით, პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება სიდიდეებს შორის;

ზ) რიცხვის პროცენტი და ნაწილი, რიცხვის პროცენტისა და ნაწილის პოვნა, რიცხვის პოვნა მისი პროცენტით ან ნაწილით, რიცხვის ჩაწერა პროცენტის სახით;

თ) ხარისხი, ხარისხი ნატურალური მაჩვენებლით, ნამრავლის, ფარდობისა და ხარისხის ახარისხება. ტოლფუძიანი ხარისხების ნამრავლი და შეფარდება;

ი) ალგებრული გამოსახულება, მოქმედებები გამოსახულებებზე. გამოსახულების გარდაქმნა და მისი რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლა;

კ) მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე, წერტილის კოორდინატები, რიცხვთა წყვილის შესაბამისი წერტილის გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე;

ლ) კუთხის ზომა, კუთხის გრადუსული ზომა;

მ) განტოლება, უტოლობა, წრფივი განტოლებისა და უტოლობის ამონახსნის ცნებები. მათი ამოხსნის მეთოდები, ტოლფასი განტოლებები;

ნ) პრობლემების გადაჭრა განტოლებისა და უტოლობის გამოყენებით, ტექსტური ამოცანების ამოხსნა განტოლებისა და უტოლობის გამოყენებით, პრობლემის აღეკვატური მოდელის შედგენა განტოლებისა და უტოლობის გამოყენებით;

ო) კომბინატორიკის ელემენტები, გადანაცვლებათა, ჯუფთებათა და წყობათა რაოდენობების გამოთვლა.

2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა გეომეტრიაში იცის:

ა) ძირითადი გეომეტრიული ობიექტები და ცნებები (პლანიმეტრია), წერტილი, წრფე. სხივი, მონაკვეთი, ტეხილი, მანძილი ორ წერტილს შორის. მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე, კუთხე, კუთხის გრადუსული ზომა, მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები;

ბ) წრფეების ურთიერთგანლაგება, კუთხე ორ წრფეს შორის. წრფეთა მართობულობა. წრფეთა პარალელობა;

გ) მრავალკუთხედი. ამოზნექილი მრავალკუთხედი, გვერდი, წვერო, კუთხე, დიაგონალი, პერიმეტრი, ამოზნექილი ფიგურის განსაზღვრება, ამოზნექილი მრავალკუთხედის კუთხეების ჯამი;

დ) სამკუთხედი, სამკუთხედის გვერდი, კუთხე, წვერო, მედიანა, ბისექტრისა, სიმაღლე და მათი თვისებები, სამკუთხედები: მართკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა და მათი თვისებები, სამკუთხედის კუთხეების ჯამი. სამკუთხედის გარე კუთხის თვისება. სამკუთხედის შუახაზის თვისებები, სამკუთხედების ტოლობის ნიშნები. სამკუთხედების მსგავსების ნიშნები. მსგავსი სამკუთხედების პერიმეტრებისა და ფართობების შეფარდება, მანძილის თვისება. სამკუთხედის უტოლობა, მართკუთხა სამკუთხედი. პითაგორას თეორემა;

ე) პარალელოგრამი, პარალელოგრამის გვერდების, კუთხეებისა და დიაგონალების თვისებები, პარალელოგრამობის ნიშნები, რომბის დიაგონალების თვისებები, მართკუთხედის დიაგონალების ტოლობა. მართკუთხედის სიმეტრიის ღერძები, კვადრატი და მისი თვისებები;

ვ) ტრაპეცია, ტრაპეციის ელემენტები: ფუძე, ფერდი, სიმაღლე, ტოლფერდა ტრაპეციის თვისებები;

ზ) ბრტყელი ფიგურის ფართობი, ტოლი ფიგურების ფართობების ტოლობა, ბრტყელი ფიგურის ფართობის კავშირი მისი შემადგენელი ნაწილების ფართობებთან, კვადრატის, მართკუთხედის,

სამკუთხედის, პარალელოგრამის, რომბის და ტრაპეციის ფართობი;

თ) წრეწირი და წრე, ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, რკალი, სექტორი, სეგმენტი, მხები;

ი) გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე. გადაადგილება, ღერძული და ცენტრული სიმეტრიები, მობრუნება, პარალელური გადატანა, გეომეტრიული გარდაქმნების კომპოზიციები.

კ) მრავალწახნაგა, მრავალწახნაგას შემადგენელი ელემენტები: წვერო, წიბო, წახნაგი, წესიერი მრავალწახნაგები (პლატონისეული სხეულები), კავშირი მრავალწახნაგას შემადგენელი ნაწილების რაოდენობებს შორის, კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის შლილებისა და კვეთების აგება, ამ სხეულების ამოცნობა მათი შლილების საშუალებით;

ლ) სივრცითი სხეულის მოცულობა და ზედაპირის ფართობი, ტოლი სხეულების მოცულობების ტოლობა, კავშირი სხეულის მოცულობასა და მისი შემადგენელი სხეულების მოცულობათა შორის, კუბის და პარალელეპიპედის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობისა და მოცულობის გამოთვლა;

მ) ზომის ერთეულები, სიგრძის, ფართობის, მოცულობის, მასის, დროის, სიჩქარის ერთეულები და კავშირები მათ შორის;

ნ) მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა, მონაცემთა წარმოდგენა, სია, ცხრილი, პიქტოგრამა, დიაგრამა: წერტილოვანი, ხაზოვანი, სვეტოვანი, წრიული, მონაცემთა მახასიათებლებლები, ცენტრალური ტენდენციის საზომები (საშუალო, მედიანა, მოდა).

თავი 7 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

მუხლი 19 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები საბუნებისმეტ-ყველო მეცნიერებებში

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შეუძლია:

ა) მოვლენის არსის განსაზღვრა;

ბ) მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა;

გ) კვლევის საგნის განსაზღვრა და მისი შესწავლის ეტაპების გამოყოფა;

დ) ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად მონაცემების სხვადასხვა წყაროდან/საშუალებით (მაგ. ექსპერიმენტის, უშუალო დაკვირვების ან საინფორმაციო წყაროებიდან) მოპოვება;

ე) მონაცემთა კლასიფიცირება (დახარისხება) სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით;

ვ) მონაცემების სხვადასხვა სახით (ფორმით, ხერხით) წარმოდგენა;

ზ) კვლევის შედეგების ანალიზი და შეფასება;

თ) სტრუქტურების და პროცესების მოდელირება;

ი) პრაქტიკულ სამუშაოებთან (ცოცხალ ორგანიზმებთან, ქიმიურ რეაქტივებთან ან ფიზიკურ მოვლენებთან) დაკავშირებული რისკ-ფაქტორების განსაზღვრა და მათი პრევენცია;

კ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების განხილვა ზოგად ისტორიულ ჭრილში;

ლ) საბუნებისმეტყველო სფეროში დაგროვილი (არსებული) ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში;

მ) საბუნებისმეტყველო პრობლემების მდგრადი განვითარების ჭრილში განხილვა;

ნ) მეცნიერული აღმოჩენების შედეგების დადებითი და უარყოფითი გავლენის შეფასება;

ო) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაკავშირება სხვა სასწავლო დისციპლინებთან;

პ) მეცნიერული ტერმინოლოგიით მეტყველება (წერითი და ზეპირი);

ჟ) საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას სათანადო მათემატიკური ოპერაციების გამოყენება.

მუხლი 20 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში იცის:

ა) სასიცოცხლო პროცესები:

ა.ა) კვება ზრდა, მოძრაობა გამრავლება. ამ პროცესების მნიშვნელობა ორგანიზმისათვის.

ბ) ორგანიზმთა მრავალფეროვნება და მათი კლასიფიკაცია:

ბ.ა) მსხვილი ტაქსონომიური ერთეულების (სამეფო, ტიპი, კლასი) დამახასიათებელი ნიშნები, ტიპობრივი წარმომადგენლები. კლასიფიკაცია.

გ) ცხოველები:

გ.ა) ხერხემლიანი ცხოველები. უხერხემლო ცხოველები. აგებულება. ცხოვრების ნირი. გავრცელება.

დ) მცენარეები:

დ.ა) ყვავილოვანი - არაყვავილოვანი მცენარეები. აგებულება. გავრცელება.

ე) მიკროორგანიზმები:

ე.ა) მიკროორგანიზმების მრავალფეროვნება. ცხოველმოქმედების შედეგები.

ვ) ადამიანი:

ვ.ა) აგებულება. სასიცოცხლო საჭიროებები. პირადი ჰიგიენა.

ზ) სასიცოცხლო ციკლი:

ზ.ა) სასიცოცხლო ციკლის სტადიები.

თ) ცოცხალ ორგანიზმთა შეგუება გარემოსთან:

თ.ა) სტრუქტურული და ქცევითი შეგუების სახეები და მათი მნიშვნელობა. გადაშენებული ორგანიზმები, ორგანიზმთა გადაშენების მიზეზები.

ი) ეკოსისტემები:

ი.ა) ეკოსისტემის კომპონენტები: ბიოტური და აბიოტური. საქართველოს ტიპობრივი ეკოსისტემები. საქართველოში გავრცელებული სახეობები.

კ) კვებითი კავშირები:

კ.ა) კვებითი ჯაჭვები. ორგანიზმების როლი ეკოსისტემაში: პროდუცენტები, კონსუმენტები, რედუცენტები.

ლ) მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები და მისი ნაწილები:

ლ.ა) რელიეფის მნიშვნელოვანი ფორმები (მთა, მთათა სისტემა, ქედი, ზეგანი, ვაკე, დაბლობი, ქვაბული . . .);

ლ.ბ) ჰიდროსფეროს შემადგენელი ნაწილები (ოკეანეები, ზღვები, ყურეები…) და მათი გამოყენება;

ლ.გ) სასმელი წყლის რესურსები (ჭა, წყარო, მტკნარი წყალსაცავი, მიწისქვეშა წყლები), მათი გამოყენება და დაცვა;

ლ.დ) გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლები (ფორმა, სიმაღლე, სიღრმე);

ლ.ე) კონტინენტების მახასიათებლები (რელიეფი, ჰიდროგრაფიული ქსელი, ცოცხალი ორგანიზმები, მოსახლეობა);

ლ.ვ) კონტინენტების და ოკეანეების მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების შედარება.

მ) დედამიწაზე გავრცელებული ბიომები:

მ.ა) წვიმიანი ტყეები, ნათელი ტყეები, ველები (სტეპები, პამპასები, პრერიები), უდაბნო, ნახევარუდაბნო, ზომიერი სარტყლის ტყეები, ტაიგა, ტუნდრა, მუდმივი გამყინვარების ზონა.

ნ) ბუნებრივი რესურსები:

ნ.ა) ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

ო) ბუნებრივი მოვლენები, გარემოს ცვლილება:

ო.ა) ეროზია და გამოფიტვა; ნალექები, ქარი; ბუნებრივი ბარიერები; სტიქიური მოვლენები; ბუნებრივი და ხელოვნური გარემო.

პ) სივრცეში ორიენტაცია:

პ.ა) გლობუსი, ადგილის გეგმა, რუკა (სასწავლო რუკები, ატლასი); ჰორიზონტის მხარეები, ადგილის გაგნება, კომპასი; მასშტაბი, რუკაზე ობიექტების, მოვლენების და პროცესების გამოსახვის ხერხები, რუკის ლეგენდა (გამოყენებული სიმბოლოები); საკოორდინატო ბადე, ეკვატორი, ტროპიკები და პოლარული წრეები.

ჟ) პერიოდული მოვლენები და ამინდი:

ჟ.ა) დედამიწის ბრუნვა ღერძისა და მზის გარშემო და მისი შედეგები - დღე-ღამის ცვლა. წელიწადის დროები. სეზონური რიტმიკა. სითბოს და სინათლის განაწილება დედამიწაზე. ამინდის პროგნოზი;

ჟ.ბ) მეტეოროლოგიური ხელსაწყოების გამოყენების პრინციპი; ამინდისა და კლიმატის განსხვავება;

ჟ.გ) ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფერობში სეზონების უთანაბრი ცვლა. სითბური სარტყელები.

რ) კოსმოსური სხეულები და ასტრონომიული მოვლენები:

რ.ა) პლანეტები, ვარსკვლავები, კომეტები, ასტეროიდები, მეტეორები, მეტეორიტები;

რ.ბ) დედამიწის, მთვარისა და პლანეტების მოძრაობა, მოძრაობის მოდელები. მზისა და მთვარის დაბნელება; ძველი ხალხის წარმოდგენები კოსმოსზე;

რ.გ) კოსმოსის შესწავლის ტექნოლოგიები.

ს) ენერგია:

ს.ა) მექანიკური, სინათლის, სითბური, ელექტრული ენერგია;

ს.ბ) ენერგიის განახლებადი და არაგანახლებადი წყაროები, მათი გამოყენება;

ს.გ) სითბური ენერგიის გადაცემის გზები (კონვექცია, გამოსხივება, გამტარებლობა);

ს.დ) ენერგიის დაზოგვის მნიშვნელობა, ენერგიის მარაგი ცოცხალ ორგანიზმებში;

ს.ე) ერთი სახის ენერგიის გადასვლა მეორეში. ენერგიის მუდმივობის კანონი მექანიკაში.

ტ) ნივთიერება:

ტ.ა) ნივთიერებათა თვისებები. ნივთიერებათა ცვლილებები, მათი გამომწვევი მიზეზები. ნივთიერება და ნარევი. ნარევის კომპონენტებად დაყოფა.

უ) მასალები და მათი თვისებები:

უ.ა) ბუნებრივი და ხელოვნური მასალები. მასალათა თვისებები (ფერი, თბოგამტარობა, დრეკადობა, გამჭვირვალობა და სხვ.), მათი გამოყენება.

ფ) სითბური მოვლენები, აგრეგატული მდგომარეობები:

ფ.ა) ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობები, გადასვლა ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში. ფიზიკური მახასიათებლების ცვლილება ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობების ცვლილების დროს;

ფ.ბ) გამყარება-დნობა. აორთქლება-კონდენსაცია, დუღილი, დუღილის ტემპერატურა;

ფ.გ) ნივთიერებათა სითბური გაფართოება, წყლის ანომალია;

ფ.დ) სითბოს ბუნებრივი და ხელოვნური წყაროები;

ფ.ე) თბოგამტარები და თბოიზოლატორები;

ფ.ვ) თბორეგულაციის მექანიზმები ორგანიზმებში.

ქ) ელექტროსტატიკა:

ქ.ა) ორგვარი ელექტრული მუხტი. მუხტის მუდმივობის კანონი. სხეულთა დამუხტვა გავლენით და ხახუნით. ელექტრული ველი. დამუხტული სხეულების ურთიერთქმედება. ელ. მოვლენები ბუნებაში. კულონის კანონი.

ღ) სხეულთა მოძრაობა და ურთიერთქმედება:

ღ.ა) სხეულის სიჩქარის ცვლილების მიზეზები, მოქაჩვა, ბიძგი;

ღ.ბ) მოძრაობის სახეები (წრფივი, მრუდწირული, რხევითი, ბრუნვითი). ტრაექტორია, გადაადგილება, წრფივი თანაბარი მოძრაობის სიჩქარე, საშუალო და მყისი სიჩქარე, მოძრაობის ფარდობითობა;

ღ.გ) სხეულთა ურთიერთქმედება, ძალა. სიმძიმის, ხახუნის (უძრაობის და სრიალის), დრეკადობის ძალები. ნიუტონის კანონები, მასა – ინერტულობის საზომი. მასა და წონა. სიმკვრივე. მსოფლიო მიზიდულობის კანონი;

ღ.დ) სიმძიმის ცენტრი, წონასწორობა (მდგრადი, არამდგრადი, განურჩეველი);

ღ.ე) მარტივი მექანიზმები. მექანიკის ოქროს წესი.

ყ) მექანიკური რხევები და ტალღები:

ყ.ა) რხევა, რხევის მახასიათებელი პარამეტრები;

ყ.ბ) განივი და გრძივი ტალღა, ტალღის სიგრძე, ტალღის სიჩქარე, ტალღის არეკვლა. ბგერა, ბგერის

წყაროები, ბგერის წარმოქმნა, გავრცელება და აღქმა. ბგერითი სიგნალების გადაცემა და მიღება ორგანიზმებში. სმენის ორგანოები. ექოს წარმოქმნა. ხმამაღლობა, ტონის სიმაღლე. ულტრაბგერა და ინფრაბგერა.

შ) სინათლე:

შ.ა) სინათლის ბუნებრივი და ხელოვნური წყაროები. სინათლის გავრცელება ერთგვაროვან და არაერთგვაროვან გარემოში. სინათლის, არეკვლა, გარდატეხა.

ჩ) ელექტრული დენი:

ჩ.ა) ელექტროგამტარები და იზოლატორები. დენის წყაროები. დენის ძალა, ძაბვა, გამტარის წინაღობა. ომის კანონი წრედის უბნისათვის. გამტართა პარალელური და მიმდევრობითი შეერთება, მარტივი ელექტრული წრედი. ელექტრული ენერგიის გადაცემის გზები.

ც) მაგნიტი:

ც.ა) მაგნიტი, მაგნიტური ველი.

ძ) გარემოს დაცვა:

ძ.ა) მდგრადი განვითარების პრინციპები. ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე (დადებითი და უარყოფითი შედეგები); დაცული ტერიტორიები და მათი შექმნის აუცილებლობა; წითელი წიგნი; ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენება (ხეების ჭრა, ბრაკონიერობა). ენერგიის დაზოგვის მნიშვნელობა.

წ) ჯანმრთელობა. პირადი ჰიგიენა, უსაფრთხოება:

წ.ა) ჯანსაღი ცხოვრების წესი. ჯანმრთელობისთვის საზიანო გარემო ფაქტორები და მათგან თავის დაცვის წესები, შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. მავნე ჩვევების (ნიკოტინის, ნარკოტიკის, ალკოჰოლის მოხმარება) გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

თავი 8 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი საქართველოს ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში

მუხლი 21 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები საქართველოს ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში

დაწყებითი საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელმა იცის:

ა) მიმართულება ისტორიული და გეოგრაფიული დრო. ქრონოლოგიური ერთეულებისა (წელიწადი, საუკუნე, ათასწლეული) და წელთაღრიცხვის სისტემის გამოყენება, გეოქრონოლოგია – ჰიდროს-ფეროს, ატმოსფეროს, კონტინენტებისა და სიცოცხლის წარმოშობა, ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან დაკავშირება;

ბ) მიმართულება ისტორიული და გეოგრაფიული სივრცე. საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკურ, ფიზიკურ და ისტორიულ რუკაზე ადგილის, მოვლენებისა და პროცესების ამოცნობა;

გ) მიმართულება ისტორიული და გეოგრაფიული ინტერპრეტაცია. ისტორიული წარსულის ამსახველი სხვადასხვა საშუალების დასახელება და მათზე მსჯელობა (მაგ.: სახელმძღვანელოს ტექსტი და სხვა წერილობითი მასალა, ილუსტრაციები, ღია ბარათები, ფოტოები, კინოფილმები და სხვ), ისტორიული წყაროების ტენდენციურობაზე მსჯელობა (ესმის, რომ სხვადასხვა წყარო ერთსა და იმავე მოვლენაზე ხშირად განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის; ასახელებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობა

ამა თუ იმ კონკრეტული წყაროს ტენდენციურობა), სხვადასხვა ფორმატში მოცემული გეოგრაფიული ინფორმაციის მოსწავლეთათვის გასაგებ ფორმატში წარმოჩენა (მაგ.: რუკაზე მოცემული ინფორმაციის ცხრილის ან სქემის სახით გამოსახვა);

დ) მიმართულება ისტორიული და გეოგრაფიული კვლევა. ისტორიულ და გეოგრაფიულ თემატიკაზე კითხვების დასმა და კითხვებზე პასუხის გაცემა, სხვადასხვა ისტორიული და გეოგრაფიული წყაროს საშუალებით საჭირო ინფორმაციის მოპოვება, მარტივი ისტორიული და გეოგრაფიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება;

ე) მიმართულება კომუნიკაცია. ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებზე მსჯელობა და მათ შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმა, ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებზე აღწერილობითი თემის დაწერა.

მუხლი 22 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებში

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიასა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებში იცის:

ა) ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლის საგანი:

ა.ა) დრო და კალენდარი:

ა.ა.ა) ისტორიული დროის ერთეულები: წელი, საუკუნე, ათასწლეული, წელთაღრიცხვის სისტემა; კალენდარი და დროის აღრიცხვის სისტემა.

ა.ბ) რუკა და სხვა გეოგრაფიული საშუალებები:

ა.ბ.ა) გლობუსი, ადგილის გეგმა, რუკა (სასწავლო რუკები, ატლასი); ჰორიზონტის მხარეები, ადგილის გაგნება, კომპასი; მასშტაბი, რუკაზე გამოსახული ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების გამოსახვითი ხერხები, რუკის ლეგენდა (გამოყენებული სიმბოლოები).

ა.გ) გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები:

ა.გ.ა) ფიზიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური მდებარეობა, საზღვრების მნიშვნელობა.

ა.დ) ბუნებრივი რესურსი, მათი კლასიფიკაცია, გარემო და ადამიანის ზემოქმედება, ბუნებისადმი რაციონალური დამოკიდებულება.

ა.ე) მსოფლიო კლიმატი:

ა.ე.ა) დედამიწის ბრუნვა ღერძისა და მზის გარშემო და მისი შედეგები: დღე-ღამის ცვლა; წელიწადის დროების ცვლა;

ა.ე.ბ) სითბოსა და სინათლის განაწილება დედამიწაზე; ამინდის პროგნოზი; მეტეოროლოგიური ხელსაწყოების გამოყენების პრინციპი; ამინდისა და კლიმატის განსხვავება; ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში სეზონების უთანაბრო ცვლა;

ა.ე.გ) სითბური სარტყელები; კლიმატის გავლენა ადამიანის ყოფაზე.

ა.ვ) კონტინენტები, ოკეანეები, ნახევარსფეროები:

ა.ვ.ა) კონტინენტების მდებარეობა, ფართობი, სახასიათო ბუნება (ზონები, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო), მთები, მდინარეები, ტბები, მოსახლეობა, ძირითადი ქვეყნები და ქალაქები.

ა.ზ) პრეისტორიული ეპოქა:

ა.ზ.ა) ადამიანის წარმოშობა და განვითარება; მისი განსახლება მსოფლიოში და საქმიანობა; უძველესი

რელიგიური წარმოდგენები; პრეისტორიული ეპოქის ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე.

ა.თ) უძველესი ცივილიზაციები:

ა.თ.ა) ძველი ეგვიპტე (ეგვიპტის გეოგრაფია – ადგილმდებარეობა, ბუნება და კლიმატი; მიწათმოქმედებაზე დაფუძნებული ეკონომიკა; სახელმწიფო წყობა; კულტურა და რელიგია). შუამდინარეთი (შუამდინარეთის გეოგრაფია – ადგილმდებარეობა, ბუნება და კლიმატი; მოსახლეობა და მისი საქმიანობა; შუმერთა ქალაქ-სახელმწიფოები; შუმერთა დამწერლობა, მითები და ღმერთები, ძველი ბაბილონი; ჰამურაბის კანონები). ინდოეთი (ინდოეთის გეოგრაფია – ადგილმდებარეობა და ბუნებრივი პირობები; მოსახლება და მისი საქმიანობა; მოჰენჯო-დარო და ჰარაფა; არიელთა მიგრაცია; ინდუიზმი; კასტური სისტემა; აშოკას მმართველობა; ბუდიზმი). ჩინეთი (ჩინეთის გეოგრაფია – ადგილმდებარეობა და ბუნებრივი პირობები; მოსახლეობა და მისი საქმიანობა; ცინების იმპერია, სახელმწიფო წყობა; ჩინური დამწერლობა; ჩინეთის დიდი კედელი; კონფუციანელობა).

ა.ი) ძველი საბერძნეთი და რომი:

ა.ი.ა) ძველი საბერძნეთი (საბერძნეთის გეოგრაფია – ადგილმდებარეობა, ბუნება და კლიმატი; სპარტისა და ათენის ქალაქ-სახელმწიფოები; მარათონის ბრძოლა; ოლიმპიური თამაშები; რელიგია და კულტურა; ალექსანდრე მაკედონელი). ძველი რომი (ძველი რომის გეოგრაფია – ადგილმდებარეობა, ბუნება და კლიმატი; რომის დაარსება; რომის რესპუბლიკა, იულიუს კეისარი, ავგუსტუსი – რომის პირველი იმპერატორი, ქრისტიანული რელიგია და მისი ფილოსოფიური არსი, ქრისტიანობის გავრცელება და ქრისტიანების დევნა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; რომის იმპერიის ორად გაყოფა, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა; კულტურა ძველ რომში).

ა.კ) საქართველოს ისტორია და გეოგრაფია:

ა.კ.ა) საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება (საქართველოს ბუნებრივი საზღვრები; ძირითადი ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული ერთეულები; საქართველოს კლიმატი; ბუნებრივი რესურსები; საქართველოს ფლორა და ფაუნა; ბუნების დაცვა საქართველოში; საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობა: მხარეები, მნიშვნელოვანი ქალაქები); კოლხა; ეგრისის სამეფო; ქართლის სამეფო (ქართლის სამეფოს წარმოქმნა, ფარნავაზის მეფობა, სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმები, რწმენა-წარმოდგენები); ურთიერთობა რომთან (პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში, ქართლის მეფე ფარსმან ქველი, მიღება რომში); ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება საქართველოში; ვახტანგ გორგასალი; ეგრისის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (ბიზანტიისა და სპარსეთის დაპირისპირება, ცამეტწლიანი ომი); არაბობა საქართველოში (ისლამი და მისი ფილოსოფიური არსი, ჰაბიბ იბნ-მასლამას "დაცვის სიგელი," საქართველოში არაბთა მმართველობის სისტემა); საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოშობა (ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა; დავით კურაპალატი, ბაგრატ III, ბრძოლა ბიზანტიასთან, ბაგრატ IV); დავით აღმაშენებელი; საქართველო XII საუკუნის მეორე ნახევარში (გიორგი III, თამარ მეფე); სახელმწიფოებრივი წყობილება და კულტურა XII-XIII საუკუნეებში; მონღოლთა ბატონობა საქართველოში (მონღოლთა ეკონომიკური და სოციალური ყოფა, მონღოლური მმართველობის დამყარება საქართველოში, ორმეფობა საქართველოში, დემეტრე თავდადებული; გიორგი V); თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მისი შედეგები; ალექსანდრე დიდის მეფობა და ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად; ბრძოლა ირანის წინააღმდეგ XVII საუკუნეში (თეიმურაზ I და ლუარსაბ II, ქეთევან დედოფალი, გიორგი სააკაძე); ვახტანგ VI; თეიმურაზ II და ერეკლე II; სოლომონ I; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს.; ქართული კულტურა XVI-XVIII სს.; რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება; იმპერიული მმართველობის დამოკიდებულება ქართული ენისა და ეკლესიის მიმართ; ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის; ბატონყმობის გაუქმება საქართველოში; "თერგდალეულები;" ქართული კულტურა XIX საუკუნეში; I მსოფლიო ომი და 1917 წლის რუსეთის რევოლუცია; საქართველო 1918-1921 წლებში; საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (საქართველოში ბოლშევიკური მმართველობის დამყარება და საბჭოთა კავშირის შექმნა, პოლიტიკური რეპრესიები, II მსოფლიო

ომი და საქართველო, იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ უკანონოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაცია; 80-იანი წლების რეფორმები, ქართველი ხალხის ყოფა და კულტურა); საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, სირთულეები სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე, საქართველოს გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროსაბჭოში, საქართველოს კონსტიტუცია, ეროვნული სიმბოლიკა: დროშა, ჰიმნი, გერბი).

თავი 9 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ფიზიკური აღზრდაში

მუხლი 23 - დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ფიზიკური აღზრდაში შეუძლია:

ა) მიმართულება ჯანმრთელობა და უსაფრთხოება:

ა.ა) პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების (სპორტულ დარბაზში, ვარჯიშისას და საზოგადოდ) დაცვა;

ა.ბ) მოზარდისთვის აუცილებელი სასიცოცხლო მოძრაობითი უნარების, საყოფაცხოვრებო, სამოქალაქო და ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა და პრაქტიკაში რაციონალური გამოყენება;

ა.გ) დაამყაროს კავშირი პირად ჰიგიენას, უსაფრთხოების წესებსა და ჯანმრთელობას შორის.

ბ) მიმართულება მოძრაობა და მოტორული უნარ-ჩვევები:

ბ.ა) ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი სამოძრაო მოქმედებების შესრულების ხერხების დემონსტრირება;

ბ.ბ) უნარშეზღუდული ბავშვებისთვის აუცილებელი სამოძრაო მოქმედებების შესრულების ხერხების თვალნათელი დემონსტრირება.

გ) მიმართულება აქტიური მონაწილეობა:

გ.ა) ორგანიზმის გაკაქებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის აუცილებელი ფიზიკური აქტივობების მიღწევა და ხანგრძლივი დროით შენარჩუნება;

გ.ბ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ლაშქრობების დროს ქცევის აუცილებელი წესების აღწერა-შემუშავება;

გ.გ) კლასგარეშე აქტივობების (შრომითი, სპორტული, საზოგადოებრივი და სხვ.) აღწერა-შემუშავება.

მუხლი 24 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა ფიზიკური აღზრდაში

დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა იცის:

ა) ფიზიკური კულტურა და სპორტი:

ა.ა) მოძრაობის საფუძვლები;

ა.ბ) მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისა და სხეულის სრულყოფისათვის აუცილებელი ვარჯიშები, მათი აუცილებლობა, პრაქტიკული მნიშვნელობა, სარგებლიანობა, რიგითობა, სიხშირე და ა.შ. (ჯგუფური და ინდივიდუალური კომპლექსური ვარჯიშები, მათი კლასიფიკაცია სხეულის

სხვადასხვა ნაწილის, სამოძრაო უნარების, მოქნილობისა და სპორტული თამაშების დაუფლების შესაძლებლობის მიხედვით);

ა.გ) სავარჯიშო კომპლექსების მოდიფიკაცია კონკრეტულ მიზნებთან მიმართებაში;

ა.დ) ძირითადი სპორტული სახეობები (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ტანვარჯიში).

ბ) აქტიური შრომა და დასვენება:

ბ.ა) კლასგარეშე აქტივობების (შრომითი, სპორტული, საზოგადოებრივი და სხვ.) მნიშვნელობა;

ბ.ბ) სასკოლო და რეგიონალური საზოგადოებრივი აქციების მნიშვნელობა;

ბ.გ) სასკოლო და რეგიონალური სპორტული შეჯიბრებების მნიშვნელობა;

ბ.დ) სასკოლო და რეგიონალური სხვადასხვა ხანგრძლივობისა და სირთულის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ლაშქრობების მნიშვნელობა.

გ) რაციონალური კვება:

გ.ა) საკვების მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის;

გ.ბ) ჯანმრთელობისათვის მავნე და სასარგებლო საკვები;

გ.გ) საკვების რაციონის (კალორიულობის, ხარისხის და რაოდენობის) ზეგავლენა ჯანმრთელობაზე;

გ.დ) კვების რეჟიმი.

დ) პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა:

დ.ა) საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ანატომიურ-ფიზიოლოგიური აგებულება;

დ.ბ) ფიზიკური აღზრდის ჰიგიენა;

დ.გ) სხეულის მოვლის წესები და პროცედურები;

დ.დ) ტრავმატიზმის პროფილაქტიკა;

დ.ე) საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოხმარების უსაფრთხოების წესები;

დ.ვ) საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის წესები;

დ.ზ) საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული პოტენციური საფრთხეები, მათგან თავის დაღწევის ხერხები და დახმარების გაწევის საშუალებები;

დ.თ) ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის ურთიერთკავშირი;

დ.ი) თავის დაცვა სხვადასხვა დაავადებისაგან;

დ.კ) რეგულარული სამედიცინო შემოწმების მნიშვნელობა.

ე) მავნე ჩვევები (უარყოფითი ზეგავლენა და მათზე უარის თქმა):

ე.ა) ჰიპოდინამია;

ე.ბ) თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მავნე ზემოქმედება;

ე.გ) მავნე ჩვევების გავლენა ადამიანის ფსიქიკასა და ხასიათზე (აპათია, აგრესია, დეპრესია, ყურადღების გაფანტვა, მეხსიერების დაქვეითება და სხვ.).

ვ) ადამიანთა ურთიერთობა, თანაცხოვრების პრინციპების დაცვა, უმწეოთა მიმართ თანაგრძნობა:

ვ.ა) თვითკონტროლის და სხვათა კონტროლის მექანიზმები;

ვ.ბ) პატიოსანი თამაშის წესები;

ვ.გ) ტოლერანტობა (უნარშეზღუდული ადამიანების, საპირისპირო სქესის, სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, რელიგიის (და ა.შ.) წარმომადგენელთა მიმართ);

ვ.დ) სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებასთან ურთიერთობა.

თავი 10 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და შრომით სწავლებაში

მუხლი 25 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და შრომით სწავლებაში

1. მასწავლებლის მიერ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნისას (მოცულობის გადმოცემა, ექსპერიმენტის ჩატარება მასალით, ემოციის გადმოცემა სხვადასხვა მხატვრული ხერხის გამოყენებით და ა.შ) განმსაზღვრელია ამ ხერხების ფლობის და არა ნამუშევრის შესრულების ხარისხი.

2. დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების მასწავლებელს შეუძლია:

ა) მიმართულება პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდების გამოხატვა ხელოვნებაში:

ა.ა) ნამუშევრის შექმნისას კომპოზიციური განაწილების პრინციპების (წონასწორობა, პერსპექტივა, თავშეყრის წერტილი, წინა და უკანა პლანი, მასშტაბი, სიმეტრია, პროპორცია) გამოყენება;

ა.ბ) ნამუშევრის შექმნისას ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების, ფერთა გრადაციის გამოყენება;

ა.გ) სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქჩრდილი, შტრიხი, ლაქა, ბლიკი) საშუალებით საგანთა მოცულობის გამოსახვა;

ა.დ) სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქჩრდილი, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, სხვადასხვაგვარი მონასმი, ფაქტურა, კოლორიტი) და ეფექტების გამოყენებით ასოციაციების, ემოციების გადმოცემა;

ა.ე) სხვადასხვა ტექნიკის (ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ტრადიციული ხელსაქმის რომელიმე სახეობა) გამოყენება;

ა.ვ) კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება დიზაინის შესაქმნელად, პრეზენტაციის ჩასატარებლად;

ა.ზ) სასკოლო რესურსის შექმნა (თეატრალური რეკვიზიტები სასკოლო სპექტაკლებისათვის, სასკოლო სტენდები, წიგნების აკინძვა, რუკები და სხვ.) და ადეკვატური გამოყენება;

ა.თ) ექსპერიმენტის ჩატარება ნამუშევრის შექმნისას (ხელოვნების ელემენტების, პრინციპების, სხვადასხვა მასალის, ტექნიკისა და პროცედურის გამოყენებით).

ბ) მიმართულება ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

ბ.ა) ხელოვნების ნიმუშის, ავტორის, ეპოქის ამოცნობა;

ბ.ბ) სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების (მაგ.: ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, რენესანსი და სხვ.) გარჩევა (შეუძლია იმსჯელოს სხვადასხვა ეპოქის დამახასიათებელ სტილისტურ

ნიშნებზე (კომპოზიციური განაწილება, კოლორიტი, ხაზი, ფორმა, შესრულების მანერა), თემატიკაზე; ნამუშევრის შინაარსის დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან (მაგ.: დელაკრუას "თავისუფლება ბარიკადებზე");

ბ.გ) სხვადასხვა მხატვრული სტილის (რეალისტური და პირობითი ხელოვნების ნიმუშები (მაგ. ტიციანი, მიქელანჯელო-ბიზანტიური ფრესკები, მოზაიკა), სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნები (ფორმა - მოცულობითი/ბრტყელი, გარემო-რეალური/ირეალური, პროპორციები, მასშტაბი - რეალური/უტრირებული, დარღვეული და სხვ.) გარჩევა;

ბ.დ) სახვითი ხელოვნების დარგებისა და ჟანრების ამოცნობა–დახასიათება;

ბ.ე) მსჯელობა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგებზე;

ბ.ვ) მსჯელობა-ანალიზი ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ.

გ) მიმართულება კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია:

გ.ა) ხელოვნების ნიმუშის ანალიზი და შეფასება. ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენება ნამუშევარში იდეის, შინაარსის, ხასიათის, განწყობილების გადმოსაცემად (კომპოზიციური განაწილება, ფერი, კოლორიტი, ფაქტურა, განათება; შესრულების მანერა: მონასმი, ხაზი, ფორმა; დეტალი: პოზა, ჟესტი, გამომეტყველება, აქსესუარები და ა.შ.);

გ.ბ) სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენება;

გ.გ) სხვადასხვა სახის ღონისძიების დაგეგმვა-ორგანიზება. აქცია, საკლასო და სასკოლო გამოფენა, ზეიმი, სპექტაკლი, ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ქალაქგარეთ, კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით და სხვ.

მუხლი 26 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და შრომით სწავლებაში

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და შრომით სწავლებაში იცის:

ა) სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ა.ა) ხაზი, ფერი (ძირითადი, შედგენილი, კონტრასტული ფერები, კოლორიტი, ფერის ინტენსივობა, ნახევარტონი), შუქჩრდილი, ფაქტურა, ფორმა, მოცულობა; პრორპორციები; კომპოზიციური განაწილების საფუძვლები: მთლიანობა, სივრცე (ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, პერსპექტივა, თავშეყრის წერტილი, წინა და უკანა პლანი), სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი.

ბ) ტექნიკა და პროცედურა:

ბ.ა) ფერწერის, გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა, ძერწვა, აპლიკაცია, ქაღალდის პლასტიკა, მოზაიკა, კოლაჟი, კონსტრუქცია, ანაბეჭდი, კომპიუტერული ტექნოლოგიები; დეკორატიულ-გამოყენებითი საგნების დამზადება თიხის, ხის, ლითონის და სხვა მასალის თვისებების გათვალისწინებით.

გ) საქართველოს ხელოვნება და კულტურა:

გ.ა) ინფორმაცია ხელოვნების ქართველ მოღვაწეებზე და მათ შემოქმედებაზე; ქართული ხელოვნების დარგები: კედლის მხატვრობა, არქიტექტურა, მინანქარი, ოქრომჭედლობა, ჭედურობა და სხვ. ხალხური შემოქმედება.

დ) მსოფლიოს ხალხთა ხელოვნება და კულტურა:

დ.ა) სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება (ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, რენესანსი და სხვ.);

დ.ბ) სტილისტური ნიშნები, თემატიკა, ცნობილი ნიმუშები); ეპოქის ისტორიული, რელიგიური და სოციალური კონტექსტი; ხელოვნების როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

ე) სხვადასხვა მხატვრული სტილი და ძირითადი მიმდინარეობები ხელოვნებაში:

ე.ა) გოთური, რომანული, მანიერიზმი, ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი, რეალიზმი, იმპრესიონიზმი, ავანგარდიზმი (ფოვიზმი, ფუტურიზმი და სხვ.).

ვ) სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები;

ზ) გამოყენებითი ხელოვნების დარგები.

თავი 11 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში

მუხლი 27 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები მუსიკაში

ა) საბაზო ან/და საშუალო საფეხურების მუსიკის მასწავლებლის სტანდარტსა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სტანდარტს შორის (მუსიკა) განსხვავება მხოლოდ საგნის სწავლების მეთოდებში მდგომარეობს.

ბ) დაწყებითი საფეხურის მუსიკის მასწავლებელს შეუძლია:

ა) მიმართულება პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეების გამოხატვა:

ა.ა) სიმღერა (რომელიმე ხმის პარტიის ცოდნა და სწავლება);

ა.ბ) ერთ ან რამდენიმე საკრავზე დაკვრა (აკომპანემენტი);

ა.გ) ცეკვის დადგმა, ილეთების ჩვენება;

ა.დ) გუნდის, ანსამბლის ხელმძღვანელობა (დირიჟორობა) (რეპერტუარის შერჩევა, სწავლება, შესრულება);

ა.ე) მუსიკასთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება (მუსიკალური სპექტაკლი, კონცერტი, მეჯლისი...);

ა.ვ) იმპროვიზაცია (ხმით; მუსიკალურ საკრავზე დაკვრის, ცეკვის, ღონისძიების მსვლელობის დროს; ტექსტის შერჩევა მელოდიისათვის; მუსიკის შერჩევა პოეტური ტექსტისათვის);

ა.ზ) წარმოდგენის, სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება (მუსიკალური რეჟისურა) (ჩანაწერით, ცოცხალი შესრულებით);

ა.თ) სანოტო სისტემის გამოყენება (სიმღერის, დაკვრის, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის, მუსიკის ჩაწერის, მელოდიის ძირითადი ფუნქციებით ჰარმონიზაციის დროს);

ა.ი) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ინტერნეტი, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები) და აპარატურის (მაგნიტოფონი, დიქტოფონი, ფოტო-, ვიდეო-, ტელეაპარატურა, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი) გამოყენება (რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების, მუსიკალური კომპოზიციის შესრულების დროს; სხვადასხვა სახის ჩანაწერის დემონსტრაციისთვის, მიღწეული შემოქმედებითი შედეგის აუდიო, ვიდეო და ფოტო ფაილებით დასაფიქსირებლად, რესურსების მოსაძიებლად).

ბ) მიმართულება კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია:

ბ.ა) კლასიკური მუსიკის ქრესტომათიული ნიმუშების ამოცნობა/ამ ნაწარმოებების მუსიკალურ-თემატური მასალის გადმოცემა სხვადასხვა ხერხით (სიმღერა, დაკვრა) და მათი ზოგადი დახასიათება (სახელწოდება, ავტორი, ეპოქა, ჟანრი, სტილი);

ბ.ბ) მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების სმენითი ანალიზი, დახასიათება (ეპოქა, ჟანრი, სტილი, ფორმა, გამომსახველობითი საშუალებები);

ბ.გ) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შეფასება; სხვადასხვა ინტერპრეტაციის შედარება;

ბ.დ) ქალაქის/რაიონის კულტურული ცხოვრების მიმოხილვა;

ბ.ე) მუსიკალური ტერმინოლოგიის გამოყენება საუბრის დროს.

გ) მიმართულება მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

გ.ა) სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა;

გ.ბ) ერთი და იგივე ეპოქის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებს შორის პარალელის გავლება.

მუხლი 28 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა მუსიკაში

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს მუსიკაში არ მოეთხოვება ქორეოგრაფიული, სამსახიობო, სადირიჟორო ხელოვნების მაღალ დონეზე ფლობა ცეკვის, სპექტაკლის დადგმის, გუნდის ხელმძღვანელობის დროს. მნიშვნელოვანია, მან ისე წარმართოს სასწავლო პროცესი, რომ დააკმაყოფილოს ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილი სტანდარტები.

2. დაწყებითი საფეხურის მუსიკის მასწავლებელმა იცის:

ა) სასიმღერო რეპერტუარი:

ა.ა) ერთხმიანი, ორხმიანი, სამხმიანი სიმღერები;

ა.ბ) ხალხური, კლასიკური, თანამედროვე რეპერტუარი.

ბ) საცეკვაო რეპერტუარი:

ბ.ა) ქართული, ისტორიულ-ყოფითი (ვალსი, მენუეტი, პოლკა, მაზური), სხვა ხალხთა ცეკვები.

გ) მუსიკის თეორია:

გ.ა) მუსიკალური ანბანი (სანოტო სისტემა, მუსიკალური ენის ელემენტები, ძირითადი მუსიკალური ტერმინები და ა.შ.);

გ.ბ) ჰარმონიის საკითხები (მაჟორულ-მინორული სისტემა, ძირითადი ფუნქციები, მელოდიის ჰარმონიზაცია);

გ.გ) ფორმის ანალიზის საკითხები (ერთ, ორ, სამნაწილიანი ფორმები, რონდო, კუპლეტური, ვარიაციული, სონატური ფორმები);

გ.დ) საკრავთმცოდნეობის საკითხები (ბგერის მიღება სხვადასხვა საკრავზე, სხვადასხვა საკრავისთვის სპეციფიკური საშემსრულებლო ხერხები (ფლაჟოლეტი, პიციკატო და სხვ.), საორკესტრო ჯგუფები.

დ) მუსიკის ისტორია:

დ.ა) სხვადასხვა ეპოქის (ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი და სხვ.) მუსიკალური ხელოვნება;

დ.ბ) მუსიკალური ხელოვნების ძირითადი ჟანრები, მათი წარმოშობა და განვითარების გზა;

დ.გ) მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები (შემოქმედებითი პორტრეტი), ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები (შექმნის ისტორია, ლიტერატურული პირველწყარო, ისტორიული კონტექსტი);

დ.დ) მუსიკის როლი ხელოვნების სხვა დარგებში (თეატრი, კინო).

ე) ქართული მუსიკა:

ე.ა) ქართული მუსიკის ისტორია, მისი ძირითადი მიმართულებები (ხალხური მუსიკა, პროფესიული მუსიკა), ჟანრები (ქალაქური სიმღერა, საესტრადო მუსიკა), წარმომადგენლები, ნაწარმოებები; ქართული მუსიკის დამახასიათებელი თავისებურებები;

ე.ბ) პარალელები ქართული ხელოვნების სხვა დარგებთან.

ვ) საშემსრულებლო ხელოვნება:

ვ.ა) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების თავისებურებები;

ვ.ბ) მამაკაცთა და ქალთა ხმები;

ვ.გ) მუსიკალური კოლექტივის სახეები (გუნდი, ანსამბლი, ორკესტრი, საოპერო, საბალეტო დასი);

ვ.დ) მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები, მუსიკალური, მუსიკალურ-თეატრალური კოლექტივები;

ვ.ე) ქართული საშემსრულებლო ხელოვნება (სამგალობლო სკოლები, მომღერალი ოჯახები, საშემსრულებლო კოლექტივები, საშემსრულებლო სკოლები, ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები).

ზ) მუსიკოსის პროფესია:

ზ.ა) კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკოს-შემსრულებელი, მუსიკისმცოდნე, პედაგოგი, მუსიკასთან დაკავშირებული სხვა პროფესიები.

თავი 12 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული კომპეტენცია

მუხლი 29 - სწავლების მეთოდები

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი უნდა ფლობდეს ამ თავში მოცემულ საგნის სწავლების მეთოდებს.

2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოსწავლის ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური სფეროების თავისებურებათა გათვალისწინებით;

ა.ა) ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით, დაისახოს საგაკვეთილო მიზნად ისეთი შემეცნებითი უნარების განვითარება, როგორებიცაა: აზროვნება, სივრცითი და დროითი მიმართებების დაუფლება, ფანტაზია;

ა.ბ) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს მოსწავლეებში ისეთი სოციალური უნარების განვითარება, როგორებიცაა: თვითგამოხატვა, ქცევის შეფასება და თანამშრომლობა;

ა.გ) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს მოსწავლისთვის ისეთი ფიზიკური უნარების განვითარება, როგორებიცაა: ნატიფი მოტორიკა, სხეულის ფლობა/კოორდინაცია;

ა.დ) საგაკვეთილო მიზნად დაისახოს მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარების განვითარება; წერისა და კითხვის სტრატეგიების დაუფლება; ზეპირი მეტყველებისა და მოსმენის უნარების განვითარება;

ა.ე) ისეთი აქტივობების შერჩევა, რომლებიც შეესაბამება დასახულ მიზანს და ითვალისწინებს

ა.ვ) აქტივობის ისე შერჩევა, რომ მოსწავლემ შეძლოს ცნებებისა და მიმართებების ათვისება მანიპულირების საშუალებით (კეთებით სწავლა - პრობლემის გადაჭრა, კანონზომიერების აღმოჩენა);

ა.ზ) მოსწავლის სწავლის სტილის გათვალისწინება და სწავლების შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა;

ა.თ) რესურსების ისე შერჩევა, რომ მოსწავლემ შეძლოს მიწოდებული ცნებებისა და მიმართებების თვალსაჩინოების საშუალებით აღქმა;

ა.ი) აზროვნების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მოსწავლეებისათვის საინტერესო, ხატოვანი, ემოციური, გასაგები და მრავალფეროვანი სასწავლო მასალის შერჩევა, რაც გააააქტიურებს მოსწავლეთა ყურადღებასა და სწავლის სურვილს;

ა.კ) მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა;

ა.ლ) მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით საგაკვეთილო (მოკლევადიანი) მიზნების განსაზღვრა;

ა.მ) სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მოსწავლეთა ძლიერი მხარეების გათვალისწინება, და შემდგომში მათი გამოყენება ზრდისა და განვითარების საფუძვლად;

ა.ნ) მოსწავლეთა დიფერენციაციის სტრატეგიების გამოყენება შესაბამისი სავარჯიშოების, აქტივობებისა და ჯგუფური სამუშაოების შერჩევისას;

ა.ო) სასწავლო მიზნების შერჩევისას მოსწავლეთა შესაძლებლობების, საჭიროებების, რეაქციების გათვალისწინება და სათანადო სტრატეგიების შერჩევით მოსწავლეთა უნარების განვითარების ხელშეწყობა;

ა.პ) სხვადასხვა ნიჭის გამოვლენა და სათანადო სტრატეგიების დაგეგმვა თითოეულის განსავითარებლად;

ა.ჟ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის განსაკუთრებული პროგრამის შედგენა სპეციალისტის დახმარებით;

ა.რ) სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა;

ა.ს) საგაკვეთილო მიზნების მისაღწევად შესაბამისი აქტივობებისა და რესურსების შერჩევა;

ა.ტ) სასწავლო აქტივობების დაგეგმვისას არაქართულენოვანი მოსწავლეების საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინება, ქართულის მასწავლებელთან თანამშრომლობა.

ბ) მასწავლებელს შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური სფეროების თავისებურებათა გათვალისწინებით:

ბ.ა) აქტივობების წარმართვისას უმცროსი სასკოლო ასაკის თავისებურებების გათვალისწინება, მოსწავლეთათვის ხელშეწყობა ახალი სოციალური როლის მისაღებად;

ბ.ბ) საგაკვეთილო პროცესის იმგვარად წარმართვა, ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ურთიერთობების განვითარებას, მათ სოციალიზაციას და ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;

ბ.გ) სახალისო და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება, რომლებიც გააიოლებს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან და რეჟიმთან ადაპტაციას, წესის დაცვის ჩვევის გამომუშავებას;

ბ.დ) სხვადასხვა აქტივობის დროს ისეთი პოზიტიური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობას;

ბ.ე) გაკვეთილის წარმართვისას მოსწავლეების ოჯახური, სოციალური, ფიზიკური და კულტურული განსხვავებულობის გათვალისწინება და კორექტულად მოქმედება;

ბ.ვ) საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, მოსწავლის ინტერესის აღძვრა სასწავლო პროცესისადმი და ამ ინტერესის შენარჩუნება;

ბ.ზ) აქტივობების წარმართვისას უმცროსი სასკოლო ასაკის თავისებურებების გათვალისწინება, მოსწავლეთა ნებელობითი ქცევის უნარის განვითარებისთვის ხელშეწყობა;

ბ.თ) მოსწავლეებში კლასის, სკოლისა და სხვა წესების დაცვის უნარის გამომუშავება. წესების მარტივი ენითა და პოზიტიური ფორმით ჩამოყალიბება, მოსწავლეთა ქცევის თანმიმდევრული კონტროლი;

ბ.ი)სასწავლო მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციის მკაფიოდ და გასაგები ენით ჩამოყალიბება;

ბ.კ)ინსტუქციის მიცემის დროს არაქართულენოვანი მოსწავლეების დახმარების მიზნით, პარალელურად ვერბალური და არავერბალური ხერხების გამოყენება (ლოგო, ილუსტრაცია, პირობითი ნიშნები, ჟესტები, ინტონაცია და ა.შ.);

ბ.ლ)აქტივობის მიმდინარეობის ეტაპების გამოყოფა და განხორციელების გაკონტროლება - აღრიცხვა, დასრულების ფაზის გამოკვეთა, რათა მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს საქმის ბოლომდე მიყვანის და გეგმის მიხედვით მოქმედების ჩვევა;

ბ.მ) მოსწავლეებში დაგეგმვის უნარის განვითარება მარტივი ამოცანების დასახვითა და გადაჭრის გზების ერთობლივი ძიებით;

ბ.ნ) ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციას, მისცემს თვითგამოხატვისა და არჩევანის გაკეთების საშუალებას.

ბ.ო) აქტივობების წარმართვისას უმცროსი სასკოლო ასაკის თავისებურებების გათვალისწინება, ხელშეწყობა მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებისთვის;

ბ.პ) მოსწავლის გამოცდილების გათვალისწინება და მისთვის ხელის შეწყობა ამ გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თანდათანობით აგებაში;

ბ.ჟ) სწავლებისას საგნის სპეციფიკური ტერმინების მიწოდება მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ტემპი, რაოდენობა), რათა ხელი შეეწყოს ლექსიკური მარაგის ეტაპობრივ და თანმიმდევრულ გამდიდრებას;

ბ.რ) მოსწავლეთა ყურადღების მიმართვა საკუთარ სასწავლო პროცესებზე იმისათვის, რომ შესძლონ ამოცანის გადაწყვეტის ხერხების გააზრება.

გ) მასწავლებელს შეუძლია შეფასების მრავალფეროვანი ხერხების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

გ.ა) თითოეული მოსწავლის ნამუშევრების ანალიზის საფუძველზე ასაკისთვის დამახასიათებელი ტიპური შეცდომების ამოცნობა და, შესაბამისად, მომავალი სამუშაოს დაგეგმვა;

გ.ბ) მოსწავლის მიერ საკუთარი ნამუშევრის შეფასების გამოყენება მოსწავლის სასწავლო მოტივაციის ასამაღლებლად და სწავლის უნარ-ჩვევების განსავითარებლად;

გ.გ) კორექტული შეფასების მეშვეობით მოსწავლისთვის საკუთარი შეცდომის აღმოჩენის, ადეკვატური დამოკიდებულების და კორექტირების უნარის განვითარება და ჩამოყალიბება (იცოდეს, რომ შეცდომის დაშვების უფლება ყველა ადამიანს აქვს და მათი გამოსწორება შესაძლებელია დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით; ამასთან, შეცდომა ბიძგს აძლევს ძიებას, პრობლემის გადაჭრის ახალი გზების აღმოჩენას);

გ.დ) შეფასების მეშვეობით მოსწავლისთვის წარმატების გრძნობის გაღვივება და ხელშეწყობა პოზიტიური პიროვნული თვითშეფასების ჩამოყალიბებაში;

გ.ე) გარკვეული სასწავლო ეტაპის (ტრიმესტრი) შეფასებისას თითოეული მოსწავლის დახასიათების დაწერა, კორექტული და პოზიტიური კომენტარებისა და რეკომენდაციების გამოყენებით;

გ.ვ) მრავალჯერადი შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე მოსწავლის პროგრესის/რეგრესის გამომწვევი მიზეზების დადგენა და შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მათი გათვალისწინება;

გ.ზ) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ერთმანეთისგან ფუნქციურად გამიჯვნა და თითოეულის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება;

გ.თ) საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დავალებებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმების შემუშავება, მათი წონის განსაზღვრა და დონეების გამოყოფა;

გ.ი) შეფასება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად;

გ.კ) დაკვირვების საფუძველზე იმ შემთხვევების განსაზღვრა, როდესაც უნდა მოხდეს სპეციალისტის ჩარევა (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ფსიქიატრი);

გ.ლ) არაქართულენოვანი მოსწავლეების შეფასებისას კომუნიკაციური უნარის გავითარების ხელშეწყობისათვის, ზეპირმეტყველებაში ისეთი შეცდომების გასწორება, რომელიც აფერხებს კომუნიკაციას.

თავი 13 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მუხლი 30 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს შეუძლია:

ა) მიმართულება ზეპირმეტყველება:

ა.ა) სხვათა მეტყველების მოსმენა და კრიტიკულად შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით, ვერბალური (შესაფერისი ენობრივი კონსტრუქციები, ადეკვატური ლექსიკა, მხატვრულ-გამომსახველობითი საშულებები: ირონია, იუმორი, ეპითეტი, შედარება და სხვა) და არავერბალური (ჟესტი, მიმიკა, ინტონაცია, ხმის აწევ-დაწევა, პაუზა და სხვა) საშუალებების ეფექტურობის თვალსაზრისით;

ა.ბ) საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი აქტიური მოსმენის სტრატეგიების გამოყენება (კითხვის დასმა, მოსმენილის პარაფრაზირება, ჩანიშვნა და ა.შ.);

ა.გ) სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით. საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო სტრატეგიებისა და აუდიტორიაზე ზემოქმედების ვერბალური და არავერბალური ხერხების ეფექტური გამოყენება;

ა.დ) საჯარო გამოსვლისთვის მომზადების სტრატეგიების გამოყენება (ინფორმაციის შეგროვება, ტექსტის დაგეგმვა, ჩანაწერების მომზადება, ტექსტის დამახსოვრება, შესაბამისი თვალსაჩინო მასალის მომზადება, რეპეტიციის გავლა).

ბ) მიმართულება კითხვა:

ბ.ა) სხვადასხვა ჟანრის, ეპოქისა და კულტურის მხატვრული ტექსტების გაანალიზება ჟანრული მახასიათებლების, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის, კომპოზიციური თავისებურების, სტრუქტურული ელემენტების, სიუჟეტის განვითარების, პერსონაჟის ხატვის ხერხების, მთხრობელის პოზიციის, ისტორიული კონტექსტისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გათვალისწინებით;

ბ.ბ) სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში ასახული პრობლემატიკის, თემებისა და იდეების გაანალიზება და შედარება ისტორიული, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით;

ბ.გ) სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის მიზნის განსაზღვრა და შეფასება მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;

ბ.დ) ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (ტექსტის სტრუქტურა; ტექსტის ფუნქციური ტიპები; ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებები);

ბ.ე) კითხვის სტრატეგიების გამოყენება (საჭირო ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროში; ტექსტებში მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება; მარკირების სისტემის გამოყენება; სქემების, დიაგრამების, ცნებათა განმარტებების და ა.შ. გამოყენება მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და იდეების გასააზრებლად და დასამუშავებლად; ტექსტიდან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის და ლექსიკური ერთეულების მონიშვნა/ამოწერა).

გ) მიმართულება წერა:

გ.ა) ტექსტების შექმნა წერილობით სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის, შესაბამისი სტრუქტურული მახასიათებლებისა და ენობრივი ნორმების დაცვით;

გ.ბ) წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება (მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა, ნაწერის დაგეგმვა, კომპოზიციის აგება, სამუშაო ვერსიის ხელახალი გადასინჯვა და რედაქტირება-კორექტირება).

მუხლი 31 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა იცის:

ა) ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ:

ა.ა) ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საფეხურები; ქართული სალიტერატურო ენა და კილოები; ქართული დამწერლობის ისტორია; ენათა ოჯახები; ქართული და მისი მონათესავე ენები.

ბ) ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხები:

ბ.ა) ასო და ბგერა. ბგერათა ფონოლოგიური დახასიათება (წარმოთქმის ადგილისა და მეღერობა-სიყრუის მიხედვით; ცალეულები, წყვილეულები, სამეულები). ძირითადი ფონეტიკური პროცესები (ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა და სხვ.). ინტონაცია. ინტონაციის ძირითადი ელემენტები: ლოგიკური მახვილი, მელოდიკა, მეტყველების ტემპი, ხმის ტემბრი. პაუზა და მისი აზრობრივი დატვირთვა.

გ) გრამატიკა:

გ.ა) (მორფოლოგია და სინტაქსი). სახელები. სახელთა ბრუნება; მრავლობითი რიცხვის წარმოება; არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელების წარმოება და ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები, წარმოება და თავისებურებები; სახელთა ბრუნებასთან და წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები ძველ ქართულში. ზმნა. ზმნის პირი და პირიანობა; ზმნის დრო, კილო და ასპექტი, ქცევა და კონტაქტი; გარდამავლობა, გვარი; ზმნისწინი და მისი ფუნქციები (მიმართულება, ასპექტი, სიტყვათწარმოება); ზმნის ულლებასთან დაკავშირებული საკითხები ძველ ქართულში; ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები. წინადადება. სინტაქსური კავშირის სახეები; წინადადებების კლასიფიკაცია შინაარსისა და შედგენილობის მიხედვით; მარტივი წინადადების სტრუქტურა; შერწყმული წინადადება; რთული წინადადება: თანწყობა და ქვეწყობა; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური თავისებურებანი.

გ.ბ) ორთოგრაფია:

გ.ბ.ა) ორთოგრაფიის წესები და ნორმები.

გ.გ) პუნქტუაცია:

გ.გ.ა) პუნქტუაციის წესები. პუნქტუაციის ნიშნების სტილისტური შესაძლებლობები. პუნქტუაცია და ინტონაცია.

გ.დ) ლექსიკოლოგია:

გ.დ.ა) სიტყვაწარმოების თავისებურებანი ქართულ ენაში. სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, დიალექტიზმები, ჟარგონი, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, პროფესიული ლექსიკა; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ხმარება; სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა; ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებები; ბარბარიზმები; ეტიმოლოგია.

დ) ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება:

დ.ა) წინადადებისა და მისი კომპონენტების ორგანიზება;

დ.ბ) ტექსტისა და მისი კომპონენტების ორგანიზება (თავი, როგორც ტექსტის სტრუქტურული ნაწილი; აბზაცი, როგორც ტექსტის კომპოზიციური ერთეული; აბზაცის ფუნქციები; ფრაგმენტი და მისი სახეები და სხვა);

დ.გ) ტექსტის შემადგენელ კომპონენტთა სემანტიკური და სტრუქტურული ურთიერთდაკავშირების საშუალებანი (კავშირები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება, სინონიმური ჩანაცვლება, ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართება დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით);

დ.დ) წინადადებათა გადაბმის სახეები (ჯაჭვური, პარალელური, შერეული);

დ.ე) მეტყველების ტიპების კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით (პირველი, მეორე, მესამე პირის მეტყველება და მისი გამოყენების სფეროები და თავისებურება);

დ.ვ) ტექსტების კლასიფიკაცია სხვისი ნათქვამის გადმოცემის (ირიბი ნათქვამი, პირდაპირი ნათქვამი), მეტყველების მონაწილეთა რაოდენობის (მონოლოგი, დიალოგი, პოლილოგი) მიხედვით;

დ.ზ) მეტყველების ფუნქციური ტიპები (აღწერა, თხრობა, მსჯელობა, მათი სტრუქტურული და სტილური თავისებურებანი);

დ.თ) ტექსტების ფუნქციურ-სტილური ტიპოლოგია (სასაუბრო, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული, პუბლიცისტური);

დ.ი) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები: ტროპული მეტყველება (ეპითეტი, მეტაფორა, ირონია, გაპიროვნება...), სტილისტური ფიგურები (განმეორება, პარალელიზმი...), ფრაზეოლოგიზმები, მყარი შესიტყვებები, დიალექტიზმი, ჟარგონი, ნეოლოგიზმი, და სხვ..

ე) მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

ე.ა) მხატვრული ტექსტის ელემენტები: მხატვრული ტექსტის ბგერითი ორგანიზაცია: ალიტერაცია, ასონანსი, რითმა; რითმის სახეები, გარითმვის ხერხები; ბგერწერის ფუნქცია; მხატვრული ნაწარმოების ინტონაციური ანალიზი და გამომეტყველებითი კითხვა; გაპიროვნება, შედარება, მეტაფორა; აფორიზმი; სტილისტური ეფექტების შემქმნელი მხატვრული საშუალებანი (განმეორება, პარალელიზმი და სხვ.);

ე.ბ) მხატვრული ნაწარმოების სტილის განმსაზღვრელი ფონოლოგიური (ალიტერაცია, ასონანსი) და სემანტიკური (მეტაფორა, ევფემიზმი, მეტონიმია) ფიგურები, სინტაქსური ფიგურები.

ვ) ქართული ლიტერატურის ძირითადი ეტაპები:

ვ.ა) ძველი ქართული მწერლობა: სასულიერო მწერლობა (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია), ისტორიოგრაფია, კლასიკური პერიოდის მწერლობა, აღორძინების პერიოდის მწერლობა;

ვ.ბ) ახალი ქართული მწერლობა - XIX საუკუნის მწერლობა და ამ პერიოდის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობანი: რეალიზმი, რომანტიზმი;

ვ.გ) უახლესი ქართული მწერლობა - XX საუკუნის მწერლობა და ამ პერიოდის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობანი: სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი, პოსტმოდერნიზმი.

ზ) ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში:

ზ.ა) რეკომენდებულ ქართველ მწერალთა ჩამონათვალი (ჩამონათვალი არის სარეკომენდაციო ხასიათის. მასწავლებელს მოეთხოვება ამ მწერლების მხოლოდ იმ ნაწარმოებების ზედმიწევნით ცოდნა, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული): იაკობ ხუცესი, იოვანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, ბესიკ გაბაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლომოური, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, ეგნატე ნინოშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, გერონტი ქიქოძე, დემნა შენგელაია, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტერენტი გრანელი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, შოთა ნიშნიანიძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკო სამადაშვილი, ლადო ასათიანი, ლევან გოთუა, მირზა გელოვანი, გიორგი შატბერაშვილი, ოთარ ჩხეიძე, გურამ რჩეულიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, არჩილ სულაკაური, ანა კალანდაძე, გივი გეგეჭკორი, რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, ნაირა გელაშვილი, მურმან ლებანიძე, ნოდარ წულეისკირი, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ დუმბაძე, მერაბ ელიოზიშვილი, ოთარ ჭილაძე, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ გეგეშიძე, ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, თამაზ ბიბილური, ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ დოჩანაშვილი, ოტია იოსელიანი, გოდერძი ჩოხელი, შოთა ჩანტლაძე, ჯემალ თოფურიძე, ნუგზარ შატაიძე, აკა მორჩილაძე და სხვა.

მუხლი 32 - სწავლების მეთოდები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა ტექსტის მრავალმხრივი გააზრება-გაანალიზებისა და შეფასების უნარ-ჩვევის განსავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი განსხვავებული ტიპისა და სირთულის მქონე დავალებების შერჩევა ან შედგენა გააზრების სხვადასხვა დონეებისათვის;

ა.ბ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა ზეპირი და წერითი მეტყველების უნარ-ჩვევის განსავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე დავალებების შერჩევა ან შედგენა;

ა.გ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი აქტივობების შერჩევა (მაგ.: აღწერითი ტიპის მხატვრული ტექსტის ენობრივი მახასიათებლების [ზედსართავი სახელების, მიმღეობების ჭარბი გამოყენება, განსაზღვრებითი და გარემოებითი წინადადებების სიმრავლე და სხვ.] ამოცნობა-გაანალიზება და მათი გამოყენება ამავე ტიპის ტექსტის შექმნისას);

ა.დ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, გრძელვადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განსავითარებლად: გრძელვადიანი მიზნის განსაზღვრა, მის მისაღწევად შუალედური და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა, ასათვისებელი ენობრივი თუ კომუნიკაციური უნარების გათვალისწინებით. განსხვავებული ტიპისა და სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა დასახული მიზნების ეტაპობრივად განსახორციელებლად;

ა.ე) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა (მაგ.: პროექტი, აქტივობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერდისციპლინარული აქტივობები/პროექტები): მიზნების განსაზღვრა, სხვა საგნებთან კავშირის მოძებნა, მიზნების შესაბამისი იდეის/თემისა და დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობისა და ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზებისა და საშუალებების განსაზღვრა;

ა.ვ) გაკვეთილისათვის შერჩეული სავარჯიშოების/დავალებების განსახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა (ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა); შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

ბ) შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) გაკვეთილის ჩატარება გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივირებას ტექსტის მოსასმენად/წასაკითხად: ტექსტის შერჩევისას/გაანალიზებისას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების შემუშავება: ვარაუდების გამოთქმა, მოსწავლის პირად გამოცდილებასთან შინაარსის/ინფორმაციის დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, დამხმარე ინსტრუქციების მიცემა, მოსმენილის/წაკითხულის ირგვლივ აზრის გამოთქმისა და დისკუსიის წახალისება და სხვა;

ბ.გ) მოსწავლეთა მოტივირება ზეპირ თუ წერით აქტივობაში ჩასაბმელად: მოსწავლის ინტერესებთან და მის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული თემების/საკითხების შერჩევა, თვითგამოხატვის საშუალების მიცემა, არჩევანის (თემა, აღრესატი, ფორმატი) საშუალების მიცემა, დამხმარე ინსტრუქციების მიცემა, საინტერესო დავალებების შეთავაზება და სხვა.;

ბ.დ) მოსწავლეებისათვის საკითხავი/წერითი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევის განვითარება: იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კითხვისა და წერის უნარების განვითარებაზე (მოსწავლის ცოდნა და გამოცდილება, ენობრივი კომპეტენცია, შესაქმნელი ტექსტის ტიპის, მისი სტრუქტურისა და ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა, სტრატეგიების გამოყენების უნარი) და მათი გამოყენება მოსწავლეთა ეფექტური სტრატეგიებით უზრუნველყოფის მიზნით (მაგ.: გაცნობითი/ძიებითი/შესწავლითი კითხვის მიზნობრივად გამოყენება, ტექსტის სტრუქტურულ თავისებურებებსა თუ ჟანრობრივ მახასიათებლებზე დაკვირვება,

მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, სამუშაო ვარიანტის გაუმჯობესება-გადამუშავება თვითშეფასების/თანაშეფასების გზით და სხვა.);

ბ.ე) მოსწავლეებისათვის სამეტყველო ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევის

განვითარება: იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ზეპირი მეტყველების უნარის განვითარებაზე (მოსწავლის ცოდნა და გამოცდილება, ენობრივი კომპეტენცია, ფსიქო-სოციალური ფაქტორები, სტრატეგიების გამოყენების უნარი) და მათი გამოყენება მოსწავლეთა ეფექტური სტრატეგიებით უზრუნველყოფის მიზნით (მაგ.: ინფორმაციის მოგროვება, მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, ჩანაწერების მომზადება, თვალსაჩინო მასალის მომზადება, რეპეტიციის გავლა, თანაშეფასებაში მონაწილეობა და სხვა.);

ბ.ვ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩაბმას საკლასო აქტივობებში: დიფერენცირებული დავალებების მიცემა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, ამოცანების განსაზღვრა, კლასში პასუხების/მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წახალისება და სხვა;

ბ.ზ) შედეგების დამოუკიდებლად გაუმჯობესების ხელშეწყობა: მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში; ხელშეწყობა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, აღმოფხვრან ხარვეზები, მოიძიონ პრობლემათა გადაჭრის გზები და სხვა;

ბ.თ) დავალებათა ინსტრუქციების ნათლად ჩამოყალიბება.

გ) შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

გ.ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მდგომარეობის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე ფაზაში (I. წვდომა; II. გავარჯიშება; III. დაუფლება), კონკრეტული პრობლემების წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა მათ აღმოსაფხვრელად;

გ.ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე ფაზაში;

გ.გ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეულის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;

გ.დ) შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (შემოქმედებითობა, თანამშრომლობის უნარი, ორგანიზებულობა და სხვა).

დ) ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების სპეციფიკის გათვალისწინება:

დ.ა) შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება ქართულის, როგორც მეორე ენის, სტანდარტის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

დ.ბ) ქართული გრამატიკის სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინება და ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც მოსწავლეებს გაუადვილებს მის ათვისებას;

დ.გ) ზეპირ და წერით კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, ეტაპობრივი, თანამიმდევრული სვლის უზრუნველყოფა აღქმა-გაგებიდან (კითხვა/მოსმენა) შექმნა-შედგენისაკენ(ლაპარაკი და წერა): მოსალოდნელი შედეგიდან გამომდინარე, კონკრეტული ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განსაზღვრა (ამა თუ იმ გრამატიკული ფორმის, სინტაქსური ყალიბის, ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება, ლექსიკური ერთეულების ათვისება; წინადადებების/აბზაცების აზრობრივი გადაბმა, ტექსტის სტრუქტურა და სხვა.); სათანადო შუალედური და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა ცოდნის ათვისების პირველ (წვდომა-გაგების), მეორე (გავარჯიშების), თუ მესამე (დაუფლების) ფაზისათვის, დასახული გრძელვადიანი მიზნის ეტაპობრივად განსახორციელებლად.

ე) ქართულის სწავლება ქართულენოვანი თუ არაქართულენოვანი მოსწავლის პიროვნული, კულტურული და ინტერკულტურული განვითარებისათვის:

ე.ა) მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების/ამოცანების შეთავაზება, რომელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზოვნების უნარების განვითარებას;

ე.ბ) ისეთი აქტივობების შერჩევა ან შედგენა, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, პარალელი გაავლონ უცხოურ და მშობლიურ სოციოკულტურულ სამყაროებს შორის, ამოიცნონ და გააანალიზონ მსგავსებება-განსხვავებანი, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები;

ე.გ) ისეთი აქტივობების შერჩევა, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, შეადარონ ერთმანეთს ქართული ლიტერატურისა და შესაბამისი პერიოდის მსოფლიო ლიტერატურის ცნობილი ნაწარმოებები.

თავი 14 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნის პროფესიული სტანდარტი

მუხლი 33 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელს შეუძლია:

ა) მიმართულება რიცხვები და მოქმედებები:

ა.ა) რიცხვების ადეკვატურად გამოყენება სხვადასხვა ასპექტში. რიცხვით სისტემებს შორის კავშირე-ბის გამოსახვა სხვადასხვა ხერხით, პოზიციური სისტემების გამოყენება, რიცხვების კლასიფიკაცია;

ა.ბ) ნამდვილ და კომპლექსურ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება. რიცხვებზე მოქმედებების თვისებების გამოყენება, მათ შორის კავშირების დასაბუთება და მათი გამოყენება;

ა.გ) რაოდენობების შეფასებისა და შედარების სხვადასხვა ხერხის გამოყენება. რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასება სხვადასხვა ხერხით;

ა.დ) ზომის სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება (მათ შორის რეალურ ვითარებაში);

ა.ე) რიცხვების თვისებების, რიცხვის გამოსახვის პოზიციური სისტემების და რიცხვებთან დაკავშირებული ზოგიერთი ალგორითმის გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისას.

ბ) მიმართულება კანონზომიერებები და ალგებრა:

ბ.ა) რიცხვითი მიმდევრობების, მწკრივებისა და ფუნქციათა თვისებების გამოყენება პრაქტიკული საქმიანობიდან ან მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან გამომდინარე პრობლემების გადაჭრისას;

ბ.ბ) განტოლებათა და უტოლობათა სისტემების ამოხსნა და მათი გამოყენება პრობლემების გადაჭრისას;

ბ.გ) დისკრეტული მათემატიკის მეთოდების გამოყენება პრობლემების გადაჭრისას.

გ) მიმართულება გეომეტრია და სივრცის აღქმა:

გ.ა) ვექტორებზე მოქმედებების შესრულება და ვექტორების გამოყენება გეომეტრიული და საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას;

გ.ბ) გეომეტრიული ფიგურების (მათ შორის ბრუნვით მიღებული სხეულების) ამოცნობა, მათი სახეობების შედარება და კლასიფიცირება. გეომეტრიულ ფიგურათა წარმოდგენისა და მათ შესახებ დებულებათა ფორმულირების ხერხების გამოყენება;

გ.გ) ფიგურებისა და მათი ელემენტების ზომების დადგენა და შეფასება სხვადასხვა ხერხით და მათი გამოყენება პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად;

გ.დ) ზოგიერთი არაევკლიდური გეომეტრიის თვისებების ჩამოყალიბება და მათსა და ევკლიდურ გეომეტრიას შორის განსხვავების აღწერა. სფერული გეომეტრიის თვისებების გამოყენება ობიექტთა ზომების და მათ შორის მანძილების დასადგენად;

გ.ე) გეომეტრიული გარდაქმნების თვისებების ჩამოყალიბება და მათი გამოყენება გეომეტრიული და პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისას;

გ.ვ) სიმრავლის (“წერტილთა გეომეტრიული ადგილის”) ცნების გამოყენება გეომეტრიული ობიექტების გამოსახვისა და მათი თვისებების აღსაწერად;

გ.ზ) სივრცით ფიგურასა და მის კვეთებს/გეგმილებს შორის კავშირების დადგენა. სივრცითი ფიგურის კვეთებისა და გეგმილების გამოყენება ამ ფიგურის შესასწავლად;

გ.თ) დედუქციური/ინდუქციური მსჯელობის გამოყენება გეომეტრიულ დებულებათა დასამტკიცებლად.

დ) მიმართულება მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა:

დ.ა) მონაცემთა მოწესრიგებისა და წარმოდგენის ხერხების ადეკვატურად გამოყენება დასმული ამოცანის ამოსახსნელად. მონაცემთა წარმოდგენის ხერხების ინტერპრეტირება;

დ.ბ) მონაცემთა მოპოვების ხერხების ადეკვატურად შერჩევა და მათი გამოყენება დასმული ამოცანის გადასაჭრელად საჭირო მონაცემების მოსაპოვებლად;

დ.გ) მონაცემთა ანალიზი რიცხვითი და გრაფიკული მეთოდების გამოყენებით, შედეგების ინტერპრეტირება და დასკვნების ჩამოყალიბება;

დ.დ) ალბათური მოდელებისა და ალბათობის თვისებების აღწერა, მათი გამოყენება შემთხვევითი მოვლენების აღწერისას.

მუხლი 34 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

1. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელმა ალგებრასა და ანალიზის საწყისებში იცის:

ა) სიმრავლე. სიმრავლეებს შორის მიმართებები. მოქმედებები სიმრავლეებზე, სიმრავლე, ქვესიმრავლე, ორი სიმრავლის ტოლობა, ცარიელი სიმრავლე. ელემენტარული ოპერაციები სიმრავლეებზე: სიმრავლეთა გაერთიანება, თანაკვეთა, სხვაობა, სიმრავლის დამატება. სიმრავლეთა დეკარტული ნამრავლი. ეკვივალენტობის და დალაგების ბინარული მიმართებები სიმრავლეზე.

ბ) გამონათქვამები და ოპერაციები გამონათქვამებზე. დასაბუთების ხერხები, ლოგიკური ოპერაციები გამონათქვამებზე: უარყოფა, კონიუნქცია, დიზიუნქცია, იმპლიკაცია. მათ ჭეშმარიტულ მნიშვნელობათა ცხრილი, გამონათქვამთა ტოლფასობის შემოწმება ჭეშმარიტულ მნიშვნელობათა ცხრილის საშუალებით. ზოგადმართებული გამონათქვამები, ლოგიკური გამომდინარეობა; დამტკიცების ცნება; გამონათქვამთა თავსებადი და არათავსებადი ერთობლიობები, გამონათქვამის კონვერსიული (მოპირდაპირე), ინვერსიული (შებრუნებული) და კონტრაპოზიციური გამონათქვამები. კონტრაპოზიციის კანონი, მათემატიკური დებულებების დასაბუთების მეთოდები: დედუქცია, საწინააღმდეგოს დაშვება, კონტრმაგალითის აგება და მათემატიკური ინდუქცია. უნივერსალობის და არსებობის კვანტორები.

გ) ასახვა. ასახვის გრაფიკი. ასახვათა უმარტივესი კლასიფიკაცია, ასახვის განსაზღვრის არე. ასახვის მნიშვნელობათა სიმრავლე. ასახვის შეზღუდვა განსაზღვრის არის ქვესიმრავლეზე. ასახვის გრაფიკი, სიმრავლის სახე და წინა სახე ასახვის მიმართ, ასახვათა კომპოზიცია, ასახვათა ტიპები: ინექცია, სურექცია, ბიექცია, ასახვის შექცევადობა;

დ) მთელი რიცხვები. მარტივი და შედგენილი რიცხვები. გამყოფი და ჯერადი, არითმეტიკული მოქმედებები მთელ რიცხვებზე, ნატურალური რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად. დაშლის ერთადერთობა (არითმეტიკის ძირითადი თეორემა), რამდენიმე მთელი რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა. ევკლიდეს ალგორითმი, გაყოფადობის ნიშნები და მათი კავშირი პოზიციურ სისტემასთან, ნაშთი. ნაშთთა არითმეტიკა (ჯამი და ნამრავლი);

ე) რაციონალური რიცხვები. რაციონალური რიცხვების წარმოდგენა წილადებისა და ათწილადების სახით. რაციონალური რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე. რიცხვითი გამოსახულებები, მოქმედებათა თანმიმდევრობა რიცხვით გამოსახულებებში, არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებები;

ვ) ირაციონალური რიცხვები. ნამდვილი რიცხვები, ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე. ნამდვილი რიცხვების შედარება და მათზე არითმეტიკული მოქმედებები, ირაციონალური რიცხვის ცნება. ირაციონალური რიცხვის მაგალითები, არათანაზომადი მონაკვეთები, ირაციონალური რიცხვის ათობითი მიახლოება, რიცხვითი უტოლობები და მათი თვისებები;

ზ) რიცხვის ჩაწერის პოზიციური სისტემა, რიცხვის გამოსახვა სხვადასხვა პოზიციურ სისტემაში. ერთ პოზიციურ სისტემაში გამოსახული რიცხვის გამოსახვა მეორე პოზიციურ სისტემაში;

თ) რიცხვითი ღერძი. რიცხვითი შუალედები, ნამდვილი რიცხვის გამოსახვა რიცხვით ღერძზე. წერტილის კოორდინატი, რიცხვითი შუალედები;

ი) რიცხვის მოდული, მოდულის ძირითადი თვისებები და მისი გეომეტრიული აზრი;

კ) პროპორცია, პროპორციის თვისებები, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა, რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით, სიდიდეებს შორის პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება, რამდენიმე რიცხვის საშუალო არითმეტიკული, საშუალო გეომეტრიული და საშუალო ჰარმონიული;

ლ) რიცხვის პროცენტი და ნაწილი, რიცხვის პროცენტისა და ნაწილის პოვნა. რიცხვის პოვნა მისი პროცენტით ან ნაწილით, რიცხვის ჩაწერა პროცენტის სახით;

მ) ხარისხი, ხარისხი ნატურალური, მთელი და რაციონალური მაჩვენებლით, ნამრავლის, ფარდობისა და ხარისხის ახარისხება. ტოლფუძიანი ხარისხების ნამრავლი და შეფარდება;

ნ) n-ური ხარისხის ფესვი, არითმეტიკული ფესვი, არითმეტიკული ფესვის თვისებები;

ო) მრავალწევრები, მრავალწევრების შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა. ბეზუს თეორემა. ევკლიდეს ალგორითმი, მრავალწევრის მამრავლებად დაშლა. შემოკლებული გამრავლების ფორმულები. ნიუტონის ბინომი;

პ) ალგებრული გამოსახულება, მოქმედებები გამოსახულებებზე. გამოსახულების გარდაქმნა და მისი რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლა;

ჟ) რიცხვის ლოგარითმი, ძირითადი ლოგარითმული იგივეობა. ლოგარითმის თვისებები. ნატურალური ლოგარითმი;

რ) მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე და სივრცეში, წერტილის კოორდინატები. ნამდვილ რიცხვთა წყვილის (სამეულის) გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე და სივრცეში;

ს) ფუნქცია, ფუნქციის გრაფიკი, ფუნქციის განსაზღვრის არე. ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე.

ფუნქციის ზრდადობა, კლებადობა, ლუწობა, კენტობა, პერიოდულობა. რთული ფუნქცია (ფუნქციათა კომპოზიცია), შექცეული ფუნქცია. კავშირი ფუნქციის თვისებებსა და მისი გრაფიკის თვისებებს შორის, ფუნქციის მნიშვნელობის გამოთვლა არგუმენტის მოცემული მნიშვნელობისათვის. ფუნქციის მოცემა ცხრილის, ფორმულისა და გრაფიკის საშუალებით, ელემენტარული ფუნქციები: მრავალწევრები, წილადწრფივი და რაციონალური, ხარისხოვანი, მაჩვენებლიანი, ლოგარითმული, ტრიგონომეტრიული, შექცეული ტრიგონომეტრიული - მათი თვისებები და გრაფიკები;

ტ) კუთხის ზომა, კუთხის გრადუსული და რადიანული ზომა. კავშირი კუთხის რადიანულ და გრადუსულ ზომებს შორის;

უ) ტრიგონომეტრიული ფუნქციები: სინუსი, კოსინუსი, ტანგენსი და კოტანგენსი. შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციები, სინუსის, კოსინუსის და ტანგენსის მნიშვნელობები 0, /2 , /3 , /4 , /6 , არგუმენტებისათვის და მათი ჯერადი არგუმენტებისათვის, ტრიგონომეტრიული ფუნქციების პერიოდულობა. უმცირესი პერიოდის მოძებნა. ტრიგონომეტრიული ფუნქციების ლუწობა და კენტობა, ძირითადი დამოკიდებულებები ერთი და იგივე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის. დაყვანის ფორმულები. ალგებრული ოპერაციები ტრიგონომეტრიულ ფუნქციებზე;

ფ) განტოლება, უტოლობები, განტოლებათა და უტოლობათა სისტემები, წრფივი, კვადრატული, რაციონალური, მაჩვენებლიანი, ლოგარითმული, ირაციონალური, ტრიგონომეტრიული, მოდულის შემცველი განტოლებები და უტოლობები. ორი ცვლადის შემცველ წრფივ და კვადრატულ განტოლებათა სისტემები, ტოლფასი განტოლებები და განტოლებათა სისტემები. პარამეტრის შემცველი განტოლებები და განტოლებათა სისტემები, წრფივ ორუცნობიან უტოლობათა სისტემა, მის ამონახსენთა სიმრავლის გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე. წრფივი დაპროგრამების ამოცანა (გეომეტრიული ამოხსნა);

ქ) პრობლემების გადაჭრა განტოლებისა და განტოლებათა სისტემის გამოყენებით, ტექსტური ამოცანების ამოხსნა განტოლებისა და განტოლებათა სისტემის გამოყენებით, პრობლემის ადეკვატური მოდელის შედგენა განტოლების ან განტოლებათა სისტემის გამოყენებით;

ღ) რიცხვითი მიმდევრობები, მიმდევრობის n-ური წევრის ფორმულის მიხედვით მიმდევრობის წევრების პოვნა, არითმეტიკული პროგრესია: არითმეტიკული პროგრესიის n-ური წევრისა და პირველი n წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულები, გეომეტრიული პროგრესია: გეომეტრიული პროგრესიის n-ური წევრისა და პირველი ნ წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულები, მიმდევრობის მოცემის რეკურენტული ხერხი. ფიბონაჩის მიმდევრობა, რიცხვითი მიმდევრობის კრებადობა. კრებად მიმდევრობათა არითმეტიკული თვისებები. უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი მიმდევრობები, მიმდევრობის სახეები: მონოტონური, ზრდადი, კლებადი, სტაციონარული, თეორემა ზრდადი (კლებადი), ზემოდან (ქვემოდან) შემოსაზღვრული მიმდევრობის კრებადობის შესახებ. ნეპერის რიცხვი, უსასრულოდ კლებადი გეომეტრიული პროგრესიის კრებადობა (ჯამის გამოსათვლელი ფორმულა).

ყ) ფუნქციის ზღვარი. ფუნქციის უწყვეტობა, ფუნქციის ზღვარი წერტილში. წერტილში ფუნქციის ზღვრის არითმეტიკული თვისებები, ფუნქციის უწყვეტობა წერტილში. უწყვეტი ფუნქციის ცნება. ძირითად ელემენტარულ ფუნქციათა უწყვეტობა, სეგმენტზე განსაზღვრულ უწყვეტ ფუნქციათა გლობალური თვისებები: ბოლცანო-კოშის თეორემა შუალედური მნიშვნელობის შესახებ; ვაიერშტრასის თეორემა მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობების მიღწევადობის შესახებ;

შ) ფუნქციის წარმოებული, ფუნქციის წარმოებული წერტილში. მისი გეომეტრიული და ფიზიკური შინაარსი, არითმეტიკული ოპერაციები ფუნქციებზე და წარმოებული. ფუნქციათა კომპოზიციის წარმოებული. შექცეული ფუნქციის წარმოებული, ელემენტარულ ფუნქციათა წარმოებულები, წარმოებადი ფუნქციის გრაფიკის, წერტილში მხები წრფის განტოლება. ფერმას თეორემა;

ჩ) ფუნქციის გამოკვლევა წარმოებულის გამოყენებით, ფუნქციის მონოტონურობის შუალედების დადგენა, ფუნქციის გამოკვლევა ლოკალურ ექსტრემუმზე. სეგმენტზე განსაზღვრული წარმოებადი ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობის მოძებნა, ფუნქციის ასიმპტოტების მოძებნა, ფუნქციის

გრაფიკის სქემატური გამოსახვა მართკუთხა საკოორდინატო სისტემაში;

ცვ) ინტეგრება, ფუნქციის პირველადი და განუსაზღვრელი ინტეგრალი. ძირითად ელემენტარულ ფუნქციათა განუსაზღვრელი ინტეგრალები, რიმანის განსაზღვრული ინტეგრალი. მისი გეომეტრიული შინაარსი, რიმანის განსაზღვრული ინტეგრალის ძირითადი თვისებები: წრფივობა, ადიციურობა, ნაწილობითი ინტეგრება, ცვლადის გარდაქმნა განსაზღვრულ ინტეგრალში, ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულა, მრუდწირული ტრაპეციის ფართობის გამოთვლა განსაზღვრული ინტეგრალის გამოყენებით, წარმოებულისა და ინტეგრალის ფიზიკური შინაარსი (მაგალითად: სიჩქარე, გავლილი მანძილი, სიმძლავრე, მუშაობა);

ძ) კომპლექსური რიცხვები, ომპლექსური რიცხვების ჩაწერის ალგებრული და ტრიგონომეტრიული ფორმები. კომპლექსური რიცხვების გეომეტრიული ინტერპრეტაცია. კომპლექსური რიცხვის მოდული, არგუმენტი. კომპლექსური რიცხვის შეუღლებული რიცხვი. არითმეტიკული მოქმედებები კომპლექსურ რიცხვებზე და მათი გეომეტრიული ინტერპრეტაცია, კვადრატული სამწევრის კომპლექსური ფესვები, ალგებრის ძირითადი თეორემა. ვიეტის თეორემა n-ური ხარისხის მრავალწევრებისათვის, კომპლექსური რიცხვის ნატურალური ხარისხი (მუავრის ფორმულა). n-ური ხარისხის ფესვი კომპლექსური რიცხვიდან;

წ) კომბინატორიკის ელემენტები, გადანაცვლებათა, ჯუფთებათა და წყობათა რაოდენობების გამოსათვლელი ფორმულები, ბინომური კოეფიციენტების თვისებები, პასკალის სამკუთხედი.

ჭ) გრაფები, ძირითადი ცნებები გრაფთა თეორიიდან: წვერო, წიბო, რკალი, მარყუჟი, მოსაზღვრე წვეროები და წიბოები, წიბოს და წვეროს ინციდენტურობა, მარშრუტი, ციკლი, ორიენტირებული და არაორიენტირებული გრაფები, ხე, წვეროს ინდექსი, მარშრუტის სიგრძე, გრაფების მოცემის ხერხები: ინციდენტურობის და მოსაზღვრეობის ცხრილებით, სიით, გრაფების იზომორფულობა. გრაფის ეილერის მახასიათებელი, გრაფის უნიკურსალურობა, ბმული გრაფის უნიკურსალურობის აუცილებელი და საკმარისი ნიშანი.

2.საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელმა გეომეტრიაში იცის:

ა) ძირითადი გეომეტრიული ობიექტები და ცნებები, წერტილი, წრფე. სხივი, მონაკვეთი, ტეხილი, მანძილი ორ წერტილს შორის. მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე. მანძილის თვისება (სამკუთხედის უტოლობა), კუთხე, კუთხის გრადუსული ზომა, მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები, კუთხის ბისექტრისა. მისი თვისება, მონაკვეთის შუამართობი. მონაკვეთის შუამართობის თვისება, მოსაზღვრე და ვერტიკალური კუთხეები. მოსაზღვრე კუთხეების ჯამი. ვერტიკალური კუთხეების ტოლობა;

ბ) წრფეების ურთიერთგანლაგება. წრფეთა პარალელურობა. ორი წრფის მესამეთი გადაკვეთისას მიღებული კუთხეები, ორი პარალელური წრფის მესამეთი გადაკვეთისას მიღებული კუთხეების თვისებები, წრფეთა პარალელურობის ნიშნები, კუთხე ორ წრფეს შორის. წრფეთა მართობულობა. მართობი, დახრილი და გეგმილი. მანძილი წერტილიდან წრფემდე;

გ) მრავალკუთხედი. ამოზნექილი მრავალკუთხედი, ვერდი, წვერო, კუთხე, დიაგონალი, პერიმეტრი, ამოზნექილი ფიგურის განსაზღვრება, ამოზნექილი მრავალკუთხედის კუთხეების ჯამი;

დ) სამკუთხედი, სამკუთხედის გვერდი, კუთხე, წვერო, მედიანა, ბისექტრისა, სიმაღლე და მათი თვისებები, სამკუთხედები: მართკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა და მათი თვისებები, სამკუთხედის კუთხეების ჯამი. სამკუთხედის გარე კუთხის თვისება. სამკუთხედის შუახაზის თვისებები, სამკუთხედების ტოლობის ნიშნები. სამკუთხედების მსგავსების ნიშნები. მსგავსი სამკუთხედების პერიმეტრებისა და ფართობების შეფარდება, სინუსებისა და კოსინუსების თეორემები. სამკუთხედის ამოხსნა, შემოხაზული და ჩახაზული წრეწირი. მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის თვისება. სამკუთხედში ჩახაზული და სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირების რადიუსების გამოსათვლელი ფორმულები;

ე) მართკუთხა სამკუთხედი, მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის ნიშნები, პითაგორას თეორემა,

ტრიგონომეტრიული თანაფარდობები მართკუთხა სამკუთხედის კუთხეებსა და გვერდებს შორის, თანაფარდობები ჰიპოტენუზაზე დაშვებულ სიმაღლეს, კათეტებს, ჰიპოტენუზაზე კათეტების გეგმილებსა და ჰიპოტენუზას შორის;

ვ) პროპორციები გეომეტრიაში, თალესის თეორემა, მონაკვეთის დაყოფა მოცემული პროპორციით, ოქროს კვეთა, მონაკვეთთა არითმეტიკული საშუალო, გეომეტრიული საშუალო და ჰარმონიული საშუალო.

ზ) პარალელოგრამი, პარალელოგრამის გვერდების, კუთხეებისა და დიაგონალების თვისებები, პარალელოგრამობის ნიშნები, რომბის დიაგონალების თვისებები, მართკუთხედის დიაგონალების ტოლობა. მართკუთხედის სიმეტრიის ღერძები, კვადრატი და მისი თვისებები.

თ) ტრაპეცია, მისი ელემენტები. ტრაპეციის შუახაზის თვისება, ტოლფერდა ტრაპეციის თვისებები.

ი) წრეწირი და წრე, ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, რკალი, სექტორი, სეგმენტი, მხები, რკალის გრაღუსული და რადიანული ზომა, რიცხვი, წრეწირისა და წრეწირის რკალის სიგრძის გამოსათვლელი ფორმულები, ცენტრული და ჩახაზული კუთხეები და მათი თვისებები, წრეწირის მხების თვისება, ურთიერთგადამკვეთი ქორდების თვისებები. ქორდის მართობული დიამეტრის თვისება, წრეწირისადმი ერთი წერტილიდან გავლებული მხებისა და მკვეთის თვისებები;

კ) წესიერი მრავალკუთხედები, წესიერ მრავალკუთხედებში ჩახაზული და მათზე შემოხაზული წრეწირები, დამოკიდებულება წესიერი მრავალკუთხედის გვერდსა და ჩახაზული და მასზე შემოხაზული წრეწირების რადიუსებს შორის;

ლ) ბრტყელი ფიგურის ფართობი, ბრტყელი ფიგურის ფართობი და მისი თვისებები, კვადრატის, მართკუთხედის, სამკუთხედის, პარალელოგრამის, რომბის, ტრაპეციის და წესიერი მრავალკუთხედის ფართობთა გამოსათვლელი ფორმულები, წრიული სექტორისა და წრის ფართობის გამოსათვლელი ფორმულები;

მ) ძირითადი გეომეტრიული აგებები ფარგლითა და სახაზავით, სამკუთხედის აგება მისი ელემენტების (მაგალითად: მოცემული გვერდების) მიხედვით, მოცემული კუთხის ტოლი კუთხის აგება, კუთხის ბისექტრისის აგება, მონაკვეთის შუამართობის აგება, მოცემულ წერტილზე მოცემული წრფის მართობული წრფის გავლება, მოცემულ წერტილზე მოცემული წრფის პარალელური წრფის გავლება, მონაკვეთის გაყოფა მოცემული შეფარდებით;

ნ) გეომეტრიული გარდაქმნები, ღერძული და ცენტრული სიმეტრიები, მობრუნება, ჰომოთეტია, პარალელური გადატანა. მათი გამოსახვა კოორდინატებში. მსგავსების გარდაქმნა, გეომეტრიული გარდაქმნების კომპოზიციები;

ო) წერტილი, წრფე და სიბრტყე სივრცეში, გადამკვეთი, პარალელური და აცდენილი წრფეები. წრფეთა პარალელურობის ნიშანი. კუთხე აცდენილ წრფეებს შორის. მანძილი აცდენილ წრფეებს შორის, წრფისა და სიბრტყის მართობულობის ნიშანი, წრფისა და სიბრტყის პარალელურობის ნიშანი, კუთხე წრფესა და სიბრტყეს შორის. ორწახნაგა კუთხე. ორწახნაგა კუთხის ზომა. კუთხე სიბრტყეებს შორის, სიბრტყეთა პარალელურობის ნიშანი, ორი სიბრტყის მართობულობის ნიშანი, მართობი და დახრილი. მანძილი წერტილიდან სიბრტყემდე. სამი მართობის თეორემა, პარალელური დაგეგმილება სიბრტყეზე, კავშირი ბრტყელი ფიგურის ფართობსა და ამ ფიგურის სიბრტყეზე გეგმილის ფართობს შორის;

პ) მრავალწახნაგა, მრავალწახნაგა. წვერო, წიბო, წახნაგი. კავშირი მათ რაოდენობებს შორის (ეილერის თეორემა), წესიერი მრავალწახნაგები (პლატონისეული სხეულები);

ჟ) პრიზმა, პრიზმის ფუძე, გვერდითი წახნაგი, გვერდითი წიბო, სიმაღლე, დიაგონალი, პრიზმის კერძო სახეები (მართი პრიზმა, წესიერი პრიზმა, მართი პარალელეპიპედი, მართკუთხა პარალელეპიპედი, კუბი);

რ) პირამიდა, პირამიდის წვერო, გვერდითი წიბო, ფუძე, გვერდითი წახნაგი, სიმაღლე, წესიერი პირამიდა. აპოთემა. წაკვეთილი პირამიდა;

ს) ბრუნვითი სხეულები, ცილინდრი. მისი ელემენტები. ცილინდრის ღერძული კვეთა, კონუსი, მისი ელემენტები. კონუსის ღერძული კვეთა. წაკვეთილი კონუსი, ბირთვი, სფერო. მათი ელემენტები. ბირთვის კვეთა სიბრტყით. სფეროს მხები სიბრტყე, წრფის გარშემო მრავალკუთხედის ბრუნვის შედეგად მიღებული ფიგურები;

ტ) სხეულის მოცულობა და ზედაპირის ფართობი, სივრცითი სხეულის მოცულობა და მისი თვისებები, კუბის, პარალელეპიპედის, პრიზმის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობებისა და მოცულობების გამოთვლა, პირამიდის, ცილინდრის, კონუსის, წაკვეთილი პირამიდის და წაკვეთილი კონუსის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობთა და მოცულობათა გამოთვლა, ბირთვის ზედაპირის ფართობისა და მოცულობის გამოსათვლელი ფორმულები;

უ) კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის შლილები და კვეთები, ამ სხეულების აღდგენა მათი შლილების საშუალებით, ამ სხეულების კვეთების აგება;

ფ) გეომეტრიული გარდაქმნები სივრცეში, ღერძული და ცენტრული სიმეტრიები. სიმეტრია სიბრტყის მიმართ. პარალელური გადატანა. ჰომოთეტია. მობრუნება წრფის მიმართ. მსგავსების გარდაქმნა, გეომეტრიული გარდაქმნების (ღერძული და ცენტრული სიმეტრია, სიმეტრია სიბრტყის მიმართ, პარალელური გადატანა, ჰომოთეტია) გამოსახვა კოორდინატებში, კუბის, პარალელეპიპედის, წესიერი პრიზმის, წესიერი პირამიდის, კონუსის, სფეროს და ბირთვის სიმეტრიები;

ქ) ვექტორები, ვექტორები და მათზე განსაზღვრული ოპერაციები: შეკრება, სკალარზე გამრავლება. ვექტორთა სკალარული და ვექტორული გამრავლება, მათი ძირითადი თვისებები, კოლინეარული და კომპლანარული ვექტორები. ვექტორებისა და ვექტორებზე მოქმედებების გამოსახვა კოორდინატებში. ვექტორის გაშლა საკოორდინატო ორტების მიმართ;

ღ)ანალიზური გეომეტრიის ელემენტები სიბრტყეზე, ორ წერტილს შორის მანძილის გამოსახვა დეკარტულ კოორდინატებში. მონაკვეთის გაყოფა მოცემული პროპორციით, წრფის განტოლება ზოგადი სახით. ორ წერტილზე გამავალი წრფის განტოლება. საკუთხო კოეფიციენტი (დახრილობა). კუთხე ორ წრფეს შორის. წრფეთა პარალელურობის და მართობულობის პირობები, მანძილი წერტილიდან წრფემდე, ელიფსი, ჰიპერბოლა და პარაბოლა. მათი კანონიკური განტოლებები. ფოკუსები, ნახევარღერძები, ექსცენტრისიტეტი, დირექტრისა;

ყ)ანალიზური გეომეტრიის ელემენტები სივრცეში, ორ წერტილს შორის მანძილის გამოსახვა დეკარტულ კოორდინატებში. მონაკვეთის გაყოფა მოცემული პროპორციით, წრფის განტოლება სივრცეში. ორ წერტილზე გამავალი წრფის განტოლება, სიბრტყის ზოგადი სახის განტოლება სივრცეში. კუთხე ორ სიბრტყეს შორის. ორი სიბრტყის პარალელურობის და მართობულობის პირობები. წრფისა და სიბრტყის პარალელურობისა და მართობულობის პირობები, მანძილი წერტილიდან სიბრტყემდე;

შ) ელემენტარული წარმოდგენები არაევკლიდური გეომეტრიების შესახებ, ელიფსური გეომეტრიის რიმან-კლაინის მოდელი (გეომეტრია სფეროზე), ჰიპერბოლური (ლობაჩევსკის) გეომეტრიის პუანკარეს მოდელი (ფსევდოსფეროზე ან წრეზე), პარაბოლური (ევკლიდური), ელიფსური (გეომეტრია სფეროზე) და ჰიპერბოლური (გეომეტრია წრეზე) გეომეტრიების ზოგიერთი განმასხვავებელი ელემენტარული ნიშანი (მაგ. სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი, მოცემული წრფის გარეთ მდებარე წერტილზე მოცემული წრფის პარალელური წრფის გავლების შესაძლებლობა, მართკუთხედის ცნების არსებობა, საკერის ოთხკუთხედის ზედა კუთხეების კლასიფიკაცია);

ჩ) ზომის ერთეულები, სიგრძის, ფართობის, მოცულობის, მასის, დროის, სიჩქარის ერთეულები, მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა, მონაცემთა წარმოდგენა, სია, ცხრილი, პიქტოგრამა, დიაგრამა: წერტილოვანი, ხაზოვანი, სვეტოვანი, წრიული, ფოთლებიანი ღეროების მსგავსი დიაგრამა, ჰისტოგრამა, პოლიგონი, ოგივა, დაგროვილ ფარდობით სიხშირეთა დიაგრამა.

ც) მონაცემთა მახასიათებლებლები, ცენტრალური ტენდენციის საზომები (საშუალო, მედიანა, მოდა). მონაცემთა გაფანტულობის საზომები (გაბნევის დიაპაზონი, საშუალო კვადრატული გადახრა), სიხშირეთა განაწილება; დაგროვილი სიხშირე; დაგროვილი ფარდობითი სიხშირე; მონაცემთა პოზიციის მახასიათებელი - რანგი, დაწყვილებული მონაცემები, გაფანტულობის დიაგრამა, კორელაცია, უმცირეს კვადრატთა მეთოდი;

ძ) ალბათობა, ელემენტარული ხდომილობათა სივრცე; ხდომილობა; ოპერაციები ხდომილობებზე; არათავსებადი ხდომილობები, ალბათობის კლასიკური განსაზღვრება. ალბათობის გამოთვლა კომბინატორიკის გამოყენებით, ხდომილობათა ჯამის ალბათობის გამოთვლა. პირობითი ალბათობა. ორი ხდომილობის ნამრავლის ალბათობა. დამოუკიდებელი ხდომილობები, სრული ალბათობის ფორმულა, ბაიესის ფორმულა, დისკრეტული შემთხვევითი სიდიდე და მისი განაწილების ფუნქცია. დისკრეტული შემთხვევითი სიდიდის რიცხვითი მახასიათებლები: მათემატიკური ლოდინი, დისპერსია, განმეორებითი ცდები. ბინომური განაწილება, გეომეტრიული ალბათობა;

მუხლი 35 - სწავლების მეთოდები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით სასწავლო მასალის შერჩევა და საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა გამოთვლების, მოდელირების, მსჯელობა-დასაბუთების, კომუნიკაციისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების განსავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის დავალებების შერჩევა ან შედგენა;

ა.ბ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით მოკლევადიანი საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა გამოთვლების, მოდელირების, მსჯელობა-დასაბუთების, კომუნიკაციისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების განსავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი, გასხვავებული სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა;

ა.გ) გრძელვადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა გამოთვლების, მოდელირების, მსჯელობა-დასაბუთებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განსავითარებლად: სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა, ამ მიზნების შესაბამისი დავალებების შერჩევა თუ შედგენა, მოსალოდნელი პროდუქტის (მაგალითად: მათემატიკური მოდელის, გამოთვლების შედეგის, თეორემის დამტკიცების, საპრეზენტაციო მასალის) შინაარსისა და მიზნების რუკის შედგენა, რომელშიც აისახება პროდუქტის შექმნისათვის საჭირო მათემატიკური პროცედურების ფლობა: პრობლემის განსაზღვრა, მისი ჩამოყალიბება მათემატიკურ ენაზე, შესაბამისი მოდელის შედგენა, საჭირო მონაცემების განსაზღვრა და მოპოვება, მოდელის გამოყენებით პრობლემის გადაჭრა, მოდელის შეფასება და მისი კორექცია შეფასების შედეგების გათვალისწინებით; ამ რუკაზე დაფუძნებით შუალედური და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა და მათი შესაბამისი განსხვავებული ტიპისა და სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა, რომლებიც მოსწავლეებს ეტაპობრივად მოამზადებს დასახული მიზნის განსახორციელებლად;

ა.დ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა (მაგ.: პროექტი, აქტივობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერდისციპლინარული აქტივობები/ პროექტები): მიზნების განსაზღვრა, სხვა დისციპლინებთან დაკავშირება, მიზნების შესაბამისი დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობისა და მათი ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზებისა და საშუალებების განსაზღვრა;

ა.ე) მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად ისეთი დავალებების განსაზღვრა, შექმნა და გამოყენება, რომლებიც შეესაბამება მოსწავლის მიმდინარე მოთხოვნილებას და სასწავლო მასალას და რომლებიც ავითარებს მოსწავლის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარს;

ა.ვ) ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც წარმოაჩენს ტექნოლოგიების (კალკულატორი,

ელექტრონული ცხრილები, მათემატიკური პაკეტები, გრაფიკული პროგრამები) გამოყენების დადებით მხარეებს და მათ როლს პრობლემების გადაჭრაში;

ა.ზ) ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც წარმოაჩენს მათემატიკის როლს წარმატებული სამსახურებრივი კარიერის წარმართვაში;

ა.თ) მაგალითების შერჩევა მათემატიკური ცოდნისა და უნარების გამოსაყენებლად (მათ შორის რეალურ ვითარებასთან დაკავშირებული მაგალითების).

ბ) შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) ახალი ცნებების, ობიექტებისა და პროცედურების შემოტანისას მოსწავლის არსებული ცოდნის განსაზღვრა. ახალი ცნებების, ობიექტებისა და პროცედურების შემოტანისას ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვა. სწავლების პროცესის თანმიმდევრულად წარმართვა ისე, რომ მოსწავლე ეფექტურად ახერხებდეს უკვე არსებული ცოდნის გამოყენებას კომპლექსურ ვითარებაში;

ბ.ბ) სხვადასხვა სახის აქტივობისა და სწავლების ფორმის გამოყენება მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით. ამასთანავე, მოსწავლეთა დამოკიდებულებების მრავალფეროვნების გათვალისწინება;

ბ.გ) კავშირის დამყარება მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებას შორის, აგრეთვე, მათემატიკასა და სხვა დისციპლინებს შორის;

ბ.დ) მათემატიკისა და სხვა სასწავლო დისციპლინების ინტეგრაცია ისე, რომ მოსწავლეს განუვითარდეს საჭირო უნარები, რათა მან წარმატებით გაართვას თავი იმ მათემატიკურ ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ ინტეგრაციასთან;

ბ.ე) სასწავლო მასალის გადაცემისას შესაფერისი სტრატეგიისა და ტექნიკის (მაგ.: კანონზომიერების ამოცნობა, ვიზუალური წარმოდგენა, ფორმულა) გამოყენება.

ბ.ვ) შეკითხვების დასმის სტარტეგიის გამოყენება, რათა დაეხმაროს მოსწავლეს არგუმენტების წარმოდგენასა და დებულების დასაბუთებაში.

ბ.ზ) სასწავლო პროცესში დამხმარე მასალის (მაგ.: თვალსაჩინოებების, ტექნოლოგიების) შერჩევა და ეფექტურად გამოყენება, მოსწავლის მიერ დამხმარე მასალის გამოყენებისათვის ხელშეწყობა;

ბ.თ) საზოგადოების განვითარებაში მათემატიკის როლის წარმოჩენისას სხვადასხვა რესურსის შერჩევა;

ბ.ი) სასწავლო მასალაში მოცემული მათემატიკური კონცეფციებისა და იდეების ევოლუციური და ისტორიული განვითარების გაცნობა მოსწავლეთათვის.

გ) შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

გ.ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მოსწავლის კომპეტენციის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. პროცედურის წვდომა; II. პროცედურაში გავარჯიშება; III. პროცედურის დაუფლება), კონკრეტული პრობლემებისა და მათი წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად;

გ.ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე ფაზაში;

გ.გ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეულის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;

გ.დ) შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (შემოქმედებითობა, თანამშრომლობის უნარი, ორგანიზებულობა და სხვა);

გ.ე) მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებში და მასალის არასწორ/არასრულყოფილ გააზრებაში კანონზომიერებების აღმოჩენა. კორექციის შესატანად შესაფერისი პროცედურების გამოყენება და სასწავლო პროცესის ადეკვატური მოდიფიკაცია;

გ.ვ) მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნისა და მაღალი დონის სააზროვნო კომპეტენციების შესაფასებლად ადეკვატური ხერხების შექმნა და გამოყენება.

თავი 15 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მუხლი 36 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელს შეუძლია:

ა) მოვლენის არსის განსაზღვრა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა;

ბ) კვლევის საგნის განსაზღვრა და მისი შესწავლის ეტაპების გამოყოფა;

გ) ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად მონაცემების სხვადასხვა წყაროდან/საშუალებით (მაგ. ექსპერიმენტის, უშუალო დაკვირვების ან საინფორმაციო წყაროებიდან) მოპოვება;

დ) მონაცემების კლასიფიცირება (დახარისხება) სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით და მონაცემების სხვადასხვა სახით (ფორმით, ხერხით) წარმოდგენა;

ე) კვლევის შედეგების ანალიზი და შეფასება;

ვ) სტრუქტურების და პროცესების მოდელირება;

ზ) პრაქტიკულ სამუშაოებთან (ცოცხალ ორგანიზმებთან, ქიმიურ რეაქტივებთან ან ფიზიკურ მოვლენებთან) დაკავშირებული რისკ-ფაქტორების განსაზღვრა და პრევენცია;

თ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების განხილვა ზოგად ისტორიულ ჭრილში;

ი) საბუნებისმეტყველო სფეროში დაგროვილი (არსებული) ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში;

კ) საბუნებისმეტყველო პრობლემების მდგრადი განვითარების ჭრილში განხილვა;

ლ) მეცნიერული აღმოჩენების შედეგების დადებითი და უარყოფითი გავლენის შეფასება;

მ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაკავშირება სხვა სასწავლო დისციპლინებთან;

ნ) მეცნიერული ტერმინოლოგიით მეტყველება (წერითი და ზეპირი);

ო) საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას სათანადო მათემატიკური ოპერაციების გამოყენება.

მუხლი 37 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

1. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელმა იცის:

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლის ობიექტები და მიზნები;

ბ) ბუნებისმეტყველების ადგილი მეცნიერებათა სისტემაში;

გ) საბუნებისმეტყველო იდეების ჩამოყალიბების (ფორმირების) ისტორია;

დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცნებები და ტერმინები;

ე) საბუნებისმეტყველო კვლევის მეთოდები, კვლევა და მისი ეტაპები. ცდა (დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები, მონაცემები, საკონტროლო ცდა, განმეორებითი ცდა, ცდის პირობის შეცვლა, ცდის ოქმი). მონაცემთა მოპოვების გზები - ცდა/ექსპერიმენტი, დაკვირვება, გამოკითხვა (კითხვარი), ინფორმაციის მოძიება (ინტერნეტი, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა);

ვ) სტრუქტურების და პროცესების მოდელები;

ზ) უსაფრთხოების წესები;

თ) მდგრადი განვითარების კონცეფცია;

ი) ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი დებულებები.

2. ბიოლოგია

ა) ბიოლოგიის შესწავლის ობიექტი, ცოცხალი სისტემები. ღია, თვითმარეგულირებელი, თვითწარმომქმნელი სისტემები;

ბ) სიცოცხლის ძირითადი ნიშნები, სტრუქტურული ორგანიზაცია, სუნთქვა, გამოყოფა, გაღიზიანებადობა, ზრდა-განვითარება, გამრავლება, გარემოსთან ადაპტაცია;

გ) ცოცხალი სისტემების ორგანიზაციის დონეები, მოლეკულური, უჯრედული, ქსოვილური, ორგანიზმული, სახეობრივი, ეკოსისტემური, ბიოსფერული;

დ) უჯრედი - სტრუქტურული ერთეული, უჯრედის ქიმიური შედგენილობა. არაორგანული (წყალი, მინერალური მარილები) და ორგანული (ცილები, ლიპიდები, ნახშირწყლები, ნუკლეინის მჟავები) ნივთიერებები. მათი სტრუქტურა, თვისებები, ბიოლოგიური როლი, უჯრედების მრავალფეროვნება (პროკარიოტული, ეუკარიოტული). სიცოცხლის არაუჯრედული ფორმები - ვირუსი. მათი აგებულება, სტრუქტურული ერთეულები, ფუნქციები;

ე) ნივთიერებათა ცვლა უჯრედში, ანაბოლური და კატაბოლური რეაქციები, გლუკოზის დაშლა. გლიკოლიზი, დუღილი, სუნთქვა. ატფ-ს სინთეზი;

ფოტოსინთეზი. ქემოსინთეზი, მატრიცული ტიპის რეაქციები - რეპლიკაცია, ტრანსლაცია, ტრანსკრიფცია;

ვ) უჯრედი - ორგანიზმის ზრდისა და გამრავლების საფუძველი, უჯრედის სასიცოცხლო ციკლი. ინტერფაზა. სხვადასხვა სახის უჯრედების (პროკარიოტული, ეუკარიოტული - სომატური, სასქესო) გაყოფა. მიტოზი. მეიოზი. მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემის მექანიზმები. ამ პროცესების ბიოლოგიური როლი;

ზ) უჯრედების სპეციალიზაცია, ქსოვილები, ქსოვილთა ტიპები (მცენარეებსა და ცხოველებში), სტრუქტურული თავისებურებები, მათი ფუნქციები;

თ) ორგანიზმების გამრავლება და განვითარება, ონტოგენეზი - ემბრიონული და პოსტემბრიონული

განვითარება. ორგანიზმის გამრავლების ფორმები. უსქესო გამრავლება. სქესობრივი გამრავლება. პართენოგენეზი. თაობათა მონაცვლეობა;

ი) მემკვიდრეობითობის და ცვალებადობის კანონზომიერებები, ქრომოსომები, გენები. მემკვიდრეობითობის მოლეკულური საფუძველი. გენოტიპი და ფენოტიპი. ალელური და არაალელური გენები. დომინანტური და რეცესიული ნიშან-თვისებები. სრული და არასრული დომინირება. მენდელის კანონები. მორგანის კანონი. ცვალებადობის ფორმები - მემკვიდრული და მოდიფიკაციური. გენეტიკური ანომალიების შედეგები;

კ) სელექცია. ბიოტექნოლოგია, სელექცია და მისი მეთოდები. გენური ინჟინერია. ბიოტექნოლოგია;

ლ) ორგანიზმთა მრავალფეროვნება, სისტემატიკა. კლასიფიკაციის პრინციპები. მსხვილი ტაქსონომიური ერთეულების (სამეფო, ტიპი, კლასი) დამახასიათებელი ნიშნები (აგებულება, სასიცოცხლო პროცესები). ტიპობრივი წარომადგენლები. საქართველოს ბიომრავალფეროვნება;

მ) ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, ორგანოები და ორგანოთა სისტემები, აგებულება, ფუნქციები, ნივთიერებათა ცვლა, კვება, სუნთქვა, ნივთიერებათა ტრანსპორტი, გამოყოფა, ნერვული და ენდოკრინული რეგულაცია, გამრავლება და განვითარება, ჰიგიენა და ჯანმრთელობა;

ნ) ორგანული სამყაროს განვითარების თეორიები, სიცოცხლის წარმოშობის თეორიები, ევოლუციური თეორიის არგუმენტები, ევოლუციის მამოძრავებელი ძალები, ევოლუციის შედეგები, მაკროევოლუცია, მიკროევოლუცია, სახეობა, პოპულაცია, ანთროპოგენეზი;

ო) ეკოსისტემა, მისი სტრუქტურა - ბიოტური და აბიოტური კომპონენტები, ნივთიერებათა წრებრუნვა და ენერგიის გადაცემა, პროდუცენტები, კონსუმენტები, რედუცენტები, კვებითი კავშირები, ორგანიზმებზე მოქმედი ფაქტორები- ბიოტური, აბიოტური, ანთროპოგენური, ორგანიზმებს შორის არსებული ურთიერთობის ფორმები. ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემები, ბიოსფერო;

პ) გარემოს დაცვა, ადამიანი და გარემო. გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური პრობლემები. საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციების მნიშვნელობა;

ჟ) მათემატიკური აპარატი, ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით, რაოდენობების შედარების და შეფასების სხვადასხვა ხერხი, ფიზიკურ სიდიდეთა სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან კავშირი, ალბათობის თეორიის ელემენტები (გენეტიკურ ამოცანებთან კავშირში), ფუნქციათა თვისებები, მონაცემთა წარმოდგენის ფორმები (სია, ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები)

3. ფიზიკა

ა) კინემატიკის საფუძვლები, მოძრაობის სახეები (წრფივი, მრუდწირული, რხევითი, ბრუნვითი), ტრაექტორია, გადაადგილება, წრფივი თანაბარი მოძრაობის სიჩქარე, საშუალო და მყისი სიჩქარე, მოძრაობის ფარდობითობა, სიჩქარეთა შეკრება, წრფივი თანაბარაჩქარებული მოძრაობა, აჩქარება, სიჩქარე და გადაადგილება თანაბარაჩქარებული მოძრაობის დროს. მრუდწირული მოძრაობა, სიჩქარე და აჩქარება მრუდწირული მოძრაობის დროს;

ბ) ურთიერთქმედება მექანიკაში, სხეულთა ურთიერთქმედება, ძალა, სიმძიმის, ხახუნის (უძრაობის და სრიალის), დრეკადობის ძალები, ჰუკის კანონი, ნიუტონის კანონები, მასა - ინერტულობის საზომი, მასა და წონა, სიმკვრივე, მსოფლიო მიზიდულობის კანონი, სხეულის იმპულსი, იმპულსის მუდმივობის კანონი, რეაქტიული მოძრაობა, სიმძიმის ცენტრი, წონასწორობა (მდგრადი, არამდგრადი, განურჩეველი), ძალის მომენტი, მარტივი მექანიზმები, მექანიკური მუშაობა და სიმძლავრე, ცვლადი ძალის მუშაობა, პოტენციური და კინეტიკური ენერგია, ერთი სახის ენერგიის გადასვლა მეორეში, ენერგიის მუდმივობის კანონი მექანიკაში, ტექნოლოგიური პროცესების განვითარება (საფრენი აპარატები, მანქანები და სხვა), კავშირი მექანიკის კანონებთან;

გ) მექანიკური რხევები და ტალღები, მექანიკური რხევა, ჰარმონიული რხევის განტოლება, რხევის

მახასიათებელი პარამეტრები, თავისუფალი რხევა, იძულებითი რხევა, რხევის მილევა. რეზონანსი, განივი და გრძივი ტალღა, ტალღის სიგრძე, ტალღის სიჩქარე, არეკვლა, დიფრაქცია, ინტერფერენცია, ბგერა, ბგერის წყაროები, ბგერის წარმოქმნა, გავრცელება და აღქმა, ბგერითი სიგნალების გადაცემა და მიღება ორგანიზმებში, სმენის ორგანოები, ექოს წარმოქმნა, ხმამაღლობა, ტონის სიმაღლე, ულტრაბგერა და ინფრაბგერა, დოპლერის ეფექტი;

დ) ჰიდრო და აეროსტატიკა, ჰიდროდინამიკა, წნევა, აირის წნევა, წნევა სითხეებში, პასკალის კანონი, ჰიდრავლიკური მანქანა, ატმოსფერული წნევა, ტორიჩელის ცდა, ამომგდები ძალა, არქიმედეს კანონი, სხეულთა ცურვის პირობები, სითხეთა დინება, ბერნულის კანონი, ლამინარული და ტურბულენტური დინება, კაპილარული მოვლენები, ზედაპირული დაჭიმულობა, სიბლანტე;

ე) ოპტიკა, სინათლის სხივის გავრცელების კანონზომიერებები, არეკვლა, გარდატეხა, სრული შინაგანი არეკვლა,შთანთქმა, დისპერსია, სხივთა სვლა ჩაზნექილ და ამოზნექილ ლინზებში, ბრტყელ, ჩაზნექილ და ამოზნექილ სარკეებში, გამოსახულების აგება ლინზაში და ბრტყელ სარკეში, თხელი ლინზის ფორმულა, ლინზის გამადიდებლობა, თანამედროვე ოპტიკური სისტემები, მათი მუშაობის პრინციპი, მხედველობა და მხედველობის ორგანოები, ახლომხედველობა და შორსმხედველობა, მათი გაუმჯობესების გზები, ფოტომეტრია, სინათლის ძალა. განათებულობა, სინათლის გავრცელების სიჩქარე (სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩატარებული გაზომვები), სინათლის ტალღური ბუნება, სინათლის ელექტრომაგნიტური თეორია, ფოტოეფექტი, ფოტონები, სინათლის კვანტური ბუნება;

ვ) სითბური მოვლენები, მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის ძირითადი დებულებები, მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის ძირითადი განტოლება, ტემპერატურა, ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობები, გადასვლა ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში, ფიზიკური მახასიათებლების ცვლილება ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობების ცვლილების დროს, თბოგამტარები და თბოიზოლატორები, თბორეგულაციის მექანიზმები ორგანიზმებში, ნივთიერებათა სითბური გაფართოება, წყლის ანომალია, სითბოს რაოდენობა, კუთრი სითბოტევადობა, გამყარება-დნობა, აორთქლება-კონდენსაცია, დუღილი, დუღილის ტემპერატურა, ნაჯერი ორთქლი, ნაჯერი ორთქლის წნევის დამოკიდებულება ტემპერატურაზე. დნობის და ორთქლადქცევის კუთრი სითბო, დნობისა და ორთქლადქცევისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა, წვის სითბო, სითბური ძრავები (შიგაწვის ძრავა, ტურბინა), ძრავის მქკ. სითბური ენერგიის გადაცემის გზები (კონვექცია, გამოსხივება, გამტარებლობა);

ზ) იდეალური აირი, იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება, იდეალური აირის კანონები, შინაგანი ენერგია. თერმოდინამიკის I და II კანონი, შექცევადი და შეუქცევადი პროცესები, ენტალპია. აბსოლუტური ტემპერატურა, აბსოლუტური ნული;

თ) მყარი სხეულის თვისებები, მყარი სხეულის მექანიკური თვისებები. დეფორმაცია, დეფორმაციის სახეები, სიმტკიცე, სიმტკიცის ზღვარი;

ი) ელექტროსტატიკა, ორგვარი ელექტრული მუხტი, მუხტის მუდმივობის კანონი, სხეულთა დამუხტვა გავლენით და ხახუნით, ელექტრული ველი, ელ. ველის ძალწირები, დამუხტული სხეულების ურთიერთქმედება, ელ. მოვლენები ბუნებაში, კულონის კანონი, დიელექტრიკული შეღწევადობა, ელ. ველის დაძაბულობა, სუპერპოზიციის პრინციპი, ელ. ველის პოტენციალი, პოტენციალთა სხვაობა, ელექტროტევადობა, კონდენსატორი, ბრტყელი კონდენსატორის ელექტროტევადობა;

კ) ელექტრული დენი, ელექტრული დენი, ელექტროგამტარები და იზოლატორები, დენის წყაროები, სტანდარტული ელექტროდული პოტენციალი, გალვანური ელემენტი, დენის ძალა, ძაბვა, გამტარის წინაღობა, წინაღობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, ომის კანონი წრედის უბნისათვის, გამტართა პარალელური და მიმდევრობითი შეერთება, დენის მუშაობა და სიმძლავრე, დენის წყაროს ემძ. ომის კანონი სრული წრედისათვის, დენის სითბური და ქიმიური მოქმედება, ელექტრული დენი სითხეში, აირში და ვაკუუმში, ელექტროლიტური დისოციაციის თეორია, დისოციაციის ხარისხი და მუდმივა, ელექტროლიზის კანონები, ელექტროქიმიური ეკვივალენტი, ნახევარგამტარი, ელ. დენი ნახევარგამტარში, მაგნიტური ველი, ველის ძალწირები, დენის მაგნიტური მოქმედება, დენიანი

გამტარების ურთიერთქმედება, მაგნიტური ველის ინდუქცია, მაგნიტური ნაკადი, ამპერის ძალა. ლორენცის ძალა, ცვლადი დენი, ცვლადი დენის გენერატორი, ელ. მაგნიტური ინდუქციის მოვლენა, ლენცის წესი, თვითინდუქცია, ინდუქციურობა, ტრანსფორმატორი, ელ. ენერგიის გადაცემა და განაწილება, მაგნიტური ველის ენერგია, რხევითი კონტური, ენერგიის გარდაქმნა რხევით კონტურში, ცვლადი ელექტრული ველი, ელექტრომაგნიტური ტალღა, ელექტრომაგნიტური ტალღების სკალა;

ლ) ფარდობითობის თეორია, ფარდობითობის თეორიის ძირითადი ელემენტები, მისი შექმნის მნიშვნელობა, თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების მოქმედების პრინციპი, ლაზერის მოქმედების პრინციპი;

მ) ატომური და ბირთვული ფიზიკა, რეზერფორდის ცდა, ატომის პლანეტარული მოდელი, პერიოდულობის კანონი და პერიოდული სისტემა, ბორის პოსტულატები, ატომის ბირთვის აღნაგობა, პროტონისა და ნეიტრონის აღმოჩენა, ბუნებრივი რადიოაქტივობა, “alfa” “beta” და “gama” გამოსხივება, რადიოაქტიური გამოსხივების ბიოლოგიური ზემოქმედება, რადიოაქტიური დაშლის კანონი.

მ.გ) ნახევარდაშლის პერიოდი, იზოტოპები, ბირთვული ძალები, ბირთვული რეაქტორი, ჯაჭვური რეაქცია, თერმობირთვული რეაქციები, ელემენტარულ ნაწილაკთა და ურთიერთქმედებათა თანამედროვე კლასიფიკაცია;

ნ) მათემატიკური აპარატი, მოქმედებები ნამდვილ რიცხვებზე, ფიზიკურ სიდიდეთა სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან კავშირი, რაოდენობების შედარების და შეფასების სხვადასხვა სტრატეგია, მოქმედებები ვექტორებზე, რიცხვითი მიმდევრობების, მწკრივებისა და ფუნქციათა თვისებები. დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის საფუძვლები, მონაცემთა წარმოდგენის ფორმები (ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები).

4. ქიმია

ა) ნივთიერების ქიმიური არსი, ნარევი და ნაერთი, ბუნებაში გავრცელებული ნივთიერებები, ხელოვნურად მიღებული ნივთიერებები და მათი დანიშნულება. ნივთიერებების გასუფთავების ხერხები. დისპერსიული სისტემები: ჰეტეროგენული და ჰომოგენური ნარევები. ნარევის კომპონენტებად დაყოფა, თვისებრივი და რაოდენობრივი შედგენილობის დადგენა. ქიმიური ანალიზის მეთოდები: გრავიმეტრია, ტიტრიმეტრია, ფოტომეტრია;

ბ) ხსნარები, ჰეტეროგენული და ჰომოგენური ხსნარები (სუსპენზია, ემულსია, ჭეშმარიტი ხსნარი). კოლოიდური ხსნარები (გელი და ზოლი). ხსნადობა და ხსნადობაზე მოქმედი ფაქტორები (ტემპერატურა, წნევა, ხსნადობის კოეფიციენტი). გახსნილი ნივთიერების კონცენტრაციის გამოსახვის ხერხები (ნივთიერების მასური წილი, მოლური კონცენტრაცია);

გ) მარტივი და რთული ნივთიერებები, მარტივი და რთული ნივთიერებები, ალოტროპია. მეტალები და არამეტალები. ოქსიდები, ფუძეები, მჟავები და მარილები, მათი მიღების ხერხები და თვისებები. კავშირი სხვადასხვა კლასის ნაერთებს შორის;

დ) ნივთიერების რაოდენობა, მოლი. ავოგადროს კანონი. აირის მოლური მოცულობა. აირის ფარდობითი სიმკვრივე. აირთა კანონები. იდეალური აირის ძირითადი განტოლება და მისი გამოყენება;

ე) ქიმიური რეაქციების კლასიფიკაცია, ქიმიური რეაქციების კლასიფიკაცია სტექიომეტრიის, სითბური ეფექტის, ჟანგვა-აღდგენის და შექცევადობის მიხედვით. ქიმიური რეაქციის სითბური ეფექტი, ენთალპია, ეკზოთერმული და ენდოთერმული რეაქციები. ქიმიური რეაქციის მყისიერი და საშუალო სიჩქარე. ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები. ქიმიური რეაქციის რიგი. მოქმედ მასათა კანონი. კატალიზი და კატალიზატორი. ფერმენტები, მათი ბიოლოგიური როლი. შექცევადი და შეუქცევადი რეაქციები. ქიმიური წონასწორობა. წონასწორობის მუდმივა. ქიმიურ წონასწორობაზე მოქმედი ფაქტორები. ლე-შატელიეს პრინციპი. ჟანგვა-აღდგენის რეაქციები, მათი კლასიფიკაცია.

ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების ტოლობების შედგენა;

ვ) ელექტროლიტური დისოციაციის თეორია, ელექტროლიტური დისოციაცია, ელექტროლიტები და არაელექტროლიტები. ტუტეების, მჟავებისა და მარილების ელექტროლიტური დისოციაცია. ფუძეები, მჟავები პროტოლიტური თეორიის მიხედვით. ელექტროლიტური დისოციაციის ხარისხი და დისოციაციის მუდმივა. სუსტი, საშუალო, ძლიერი ელექტროლიტები. იონური რეაქციები. მარილთა ჰიდროლიზი. წყლის იონური ნამრავლი და წყალბადური მაჩვენებელი (pH). ბუფერული ხსნარები;

ზ) ატომის აღნაგობა. პერიოდულობის კანონი, რადიოაქტიურობა. ალფა-, ბეტა- და გამა-გამოსხივება. ატომის აღნაგობის მოდელები. ატომბირთვული რეაქციები. მასის დეფექტი. სტაბილური და არასტაბილური იზოტოპები, ელექტრონის ბუნება. ელექტრონული ღრუბლები და ორბიტალები. კვანტური რიცხვები. უმცირესი ენერგიის პრინციპი. პაულის პრინციპი. ჰუნდის წესი. ელექტრონული ფორმულები. ორბიტალური დიაგრამები. ს-, პ-, დ-, ფ-ელემენტები, ქიმიურ ელემენტთა კლასიფიკაციის ისტორია. პერიოდულობის კანონი და ელემენტთა პერიოდული სისტემა, პერიოდულობის კანონის თანამედროვე ფორმულირება. პერიოდული სისტემა და ატომის აღნაგობა;

თ) ატომთა ძირითადი მახასიათებლები, ელემენტების ატომთა ძირითადი მახასიათებლები: ატომის რადიუსი, იონიზაციის პოტენციალი, ელექტრონისადმი სწრაფვა, ელექტროუარყოფითობა. ჟანგვის რიცხვი;

ი) ქიმიური ბმა, ქიმიური ბმები და მოლეკულათაშორისი ურთიერთქმედების ძალები. ნივთიერებათა თვისებების დამოკიდებულება ნივთიერების აგებულებაზე. კრისტალური მესრის ტიპები - იონური, ატომური, მოლეკულური, მეტალური. ქიმიური ბმების წარმოქმნის მექანიზმები. კოვალენტური ბმის წარმოქმნის დონორ-აქცეპტორული მექანიზმი. ელექტრონული ორბიტალების ჰიბრიდიზაცია. სიგმა- და პი-ბმები. ბმის მახასიათებლები: ბმის სიგრძე, ბმის ენერგია, ჯერადობა, გეზურობა. ატომის აღნაგობა და ვალენტობა. მოლეკულური ორბიტალების თეორია;

კ) მეტალები:

კ.ა) მეტალთა მდებარეობა ელემენტთა პერიოდულ სისტემაში. Mმეტალის, კრისტალური სტრუქტურა. მეტალთა ზოგადი ფიზიკური და ქიმიური თვისებები. მეტალთა აქტიურობის მწკრივი, სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების რიგი. გალვანური ელემენტები. ელექტროლიზი. ფარადეის კანონები. ელექტროლიზის როლი წარმოებაში. მეტალთა მიღების ზოგადი მეთოდები. შენადნობები, მათი შედგენილობა, თვისებები და გამოყენება. კოროზია;

ლ) სხვადასხვა ჯგუფის ელემენტთა დახასიათება, ელემენტთა პერიოდული სისტემის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები, მათი შესაბამისი მარტივი და რთული ნივთიერებები: გავრცელება, მიღება, ფიზიკური და ქიმიური თვისებები, გამოყენება. მთავარი ქვეჯგუფების ელემენტების ზოგადი დახასიათება. კომპლექსური ნაერთების ზოგადი დახასიათება;

მ) ორგანული ნაერთები და მათი აღნაგობა, ორგანული ნაერთების აღნაგობა. იზომერიის სახეები (სტრუქტურული, გეომეტრიული, ოპტიკური, კონფორმაციული იზომერია), ორგანული ნაერთების საერთაშორისო ნომენკლატურა;

ნ) ორგანული რეაქციები, ორგანული რეაქციები (ჩანაცვლების, მიერთების, ელიმინირების). ჰომოლიტური და ჰეტეროლიტური ტიპის რეაქციები. ორგანულ ნაერთთა რეაქციების მექანიზმები. ნუკლეოფილური და ელექტროფილური რეაქციები. მარკოვნიკოვის წესი. ატომთა ურთიერთგავლენა მოლეკულაში;

ო) ორგანულ ნაერთთა კლასები (ნახშირწყალბადები, სპირტები, ფენოლები, ალდეჰიდები, კეტონები, კარბონმჟავები, მარტივი და რთული ეთერები, ცხიმები, ამინები, ამინომჟავები, ცილები, ჰეტეროციკლური ნაერთები, ნუკლეინის მჟავები), მათ წარმომადგენელთა აგებულება, მიღება, თვისებები და გამოყენება. კავშირი ორგანულ ნაერთთა კლასებს შორის;

პ) ბუნებრივი და სინთეზური ორგანული ნაერთები. ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ქიმიური

გარდაქმნები: სუნთქვა, ღუღილი, ფოტოსინთეზი. ბუნებრივი საღებავები. ორგანულ ნაერთთა როლი ბუნებაში, მრეწველობასა და ყოფა-ცხოვრებაში;

ე) მაღალმოლეკულური ნაერთები, მაღალმოლეკულური ნაერთები, მათი აღნაგობა, მიღება და თვისებები. ბუნებრივი, ხელოვნური და სინთეზური მაღალმოლეკულური ნაერთები;

რ) ქიმიური ტექნოლოგიები, ქიმიური ტექნოლოგიები: ალუმინის, ამონიაკის, გოგირდმჟავას, მეთანოლის, ეთანოლის, სასუქების წარმოება. ნავთობისა და ქვანახშირის გადამუშავება. თუჯისა და ფოლადის მიღება. სილიკატური მრეწველობა;

ს) მათემატიკური აპარატი, ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით. რაოდენობების შედარებისა და შეფასების სხვადასხვა ხერხი, ფიზიკურ სიდიდეთა სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან კავშირი.

ფუნქციათა თვისებები. მონაცემთა წარმოდგენის ფორმები (ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები).

5. გეოგრაფია

ა) სივრცეში ორიენტაცია, გლობუსი, ადგილის გეგმა, რუკა (ზოგადი და თემატური რუკები). ჰორიზონტის მხარეები, ადგილის გაგნება, კომპასი. მასშტაბი, კარტოგრაფიული პროექციები. რუკაზე გამოსახული ობიექტების, მოვლენების და პროცესების გამოსახვითი ხერხები. გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, ეკვატორი, ტროპიკები და პოლარული წრეები, სასაათო სარტყელები, თარიღთა ცვლის ხაზი;

ბ) ამინდი და კლიმატი, დედამიწის ფორმა და ზომა. დედამიწის ბრუნვა ღერძისა და მზის გარშემო და მისი შედეგები - დღე-ღამის ცვლა, წელიწადის დროთა ცვლა, ატმოსფერო, ტემპერატურის ცვლილება განედის და სიმაღლის მიხედვით. ატმოსფერული წნევა. ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები, ნალექები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები, ამინდის პროგნოზი, მეტეოროლოგიური ხელსაწყოების გამოყენების პრინციპი, კლიმატი, განედის, ოკეანის, დინებების, რელიეფის და დედამიწის ზედაპირის გავლენა კლიმატზე, ატმოსფერული მასების ცირკულაცია, მათზე დამოკიდებული ამინდის ტიპები, კლიმატური სარტყელები, ატმოსფეროს დაცვა;

გ) ჰიდროგრაფიული ქსელი, მდინარე და მისი ნაწილები. მდინარის კვება, აუზი, წყალგამყოფი, წყალშემკრები, გამოყენება, დაცვა, ტბები, წყალსაცავები, მიწისქვეშა წყლები და მყინვარები. მათი წარმოშობა, გამოყენება და დაცვა, მყინვარები – ბეწრული და მთის. მყინვარის რელიეფწარმომქმნელი ფუნქცია, მსოფლიო ოკეანეები და ზღვები: ფსკერის რელიეფი, სიღრმე, მარილიანობა. სრუტეები, ყურეები, მიქცევა-მოქცევა, დინებები, სამეურნეო მნიშვნელობა, დაბინძურება და დაცვა, ჰიდროგრაფიული ქსელის გავლენა რელიეფზე, კლიმატზე, მეურნეობაზე;

დ) რელიეფი, დედამიწის ქერქი, ფილების მოძრაობა. დედამიწის ზედაპირის ცვლილება. რელიეფი, გეოლოგიური პერიოდები, ტექტონიკა, ენდოგენური და ეგზოგენური პროცესები. წიაღისეული რესურსები, რესურსების მდგრადი გამოყენება, რელიეფის ფორმები, აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, მათი კავშირი ლითოსფეროს აგებულებასთან. რელიეფის გავლენა კლიმატზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, მეურნეობაზე, ნიადაგის ტიპები და ნაყოფიერება. მათი წარმოქმნა და გავრცელება;

ე) ბუნებრივი ზონები და ლანდშაფტები, ბუნებრივი ზონების დახასიათება კლიმატის, ნიადაგ-მცენარეული საფარის, ცხოველთა სამყაროს მიხედვით. ბიომები. ბუნებრივ კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირი. სახასიათო ბუნებრივი ლანდშაფტები;

ვ) ადამიანი და ბუნება, ბუნებრივი რესურსები (გავრცელება, მნიშვნელობა, მდგრადი გამოყენება), რესურსების კლასიფიკაცია (ამოწურვადობა), მიწის, წყლის, აგრო-კლიმატური, ტყის, მსოფლიო ოკეანის რესურსები;

ზ) ბუნების კატასტროფული მოვლენები, მიწისძვრა, ვულკანიზმი, ცუნამი, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, ეროზია; მათი გავლენა ადამიანის ყოფაზე და პროგნოზირება;

თ) კოსმოსური სხეულები და ასტრონომიული მოვლენები, მზის სისტემა, პლანეტების მოძრაობა. კოსმოსურ სხეულებზე მოქმედი გრავიტაციული ძალები. გალაქტიკები. შეხედულებები სამყაროს წარმოშობაზე. კოსმოსის კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიები.

მუხლი 38 - სწავლების მეთოდები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელს შეუძლია შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა ბუნებისმეტყველებაში:

ა.ა) გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების განსაზღვრა;

ა.ბ) ბუნებისმეტყველებისსაგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს, ცოდნას, შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;

ა.გ) სწავლა-სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა ცოდნის გადაცემისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებისათვის;

ა.დ) მიზნის შესაბამისი შეფასების ტიპის (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შერჩევა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შეფასდეს მოსწავლეთა როგორც ცოდნა, ასევე უნარ-ჩვევები;

ა.ე) კრიტერიუმების განსაზღვრა და შეფასების ფორმების შედგენა სხვადასხვა აქტივობისათვის: დაკვირვება, აღწერა, ექსპერიმენტის დაგეგმვა, ექსპერიმენტის ჩატარება, მონაცემების ორგანიზება (ცხრილი, დიაგრამა, გრაფიკი და ა.შ.), ცდის შედეგების ანალიზი, რეფერატი, საველე სამუშაოები, მოდელირება და სხვა;

ა.ვ) სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საბუნებისმეტყველო საგნების და სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან თანამშრომლობა და ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება;

ა.ზ) სასწავლო პროცესისათვის იმ ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს სწორ დამოკიდებულებას გარემომცველი სამყაროს მიმართ.

ბ) მასწავლებელს შეუძლია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების წარმართვა:

ბ.ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლის მოტივაციისთვის სხვადასხვა ხერხის გამოყენება;

ბ.ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისთვის პრიორიტეტული აქტივობების ჩატარება სასკოლო გარემოში და მის გარეთ (მუზეუმი, საწარმო, ზოოლოგიური და ბოტანიკური პარკი, კვლევითი ინსტიტუტი, ბუნებრივი გარემო);

ბ.გ) მოსწავლეებთან მუშაობისას მათში კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა;

ბ.დ) მოსწავლეთა შორის საბუნებისმეტყველო საკითხებზე დისკუსიების ხელშეწყობა;

ბ.ე) საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის პროცესში ყველა მოსწავლის (მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით) ჩართულობის უზრუნველყოფა;

ბ.ვ) სწავლებისას საკითხის გამოყენებითი ასპექტის დემონსტრირება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება;

ბ.ზ) მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი და მოხერხებული ხელსაწყოების, მასალების, მედია და

ტექნოლოგიური რესურსების მოიძიება/შექმნა და გამოყენება;

ბ.თ) აქტივობების ისეთნაირად წარმართვა, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ საკუთარი კვლევებისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი;

ბ.ი) აქტივობების ისეთნაირად წარმართვა, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების დაცვის უნარ-ჩვევა.

გ)შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასებისას მასწავლებელს შეუძლია ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება:

გ.ა) სასწავლო მიზნის შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე შეფასება;

გ.ბ) შეფასების სქემების გამოყენება;

გ.გ) მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგი;

გ.დ) მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

გ.ე) შეფასებისა და თვითშეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

თავი 16 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მუხლი 39 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელს შეუძლია:

ა) ისტორია

ა.ა) მიმართულება ისტორიული დრო:

ა.ა.ა) ქრონოლოგიური ერთეულების სისტემის გამოყენება;

ა.ა.ბ) ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან დაკავშირება.

ა.ბ) მიმართულება ისტორიული ინტერპრეტაცია:

ა.ბ.ა) ისტორიული მოვლენების (პიროვნებების) განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზებზე მსჯელობა;

ა.ბ.ბ) ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის (პიროვნების) განსხვავებული ინტერპრეტაციების ანალიზი და შეფასება.

ა.გ) მიმართულება ისტორიული კვლევა:

ა.გ.ა) პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზი;

ა.გ.ბ) ისტორიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.ა.დ) მიმართულება კომუნიკაცია:

ა.დ.ა) მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში საქართველოსა და მსოფლიოში მომხდარი მნიშვნელოვანი

პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებების შესახებ;

ა.დ.ბ) მსჯელობა მსოფლიო რელიგიების არსისა და სხვადასხვა ეპოქის საზოგადოების ცხოვრებაში რელიგიის როლის შესახებ;

ა.დ.გ) მსჯელობა თანამედროვე ეპოქასა და წარსულში სხვადასხვა კულტურის ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის შესახებ.

ა.დ.დ) მსჯელობა საქართველოსა და მსოფლიოში ამა თუ იმ კონკრეტულ ეპოქაში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ-რელიგიური პროცესების ურთიერთმიმართებების შესახებ;

ა.დ.ე) არგუმენტირებული ესეის დაწერა ისტორიულ თემატიკაზე;

ა.დ.ვ) ისტორიული თემის დაწერა დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

ბ) გეოგრაფია

ბ.ა) მიმართულება დრო და სივრცე:

ბ.ა.ა) რუკის ენის გაგება; რუკის, ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებებისა (სქემა, დიაგრამა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი) და გეოგრაფიული ხელსაწყოების გამოყენებით ინფორმაციის მოძიება:

ბ.ა.ა.ა) სივრცეში ორიენტაცია - იცის ჰორიზონტის მხარეები, გრადუსთა ბადე; შეუძლია განსაზღვროს ადგილის მდებარეობა;

ბ.ა.ა.ბ) ლეგენდის გამოყენებით სიმბოლოების აღქმა;

ბ.ა.ა.გ) მასშტაბის აღქმა - მასშტაბის გამოყენებით ადგილის და მანძილების შედარება, კარტოგრაფიული პროექციების განსხვავება;

ბ.ა.ბ) რუკებიდან და სხვა გეოგრაფიული საშუალებებიდან (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები, დიაგრამები და სხვა) მოპოვებული ინფორმაციის დაკავშირება გეოგრაფიულ ცოდნასთან და ამის საფუძველზე ადგილის, მოვლენისა და პროცესების დახასიათება, კანონზომიერებების დადგენა;

ბ.ა.გ) შეუძლია რელიეფის, ჰიდროგრაფიული ქსელის, რესურსების, განსახლებების, მოსახლეობის, სოციალური და ეკონომიკური სისტემების, სატრანსპორტო სისტემის შესახებ ინფორმაციის მოძიება-ანალიზი.

ბ.ა.დ) ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების თემატური ანალოგების შედგენა.

გ) მიმართულება გეოგრაფიული კვლევა:

გ.ა) თემატიკის შესაბამისი გეოგრაფიული კვლევის (მათ შორის საველეს) დაგეგმვა;

გ.ბ) პრობლემის, გეოგრაფიული კვლევის მიზნის, მისი გადაჭრის გზებისა და მიმართულების განსაზღვრა;

გ.გ) გეოგრაფიული კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, მონაცემთა ორგანიზება;

გ.დ) გეოგრაფიული კვლევის განსახორციელებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და დამუშავება;

გ.ე) გეოგრაფიული პრობლემის გადაჭრა, კვლევის შედეგების არგუმენტირებულად წარმოჩენა;

გ.ვ) გეოგრაფიული თემის სტრუქტურული ორგანიზაცია.

დ) მიმართულება გეოგრაფიული ინტერპრეტაცია:

დ.ა) გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების ადეკვატური გამოყენება;

დ.ბ) გავრცელებული გეოგრაფიული სტერეოტიპების კონტრარგუმენტაცია;

დ.გ) გეოგრაფიული ფაქტების მოსაზრებისგან განსხვავება;

დ.დ) გეოგრაფიული ინფორმაციის საფუძველზე პროგნოზების გაკეთება და მოდელების შექმნა (გეოგრაფიულ კონტექსტში);

დ.ე) სხვადასხვა ფორმატში (წერითი, ზეპირი, ვიზუალური) წარმოდგენილი ინფორმაციის გააზრება და აღქმად ფორმატში წარმოჩენა.

ე) მიმართულება კომუნიკაცია:

ე.ა) რუკებისა და სხვა გეოგრაფიული საშუალებების გამოყენებით საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა;

ე.ბ) გეოგრაფიული კვლევის შედეგების წარმოჩენისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა;

ე.გ) მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მსჯელობა;

ე.დ) გეოგრაფიული თემის დაწერა;

ე.ე) გეოგრაფიული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაოს დანაწილება, განხილვა და სხვ.;

ე.ვ) დამუშავებული გეოგრაფიული თემის პრეზენტაცია.

ვ) სამოქალაქო განათლება:

ვ.ა) მიმართულება კვლევა:

ვ.ა.ა) საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების, ადგილისა და მნიშვნელობის გაანალიზება;

ვ.ა.ბ) საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების ამოცნობა და გაანალიზება;

ვ.ა.გ) საზოგადოებრივი, რელიგიური, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, სახელმწიფო და ეკონომიკური ინსტიტუტების ფუნქციებისა და მნიშვნელობის გაანალიზება. დემოკრატიული პრაქტიკის ანალიზი ქვეყნის ინტერესებთან, ტრადიციებთან და ღირებულებებთან მიმართებაში.

ზ) მიმართულება შეფასება:

ზ.ა) საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში პოზიციის გამომუშავება და არგუმენტირებულად დაცვა;

ზ.ბ) საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში სხვადასხვა მიდგომისა თუ პოზიციის კრიტიკულად შეფასება;

ზ.გ) მოვლენების, პროცესებისა და პოზიციების შეფასებისას შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენება.

თ) მიმართულება კომუნიკაცია:

თ.ა) საზოგადოებრივი ინტერესების განსახორციელებლად მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

თ.ბ) საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობისას სხვადასხვა არგუმენტისა და გამოხატვის ფორმების მიზნობრივად გამოყენება;

თ.გ) იმ პროცესებსა თუ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა, რომლებიც ეხება მოსწავლეებისა და საკუთარ პიროვნულ განვითარებას, მშობლებისა და სკოლის, საზოგადოების ინტერესებს.

მუხლი 40 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელმა იცის:

ა) ისტორია

ა.ა) ისტორიის შესავალი:

ა.ა.ა.) ისტორიის დამხმარე დისციპლინები; ისტორიული წყაროები: წერილობითი, ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ზეპირი, ლინგვისტური, კინო, ფოტო, ფონოდოკუმენტები; მსოფლიოსა და საქართველოში ისტორიული აზრის განვითარება (ძველი სამყაროსა და შუა საუკუნეების მემატიანეები, ახალი ეპოქის ისტორიკოსები, XIX-XX საუკუნეების ისტორიკოსები).

ა.ა.ბ) დრო და კალენდარი: ისტორიული დროის ერთეულები: წელი, საუკუნე, ათასწლეული, წელთაღრიცხვის სისტემა; კალენდარი და დროის აღრიცხვის სისტემები (იულიუსის და გრიგორიანული კალენდრები).

ა.ა.გ) პრეისტორიული ეპოქა:

ა.ა.გ.ა) ადამიანის წარმოშობა და განვითარება; მისი განსახლება მსოფლიოში; ნეოლითური რევოლუცია; უძველესი რელიგიური წარმოდგენები; პრეისტორიული ეპოქის ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე.

ა.ბ) ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი;

ა.გ) ძველი აღმოსავლეთი:

ა.გ.ა) შუამდინარეთი (ადგილმდებარეობა, მოსახლეობა და მისი საქმიანობა, მითები და ღმერთები, ძველი ბაბილონი, ჰამურაბის კანონები; ახალასურული სამეფო); აქემენიანთა იმპერია (ადგილმდებარეობა, კიროს II და დარიოს I; სახელმწიფო მმართველობის სისტემა, დამწერლობა და რელიგია).

ა.დ) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა უძველესი გაერთიანებები. დიაოხი და კოლხა;

ა.ე) ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი:

ა.ე.ა) საბერძნეთის ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა და მისი საქმიანობა; რელიგია ადრეულ საბერძნეთში; ათენი; სპარტა; დიდი ბერძნული კოლონიზაცია; ბერძენ-სპარსელთა ომები; მაკედონიის აღზევება, ალექსანდრე მაკედონელის იმპერია და მისი დაცემა; კულტურა ძველ საბერძნეთში (განათლება, მეცნიერება, არქიტექტურა, ლიტერატურა, თეატრი, სპორტი). რომის დაარსება; იტალიის ბუნებრივი პირობები და მოსახლეობა; პატრიციები და პლებეები; რომის რესპუბლიკა (მისი დაარსება, მმართველობის სისტემა, ომი კართაგენთან, სამოქალაქო ომები, იულიუს კეისარი); რომის იმპერია (იმპერატორის ხელისუფლების დაარსება - ავგუსტუსი; იმპერიის ტერიტორია და მმართველობის სისტემა; ქრისტიანული რელიგია და მისი ფილოსოფიური არსი; ქრისტიანობის გავრცელება და ქრისტიანების დევნა; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; რომის იმპერიის ორად გაყოფა; რომი და ბარბაროსები; დასავლეთ

ა.ე.ბ) რომის იმპერიის დაცემა); კულტურა ძველ რომში (არქიტექტურა, ლიტერატურა, "პური და სანახაობა").

ა.ვ) საქართველო ანტიკურ ხანაში:

ა.ვ.ა) კოლხეთის სამეფო VI-III სს.; ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა; იბერიის სამეფო II-I სს. და რომაელთა ლაშქრობა საქართველოში; საქართველოსა და რომის ურთიერთობა I-II საუკუნეებში.

ა.ზ) ბიზანტიის იმპერია IV- XV:

ა.ზ.ა) სახელმწიფო მმართველობის სისტემა; იუსტინიანე დიდი და "რომის სამართლის კრებული;" ჰერაკლე კეისარი. საქართველო ირან-ბიზანტიის დაპირისპირებაში; არაბები და ბიზანტიის იმპერია; ლეონ III და ხატმებრძოლეობა; განხეთქილება მსოფლიო ეკლესიაში; თურქ-სელჩუკები და ბიზანტია; ბიზანტია და საქართველო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში; ბიზანტიის დასუსტება და დაცემა (XII-XVსს.).

ა.თ) დასავლეთ ევროპა შუა საუკუნეებში (V - XIV სს.):

ა.თ.ა) ხალხთა დიდი გადასახლება; ფრანკების სამეფო (კარლოს დიდი, ფრანკების იმპერიის დაცემა), ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპაში; ჯვაროსნული ლაშქრობები; შუა საუკუნეების ქალაქი (ქალაქების წარმოშობა, ხელოსნობა, ვაჭრობა, ქალაქის მმართველობა და ფენები; ყოფა); ეკლესია და სამღვდელოება; ინგლისი და საფრანგეთი XII-XIV სს. (თავისუფლების დიდი ქარტია, ინგლისის პარლამენტი, გენერალური შტატები, ასწლიანი ომი - ჟანა დ' არკი).

ა.ი) საქართველო IV-XIV სს.:

ა.ი.ა) ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვა საქართველოში; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება საქართველოში; ვახტანგ გორგასალი; "დიდი ომიანობა"; არაბობა საქართველოში (ისლამი და მისი ფილოსოფიური არსი, ჰაბიბ იბნ-მასლამას "დაცვის სიგელი," საქართველოში არაბთა მმართველობის სისტემა და ხარკი); საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოშობა (ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა; დავით კურაპალატი; ბაგრატ III; გიორგი I; ბაგრატ IV; გიორგი II; დავით IV); საქართველო XII საუკუნის მეორე ნახევარში (გიორგი III, თამარ მეფე); სახელმწიფოებრივი წყობილება და კულტურა XII-XIII საუკუნეებში; მონღოლთა ბატონობა საქართველოში (მონღოლთა ეკონომიკური და სოციალური ყოფა, მონღოლური მმართველობის დამყარება საქართველოში, ორმეფობა საქართველოში, ხალხის აღწერა და მონღოლური გადასახადები, დემეტრე თავდადებული; გიორგი V); თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მისი შედეგები.

ა.კ) დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, რუსეთი ახალ დროში (XV-XIX სს.):

ა.კ.ა) დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (ვასკო და გამა, კოლუმბი, მაგელანი); რენესანსი (მსოფლმხედველობა, მეცნიერება, ხელოვნება); რეფორმაცია (მარტინ ლუთერი, კალვინიზმი, რეფორმაცია ინგლისში, კონტრრეფორმაცია); აბსოლუტიზმი (ლუი XIV, მერკანტელიზმი); ინგლისის რევოლუცია (სამოქალაქო ომი, კრომველი, რევოლუციის შედეგები); განმანათლებლობა (ფრანგი განმანათლებლები, ეკონომიკური თეორიები ფიზიოკრატები, ადამ სმიტი); საფრანგეთის დიდი რევოლუცია (აბსოლუტიზმის კრიზისი, მონარქიის დამხობა, იაკობინელთა დიქტატურა, რევოლუციის შედეგები); ჩრდილოეთ ამერიკა (ომი დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა, ჯორჯ ვაშინგტონი, 1787 წლის კონსტიტუცია); რუსეთის სამეფო (მოსკოვის ცენტრალიზებული სამეფოს შექმნა - ივანე III და ივანე IV, პეტრე I, ეკატერინე II); ნაპოლეონის ეპოქა (ნაპოლეონის აღზევება, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა და საომარი კამპანიები; კონტინენტური ბლოკადა, 1812 წლის საომარი კამპანია რუსეთში, ბრძოლა ლაიფციგთან, ვატერლოოს ბრძოლა); ინდუსტრიული რევოლუცია(ინდუსტრიალიზაცია ინგლისში, ურბანიზაცია, სოციალური ცვლილებები); იმპერიალიზმის ეპოქა (იმპერიალისტური იდეოლოგია - ინგლისი და რუსეთი; კოლონიალიზმი - ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი; მარქსიზმი);

ა.ლ) საქართველო XV-XIX სს.:

ა.ლ.ა) ალექსანდრე დიდის მეფობა და ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად; ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ XVI-XVII სს. (ბრძოლა სიხოისტასთან, ამასიის ზავი, ლუარსაბ I და სიმონ I, სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის ოსმალეთის მფლობელობაში გადასვლა, თეიმურაზ I და ლუარსაბ II, გიორგი სააკაძე); ვახტანგ VI; თეიმურაზ II და ერეკლე II; სოლომონ I; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს.; ქართული კულტურა XVI-XVIII ს.ს.; რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება; აჯანყებები ქართლის მთიანეთში, კახეთში, იმერეთსა და გურიაში, 1832 წლის შეთქმულება; რუსეთის მთავრობის პოლიტიკა საქართველოში 30¬ 50-იან წლებში; რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო; ბატონყმობის გაუქმება საქართველოში; 60-70 წლების რეფორმები; "თერგდალეულები;" მარქსისტული მოძრაობა საქართველოში; პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების ჩამოყალიბება; ქართული კულტურა XIX საუკუნეში.

ა.მ) XX საუკუნე:

ა.მ.ა) საქართველო და მსოფლიო XX საუკუნის დასაწყისში; I მსოფლიო ომი და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია; საქართველო 1918-1921 წლებში; საქართველო და მსოფლიო 1921-1939 წლებში; II მსოფლიო ომი და საქართველო; მსოფლიო და საქართველო 1945-1985 წწ-ში ; "პერესტროიკა" და სსრკ-ს დაშლა; მსოფლიო და საქართველო პოსტსაბჭოთა ეპოქაში.

ბ) გეოგრაფია

ბ.ა) გეოგრაფიის შესავალი: გეოგრაფიის შესწავლის ობიექტი და მიზნები; გეოგრაფიული იდეების ჩამოყალიბების (ფორმირების) ისტორია; მოგზაურები და მოგზაურობები; გეოგრაფიული ცნებები და ტერმინები; გეოგრაფიის და გეოგრაფიული ცოდნის მნიშვნელობა; თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების სისტემა; გეოგრაფიული კვლევის მეთოდები: ტრადიციული (აღწერილობითი, შედარებით-გეოგრაფიული, კარტოგრაფიული) და თანამედროვე (მათემატიკური, აეროკოსმოსური, გეოინფორმაციული, მოდელირება); გეოგრაფიული პროგნოზირება; მდგრადი განვითარების კონცეფცია.

ბ.ბ) სივრცეში ორიენტაცია: რუკა, რუკის ენა; გლობუსი; ადგილის გეგმა; კომპასი; ჰორიზონტის მხარეები, გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, ტროპიკები და პოლარული წრეები, წელიწადის დროთა და დღე-ღამის ცვლა; სასაათო სარტყელები, თარიღთა ცვლის ხაზი; მასშტაბი; კარტოგრაფიული პროექციები; სხვადასხვა ხელსაწყოთი აზომვების ჩატარება (რუკასა და ადგილზე).

გ) ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები:

გ.ა) ამინდი და კლიმატი; ტემპერატურის ცვლილება განედის და სიმაღლის მიხედვით; ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები; ნალექები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები; ამინდის პროგნოზი; მეტეოროლოგიური ხელსაწყოების გამოყენების პრინციპი; კლიმატის გავლენა მიწათმოქმედებაზე, ტრანსპორტზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე; ატმოსფეროს დაცვა. ატმოსფეროსთან დაკავშირებული კატასტროფული მოვლენები;

გ.ბ) ჰიდროგრაფია (მდინარეები, ტბები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები, წყალსაცავები), გავლენა რელიეფზე, კლიმატზე, მეურნეობაზე; წყლის რესურსების მოცულობა, გამოყენება, დაცვა. წყალთან დაკავშირებული კატასტროფული მოვლენები; ზღვებისა და ოკეანეების მდებარეობა და განფენილობა; მარილიანობა, სიღრმე, სრუტეები, ყურეები, მიქცევა-მოქცევა, დინებები, სამეურნეო გამოყენება, დაბინძურება, დაცვა; დედამიწის ქერქი, ფილების მოძრაობა; დედამიწის ზედაპირის ცვლილება; რელიეფი, გეოლოგიური პერიოდები, ტექტონიკა, ენდოგენური და ეგზოგენური პროცესები; წიაღისეული რესურსები, რესურსების მდგრადი გამოყენება; აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, რელიეფის ფორმები, მისი გავლენა კლიმატზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, მეურნეობაზე;

გ.გ) ნიადაგის ტიპები და ნაყოფიერება, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ბიომრავალფეროვნება, მათი დაცვა, კონსერვაცია.

დ) საზოგადოებრივი გეოგრაფია:

დ.ა) გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები; სახასიათო ბუნებრივი ლანდშაფტები; ბუნებრივი რესურსები (გავრცელება, მნიშვნელობა, მდგრადი გამოყენება); ბუნებრივი რესურსები და მეურნეობის დარგები; რესურსების კლასიფიკაცია ამოწურვადობის მიხედვით; მიწის, წყლის, აგროკლიმატური, ტყის, მსოფლიო ოკეანის რესურსები; მოსახლეობა, მსოფლიოს დემოგრაფიული ვითარება (ისტორიული წარსულიდან დღემდე); სხვაობები და მსგავსებები ქვეყნების მიხედვით; რასები, ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა (გავრცელება).

დ.ბ) შობადობა, მოკვდაობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შრომითი რესურსები; რეგიონების და ქვეყნების სოციალურ-დემოგრაფიული კლასიფიკაცია (სიცოცხლის ხანგრძლივობა, შობადობა, მოკვდაობა, ჯანდაცვის და განათლების დონე); დემოგრაფიული გადასვლა; დემოგრაფიული პოლიტიკა; მიგრაცია; ურბანიზაცია და განსახლება; მოსახლეობის სიმჭიდროვე; დასახლების ტიპები; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, მოგზაურობა; მეურნეობის დარგები (ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ვაჭრობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, კომუნიკაციები); პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა; ქვეყნები მმართველობის ფორმის და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით; ქვეყნები საერთაშორისო სტატუსის და საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით; მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციები (გაერთიანებები).

დ.გ) ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (ჰუმანური განვითარების ინდექსი); გაეროს ქვეყნების ტიპოლოგია; გლობალიზაციის პროცესი;

დ.დ) კაცობრიობის მდგრადი განვითარების პერსპექტივა; უმნიშვნელოვანესი

გლობალური პრობლემები.

ე) საქართველოს გეოგრაფია:

ე.ა) ტერიტორიის ფორმირება; მდებარეობა და საზღვრები; საქართველო და კავკასია; ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა; ბუნება (მნიშვნელოვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები); ბუნებრივი რესურსები; მოსახლეობა (გეოგრაფია, აღწერა, დემოგრაფია, მიგრაცია, ურბანიზაცია); მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა; სახასიათო ბუნებრივი (მთის, ბარის, ზღვისპირა, ტყის) და ანთროპოგენული (რურალური, ურბანული) ლანდშაფტები; ინფრასტრუქტურა; მეურნეობის დარგები; კულტურული მრავალფეროვნება; საქართველო და ჰუმანური განვითარების ინდექსი; გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები; ბუნების დაცვა (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, დაცული ტერიტორიები, წითელი წიგნი და სხვა).

ვ) სამოქალაქო განათლება:

ვ.ა) საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლები და ძირითადი ცნებები:

ვ.ა.ა) სამყაროს, ადამიანისა და საზოგადოების წარმოშობის ძირითადი თეორიები;

ვ.ა.ბ) საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ძირითადი თეორიები;

ვ.ა.გ) კულტურის არსი, რაობა და მისი მრავალფეროვნება;

ვ.ა.დ) მეცნიერება და მეცნიერული აზროვნების ძირითადი თავისებურებები;

ვ.ა.ე) რელიგია, როგორც კულტურული ფენომენი;

ვ.ა.ვ) საზოგადოებრივი მეცნიერებების ძირითადი მიმართულებები და ობიექტები.

ზ) საზოგადოებრივი მეცნიერებებში გამოყენებული ძირითადი მეთოდები:

ზ.ა) დაკვირვება და ექსპერიმენტი;

ზ.ბ) მსჯელობა - ფაქტი და მოსაზრება;

ზ.გ) სტატისტიკა და ანალიზი;

ზ.დ) თეორიები და დასკვნები.

თ) ადამიანის უფლებები და თავისუფლებები:

თ.ა) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საფუძვლები;

თ.ბ) მათი განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;

თ.გ) უფლებებისა და თავისუფლებების არსი;

თ.დ) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია;

თ.ე) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები.

ი) კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა:

ი.ა) კონფლიქტი: მისი მართვა, გადაჭრა, ტრანსფორმაცია, კონფლიქტის ანალიზის ტექნიკები;

ი.ბ) კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიები და ტიპები;

ი.გ) სამშვიდობო განათლება;

ი.დ) მშვიდობა, როგორც პროცესი; მისი არსი და სწავლების სტრატეგიები;

ი.ე) ფორმალური და არაფორმალური სამშვიდობო განათლება.

კ) მშვიდობიანი თანაარსებობა და მრავალფეროვანი გარემო:

კ.ა) უმრავლესობა, უმცირესობები, მოწყვლადი ჯგუფები;

კ.ბ) თანასწორობა და დისკრიმინაცია;

კ.გ) ინტეგრაცია და ასიმილაცია;

კ.დ) სტერეოტიპები;

კ.ე) ტოლერანტობა: მისი არსი და განზომილებები.

ლ) დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები:

ლ.ა) დემოკრატიის საფუძვლები და პრინციპები;

ლ.ბ) დემოკრატიის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;

ლ.გ) დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში.

მ) ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მათი ურთიერთქმედება:

მ.ა) ამოქალაქო საზოგადოება: არასამთავრობო სექტორი, მედია, ინტერესთა ჯგუფები და საზოგადოებრივი გაერთიანებები.

ნ) მოქალაქეობა და მისი ასპექტები:

ნ.ა) მოქალაქეების სოციალური როლები;

ნ.ბ) მოქალაქის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა;

ნ.გ) საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქის მონაწილეობის ფორმები.

ო) გლობალური პრობლემები და მისი მოგვარების გზები:

ო.ა) სიცოცხლის უფლება და ბავშვთა სიკვდილიანობა;

ო.ბ) სოციალური დაავადებები - ალკოჰოლიზმი და ნარკომანია;

ო.გ) არასრულწლოვანთა დამნაშავეობა;

ო.დ) განათლება და მისი ხელმისაწვდომობა;

ო.ე) დევნილები და ლტოლვილები;

ო.ვ) სიღარიბე და მისი დაძლევის გზები;

ო.ზ) ადამიანი და გარემო;

ო.თ) მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები;

ო.ი) არათანაბარი განვითარება და კორუფცია;

ო.კ) ტრეფიკინგი;

ო.ლ) სახელმწიფოს ძლიერების თანამედროვე მახასიათებლები და გლობალიზაცია;

ო.მ) საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები.

პ) სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ძირითადი თეორიები:

პ.ა) ძირითადი პოლიტიკური თეორიები და მათი არსი;

პ.ბ) სახელმწიფოს ნიშნები, ფუნქციები, მოწყობა;

პ.გ) სახელმწიფოს ტიპები: მმართველობის ფორმები, საზოგადოებრივი წესწყობილება და პოლიტიკური რეჟიმები;

პ.დ) სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში და მისი განვითარების ეტაპები;

პ.ე) სამართლის წარმოშობა და განვითარება;

პ.ვ) სამართლებრივი სახელმწიფო და მისი მახასიათებლები;

პ.ზ) კანონის უზენაესობა და კანონიერება;

პ.თ) საერთაშორისო სამართალი (ჰუმანიტარული, გარემოსდაცვითი, ადამიანის უფლებების, შრომის და ა.შ.) და მისი მნიშვნელობა;

პ.ი) საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობა და მისი კავშირი საერთაშორისო სამართალთან (საქართველოს კონსტიტუცია).

ჟ) ეკონომიკის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და თეორიები:

ჟ.ა) ძირითადი ეკონომიკური სისტემები;

ჟ.ბ) ეკონომიკური კატეგორიები და კანონზომიერებები;

ჟ.გ) ბაზრები და მათი ტიპები;

ჟ.დ) ეკონომიკური საქმიანობის ტიპები, სტიმულები და კეთილდღეობა;

ჟ.ე) ფული და მისი ფუნქციები;

ჟ.ვ) ბიზნესის ორგანიზაცია და დაფინანსება;

ჟ.ზ) საზოგადოებრივი სარგებლობის საქონელი და მომსახურება;

ჟ.თ) სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და პოლიტიკა;

ჟ.ი) ეკონომიკური ურთიერთობების გარემო;

ჟ.კ) სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები.

მუხლი 41 - სწავლების მეთოდები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) გრძელვადიანი და მოკლევადიანი მისაღწევი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;

ა.ბ) სასწავლო თემის სასწავლო პროცესის საჭიროებებისათვის მისადაგება; საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს, ცოდნას, შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;

ა.გ) ცოდნის გადაცემის, უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარებისათვის სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა;

ა.დ) ისეთი შეფასების ტიპების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შემუშავება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შეფასდეს მოსწავლეთა როგორც ცოდნა, ასევე უნარ-ჩვევები;

ა.ე) შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და შეფასების ცხრილების შედგენა შემდეგი ტიპის აქტივობებისათვის: პრობლემის იდენტიფიკაცია, ინფორმაციის მოძიება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მათი ეფექტურობის შეფასება, ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების გამოყენება, ისტორიულ-გეოგრაფიული წყაროების ანალიზი, ისტორიული და გეოგრაფიული კვლევის დაგეგმვა, ჩატარება და პრეზენტაცია, საზოგადოებრივი მეცნიერებების თემებზე საკლასო დისკუსიებში მონაწილეობა, სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებების შესრულება და სხვა;

ა.ვ) სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე საგნის სწავლების სტრატეგიის შემუშავება და აქტივობების დაგეგმვა.

ბ) სწავლების პროცესის წარმართვა:

ბ.ა) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლის მოტივაციის ხერხების გამოყენება;

ბ.ბ) თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებისა და აქტივობების გამოიყენება, რათა მოსწავლეებს გაუღრმავდეთ ცოდნა და განუვითარდეთ უნარები ისტორიაში, გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებაში;

ბ.გ) მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებისა ხელშეწყობა;

ბ.დ) მოსწავლეებში საზოგადოებრივი მეცნიერებების საკითხებზე სადისკუსიო და წერითი უნარების განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ბ.ე) საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლის პროცესში ყველა მოსწავლის (მათი ინდივიდუალური თავისებურებების მიუხედავად) ჩართულობის უზრუნველყოფა;

ბ.ვ) აქტივობების ისეთნაირად წარმართვა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება;

ბ.ზ) მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი და მოხერხებული ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების, მედია და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნა);

ბ.თ) აქტივობების ისეთნაირად წარმართვა, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ საკუთარი კვლევისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი.

გ) შეფასება:

გ.ა) საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და სქემების შედგენა და გამოყენება;

გ.ბ) საზოგადოებრივ მეცნიერებებში მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგის წარმართვა;

გ.გ) საზოგადოებრივ მეცნიერებებში მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

გ.დ) მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმავად შეფასების მონაცემების გამოიყენება;

გ.ე) საკუთარი სწავლების შეფასება;

გ.ვ) მისთვის შეთავაზებული თანამედროვე სწავლების კონცეფციების, მეთოდებისა და ტექნიკის კრიტიკულად შეფასება.

დ)ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სწავლება მოსწავლის პიროვნული, კულტურული განვითარებისა და ესთეტიკური აღზრდის უზრუნველსაყოფად:

დ.ა) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარის განვითარებაში;

დ.ბ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას;

დ.გ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მაღალზნეობრივი ღირებულებების გამომუშავებასა და მაღალი გემოვნების განვითარებას;

დ.დ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ცოდნაზე დაფუძნებული პატრიოტიზმის განვითარებას;

დ.ე) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების პროფესიულ ორიენტაციის ჩამოყალიბებას.

თავი 17 - დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის უცხო ენების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მუხლი 42 - მოქმედების სფერო

ეროვნული სასწავლო გეგმა და დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის უცხო ენების მასწვალებლის სტანდარტი ევროსაბჭოს "ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს" მითითებების გათვალისწინებით შეიქმნა. სარეკომენდაციო ჩარჩო განსაზღვრავს ენის ფლობის სამ ძირითად დონეს: A, B და C. ეს სამი დონე ექვს განშტოებად იყოფა: A1, A2, B1, B2, C1, C2. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, უცხოური ენის მოსწავლის სტანდარტი მიზნად ისახავს B1 დონის დაძლევას. მასწავლებლის სტანდარტი შეესაბამება B2 დონის მოთხოვნებს.

მუხლი 43 - დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის უცხო ენების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის უცხო ენების მასწავლებელს შეუძლია:

ა) მიმართულება მოსმენა:

ა.ა) სამიზნე ენაზე მოსაუბრეთა საუბრის გაგება;

ა.ბ) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებული განცხადებებისა და ინსტრუქციების გაგება;

ა.გ) ფილმების ენის გაგება, თუკი არ გამოიყენება სპეციფიკური სლენგი;

ა.დ) გარკვევით, სტანდარტულ ენაზე ჩაწერილი საინფორმაციო აუდიოჩანაწერებისა და ტელე-რადიოგადაცემების (ინტერვიუ, რეპორტაჟი, სპორტული ანგარიში, ამინდის პროგნოზი, ახალი ამბები და სხვა) გაგება;

ა.ე) შინაარსობრივად რთულ მოხსენებებში ძირითადი ლედააზრის გაგება;

ა.ვ) პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირებით (მეთოდური, ინტერკულტურული ხასიათის) შინაარსობრივად რთული მოხსენებების გაგება;

ა.ზ) მოსმენის მიზნის განსაზღვრა და სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

ბ) მიმართულება ლაპარაკი:

ბ.ა) ბუნებრივად, დაუბრკოლებლად, შესაბამისი გამოთქმით გაბმულად ლაპარაკი და უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაციის დაცვა;

ბ.ბ) ყოფითი საკომუნიკაციო სიტუაციებისათვის თავის გართმევა (საკლასო ოთახში კომუნიკაცია, შეკვეთა, სასტუმროს დაჯავშნა, საქმიანი შეხვედრის დანიშვნა და სხვ.);

ბ.გ) ინტერაქციაში მონაწილეობა (აქტუალურ თემებზე საუბარში აქტიური მონაწილეობა);

ბ.დ) საკუთარი გრძნობების გამოხატვა და ოცნებების, იმედების, მიზნების გადმოცემა;

ბ.ე) სატელეფონო საუბრის წარმართვა;

ბ.ვ) დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, დასაბუთება, დამტკიცება, რჩევის მიცემა;

ბ.ზ) პროფესიულ თემაზე ზეპირი გამოსვლის მომზადება და წარმოდგენა;

ბ.თ) პრობლემის კრიტიკულად აღწერა: დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვეთა;

ბ.ი) ყოფითი სადავო სიტუაციების მოგვარება (მაგ.: მეზობელთან, ტრანსპორტის მძღოლთან, საჯარო მოხელესთან);

ბ.კ) საუბრისას ენობრივი - ლექსიკური და გრამატიკული ნორმების დაცვა;

ბ.ლ) მოსაუბრის, აუდიტორიის განსაზღვრა და შესაბამისი რეგისტრის (ფამილარული, თავაზიანი, ოფიციალური, ნეიტრალური) შერჩევა;

ბ.მ) ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

გ) მიმართულება კითხვა:

გ.ა) კორესპონდენციის - სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის, პირადი წერილის, საქმიანი წერილის (მათი ელექტრონული ვერსიის) გაგება;

გ.ბ) პრაგმატული ტექსტების (კულინარიული რეცეპტი, კატალოგი, სამარშრუტო გეგმა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, აბრა, რეცეპტი, ტელე-რადიოპროგრამა, უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი წარწერა, მენიუ, ბანკომატის, ან მობილური ტელეფონის ინსტრუქცია და სხვ.) გაგება;

გ.გ) შემეცნებით-ინფორმაციული ხასიათის ტექსტების (კულტურის, ბუნებისმეტყველების და სხვ. სფეროებიდან) გაგება;

გ.დ) პრესის (ინტერვიუ, რეპორტაჟი, ტელეპროგრამა, ქრონიკა, კომიქსი, აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები, მკითხველის გამოხმაურება და სხვა) გაგება;

გ.ე) მხატვრული ლიტერატურის (პოეზიის ნიმუშები, მემუარები, დღიური, რომანი, ნოველა, ესეი, ბიოგრაფია და სხვა) გაგება (საჭიროებისამებრ, ლექსიკონის დახმარებით);

გ.ვ) ბიოგრაფიის გაგება;

გ.ზ) პროფესიული/მეთოდური/დიდაქტიკური ტექსტების გაგება;

გ.თ) კითხვის სხვადასხვა მიზნის გამოკვეთა და შესაბამისი სტრატეგიების (გაცნობითი (ტექსტის კითხვა ზოგადი შინაარსის გასაგებად), შესწავლითი (ტექსტის კითხვა მისი დეტალური გაგების მიზნით), ძიებითი (ტექსტის კითხვა რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად)) გამოყენება.

დ) მიმართულება წერა:

დ.ა) პრაგმატული ტექსტების წერა: კულინარიული რეცეპტის, კვირის განრიგის, ანკეტის, ტელეპროგრამის, ტურისტული ბუკლეტის და სხვ. შექმნა; აპლიკაციის, ბლანკის, ანკეტის და სხვ. შევსება;

დ.ბ) მიმოწერა (ღია ბარათი, პირადი წერილი, საქმიანი წერილი და მათი ელექტრონული ვერსიები) და წერილის საშუალებით ინფორმაციის მოპოვება;

დ.გ) ბიოგრაფიის წერა;

დ.დ) შემეცნებით-ინფორმაციული ხასიათის ტექსტის წერა (ისტორიულ/ კულტურულ / საბუნებისმეტყველო საკითხებზე);

დ.ე) საგაზეთო სტატიების (განცხადების, გამოხმაურების) შექმნა;

დ.ვ) საკუთარი შეხედულების, დამოკიდებულების წერილობით გადმოცემა და დასაბუთება, პრობლემის წერილობით გამოხატვა;

დ.ზ) სასწავლებელში ან სამუშაო ადგილზე წარსადგენად საკუთარი მონაცემების (მაგ. ავტობიოგრაფია) წერა;

დ.თ) სამოტივაციო წერილის წერა;

დ.ი) წერისას ლექსიკური და გრამატიკული ნორმების დაცვა;

დ.კ) წერის მიზნის განსაზღვრა და წერის სტრატეგიების გამოყენება;

დ.ლ) წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის დაცვა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

მუხლი 44 - დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის უცხო ენების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

1. დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის უცხო ენების მასწავლებლის სტანდარტის შინაარსი არის იმ ენობრივი მასალის ნაკრები, რომელიც სტანდარტში დადგენილი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განსავითარებლად გამოიყენება. უცხო ენების მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს ქვემოთ

მოცემული ლექსიკისათვის განკუთვნილი ერთ-ერთი თემა.

2. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის უცხო ენების მასწავლებელმა იცის:

ა) პიროვნების იდენტიფიკაცია:სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, დაბადების ადგილი და თარიღი, ასაკი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, ეროვნება, წარმომავლობა, მოქალაქეობა, რელიგური კუთვნილება, სამუშაო ადგილი, გარეგნობა, ხასიათის თვისებები, ემოცია, გემოვნება, ურთიერთობები (მაგ.: ოჯახის წევრები, ნათესავები, მეზობლები, ნაცნობები);

ბ) საცხოვრებელი გარემო: ბინა, სახლი, ოთახის ტიპები (მაგ.: საძინებელი, სამზარეულო, სააბაზანო...), სახლის ნაწილები (მაგ.: სარდაფი, სახურავი, კიბე...), ავეჯი, დეკორაცია (მაგ.: ხალიჩა, ნახატი, სარკე...), კომუნალური გადასახადები(მაგ.: ქირა, დენის/წყლის/ტელეფონის/გათბობის გადასახადი...), ტექნიკური ხელსაწყოები (მაგ.: უთო, შხაპი, სარეცხი მანქანა, მაცივარი, ტელევიზორი...), ქალაქი (მაგ.: ქუჩა, ტროტუარი, ლამპიონი, გადასასვლელი...), სოფელი (მაგ.: მინდორი, ფერმა, ეზო...);

გ) დედამიწა და სამყარო: კოსმოსი (მაგ.: მზე, მთვარე, ვარსკვლავი, პლანეტა...), გეოგრაფია (მაგ.: ეკვატორი, ტროპიკი, ჩრდილოეთი, სამხრეთი...), კონტინენტები და სახელმწიფო (მაგ.: ჰიმნი, საზღვარი, დედაქალაქი...), ამინდი (მაგ.: ჰავა, წვიმა, თოვლი, მზე...), ლანდშაფტი (მაგ.: მთა, ბარი, ტყე...), ფლორა და ფაუნა (მაგ: შინაური და გარეული ცხოველები, ფრინველები, მწერები, მცენარეები, თევზები, ხეები, ყვავილები...);

დ) ყოფა: ძილი (მაგ.: სიზმარი, დაძინება, გაღვიძება), საუზმე, სადილი, ვახშამი, კერძის მომზადება, ბინის/სახლის მოვლა/დალაგება (მაგ.: სარეცხი, საუთოებელი, ქიმწმენდა...), საყიდლები (მაგ: სუპერმარკეტში, ბაზარში, საფუნთუშეში, საკანცელარიო მაღაზიაში, დახლი, სალარო, ფასი, წონა...);

ე) ჯანმრთელობა და ჰიგიენა: სხეულის ნაწილები, ბანაობა (მაგ.: სააბაზანო ნივთები), ჩაცმა (მაგ: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები, კოსმეტიკური საშუალებები, პარფიუმერია) საპარიკმახეროში (მაგ.: ვარცხნილობა, თმის ფერი...), ექიმთან (მაგ.: საავადმყოფო, დაზღვევა, ქირურგი, ანალიზი, რეცეპტი, წამალი, აფთიაქი...);

ვ) გართობა, თავისუფალი დრო, სპორტი, ჰობი: კაფე, რესტორანი, კინო (მაგ.: მსახიობი, რეჟისორი, სცენარი, ეკრანი...), კონცერტი (მაგ.: ოპერა, თეატრი, ბალეტი, სპექტაკლი, დრამა, კომედია...), დისკოთეკა, სტადიონი, სპორტის სახეობები, სპორტული ტერმინოლოგია და შეჯიბრები (მაგ.: ფეხბურთი, ჩოგბურთი, სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი, მსაჯი, ჩემპიონატი...), წიგნი (მაგ.: ნოველა, მოთხრობა, ავტორი, პოეზია, ყდა, გამოცემა...);

ზ) მედია: რადიო/ტელევიზია (მაგ.: გადაცემა, წამყვანი, პროგრამა...), ბეჭდური პრესა (მაგ.: ჟურნალი, გაზეთი, სტატია, სათაური, განცხადება...), ინტერნეტი (მაგ.: ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, ფორუმი, ჩეტი...), მობილური ტელეფონი (მაგ.: კლავიატურა, სმს, დარეკვა/ზარი...);

თ) ტრანსპორტი და მოგზაურობა/დასვენება:ველოსიპედი, ავტომობილი, ტაქსი (მაგ.: ავტომობილის მარკები, სალონი, ძარა, საბარგული, საბურავი...), ავტობუსი (მაგ.: რეისი, დანიშნულების ადგილი...), გემი (მაგ.: პორტი, კაიუტა, კაპიტანი...), თვითმფრინავი (მაგ.: აეროპორტი, ბარგი, საბაჟო, პასპორტი...), მეტრო და მატარებელი (მაგ.: სადგური, ესკალატორი, მიწისქვეშა გადასასვლელი...), ბილეთის აღება, დაჯავშნა, არდადეგები, შვებულება (მაგ.: ზამთრის კურორტი, თხილამური, ციგა, ზაფხულის კურორტი, გარუჯვა, ცურვა...), სასტუმრო (მაგ.: ნომერი, ჯავშანი, მომსახურება, რეგისტრაცია...);

ი) განათლება: სკოლა (მაგ.: გაკვეთილი, მასწავლებელი, სასკოლო ნივთები, სასკოლო საგნები...), უმაღლესი განათლება (მაგ.: უნივერსიტეტი, პროფესიული სასწავლებელი, ლექცია, დეკანი, გამოცდა, ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ხარისხი...);

კ) ბანკი: საბანკო ოპერაციები (მაგ.: ფულის გადარიცხვა, ანგარიშის გახსნა, ვალუტის გაცვლა...), ბანკომატი (მაგ.: პინ-კოდი, თანხის აღება...);

ლ) საქმიანი კონტაქტები: საქმიანობის წარმოჩენა/პრეზენტაცია, საქმიანი დოკუმენტაცია (მაგ.: სამოტივაციო წერილი, განაცხადის შეტანა, რეზიუმე, განცხადებაზე გამოხმაურება), საქმიანი შეხვედრა, სამსახური (მაგ.: სამუშაო საათები და გრაფიკი, დასაქმება, დასვენების დღეები, შემოსავალი, გადასახადები, პენსია, მივლინება, ხელმძღვანელი, ქვეშევრდომი...);

მ) საზოგადოებრივი ცხოვრება: პოლიტიკა, სახელმწიფო წყობა (მაგ.: არჩევნები, კანდიდატი, ხმის მიცემა, პარტია, პრეზიდენტი, პარლამენტი, მინისტრი, მთავრობა...), სოციალური მაჩვენებლები (მაგ.: ადამიანის უფლებები, ომი, მშვიდობა, ჯარი, სიმდიდრე, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, კრიმინალი, უმუშევრობა, ნარკომანია, პილიცია, სასამართლო...).

3. მეტყველების ტიპები: თხრობა, აღწერა, ახსნა-განმარტება, დასაბუთება:

ა) სამეტყველო ფუნქციები:

ა.ა) სოციალური ურთიერთობები: მისალმება, დამშვიდობება, მოკითხვა, პიროვნების/თავის წარდგენა, მობოდიშება, მადლობის გადახდა, კეთილი სურვილების გამოხატვა, წახალისება / შექება, შეთავაზება, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, მიმოწერის ეტიკეტი;

ა.ბ) ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები – სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, ეროვნება, წარმომავლობა, რელიგიური კუთვნილება, პროფესია/ხელობა. ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამინდი, სურვილები / საჭიროებები / მოთხოვნილებები /ოცნებები და სხვ.;

ა.გ) აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, საგნის/მოვლენის აღწერა, დადებითი/უარყოფითი შეფასება;

ა.დ) ემოციები და დამოკიდებულება: სიხარული, კმაყოფილება, ბრაზი, უკმაყოფილება, გულდაწყვეტა, სინანული, გაკვირვება, ინტერესი, ინდიფერენტულობა, დადებითი/უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება;

ა.ე) დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება (საათი, დღე-ღამის მონაკვეთი, თარიღი, წელიწადის დრო), ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა;

ა.ვ) სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობა, გზის/გეზის/მიმართულების/დანიშნულების ადგილის მითითება;

ა.ზ) ინსტრუქცია: ნების დართვა, აკრძალვა, რჩევა-დარიგება, თხოვნა;

ა.თ) ლოგიკური კავშირები: მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა.

4. ინგლისური ენის გრამატიკა

ა) არსებითი სახელი - Nouns:

ა.ა) რიცხვი - Number;

ა.ბ) თვლადი/უთვლადი - Countable/Uncountable forms;

ა.გ) ბრუნება - Possessive forms.

ბ) ნაცვალსახელი - Pronouns:

ბ.ა) ჩვენებითი - Demonstrative;

ბ.ბ) პირის - Personal;

ბ.გ) კუთვნილებითი - Possessive;

ბ.დ) მიმართებითი - Relative;

ბ.ე) კითხვითი - Interrogative;

ბ.ვ) განუსაზღვრელი - Indefinite;

ბ.ზ) უკუქცევითი/განსაზღვრებითი - Reflexive/Emphatic.

გ) არტიკლი - Articles:

გ.ა) განსაზღვრული/განუსაზღვრელი - Definite/Indefinite Articles.

დ) ზედსართავი სახელი - Adjectives:

დ.ა) შედარების ხარისხები - Comparation of ოფ Adjectives.

ე) რიცხვითი სახელი - Numerals:

ე.ა) რაოდენობითი/რიგობითი - Cardinal/Ordinal.

ვ) ზმნიზედა - Adverb:

ვ.ა) შედარების ხარისხები - Comparasion of Adverbs.

ზ) წინდებული - Prepositions:

ზ.ა) Types of Preposition (position, distance etc.).

თ) სიტყვის წარმოება - Word-building.

ი) ზმნა - Verb:

ი.ა) წესიერი/არაწესიერი, პირიანი/უპირო/მოდალური/ფრაზული - Regular/irregular, finite/non-,modal verbs, phrasal verbs;

ი.ბ) სრულმნიშვნელოვანი/დამხმარე - Main / Auxilary verbs;

ი.გ) გარდამავალი/გარდაუვალი - transitive / Intransitive Verbs.

კ) კავშირი - Conjuctions:

კ.ა) მაერთებელი / მაქვემდებარებელი - Coordinating/Subbordinating;

ლ) წინადადება - SentenceTypes:

ლ.ა) მარტივი/რთული თანწყობილი/ქვეწყობილი - Simpel/Compound/Complex;

ლ.ბ)მტკიცებითი/უარყოფითი/კითხვითი - Affirmative/Negative/Interrogative/Imperative;

ლ.გ) მთავარი/დამოკიდებული - Main clause, Subordinate clauses;

ლ.დ) წინადადების წევრები - Parts of the sentence.

5. რუსული ენის გრამატიკა

ა) მორფოლოგია - Морфология :

ა.ა) არსებითი სახელი - Имя существительное:

ა.ა.ა) Разряды имен существительных (конкретные, абстрактные, вещественные, собирательные,

разносклоняемые, несклоняемые);

ა.ა.ბ) Постоянные признаки: одушевленные, неодушевленные, собственные, нарицательные, род;

ა.ა.გ) Непостоянные признаки: число, падеж;

ა.ა.დ) Типы склонения;

ა.ა.ე) Синтаксическая роль: в предложении может являться подлежащим, дополнением, несогласованным определением и т.д.

ა.ა.ვ) Правописание имен существительных.

ა.ბ) ზედსართავი სახელი - Имя прилагательное:

ა.ბ.ა) Формы имен прилагательных;

ა.ბ.ბ) Разряды имен прилагательных (качественные, относительные, притяжательные);

ა.ბ.გ) Степени сравнения;

ა.ბ.დ) Непостоянные признаки: полное или краткое, степень сравнения, род, число, падеж;

ა.ბ.ე) Синтаксическая роль: в предложении может являться определением, именной частью составного сказуемого и т.д.;

ა.ბ.ვ) Правописание имен прилагательных.

ა.გ) რიცხვითი სახელი -Имя числительное:

ა.გ.ა) Простые, сложные, составные;

ა.გ.ბ) Разряды имен числительных (количественные, порядковые, собирательные, дробные);

ა.გ.გ) Непостоянные признаки: род, число, падеж;

ა.გ.დ) Склонение числительных;

ა.გ.ე) Синтаксическая роль: количественные - любой член предложения, порядковые - определение и т.д.;

ა.გ.ვ) Правописание имен числительных.

ა.დ.) ნაცვალსახელი - Местоимение:

ა.დ.ა) Разряды местоимений (личные, вопросительные, относительные, притяжательные, указательные, определительные, неопределенные, отрицательные, возвратное);

ა.დ.ბ) Склонение местоимений;

ა.დ.გ) Непостоянные признаки: лицо (только у личных), падеж, число, род;

ა.დ.დ) Синтаксическая роль: в предложении подлежащее, определение, дополнение и т.д.;

ა.დ.ე) Правописание местоимений.

ა.ე.) ზმნა და ზმნური კატეგორიები- Глагол и отглаголеные формы:

ა.ე.ა) ზმნა -Глагол :

ა.ე.ა.ა.) Инфинитив;

ა.ე.ა.ბ.) Постоянные признаки: вид, спряжение, переходность;

ა.ე.ა.გ) Непостоянные признаки: наклонение, число, время, лицо, род;

ა.ე.ა.დ) Спряжение, разноспрягаемые глаголы;

ა.ე.ა.ე.) Разряды глаголов (глаголы движения и т.д.);

ა.ე.ა.ვ.) Синтаксическая роль: в предложении неопределенная форма - любой член предложения, личные формы - сказуемое;

ა.ე.ა.ზ.) Правописание глаголов.

ა.ე.ბ) მიმღეობა - Причастие:

ა.ე.ბ.ა.) Постоянные признаки: время, залог, вид;

ა.ე.ბ.ბ.) Непостоянные признаки: форма (краткая, полная), род, число, падеж;

ა.ე.ბ.გ.) Склонение;

ა.ე.ბ.დ.) Синтаксическая роль: в предложении - определение, краткие страдательные - именная часть составного сказуемого;

ა.ე.ბ.ე.) Правописание причастий.

ა.ე.გ) აბსოლუტივი - Деепричастие:

ა.ე.გ.ა.) Постоянные признаки: неизменяемая форма, вид, переходность;

ა.ე.გ.ბ.) Синтаксическая роль: в предложении - обстоятельство;

ა.ე.გ.გ.) Правописание деепричастий.

ა.ვ) ზმნიზედა - Наречие:

ა.ვ.ა) Разряды наречий (места, времени, образа действия и т.д.);

ა.ვ.ბ) Категория состояния;

ა.ვ.გ) Синтаксическая роль: в предложении - обстоятельство;

ა.ვ.დ) Правописание наречий.

ა.ზ) თანდებული - Предлог:

ა.ზ.ა) Непроизводные, производные.

ა.თ) ნაწილაკი -Частица:

ა.თ.ა) Формообразующие, отрицательные, модальные.

ა.ი) კავშირი - Союз:

ა.ი.ა) Сочинительные, подчинительные.

ა.კ) შორისდებული - Междометие: Непроизводные, производные.

ა.ლ) ორთოგრაფია - Орфография:

ა.ლ.ა) Безударные гласные в корне слова;

ა.ლ.ბ) Согласные в корне слова;

ა.ლ.გ) Гласные и согласные в приставках;

ა.ლ.დ) гласные после шипящих и Ц;

ა.ლ.ე) Гласные И, Ы после Ц;

ა.ლ.ვ) Гласные (не после шипящих) в суффиксах существительных, прилагательных, глаголов и причастий;

ა.ლ.ზ) Согласные (кроме Н) в суффиксах существительных и прилагательных;

ა.ლ.თ) Гласные Е и И в окончаниях слов;

ა.ლ.ი) Одна и две буквы Н в суффиксах;

ა.ლ.კ) Буквы Ъ и Ь;

ა.ლ.ლ) Употребление заглавных букв;

ა.ლ.მ) Различие на письме приставок НЕ- и НИ- в местоимениях и наречиях и частиц НЕ и НИ;

ა.ლ.ნ) Слитное и раздельное написание омонимичных самостоятельных и служебных слов;

ა.ლ.ო) Непроверяемые орфограммы в словах;

ა.ლ.პ) Перенос слова;

ა.ლ.ჟ) Соединительные гласные в сложных словах.

ბ) სინტაქსი და პუნქტუაცია -Синтаксис и пунктуация :

ბ.ა) შესიტყვება -Словосочетание :

ბ.ა.ა) მარტივი წინადადება -Простое предложение:

ბ.ა.ა.ა) Подлежащее и способы его выражения;

ბ.ა.ა.ბ) Сказуемое и способы его выражения ;

ბ.ა.ა.გ) Второстепенные члены предложения;

ბ.ა.ა.დ) Виды простых предложений по цели высказывания, по эмоциональной окраске, по наличию главных членов, по наличию (отсутствию) второстепенных членов;

ბ.ა.ა.ე) Знаки препинания в конце предложения;

ბ.ა.ა.ვ) Тире в простом предложении.

ბ.ა.ბ) Простое осложненное предложение:

ბ.ა.ბ.ა) Однородные члены, знаки препинания при однородных членах;

ბ.ა.ბ.ბ) Обособленные члены, знаки препинания при обособленных членах ;

ბ.ა.ბ.გ) Обращение и междометия, знаки препинания в предложениях с обращением и междометиями;

ბ.ა.ბ.დ) Вводные слова, вводные и вставные конструкции, знаки препинания в предложениях с

вводными словами, вводными и вставными конструкциями.

ბ.ა.გ) რთული წინადადება - Сложное предложение :

ბ.ა.გ.ა.) Сложносочиненное предложение, знаки препинания в сложносочиненном предложении;

ბ.ა.გ.ბ) Сложноподчиненное предложение;

ბ.ა.გ.გ.) Виды сложноподчиненных предложений по значению, знаки препинания в сложноподчиненном предложении;

ბ.ა.გ.დ.) Типы бессоюзных предложений, знаки препинания в бессоюзном предложении.

ბ.ა.დ) პირდაპირი და ირიბი ნათქვამი, ციტატა - Чужая речь:

ბ.ა.დ.ა.) Прямая речь, знаки препинания в предложениях с прямой речью;

ბ.ა.დ.ბ.) Косвенная речь, знаки препинания в предложениях с косвенной речью;

ბ.ა.დ.გ.) Цитата, знаки препинания в цитатах.

ბ.ა.დ.დ.) დიალოგი - Диалог:

ბ.ა.დ.ე)Отделение друг от друга реплик в диалоге.

გ) ფონეტიკა - Фонетика:

გ.ა) Образование звуков языка;

გ.ბ) Гласные звуки;

გ.გ) Согласные звуки;

გ.დ) Чередование звуков;

გ.ე) Роль ударения в словах.

დ) ორთოეპია - Орфоэпия:

დ.ა) Произношение отдельных звуков, звукосочетаний, некоторых грамматических форм;

დ.ბ) Ударение.

ე) სიტყვაწარმოება - Словообразование:

ე.ა) Способы словообразования.

ვ) ლექსიკა - Лексика:

ვ.ა) Лексическое значение слова (однозначные, многозначные слова, прямое и переносное значение слов, омонимы, синонимы, антонимы);

ვ.ბ) Общеупотребительные и необщеупотребительные слова (диалектные, профессиональные и т.д.);

ვ.გ) Фразеология.

ზ) ტექსტი -Текст:

ზ.ა) Признаки текста: выраженность, автономность, цельность, упорядоченность, членимость, со-

отнесение содержания с темой;

ზ.ბ) Типы текста и их особенности : повествование, описание, рассуждение.

თ) მეტყველების სტილი - Стили речи, их функция и сфера употребления .

1. ფრანგული ენის გრამატიკა

ა) არსებითი სახელი - :

ა.ა) სქესი: მდედრობითი/მამრობითი -

ა.ბ) რიცხვი: მხოლობითი/მრავლობითი -

ბ) არტიკლი:

ბ.ა) განუსაზღვრელი არტიკლი, განსაზღვრული არტიკლი -

ბ.ბ) შერწყმული არტიკლი -

ბ.გ) ნაწილობითი არტიკლი -

გ) თვისებითი ზედსართავი სახელები -

გ.ა) სქესი: მდედრობითი/მამრობითი -

გ.ბ) რიცხვი: მხოლობითი/მრავლობითი -

გ.გ) შედარებითი და აღმატებითი ხარისხები -

დ) ნაცვალსახელოვანი ზედსართავი სახელები -

დ.ა) კუთვნილებითი -

დ.ბ) ჩვენებითი -

დ.გ) განუსაზღვრელი -

დ.დ) კითხვითი -

ე) რიცხვითი ზედსართავი სახელები -

ე.ა) რიგობითი -

ე.ბ) რაოდენობითი -

ვ) ნაცვალსახელები:

ვ.ა) მახვილიანი და უმახვილო პირის ნაცვალსახელები -

ვ.ბ) ნაცვალსახელი y და ენ -

ვ.გ) ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი და ირიბი დამატების ადგილი თხრობით და ბრძანებით კილოში -ვ.დ) კუთვნილებითი -

ვ.ე) ჩვენებითი -

ვ.ვ) განუსაზღვრელი -

ვ.ზ) კითხვითი -

ვ.თ) მიმართებითი -

ზ) ზმნა:

ზ.ა) I, II და III ჯგუფის ზმნები -

ზ.ბ) La სყნტახე დუ ვერბე (ლეს ვერბეს ინტრანსიტიფს, ტრანსიტიფს დირეცტს/ინდირეცტს, ვერბეს ჭ დოუბლე ცონსტრუცტიონ);

ზ.გ) ფორმე აცტივე/პასსივე, ფორმე პრონომინალე, ფორმე იმპერსონნელლე:

ზ.გ.ა) დამხმარე ზმნები -

ზ.გ.ბ) ზმნის პასიური ფორმა -

ზ.გ.გ) უკუქცევითი ზმნები -

ზ.გ.დ) უპირო ზმნები -

თ) თხრობითი კილო და მისი დროები -

თ.ა) ახლანდელი დროის გამოხატვა -

თ.ბ) მომავალი დროის გამოხატვა - მარტივი მომავალი -, უახლოესი მომავალი - წინარე მომავალი

თ.გ) წარსული დროის გამოხატვა -

თ.გ.ა) ნამყო უწყვეტელი -

თ.გ.ბ) წყვეტილი -

თ.გ.გ) წინარე წარსული -

თ.გ.დ) მარტივი წარსული -

თ.გ.ე) ურთიერთობა ნამყო უწყვეტელი/ წყვეტილი -

თ.გ.ვ) ურთიერთობა ნამყო უწყვეტელი /მარტივი წარსული -

თ.გ.ზ) დროთა შეთანხმება თხრობით კილოში -

ი) კავშირებითი კილო -

ი.ა) წარმოება -

ი.ბ) აწმყო კავშირებითი -

ი.გ) დროთა შეთანხმება კავშირებით კილოში -

კ) პირობითი კილო -

კ.ა) წარმოება -

კ.ბ) პირობითი კილოს დროები -

კ.ბ.ა) Le প্রেসেন্ট;

კ.ბ.ბ) Le পাস্সে.

ლ) ბრძანებითი კილო -

ლ.ა) წარმოება -

ლ.ბ) ფუნქციები -

მ) უპირო კილოები -

მ.ა) საწყისი კილო -

მ.ბ) მიმღეობა -

მ.ბ.ა) აწმყო მიმღეობა -

მ.ბ.ბ) გერუნდივი -

ნ) მმნიზელები -

ნ.ა) ადგილის მმნიზელები

ნ.ბ) დროის მმნიზელები -

ნ.გ) რაოდენობის აღმნიშვნელი მმნიზელები -

ნ.დ) ვითარების აღმნიშვნელი მმნიზელები -

ნ.ე) მტკიცებითი, უარყოფითი და კითხვითი მმნიზელები -

ნ.ვ) შედარებითი და აღმატებითი ხარისხები -

ო) წინდებულები - მარტივი და რთული -

პ) კავშირები -

პ.ა) მაერთებელი -

პ.ბ) მაკავშირებელი -

ჟ) შორისდებული -

რ) სიტყვათწარმოება -

ს) წინადადება -

ტ) წინადადების ტიპები -

ტ.ა) უარყოფითი წინადადება -

ტ.ბ) კითხვითი წინადადება (კითხვის დასმის სამი ფორმა) -

ტ.გ) ძახილის წინადადება -

უ) მარტივი წინადადებიდან რთულისკენ -

უ.ა) რთული თანწყობილი წინადადება -

უ.ბ) რთული ქვეწყობილი წინადადება -

უ.გ) მიმართებითი დამოკიდებული წინადადება -

უ.დ) დამატებითი დამოკიდებული წინადადება -

უ.ე) გარემოებითი დამოკიდებული წინადადება -

ცირცონსტანციელლეს.

ფ) ირიბი ნათქვამი -

ფ.ა) პირდაპირი ნათქვამი -

ფ.ბ) ირიბი ნათქვამი -

ფ.გ) ირიბი კითხვითი -

ქ) ლეს რელატიონს ლოგიცო -

ქ.ა) დროის გამოხატვა -

ქ.ბ) მიზეზის გამოხატვა -

ქ.გ) მიზნის გამოხატვა -

ქ.დ) ოპოზიციის გამოხატვა -

ქ.ე) პირობითობის გამოხატვა -

ქ.ვ) ინტენსივობისა და შედარების გამოხატვა -

2. გერმანული ენის გრამატიკა

1. გერმანული ენის გრამატიკა

ა) არსებითი სახელი და არტიკლი:

ა.ა) გასაზღვრული არტიკლი - der, die, das;

ა.ბ) მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი;

ა.გ) განუსაზღვრელი არტიკლი - ein;

ა.დ) არსებითი სახელის უარყოფა (უარყოფითი არტიკლი) - kein;

ა.ე) ნულოვანი არტიკლი - der Nulartikel;

ა.ვ) არსებითი სახელის კნინობითი ფორმები: chen\lein;

ა.ზ) ბრუნება განსაზღვრულ არტიკლთან ერთად (Nominativ, Genitiv Akkusativ, Dativ);

ა.თ) ბრუნება განუსაზღვრელ და უარყოფით არტიკლთან ერთად (ein/kein);

ა.ი) სუსტი ბრუნება განუსაზღვრელ და უარყოფით არტიკლთან ერთად;

ა.კ) გეოგრაფიული დასახელებები და მათი არტიკლები.

ბ) ნაცვალსახელი:

ბ.ა) პირის ნაცვალსახელები - Personalpronomen;

ბ.ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელები - Possesivpronomen (Possesivartikel);

ბ.გ) ჩვენებითი ნაცვალსახელები - Demonstrativpronomen;

ბ.დ) კითხვითი ნაცვალსახელები - Fragepronomen;

ბ.ე) განუსაზღვრელი და უარყოფითი ნაცვალსახელები - Indefinitpronomen/ Negativpronomen;

ბ.ვ) პირნაკლი ნაცვალსახელი - Unpersonliches pronomen «es»;

ბ.ზ) უკუქცევითი ნაცვალსახელები - Reflexivpronomen;

ბ.თ) მიმართებითი ნაცვალსახელები - Relativpronomen.

გ) ზედსართავი სახელი:

გ.ა) ზედსართავი სახელის შედარების ხარისხები: Positiv, Komparativ, Superlativ;

გ.ბ) ზედსართავი სახელის შეთანხმება არსებით სახელთან;

გ.გ) ზედსართავი სახელი არსებითის წინ;

გ.დ) შედარება (so+Adjektiv+wie, Komparativ+als);

გ.ე) ზედსართავი სახელის ბრუნება;

გ.ვ) ზედსართავი სახელის გაარსებითება.

დ) რიცხვითი სახელი:

დ.ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელი - Kardinalzahlen;

დ.ბ) რიგობითი რიცხვითი სახელი - Ordinalzahlen.

ე) წინდებული:

ე.ა) ბრალდებითი ბრუნვის წინდებულები - Prapositionen mit dem Akkusativ;

ე.ბ) მიცემითი ბრუნვის წინდებულები - Prpositionen mit dem Dativ;

ე.გ) მიცემითი და ბრალდებითი ბრუნვების საერთო წინდებულები Wechselprapositionen;

ე.დ) ნათესაობითი ბრუნვის წინდებულები - Prapositionen mit dem Genitiv.

ვ) ზმნა:

ვ.ა) ზმნის ფუძე და დაბოლოება - Verbstamm und Verbendung;

ვ.ბ) ზმნის ძირითადი ფორმები - Grundformen;

ვ.გ) სუსტი, ძლიერი, შერეული, დამხმარე, მოდალური, უკუქცევითი, თავსართმოცილებადი და შედგენილი (თავსართმოუცილებადი) ზმნები და მათი უღლება;

ვ.დ) აწმყო დრო - Presens;

ვ.ე) ნამყო წარსული - Preteritum;

ვ.ვ) ნამყო სასაუბრო დრო - Perfekt;

ვ.ზ) ნამყო წინარე დრო - Plusquamperfekt;

ვ.თ) მყოფადი დრო - Futur I;

ვ.ი) მყოფადი დრო - Futur II;

ვ.კ) ბრძანებითი კილო - Imperativ;

ვ.ლ) მიმღეობა - Partizip I;

ვ.მ) მიმღეობა - Partizip II;

ვ.ნ) ზმნის გარდამავლობა;

ვ.ო) ზმნური მართვა;

ვ.პ) ინფინიტიური კონსტრუქციები;

ვ.ჟ) ვნებითი გვარის წარმოება - Passiv;

ვ.რ) თხრობითი კილო - der Indikativ;

ვ.ს) კავშირებითი კილო - Konjuktiv II;

ვ.ტ) კავშირებითი კილო - Konjuktiv I;

ვ.უ) ირიბი თქმა;

ვ.ფ) ზმნის გაარსებითება.

ზ) ზმნიზედა:

ზ.ა) ადგილის, დროის და ვითარების გარემოების ზმნიზედები;

ზ.ბ) ზმნიზედის შედარების ხარისხები - Komparation der adverbien;

ზ.გ) კითხვითი და ჩვენებითი ნაცვალსახელური ზმნიზედები - Pronominaladverbien.

თ) კავშირი:

თ.ა) მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები: und, aber, oder, wenn, als, weil, obwohl, dass, bevor, bis, nachdem, seit, damit, deshalb, entweder oder, immer wenn, um zu, ohne zu, (an)statt zu.

ი) ნაწილაკი:

ი.ა) etwa, mal, denn, fast, sehr, doch, wirklich, etwas, ziemlich, ganz, wenigstens, eigentlich, besonders, schlieslich.

კ) სიტყვაწარმოება:

კ.ა) რთულის სიტყვის წარმოება - Komposita;

კ.ბ) სუფიქსები და პრეფიქსები Vorsilben und Nachsilben -isch, -lich, ig, -los, -voll, -arm, -reich და სხვა;

კ.გ) die -in, die -heit, die-ung, die-keit, die -tat, die-tion, die-ie, die-ei, die-schaft და სხვა.

ლ) წინადადება:

ლ.ა) მტკიცებითი წინადადება - der Aussagesatz ;

ლ.ბ) არაკითხვითსიტყვიანი წინადადება - die Satzfrage;

ლ.გ) კითხვითსიტყვიანი წინადადება - die Wortfrage;

ლ.დ) ბრძანებითი წინადადება - der Aufforderungssatz;

ლ.ე) მთავარი და დამოკიდებული წინადადება - der Hauptsatz unda der Nebensatz;

ლ.ვ) რთული თანწყობილი წინანადება - die Satzverbindung/die Satzreihe;

ლ.ზ) რთული ქვეწყობილი წინადადება - das Satzgefuge;

ლ.თ) დამოკიდებული წინადადების ტიპები: der Temporalsatz, der Konitionalsatz, der Kasualsatz, der

Konzessuvsatz, der Modalsatz, der Komparativsatz, der Adverativzatz, der Finalsatz, der Konsekutivsatz, der Lokalsatz, der Relativsatz;

ლ.ი) წინადადების წევრები die Satzteile (Satzglieder): das Subjekt, das Pradikat, (თანამედროვე წყაროებში დას Verb), das Objekt, die Praikative Bestimmung, die Adverbialbestimmung, das Attribut.

მუხლი 45 - სწავლების მეთოდები

დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის უცხო ენების მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით ტექსტების შერჩევა და საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა მოსმენის/კითხვის უნარ-ჩვევის განსავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი დაძლევადი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მოსასმენი/საკითხავი დავალებების შერჩევა ან შედგენა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის ეტაპობრივად ამოცნობას;

ა.ბ) მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა ენობრივი, ზეპირი, წერითი უნარ-ჩვევის განსავითარებლად; დასახული მიზნების შესაბამისი, განსხვავებული სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა ცოდნის ათვისების პირველი (წვდომა-გაგება), მეორე (გავარჯიშება) თუ მესამე (დაუფლების) ფაზისათვის;

ა.გ) გრძელვადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განსავითარებლად: სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა, ამ მიზნების შესაბამისი დავალებების შერჩევა თუ შედგენა, მოსალოდნელი შედეგის შინაარსისა და მიზნების რუკის შედგენა, რომელშიც აისახება პროდუქტის შექმნისათვის საჭირო გრამატიკული მექანიზმები, ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები, საჭირო ენობრივი თუ საკომუნიკაციო უნარები (წინადადებების/აბზაცების აზრობრივი გადაბმა-შეკავშირება, ენობრივი კონსტრუქციის, გრამატიკული ფორმების გამოყენება, იდეების ორგანიზება, სტილის დაცვა და სხვა); ამ რუკაზე დაფუძნებით შუალედური და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა და მათი შესაბამისი განსხვავებული ტიპისა და სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა ცოდნის ათვისების პირველ (წვდომა-გაგება), მეორე (გავარჯიშება) თუ მესამე (დაუფლების) ფაზისათვის, დასახული გრძელვადიანი მიზნის ეტაპობრივად განსახორციელებლად;

ა.დ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა (მაგ.: პროექტი, აქტივობები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერდისციპლინარული აქტივობები/პროექტები): მიზნების განსაზღვრა, სხვა საგნებთან კავშირის დადგენა, მიზნების შესაბამისი იდეის/თემის, დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობისა და ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზების და საშუალებების განსაზღვრა;

ა.ე) გაკვეთილისთვის შერჩეული სავარჯიშოების/დავალებების განსახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა; შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

ბ)შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილების (საგაკვეთილო პროცესის) წარმართვა:

ბ.ა) გაკვეთილების ჩატარება გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას საკითხავი/მოსასმენი ტექსტის მიმართ, მაგალითად: ტექსტის შერჩევისას მოსწავლეთა შესაძლებობის, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, წინმსწრები სამოტივაცო აქტივობების გამოყენება _ ვარაუდების გამოთქმა, შინაარსის/ინფორმაციის მოსწავლის პირად

გამოცდილებასთან დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, საინტერესო ამოცანების დასმა და სხვა;

ბ.გ) მოსწავლეთა მოტივირება უცხოურ ენაზე ზეპირ, თუ წერით აქტივობაში ჩასაბმელად, მაგალითად: სახალისო საკომუნიკაციო სიტუაციების, მოსწავლის ინტერესებთან და პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული თემების/საკითხების შერჩევა, თვითგამოხატვის საშუალების შეთავაზება, არჩევანის (თემა, აღრესატი, ფორმატი) საშუალების მიცემა, დაძლევადი სასაუბრო ამოცანების შეთავაზება და სხვა;

ბ.დ) მოსწავლეებისათვის მოსასმენი/საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება და მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა, მაგალითად: ნაცნობ/არავერბალურ ელემენტებზე დაფუძნებით უცნობი ელემენტების ამოცნობა, მოსმენის/კითხვის მიზნის გათვალისწინება, კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება (გაცნობითი/ძიებითი/შესწავლითი კითხვა) ლექსიკონის გამოყენება/შედგენა და სხვა;

ბ.ე) მოსწავლეებისათვის სამეტყველო/წერითი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება, მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა, მაგალითად: იდეების ჩამოწერა/დახარისხება, დაგეგმვა, საჭირო ენობრივი მასალის (საკვანძო სიტყვები, გრამატიკული სტრუქტურა, ზმნის დრო და სხვა) თავმოყრა, სამუშაო ვარიანტის გაუმჯობესება თვითშეფასების/თანაშეფასების გზით, საკომპენსაციო საშუალებების გამოყენება, მეწყვილესთან გავარჯიშება და სხვა;

ბ.ვ) ენობრივ-ლექსიკური ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება, მოსწავლეების სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა, მაგალითად: გრამატიკულ მოდელებზე დაკვირვება და მექანიზმების/კანონზომიერების დამოუკიდებლად ამოცნობა, სქემების, სტრუქტურული მოდელების გამოყენება გავარჯიშების პროცესში, პირადი ლექსიკონის შედგენა, დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება და სხვა;

ბ.ზ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის ჩაბმას მოსასმენ/საკითხავ/გრამატიკულ აქტივობებში, მაგალითად: დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, მოსასმენი/საკითხავი/გრამატიკული ამოცანების დასმა, კლასში პასუხების/მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, მოსწავლეთა ტექსტთან/გრამატიკულ მოდელებთან მიბრუნება მოსაზრებების დასაბუთების მიზნით, კონტექსტზე დაფუძნებით ამოცნობის, ვარაუდების გამოთქმის ხელშეწყობა და სხვა;

ბ.თ) მიღწევების დამოუკიდებლად გაუმჯობესების უნარ-ჩვევების ხელშეწყობა, მაგალითად: მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასების და თანაშეფასების პროცესში; ხელშეწყობა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ პრობლემები, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, აღმოფხვრან ხარვეზები, მოიძიონ პრობლემათა გადაჭრის გზები, გამოიყენონ/შექმნან რესურსები (მოდელები, ცნობარი, ტაბულები, ლექსიკონი), სამუშაო დაყონ მონაკვეთებად და სხვა;

ბ.ი) დავალების ინსტრუქციების ნათლად ჩამოყალიბება/ინტერპრეტირება.

გ)მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასებისას:

გ.ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მდგომარეობის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე ფაზაში (I. წვდომა; II. გავარჯიშება; III. დაუფლება), კონკრეტული პრობლემების გამოვლენა, მათი წარმომშობი მიზეზების და სათანადო აქტივობების დაგეგმვა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად;

გ.ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე ფაზაში;

გ.გ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების

შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეული კრიტერიუმის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;

გ.დ) შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (შემოქმედებითობა, თანამშრომლობის უნარი, ორგანიზებულობა და სხვა).

ღ)დაწყებითი საფეხურზე უცხოური ენის სწავლა/სწავლების სპეციფიკის გათვალისწინება:

ღ.ა) სტანდარტის მოთხოვნებზე დაფუძნებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისას უპირატესობის მინიჭება სწავლების ისეთი სტრატეგიებისათვის, რომლებიც ააქტიურებს სენსორულ (ხედვა, ყნოსვა, გემო, სმენა, შეხება), კინესთეტურ (რეცეპტორების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც ადამიანი აღიქვამს მოძრაობას), მოტორულ სისტემებთან და წარმოსახვასთან დაკავშირებულ აზროვნების (არაანალიტიკურ) პროცესებს, მაგალითად: მასალის ახსნისას თვალსაჩინოებების, ანალოგიების, იგავური ენის, მეტაფორების, მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენება, მასალის ასათვისებლად თუ ცოდნის შესაფასებლად როლების გათამაშება, მინისპექტაკლების დადგმა, დახატვა-გაფერადება, მასალის მანიპულირება, ლოტოებით თამაში, მუსიკის მოსმენა, სიმღერა, განსახიერება და სხვა;

ღ.ბ) კითხვის ორი უნარ-ჩვევის - ხმამაღალი კითხვის და კითხვა-გაგების ერთმანეთისაგან გარჩევა და ორივე უნარის წარმატებით განსავითარებლად სწავლების სათანადო სტრატეგიების გამოყენება, ასევე კითხვის ჩუმი და ხმამაღალი ტექნიკების დანიშნულებისამებრ გამოყენება;

ღ.გ) წერის სამი უნარ-ჩვევის - მოტორიკის, კოდირების ანუ ბგერების ასოებად ქცევისა და შექმნა-შედგენის ერთმანეთისაგან გარჩევა და სამივე უნარის განსავითარებლად სათანადო აქტივობების გამოყენება;

ღ.დ) მოზარდების კომუნიკაციური უნარ-ჩვევის დაუფლებისათვის მომზადება: განსავითარებელი უნარების (მოსმენა-გაგება, სმენითი დისკრიმინაცია ანუ ბგერების სმენით გარჩევა, ხედვითი დისკრიმინაცია ანუ თვალით ასოების/მარცვლების/სიტყვების გარჩევა, მხედველობითი მეხსიერება, გამოთქმა, ტექსტების ზეპირად თქმა, ინტერაქცია, სიტყვების/მინიტექსტის გაგება კითხვის ჩუმი ტექნიკის გამოყენებით, ხმამაღალი კითხვა, ასოების მოხაზვა, სიტყვების გამოწერა, მინიტექსტის შედგენა და სხვა) გაცნობიერება და დაწყებითი საფეხურის ამა თუ იმ ეტაპზე პრიორიტეტული უნარებისა და მათი განვითარებისათვის სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა.

ე)უცხოური ენის სწავლება მოსწავლის პიროვნული, კულტურული და ინტერკულტურული განვითარების უზრუნველსაყოფად როგორც დაწყებით, ისე საბაზო თუ საშუალო საფეხურზე:

ე.ა) მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების/ამოცანების შეთავაზება, რომლებიც ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას;

ე.ბ) მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების/ამოცანების შეთავაზება, რომელთა გადაჭრაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას;

ე.გ) სოციალურ-კულტურული და კულტურული თვალსაზრისით მდიდარი რესურსების შერჩევა და მათზე დაფუძნებით ისეთი აქტივობების აგება, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესს გამოიწვევს;

ე.დ) ისეთი აქტივობების შერჩევა ან შედგენა, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გაავლონ პარალელი უცხოურ და მშობლიურ სოციოკულტურულ სამყაროებს შორის, ამოიცნონ და გააანალიზონ მსგავსებები და განსხვავებები, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები.

ვ)პირველი უცხოური ენის და მეორე უცხოური ენის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინება და გამოყენება.

თავი 18 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სტანდარტი

მუხლი 46 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს შეუძლია

ა) მიმართულება ჯანმრთელობა და უსაფრთხოება:

ა.ა) მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება ჯანსაღი ცხოვრების წესის როლსა და მოზარდის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას შორის;

ა.ბ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება ჯანსაღი ცხოვრების წესის როლსა და საზოგადოებაში პიროვნების წარმატებული ინტეგრაციის პროცესს შორის;

ა.გ) მოზარდის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში შესაძლო საფრთხეების ანალიზი (იცნობს უსაფრთხოების წესებს, სხვადასხვა მოქმედების ხერხებს და ფლობს შესაძლო კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლის საშუალებებს).

ბ) მიმართულება მოძრაობა და მოტორული უნარ-ჩვევები:

ბ.ა) ფიზიკური აქტივობის ყველა ძირითადი და აუცილებელი სამოძრაო უნარის წარმოჩენა;

ბ.ბ) სასკოლო და კლასგარეშე გუნდური თამაშების აღწერა-შემუშავება;

ბ.გ) სპორტული თამაშის ძირითადი წესების ჩამოყალიბება;

ბ.დ) უნარშეზღუდული მოზარდების ინტეგრაცია თანატოლებთან და მათი ჩართვა გუნდურ თამაშებში.

გ) მიმართულება აქტიური მონაწილეობა:

გ.ა) ორგანიზმის გაკაქებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის აუცილებელი ფიზიკური აქტივობების დანერგვა და განვითარება;

გ.ბ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ლაშქრობების დროს ქცევის სავალდებულო წესების აღწერა-შემუშავება;

გ.გ) კლასგარეშე აქტივობების (შრომითი, სპორტული, საზოგადოებრივი და სხვა) აღწერა-შემუშავება.

მუხლი 47 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში იცის:

ა) მოძრაობის საფუძვლები, მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისა და სხეულის სრულყოფისათვის აუცილებელი ვარჯიშები, მათი აუცილებლობა, პრაქტიკული მნიშვნელობა, სარგებლიანობა, რიგითობა, სიხშირე და ა.შ. (ჯგუფური და ინდივიდუალური კომპლექსური ვარჯიშები, მათი კლასიფიკაცია სხეულის სხვადასხვა ნაწილის, სამოძრაო უნარების, მოქნილობისა და სპორტული თამაშების დაუფლების შესაძლებლობათა მიხედვით), სავარჯიშო კომპლექსების მოდიფიკაცია კონკრეტულ მიზნებთან მიმართებაში, ძირითადი სპორტული სახეობები (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, დამატებით, შესაძლოა: ქართული ჭიდაობა, ხელბურთი, რაგბი, ჩოგბურთი, ცურვა, სათხილამურო სპორტი, ყინულზე სრიალი, ჰოკეი);

ბ) აქტიური შრომა და დასვენება, კლასგარეშე აქტივობების (შრომითი, სპორტული, საზოგადოებრივი და სხვა) მნიშვნელობა, სასკოლო და რეგიონალური საზოგადოებრივი აქციების მნიშვნელობა, სასკოლო და რეგიონალური სპორტული შეჯიბრებების მნიშვნელობა, სასკოლო და რეგიონალური სხვადასხვა ხანგრძლივობის და სირთულის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღაშქრობების მნიშვნელობა;

გ) რაციონალური კვება, საკვების მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის, ჯანმრთელობისათვის მავნე და სასარგებლო საკვები, საკვების რაციონის (კალორიულობის, ხარისხის და რაოდენობის) ზეგავლენა ჯანმრთელობაზე, კვების რეჟიმი, სპორტული დიეტა;

დ) პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ანატომიურ-ფიზიოლოგიური აგებულება, ფიზიკური აღზრდის ჰიგიენა, სხეულის მოვლის წესები და პროცედურები, ტრავმატიზმის პროფილაქტიკა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოხმარების უსაფრთხოების წესები, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის წესები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული პოტენციური საფრთხეები, მათგან თავის დაღწევის ხერხები და დახმარების გაწევის საშუალებები, პროფილაქტიკური მედიკამენტები და მათი დანიშნულება, ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის ურთიერთკავშირი, თავის დაცვა სხვადასხვა დაავადებისაგან, რეგულარული სამედიცინო შემოწმების მნიშვნელობა;

ე) მავნე ჩვევები (უარყოფითი ზეგავლენა და მათზე უარის თქმა), ჰიპოდინამია, თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მავნე ზემოქმედება, არაჯანსაღი სქესობრივი ურთიერთობები, მავნე ჩვევების გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე და ხასიათზე (აპათია, აგრესია, დეპრესია, ყურადღების გაფანტვა, მეხსიერების დაქვეითება და სხვა);

ვ) ადამიანთა ურთიერთობა, თანაცხოვრების პრინციპების დაცვა, უმწეოთა მიმართ თანაგრძნობა, თვითკონტროლის და სხვათა კონტროლის მექანიზმები, სპორტული თამაშის ძირითადი წესები, პატიოსანი თამაშის წესები, ტოლერანტობა (უნარშეზღუდული ადამიანების, საპირისპირო სქესის, სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, რელიგიის (და ა.შ.) წარმომადგენელთა მიმართ), სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებასთან ურთიერთობა;

მუხლი 48 - სწავლების მეთოდები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) ჯანსაღი ცხოვრების წესის შემადგენელი ელემენტების სწავლა-სწავლების პროცესისთვის საჭირო გაკვეთილების დაგეგმვა იმგვარად, რომ გამოიწვიოს მოსწავლეთა მაქსიმალურ დაინტერესება, მოტივაციის აღძვრა; ხელი შეუწყოს დასახული მიზნების თანმიმდევრულად მიღწევას, კლასის ორგანიზებას, მართვას, მოსწავლეთა შემოწმებისა და შეფასებისათვის საჭირო ხერხებისა და მეთოდების წარმატებით გამოყენებას;

ა.ბ) მოსწავლეების მოთხოვნილებებზე (კონკრეტული მოსწავლისა და კლასის შესაძლებლობებზე, მიღწევებზე, წარუმატებლობაზე) ორიენტირებული კვლევის წარმოება. ამ მიზნიდან გამომდინარე, კოლეგებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მაქსიმალურ მიღწევას;

ა.გ) ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირებისათვის აუცილებელი აქტივობების დაგეგმვა: სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით მასალების შერჩევა და საგაკვეთილო კომპლექსური მიზნების განსაზღვრა; ამ მიზნების განსახორციელებლად აუცილებელი უნარების გამომუშავება (უსაფრთხოების დაცვა, ჰიგიენური და საყოფაცხოვრებო საქმიანობა და ა.შ.); მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისი, დაძლევადი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის დავალებების (ქმედებები, სავარჯიშოები,

სიტუაციური ამოცანები) შერჩევა/შედგენა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების სტილის ეტაპობრივად განვითარებას;

ა.დ) ჰიგიენური და უსაფრთხოების წესების შესწავლისათვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა: სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით მოკლევადიანი საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა, დასახული მიზნების შესაფერისი, სხვადასხვა სირთულის დავალებების შერჩევა/შემუშავება;

ა.ე) კომპლექსური ხასიათის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოძრაობითი და მოტორული უნარ-ჩვევევების განვითარებისთვის აუცილებელი აქტივობების დაგეგმვა:

ა.ე.ა) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის განვითარებისთვის შესაბამისი გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა;

ა.ე.ბ) ამ მიზნების შესაბამისი კომპლექსური ვარჯიშების შერჩევა/შემუშავება;

ა.ე.გ) მოსალოდნელი შედეგის შინაარსისა და მიზნების რუკის შედგენა, რომელშიც აისახება შედეგის მისაღწევად საჭირო ვარჯიშები (კიდურების, პრესის, კისრის, თავის, სუნთქვითი და სხვა), მათი თანმიმდევრობა, ინტენსივობა და ა.შ.;

ა.ე.დ) ამ რუკაზე დაყრდნობით მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა და მიზნების შესაბამისი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის ვარჯიშების შერჩევა/შემუშავება, რომლებიც მოსწავლეებს ეტაპობრივად განუვითარებს კომპლექსურ, სასიცოცხლო მნიშვნელობის მოძრაობით და მოტორულ უნარ-ჩვევევებს.

ა.ვ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი კომპლექსური ხასიათის ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა (გუნდური თამაშების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ლაშქრობების, სპორტული შეჯიბრებების, მარტივი პროექტების და სხვათა გამოყენებით): მიზნების განსაზღვრა, სხვა საგნებთან კავშირების და ინტეგრაციის გზების მოძებნა, მიზნების შესაბამისი დავალებების და აქტივობების შერჩევა/შემუშავება, მონაწილეთა რაოდენობისა და ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზების და საშუალებების განსაზღვრა;

ა.ზ) დაგეგმილ აქტივობათა განხორციელებისათვის საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: გუნდური, ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა;

ა.თ) დასახული მიზნების გათვალისწინებით დავალებათა/ვარჯიშთა კომპლექსების სათანადო რაოდენობის განსაზღვრა ცოდნის ათვისების პირველი (წვდომა-გაგება), მეორე (გავარჯიშება) თუ მესამე (დაუფლების) ფაზისათვის;

ა.ი) დაგეგმილი გაკვეთილისთვის შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

ბ) შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილების (საგაკვეთილო პროცესის) წარმართვა:

ბ.ა) დაგეგმილი გაკვეთილების პრაქტიკაში დანერგვა;

ბ.ბ) მოსწავლეთა მოტივირება ცხოვრების ჯანსაღი წესის ფორმირებისთვისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მოძრაობითი და მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის აუცილებელ აქტივობებში ჩასაბმელად: სახალისო პრობლემური სიტუაციების, მოსწავლის ინტერესებთან და პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული პრობლემების/საკითხების/ვარჯიშთა კომპლექსების შერჩევა/შემუშავება; ვარჯიშების და თამაშების შერჩევისას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, წინმსწრები სამოტივაცო აქტივობების შემუშავება _ ვარაუდების გამოთქმა, დაგეგმილი ვარჯიშთა კომპლექსების დაკავშირება მოსწავლეთა პირად გამოცდილებასთან, საინტერესო აქტივობების მოფიქრება, მოსწავლეებში არსებული უნარების აქტივაცია, თვითგამოხატვის საშუალების მიცემა, სიტუაციური ამოცანების გადაჭრის გზების ძიება,

ინდივიდუალური, კომპლექსური, სისტემატიზებული ვარჯიშების შეთავაზება და სხვა;

ბ.გ) მოსწავლეებისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაუფლებისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მოძრაობითი და მოტორიკის უნარ-ჩვევების, აგრეთვე, საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება, მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა: დაგეგმვა, შესაბამისი რესურსების გამოყენება და შექმნა, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, თვითშეფასებასა და თანაშეფასებაში მონაწილეობა, პრობლემების, სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, ხარვეზების აღმოფხვრის, პრობლემათა გადაჭრის გზების დამოუკიდებლად ძიება;

ბ.დ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს ყოველი მოსწავლის ჩაბმას აქტივობებში (მათ შორის არასათანადო ფიზიკური მდგომარეობის მქონე და უნარშეზღუდული მოზარდების): დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით (მათ შორის ინკლუზიური სწავლება), დარბაზში შესრულებული აქტივობების შედარება-გაანალიზება, ცალკეულ ვარჯიშებთან მიბრუნება მათი სრულყოფილად დაუფლების მიზნით და სხვა;

ბ.ე) მრავალფეროვანი აქტივობებისა და სტრატეგიების გამოყენება (პირდაპირი ინსტრუქცია, კოოპერირებული შესწავლა, დისციპლინათშორისი ინსტრუქციები), რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მოტივაცია და წარმატებულობა;

ბ.ვ) შესაბამისი რესურსების (ინვენტარი, ინსტრუმენტები, მოწყობილობები, კომპიუტერი, ვიდეომასალა, ექსპერტების მოწვევა და სხვა) შერჩევა და ამა თუ იმ სამოძრაო და მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის აუცილებელი მოქმედებებისა თუ ვარჯიშების შესასრულებლად ნათელი და ამომწურავი ინსტრუქციების მიცემა.

გ) შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

გ.ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მდგომარეობის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. ოპერაციის წვდომა; II. ოპერაციის გავარჯიშება; III. ოპერაციის დაუფლება), პრობლემების გამოავლენა, მათი წარმომშობი მიზეზების დადგენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა;

გ.ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე ფაზაში;

გ.გ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეულის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;

გ.დ) შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (ორიგინალურობა, ფანტაზიის უნარი, თანამშრომლობის უნარი, შემოქმედებითი უნარი, კრიტიკული აზროვნების უნარი და სხვა);

გ.ე) მოსწავლეებში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რომლის შედეგადაც ისინი შეძლებენ სხვადასხვა სპორტული თამაშის/შეჯიბრის წინ, პროცესში და შემდგომ შეიმუშაონ შესაბამისი სამოქმედო სტრატეგიები, მოახერხონ, სიტუაციიდან გამომდინარე, მათი მოდიფიკაცია, ანალიზი და შეფასება.

დ) ფიზიკური აღზრდის სწავლების შედეგად მოსწავლის პიროვნული განვითარების უზრუნველყოფა:

დ.ა) მოსწავლეთათვის ისეთი აქტივობების/ამოცანების (პრობლემური საყოფაცხოვრებო სიტუაციური ამოცანების გადაჭრა, ვარჯიშების კომპლექსების შემუშავებაში, სპორტულ ღონისძიებებში, ინტერდისციპლინარულ აქტივობებში მონაწილეობა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ლაშქრობების

და სხვა ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა) შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას;

დ.ბ) ისეთი აქტივობების შერჩევა/შედგენა, რომელიც ასახავს რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციას და საშუალებას მისცემს მოზარდებს, პარალელები გაავლონ საკუთარ გამოცდილებას, არსებულ სოციოკულტურულ გარემოსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ სხვადასხვა ტიპის ცხოვრების წესს შორის; ამოიცნონ და გააანალიზონ მსგავსება-განსხვავებები, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები, გამოიტანონ დასკვნები და მოახდინონ შეფასებები.

თავი 19 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მუხლი 49 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი აღზრდის მასწავლებელს შეუძლია (მასწავლებლის მიერ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნისას (მოცულობის გადმოცემა, ექსპერიმენტის ჩატარება მასალით, ემოციის გადმოცემა სხვადასხვა მხატვრული ხერხის გამოყენებით და ა.შ) განმსაზღვრელია ამ ხერხების ფლობის და არა ნამუშევრის შესრულების ხარისხი):

ა) მიმართულება პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და იდეების გამოხატვა ხელოვნებაში:

ა.ა) ნამუშევრის შექმნისას კომპოზიციური განაწილების პრინციპების (წონასწორობა, პერსპექტივა, თავშეყრის წერტილი, წინა და უკანა პლანი, მასშტაბი, სიმეტრია, პროპორცია) გამოყენება;

ა.ბ) ნამუშევრის შექმნისას ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების, ფერთა გრადაციის გამოყენება;

ა.გ) სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქჩრდილი, შტრიხი, ლაქა, ბლიკი) საშუალებით საგანთა მოცულობის გამოსახვა;

ა.დ) სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქჩრდილი, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, სხვადასხვაგვარი მონასმი, ფაქტურა, კოლორიტი) და ეფექტების გამოყენებით ასოციაციების, ემოციების გადმოცემა;

ა.ე) სხვადასხვა ტექნიკის (ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ტრადიციული ხელსაქმის რომელიმე სახეობა) გამოყენება;

ა.ვ) კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება დიზაინის შესაქმნელად, პრეზენტაციის ჩასატარებლად;

ა.ზ) სასკოლო რესურსის შექმნა (თეატრალური რეკვიზიტები სასკოლო სპექტაკლებისთვის, სასკოლო სტენდები, წიგნების აკინძვა, რუკები და სხვ.) და ადეკვატური გამოყენება;

ა.თ) ექსპერიმენტის ჩატარება ნამუშევრის შექმნისას (ხელოვნების ელემენტების, პრინციპების, სხვადასხვა მასალის, ტექნიკისა და პროცედურის გამოყენებით).

ბ) მიმართულება ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

ბ.ა) ხელოვნების ნიმუშის, ავტორის, ეპოქის ამოცნობა;

ბ.ბ) სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების (მაგ.: ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, XV-XIX საუკუნეების დასავლეთ ევროპა) გარჩევა-ანალიზი (შეუძლია იმსჯელოს სხვადასხვა

ეპოქის დამახასიათებელ სტილისტურ ნიშნებზე (კომპოზიციური განაწილება, კოლორიტი, ხაზი, ფორმა, შესრულების მანერა), თემატიკაზე, იმაზე, თუ რა გავლენა იქონია ერთი ეპოქის ხელოვნებამ მომდევნო პერიოდის ხელოვნებაზე, ჩანს თუ არა შემოქმედის ინდივიდუალობა თითოეული ეპოქის ნიმუშებში (აღარებს ამ კუთხით ეგვიპტურ, ანტიკურ, შუა საუკუნეების, რენესანსის და სხვა ეპოქის ხელოვნებას). ნამუშევრის შინაარსის დააკავშირება ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ კონტექსტთან (მაგ. დელაკრუას“ თავისუფლება ბარიკადებზე“);

ბ.გ) სხვადასხვა მხატვრული სტილის (რეალისტური და პირობითი ხელოვნების ნიმუშები (მაგ. ტიციანი, მიქელანჯელო - ბიზანტიური ფრესკები, მოზაიკა), სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნები (ფორმა - მოცულობითი/ბრტყელი, გარემო-რეალური/ირეალური, პროპორციები,მასშტაბი-რეალური/უტრირებული, დარღვეული, და სხვ.) და ძირითადი მიმდინარეობების გარჩევა-ანალიზი;

ბ.დ) მსჯელობა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უახლეს კონცეფციებზე და ფორმებზე (ტექნოლოგია, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა, რა ცვლილებები ხდებოდა ხელოვნებაში (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, არქიტექტურა, დიზაინი და ა.შ.) და რომელი მიმდინარეობები არსებობდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე);

ბ.ე) სახვითი ხელოვნების დარგებისა და ჟანრების ამოცნობა-დახასიათება, მსჯელობა მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ.

ბ.ვ) იმის ანალიზი, თუ რატომ იყო განვითარებული ესა თუ ის დარგი სხვადასხვა ეპოქაში (მაგ.: ქანდაკებაში-მრგვალი ქანდაკება, ბარელიეფი, ჰორელიეფი, ჩაკვეთილი რელიეფი), რომელს ენიჭებოდა უპირატესობა და რატომ.

ბ.ზ) მსჯელობა დეკორატიულ–გამოყენებითი ხელოვნების დარგებზე, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიაზე;

ბ.თ) მსჯელობა-ანალიზი ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ.

გ) მიმართულება კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია:

გ.ა) ხელოვნების ნიმუშის ანალიზი და შეფასება:

გ.ა.ა.)როგორ არის გამოყენებული ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევარში იდეის, შინაარსის, ხასიათის, განწყობილების გადმოსაცემად (კომპოზიციური განაწილება, ფერი, კოლორიტი, ფაქტურა, განათება; შესრულების მანერა: მონასმი, ხაზი, ფორმა; დეტალი: პოზა, ჟესტი, გამომეტყველება, აქსესუარები და ა.შ.;

გ.ბ) სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენება;

გ.გ) სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება

გ.გ.ა) აქცია, საკლასო და სასკოლო გამოფენა, ზეიმი, სპექტაკლი, ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ქალაქგარეთ, კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით და სხვ.

მუხლი 50 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი აღზრდის მასწავლებელმა იცის:

ა) სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ა.ა)ხაზი, ფერი (ძირითადი, შედგენილი, კონტრასტული ფერები, კოლორიტი, ფერის ინტენსივობა, ნახევარტონი), შუქჩრდილი, ფაქტურა, ფორმა, მოცულობა; პროპორციები; კომპოზიციური განაწილების საფუძვლები: მთლიანობა, სივრცე (ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, პერსპექტივა,

თავშეყრის წერტილი, წინა და უკანა პლანი) სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი.

ბ) ტექნიკა და პროცედურა:

ბ.ა)ფერწერის, გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა, ძერწვა, აპლიკაცია, ქაღალდის პლასტიკა, მოზაიკა, კოლაჟი, კონსტრუქცია, ანაბეჭდი, კომპიუტერული ტექნოლოგიები; დეკორატიულ-გამოყენებითი საგნების დამზადება თიხის, ხის, ლითონის და სხვა მასალის თვისებების გათვალისწინებით.

გ) საქართველოს ხელოვნება და კულტურა:

გ.ა)ინფორმაცია ხელოვნების ქართველ მოღვაწეებზე და მათ შემოქმედებაზე; ქართული ხელოვნების დარგები: კედლის მხატვრობა, არქიტექტურა, მინანქარი, ოქრომჭედლობა, ჭედურობა და სხვ. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნება, ხალხური შემოქმედება.

დ) მსოფლიოს ხალხთა ხელოვნება და კულტურა:

დ.ა) სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება (ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, რენესანსი და სხვ.);

დ.ბ) სტილისტური ნიშნები, თემატიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რომელი დარგი იყო განვითარებული და რატომ); ეპოქის ისტორიული, სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური კონტექსტი და მისი გავლენა მომდევნო პერიოდის ხელოვნებაზე;

დ.გ) თანამედროვე ხელოვნების კონცეფციები, მიმდინარეობები და ფორმები (ტექნოლოგიები, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა) ხელოვნების როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

ე) სხვადასხვა მხატვრული სტილი და ძირითადი მიმდინარეობები ხელოვნებაში:

ე.ა)გოთური, რომანული, მანიერიზმი, ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი, რეალიზმი, იმპრესიონიზმი, ავანგარდიზმი (ფოვიზმი, ფუტურიზმი და სხვა).

ვ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უახლესი კონცეფციები და ფორმები: ტექნოლოგია, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა, რა ცვლილებები ხდებოდა ხელოვნებაში (ფერწ-ერა, ქანდაკება, გრაფიკა, არქიტექტურა, დიზაინი და ა.შ.) და რომელი მიმდინარეობები ცვლიდა ერთმანეთს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

ზ) სახვითი ხელოვნების დარგების და ჟანრების წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

მუხლი 51 - სწავლების მეთოდები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა; დასახული მიზნების შესაბამისი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე დავალებების შერჩევა ან შედგენა ცოდნის ათვისების პირველ (წვდომა-გაგება), მეორე (გავარჯიშება), თუ მესამე (დაუფლების) ფაზისათვის;

ა.ბ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ბ.ა) გრძელვადიანი მიზნის განსაზღვრა;

ა.ბ.ბ) ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების (პრაქტიკული, საინტერპრეტაციო, ანალიზის, კვლევის, საპრეზენტაციო, კომუნიკაციური და სხვ.) დადგენა;

ა.ბ.გ) შუალედური და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა დადგენილი უნარჩვევების განსავითარებლად;

ა.ბ.დ) შესაბამისი ტიპისა და სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა ცოდნის ათვისების პირველ (წვდომა-გაგების), მეორე (გავარჯიშების), თუ მესამე (დაუფლების) ფაზისათვის, რათა მოსწავლეები ეტაპობრივად მოემზადონ დასახული გრძელვადიანი მიზნის განსახორციელებლად.

ა.გ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა (მაგ.: პროექტი, აქტივობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერდისციპლინარული აქტივობები/ პროექტები): მიზნების განსაზღვრა, სხვა საგნებთან კავშირის დადგენა, მიზნების შესაბამისი იდეის/თემისა და დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობისა და ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზებისა და საშუალებების განსაზღვრა;

ა.დ) გაკვეთილისათვის შერჩეული სავარჯიშოების/დავალებების განსახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა; შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

ბ) მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) გაკვეთილების ჩატარება გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას გასაცნობი მასალის მიმართ: მასალის შერჩევისას მოსწავლეთა შესაძლებლობისა და ინტერესების გათვალისწინება, წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების შემუშავება - ვარაუდების გამოთქმა, მოსწავლის პირად გამოცდილებასთან შინაარსის/ინფორმაციის დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, საინტერესო ამოცანების დასმა, აზრის გამოთქმისა და მსჯელობის წახალისება და სხვა;

ბ.გ) მოსწავლეთა მოტივირება სხვადასხვა სახის აქტივობაში ჩასაბმელად: მოსწავლის ინტერესებთან და მის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული თემების/ საკითხების შერჩევა, თვითგამოხატვის საშუალების მიცემა, არჩევანის (თემა, მასალა, გამომსახველობითი ხერხები და სხვ.) საშუალების მიცემა, საინტერესო დავალებების შეთავაზება და სხვა;

ბ.დ) მოსწავლეებისათვის ამოცანების/პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარჩვევის განვითარება, მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა: მიზნის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, მოდელებზე დაკვირვება, საჭირო მასალის თავმოყრა/მოძიება, ჩანახატის, ესკიზის შექმნა მომავალი ნამუშევრისათვის, შედეგის გაუმჯობესება-გადამუშავება თვითშეფასების/ თანაშეფასების, მეწყვილესთან აზრის გაცვლის, ურთიერთდახმარების გზით და სხვა;

ბ.ე) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩაბმას საკლასო აქტივობებში: დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, სხვადასხვა ტიპის და სირთულის ამოცანების დასმა, კლასში პასუხების/ მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წახალისება და სხვა;

ბ.ვ) შედეგების დამოუკიდებლად გაუმჯობესების ხელშეწყობა: მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში; ხელშეწყობა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, აღმოფხვრან ხარვეზები, მოიძიონ პრობლემათა გადაჭრის გზები და სხვა;

ბ.ზ) დავალების ინსტრუქციების ნათლად ჩამოყალიბება.

გ) შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

გ.ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მდგომარეობის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. ოპერაციის წვდომა; II. ოპერაციის

გავარჯიშება; III. ოპერაციის დაუფლება), კონკრეტული პრობლემების წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა მათ აღმოსაფხვრელად;

გ.ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე ფაზაში;

გ.გ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეულის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;

გ.დ) შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (შემოქმედებითობა, თანამშრომლობის უნარი, ორგანიზებულობა და სხვა).

თავი 20 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მუხლი 52 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებელს შეუძლია:

ა) მიმართულება პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეების გამოხატვა:

ა.ა) სიმღერა (რომელიმე ხმის პარტიის ცოდნა და სწავლება);

ა.ბ) ერთ ან რამდენიმე საკრავზე დაკვრა (აკომპანემენტი);

ა.გ) ცეკვის დადგმა, ილეთების ჩვენება;

ა.დ) გუნდის, ანსამბლის ხელმძღვანელობა (დირიჟორობა) (რეპერტუარის შერჩევა, სწავლება, შესრულება);

ა.ე) მუსიკალური ღონისძიებების, მათ შორის, მუსიკალური სპექტაკლის, კონცერტის, მეჯლისის ორგანიზება;

ა.ვ) იმპროვიზაცია (ხმით; მუსიკალურ საკრავზე დაკვრის, ცეკვის, ღონისძიების მსვლელობის დროს,; ტექსტის შერჩევა მელოდიისათვის; მუსიკის შერჩევა პოეტური ტექსტისათვის);

ა.ზ) წარმოდგენის, სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება (მუსიკალური რეჟისურა), ჩანაწერით, ცოცხალი შესრულებით;

ა.თ) სანოტო სისტემის გამოყენება (სიმღერის, დაკვრის, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისა და ანალიზის, მუსიკის ჩაწერის, მელოდიის ძირითადი ფუნქციებით ჰარმონიზაციის დროს);

ა.ი) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ინტერნეტი, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები) და აპარატურის (მაგნიტოფონი, დიქტოფონი, ფოტო, ვიდეო, ტელე-აპარატურა, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი), გამოყენება (რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების, მუსიკალური კომპოზიციის შესრულების დროს; სხვადასხვა სახის ჩანაწერის დემონსტრაციისთვის, მიღწეული შემოქმედებითი შედეგის აუდიო, ვიდეო და ფოტო ფაილებით დასაფიქსირებლად, რესურსების მოსაძიებლად).

ბ) მიმართულება კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია:

ბ.ა) კლასიკური მუსიკის ქრესტომათიული ნიმუშების ამოცნობა, ამ ნაწარმოებების მუსიკალურ-

თემატური მასალის გადმოცემა სხვადასხვა ხერხით (სიმღერა, დაკვრა) და მათი ზოგადი დახასიათება (სახელწოდება, ავტორი, ეპოქა, ჟანრი, სტილი);

ბ.ბ) მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების სმენითი ანალიზი, დახასიათება (ეპოქა, ჟანრი, სტილი, ფორმა, გამომსახველობითი საშუალებები);

ბ.გ) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შეფასება; სხვადასხვა ინტერპრეტაციის შედარება;

ბ.დ) ქალაქის/ რაიონის კულტურული ცხოვრების მიმოხილვა;

ბ.ე) მუსიკალური ტერმინოლოგიის გამოყენება საუბრის დროს.

გ) მიმართულება მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

გ.ა) სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა;

გ.ბ) ერთი და იგივე ეპოქის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებს შორის პარალელის გავლება.

მუხლი 53 - საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებელმა იცის:

ა) სასიმღერო რეპერტუარი:

ა.ა) ერთხმიანი, ორხმიანი, სამხმიანი სიმღერები;

ა.ბ) ხალხური, კლასიკური, თანამედროვე რეპერტუარი.

ბ) საცეკვაო რეპერტუარი:

ბ.ა)ქართული, ისტორიულ-ყოფითი (ვალსი, მენუეტი, პოლკა, მაზური), სხვადასხვა ხალხთა ცეკვები.

გ) მუსიკის თეორია:

გ.ა) მუსიკალური ანბანი (სანოტო სისტემა, მუსიკალური ენის ელემენტები, ძირითადი მუსიკალური ტერმინები და ა.შ.);

გ.ბ) ჰარმონიის საკითხები (მაჟორულ-მინორული სისტემა, ძირითადი ფუნქციები, მელოდიის ჰარმონიზაცია);

გ.გ) ფორმის ანალიზის საკითხები (ერთ, ორ, სამნაწილიანი ფორმები, რონდო, კუპლეტური, ვარიაციული, სონატური ფორმები);

გ.დ) საკრავთმცოდნეობის საკითხები (ბგერის მიღება სხვადასხვა საკრავზე, სპეციფიკური საშემსრულებლო ხერხები სხვადასხვა საკრავისთვის (ფლაჟოლეტი, პიციკატო და სხვ.), საორკესტრო ჯგუფები.

დ) მუსიკის ისტორია:

დ.ა) სხვადასხვა ეპოქის (ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი და სხვ.) მუსიკალური ხელოვნება;

დ.ბ) მუსიკალური ხელოვნების ძირითადი ჟანრები, მათი წარმოშობა და განვითარების გზა;

დ.გ) მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები (შემოქმედებითი პორტრეტი), ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები (შექმნის ისტორია, ლიტერატურული პირველწყარო, ისტორიული კონტექსტი);

დ.დ) მუსიკის როლი ხელოვნების სხვა დარგებში (თეატრი, კინო).

ე) ქართული მუსიკა:

ე.ა) ქართული მუსიკის ისტორია, მისი ძირითადი მიმართულებები (ხალხური მუსიკა, პროფესიული მუსიკა), ჟანრები (ქალაქური სიმღერა, საესტრადო მუსიკა), წარმომადგენლები, ნაწარმოებები; ქართული მუსიკის დამახასიათებელი თავისებურებები;

ე.ბ) პარალელები ქართული ხელოვნების სხვა დარგებთან.

ვ) საშემსრულებლო ხელოვნება:

ვ.ა) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების თავისებურებები;

ვ.ბ) მამაკაცთა და ქალთა ხმები;

ვ.გ) მუსიკალური კოლექტივის სახეები (გუნდი, ანსამბლი, ორკესტრი, საოპერო, საბალეტო დასი);

ვ.დ) მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები, მუსიკალური, მუსიკალურ-თეატრალური კოლექტივები;

ვ.ე) ქართული საშემსრულებლო ხელოვნება (სამგალობლო სკოლები, მომღერალი ოჯახები, საშემსრულებლო კოლექტივები, საშემსრულებლო სკოლები, ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები).

ზ) მუსიკოსის პროფესია:

ზ.ა) კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკოს-შემსრულებელი, მუსიკისმცოდნე, პედაგოგი, მუსიკასთან დაკავშირებული სხვა პროფესიები.

მუხლი 54 - სწავლების მეთოდები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა; დასახული მიზნების შესაბამისი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე დავალებების შერჩევა ან შედგენა ცოდნის ათვისების პირველ (წვდომა-გაგება), მეორე (გავარჯიშება), თუ მესამე (დაუფლება) დონისთვის;

ა.ბ) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.გ) გრძელვადიანი მიზნის განსაზღვრა;

ა.დ) ამ მიზნის განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (პრაქტიკული, საინტერპრეტაციო, ანალიზის, კვლევის, საპრეზენტაციო, საკომუნიკაციო და სხვ.) დადგენა;

ა.ე) შუალედური და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა;

ა.ვ) შესაბამისი ტიპისა და სირთულის სავარჯიშოების შერჩევა და შედგენა ცოდნის ათვისების პირველ (წვდომა-გაგება), მეორე (გავარჯიშება), თუ მესამე (დაუფლება) დონისთვის, რათა მოსწავლეები ეტაპობრივად მოემზადონ დასახული გრძელვადიანი მიზნის განსახორციელებლად;

ა.ზ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა მაგ., კონცერტი, მეჯლისი, პროექტი, წარმოდგენა, აქტივობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით): მიზნების განსაზღვრა, სხვა საგნებთან კავშირის დადგენა, მიზნების შესაბამისი იდეის/თემის და დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობის და ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზების და საშუალებების განსაზღვრა;

ა.თ) გაკვეთილისთვის შერჩეული სავარჯიშოების/დავალებების გასახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა; შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

ბ) შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა:

ბ.ა) გაკვეთილის ჩატარება გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას გასაცნობი მასალის მიმართ: მასალის შერჩევისას მოსწავლეთა შესაძლებობისა და ინტერესების გათვალისწინება, წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების შემუშავება - ვარაუდების გამოთქმა, მოსწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, საინტერესო ამოცანების დასმა, აზრის გამოთქმისა და მსჯელობის წახალისება და სხვა;

ბ.გ) მოსწავლეთა მოტივირება პრაქტიკულ აქტივობაში ჩასაბმელად: მოსწავლის ინტერესებთან და პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული თემების/ საკითხების შერჩევა, თვითგამოხატვის საშუალების მიცემა, არჩევანის (შესასრულებელი ნაწარმოები, ჟანრი, თემატიკა, და სხვა) საშუალების მიცემა, საინტერესო დავალებების შეთავაზება და სხვა;

ბ.დ) მოსწავლეებისათვის ამოცანების/პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება, მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა: მიზნის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებზე დაკვირვება, საჭირო მასალის თავმოყრა / მოძიება, ჩანაწერის, გეგმის შექმნა მომავალი ღონისძიებისთვის თვითშეფასება/ თანაშეფასების, მეწყვილესთან აზრის გაცვლის, ურთიერთდახმარების გზით და სხვა;

ბ.ე) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩაბმას საკლასო აქტივობებში: დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, სხვადასხვა ტიპის და სირთულის ამოცანების დასმა, კლასში პასუხების/ მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წახალისება და სხვა;

ბ.ვ) შედეგების დამოუკიდებლად გაუმჯობესების ხელშეწყობა: მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასების და თანაშეფასების პროცესში, ხელშეწყობა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, აღმოფხვრან ხარვეზები, მოიძიონ პრობლემათა გადაჭრის გზები და სხვა;

ბ.ზ) დავალების ინსტრუქციის ნათლად ჩამოყალიბება.

გ) შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

გ.ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მდგომარეობის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. ოპერაციის წვდომა; II. ოპერაციის გავარჯიშება; III. ოპერაციის დაუფლება), კონკრეტული პრობლემების წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა მათ აღმოსაფხვრელად;

გ.ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე დონეზე;

გ.გ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეულის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;

გ.დ) შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (შემოქმედებითობა, თანამშრომლობის უნარი, ორგანიზებულობა და სხვა).

ეროვნული სასწავლო გეგმა

(ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის)

თავი I. სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება (4.12.2009 N 1103)

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საფეხურები

ზოგადი განათლება სკოლებში იყოფა სამ საფეხურად: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებად. დაწყებითი საფეხური გულისხმობს I-VI კლასებს, საბაზო – VII-IX, ხოლო საშუალო X-XII კლასებს. სავალდებულო სწავლება საქართველოში მოიცავს I-IX კლასებს.

დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

- ჩამოაყალიბებინოს მოსწავლეს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე ეფექტურად სწავლისთვის;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური თუ სულიერი თვისებებისა თუ მიდრეკილებების გამოსავლენად და გასავითარებლად;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები ინფორმაციის მოპოვებისა და იმ უნარ–ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასავითარებლად, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდება.

საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

- მიაღწევინოს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში აღწერილ საგანმანათლებლო იდეალებს;
- ჩამოაყალიბოს წინაპირობები მოსწავლეების მომავალი არჩევანისთვის, აპირებს თუ არა სწავლის გაგრძელებას მომავალში და თუ აპირებს – რა სახით;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები ინფორმაციის, უნარ–ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასავითარებლად მთელი ცხოვრების განმავლობაში.

საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

- შეუქმნას მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში აღწერილი იდეალების დახვეწის პირობები;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები, რათა მან სწორად აირჩიოს თავისი მომავალი განვითარების გზა (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში).

ხუთი ძირითადი სიახლე ეროვნულ სასწავლო გეგმაში:

- საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მიღწეული შედეგი.
- გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები;

- სწავლა ნიშნავს ინფორმაციის დაგროვებას, უნარ–ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას;
- სწავლებაში მოიაზრება არა ერთი კონკრეტული გზის გავლა, არამედ მასწავლებლის და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიება.
- მთავარი ორიენტირი ხდება არა მხოლოდ ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა

ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდისა და დანერგვის განრიგი:

სასწავლო წელი	დაწყებითი						საბაზო			საშუალო		
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
2005-2006	A1/X	X	X	X	X	X	B1/X	X	X	C1/X	X	
2006-2007	A/Y1	A1/X	X	X	X	X	B/Y1	B1/X	X	C/Y1	C1/X	
2007-2008	Y	A/Y1	A1/X	X	X	X	Y	B/Y1	B1	Y	C/Y1	
2008-2009		Y	A/Y1	A1/X	X	X		Y	B/Y1	B1/C	Y	C/Y1
2009-2010			Y	A/Y1	A1/X	X			Y	B/Y1	B1/C	Y
2010-2011	ა			Y	A/Y1	A1/X				Y	B/Y1	B1/C
2011-2012		ა			Y	A/Y1	A1/B				Y	B/Y1
2012-2013			ა			Y	A/Y1	A1/B				Y
2013-2014				ა			Y	A/Y1	A1/B			
2014-2015					ა			Y	A/Y1	A1/B		
2015-2016						ა			Y	A/Y1	A1/B	
2016-2017							ა			Y	A/Y1	A1/B
2017-2018								ა			Y	Y1
2018-2019									ა			Y

*ეროვნული სასწავლო გეგმა გამოცდილი და დანერგილი უნდა იქნას არა უგვიანეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდისა და დანერგვის განრიგში მითითებულ გრაფაში/სვეტში მოცემული სასწავლო წლების დასრულებისა.

X - არსებული, ძველი სასწავლო გეგმა

A1, B1, C1- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდა ქართულენოვან სკოლებში

Y1- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდა არაქართულენოვან სკოლებში (სკოლები და სექტორები)

A, B, C -ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ქართულენოვან სკოლებში (სკოლები და სექტორები)

Y - ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა არაქართულენოვან სკოლებში (სკოლები და სექტორები)

ა - მოდიფიცირებული ვარიანტი

არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები ეროვნული სასწავლო გეგმით 12–წლიან ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაზე სრულად გადადიან არა უგვიანეს 2009–2010 სასწავლო წლის დასასრულისა. ამ დაწესებულებების მიერ სრული ზოგადი განათლების ატესტატი მოსწავლის მიერ მე–11 კლასის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების საფუძველზე გაიცემა მხოლოდ 2007–2008 სასწავლო წლის დასასრულს.

კალენდარი

სასწავლო წელი ითვალისწინებს სამ მესამედს, ანუ სამ ტრიმესტრს. ეს მეტ საშუალებას იძლევა შუალედური შეფასებებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას. სასწავლო წელი მინიმუმ 180 სასწავლო დღეს (დაახლოებით 36 კვირას) გრძელდება. ტრიმესტრი გრძელდება 12 კვირას. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 6 დღე სწავლება, მაგრამ ზოგადად იგულისხმება ხუთდღიანი სასწავლო კვირა.

მოსწავლეების რაოდენობა

რეკომენდებულია, რომ მოსწავლეების რაოდენობა გაკვეთილზე არ აღემატებოდეს 25–ს, ხოლო მასწავლებელს საერთო ჯამში 125 მოსწავლეზე მეტი არ ჰყავდეს. მოსწავლეების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა კლასებში არის 30. ეს ორმხრივად დაიცავს როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს. მოსწავლეებს ექნებათ საშუალება, უკეთ ისწავლონ შეზღუდული ზომის კლასებში. მასწავლებელს კი ამ სისტემით ეყოლება მოსწავლეების ისეთი მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც სასწავლო პროცესის ჯეროვნად დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებას მისცემს.

მოსწავლეების მაქსიმალური რაოდენობის განმსაზ-ღვრელი წესი ეხება მხოლოდ 2005–06 სასწავლო წელს სკოლაში მოსული პირველკლასელების ორგანიზებას და ყოველ შემდგომ თაობას (ანუ 2007–08 სასწავლო წელს ეხება პირველ, მეორე და მესამე კლასელებს და ა.შ.). უფრო მაღალ კლასებში სკოლებმა შეიძლება შემოიღონ ეს წესი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მოქმედებით არ გამოიწვევს მოსწავლეების ან მასწავლებლების სკოლიდან დათხოვას.

მცირეკონტიგენტიან სკოლებში ხშირად კეთდება კლასკომპლექტები. ჩვენთან არსებული საგანმანათლებლო ტრადიციის შესაბამისად კლასკომპლექტების შექმნა მიზანშეწონილია მხოლოდ ორი ასაკობრივი ჯგუფის გაერთიანებით და ისიც იმ შემთხვევაში თუ ერთობლივად მოსწავლეთა რაოდენომა არ აჭარბებს 20-ს. კლასკომპლექტები ძირითადად კეთდება I-III, II-IV კლასების გაერთიანებით. ორზე მეტი კლასის გაერთიანებამ კლასკომპლექტში შესაძლებელია მნიშვნელოვნად აზარალოს სასწავლო პროცესი და გამოიწვიოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიუღწევლობა

მოსწავლეების დაყოფა სიძლიერის მიხედვით

დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში სიძლიერის მიხედვით, ისევე, როგორც დაუშვებელია, რომ საჯარო სკოლამ ნიჭის ან ცოდნის მქონე რომელიმე მოსწავლე მიიღოს და სხვებს უარი უთხრას სწავლაზე. სხვადასხვა ნიჭისა და ცოდნის მოსწავლეები ერთმანეთს ავსებენ გაკვეთილებზე, ერთმანეთს ეხმარებიან ახალი გამოცდილების შეძენაში და, შესაბამისად, არა მარტო უფრო მცოდნეები ხდებიან, არამედ უკეთეს მოქალაქეებადაც ყალიბდებიან.

საერთო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

იმისთვის, რომ თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს შანსი, უკეთ გაიცნოს ყველა თანატოლი, სასურველია წლის ბოლოს პარალელური კლასების მოსწავლეების ერთმანეთში შერევა. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ არ ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა პატარ–პატარა ჯგუფები, რომლებიც ერთად ყოფნის შემთხვევაში ხშირად აფერხებენ გაკვეთილის მსვლელობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ სისტემაში მოსწავლე მასწავლებელს იცვლის. ეს კი მის სხვადასხვა სტილის სწავლებასთან ზიარებას უწყობს ხელს. ეს წესი არ არის სავალდებულო, მაგრამ რეკომენდებულია, განსაკუთრებით კი საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, უკეთ გაიცნონ საკუთარი თანატოლები, რომლებიც სხვა ჯგუფებში სწავლობენ, სასურველია, რომ სკოლამ ხელი შეუწყოს სპორტულ, სახელოვნებო ან საკლუბო აქტივობებს, სადაც სხვადასხვა განაყოფების მოსწავლეები იქნებიან გაერთიანებულნი.

სადამრიგებლო პროგრამა

ყველა კლასს თავისი დამრიგებელი ჰყავს. სასურველია, რომ დამრიგებელი ასწავლიდეს თავის სადამრიგებლო კლასს.

დამრიგებელს ევალება:

- მოსწავლის დახმარება აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში;
- მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შუამავლობა პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
- მშობლებისთვის შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების გაცნობა მინიმუმ თვეში ერთხელ;
- საკუთარი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება და მოსწავლეთა დასწრების შესახებ ინფორმაციის ყოველკვირეულად ასახვა სკოლის ოფიციალურ დოკუმენტში;
- მოსწავლის მიერ საპატიო გაცდენის თაობაზე მიღებული შეტყობინების ასახვა სკოლის ოფიციალურ დოკუმენტში;
- სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შედეგად მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
- თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, ამ მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ ინფორმაციის მოსწავლის მიმღები სკოლისათვის მიწოდების უზრუნველყოფა.
- ამ გეგმით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

დამრიგებელი ინდივიდუალური შეხვედრების დროს უნდა აცნობდეს მშობლებს შვილის მოსწრების საკითხებს. დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მეორის მშობელთან ან მის თანდასწრებით საუბარი. თუ მოსწავლე სკოლას აცდენს, დამრიგებელი ვალდებულია გაიგოს გაცდენის მიზეზი ყოველი ასეთი შემთხვევისას. ყოველივე ამის მისაღწევად აუცილებელია, რომ დამრიგებელი პერიოდულად ეკითხებოდეს საგნების მასწავლებლებს მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატებების შესახებ. დამრიგებელი ასევე პასუხისმგებელია ყოველი ტრიმესტრის და წლის ბოლოს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების ნიშნების დროულად და ზუსტად შეტანაზე სასკოლო ნიშნების ფურცელში, სადაც ხდება ამ ნიშნების აღრიცხვა.

სასწავლო წლის დასრულებისას, დამრიგებელმა უნდა გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის ნიშნების, დასწრებისა და ქცევის ანალიზი ინდივიდუალურად. სკოლა ვალდებულია დაიცვას შედგენილი ანალიზის კონფიდენციალურობა. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საშუალო წლიური ნიშანი 5.5-ზე დაბალია, დამრიგებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე შემდეგ სასწავლო წლებში, მოსწავლის მიერ (თუ ეს არ არის საფეხურის ბოლო კლასი) მნიშვნელოვანი პროგრესის აუცილებლობის თაობაზე, რათა მოსწავლემ შეძლოს საფეხურის წარმატებით დასრულება. სასურველია დამრიგებელმა სასწავლო წლის ბოლოს თითოეულ მოსწავლეზე დაწეროს მოკლე დახასიათება, სადაც აღწერს:

ა) მოსწავლის ძლიერ მხარეებს, მოსწავლის წარმატებებს აკადემიური და სოციალური კუთხით, მის შესაძლო მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა რაიმე ღონისძიებებში.

ბ) მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის.

დამრიგებელი მოიაზრება მოსწავლის მრჩევლად, რომელიც ეხმარება მას სკოლაში უკეთ მოღვაწეობაში, ხელს უწყობს მას საკუთარი მიდრეკილებების კლუბებსა ან წრეებში განვითარებაში, ეხმარება მომავალი პროფესიების არჩევაში, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებაში და სხვა. ძირითადად დამრიგებელი აწესრიგებს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დოკუმენტაციას. თუმცა, პატარა სკოლაში შეიძლება ეს ფუნქცია დირექტორის მოადგილემაც (სასწავლო ნაწილმაც) შეითავსოს.

დამრიგებელი პასუხისმგებელია მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების ყოველდღიური დასწრების აღრიცხვასა და შემოწმებაზე ამ გეგმით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა

ყველა სკოლაში (სადაც საგნის ერთზე მეტი მასწავლებელია) სასურველია არსებობდეს საგნობრივი ჯგუფების მასწავლებელთა კათედრები, რომლებიც საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელს გააერთიანებს. კათედრა საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებლის ერთობლიობის პირობითი სახელია. კათედრების მუშაობის ფუნქციები შეიძლება იყოს:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია;
- ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- სახელმძღვანელოების შერჩევა;
- შეფასების კომპონენტების შემუშავება და აღწერა
- სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის წარმოება (მაგ. ისტორიასა და ქართულში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვა.);
- პროფესიული განვითარების გზების დასახვა;
- რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების შესახებ;
- რეკომენდაციების შემუშავება ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების შესახებ.

ზოგიერთ სკოლაში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ცალკე კათედრაზე ერთიანდებიან. ეს მათ ეხმარება დაწყებით კლასებში არსებული პრობლემები ერთობლივად და საგნებს შორის შეთანხმების საფუძველზე შეათანხმონ.

კათედრის ეფექტური მუშაობისთვის სასურველია თავმჯდომარის არჩევა ერთი წლის ვადით. სასურველია თავმჯდომარედ იგივე მასწავლებელი აირჩეს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრი ერთხელ მაინც იქნება თავმჯდომარე. თავმჯდომარის ფუნქციებია:

- რეგულარული შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში ოქმებისა და საბუთების წარმოება);
- საგნობრივი ჯგუფის საბჭოების გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის (მაგ. წიგნების არჩევის თაობაზე);
- პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო ღონისძიებების ორგანიზება (ტრენინგების, კონფერენციების და სხვა. მოწყობა).

შესაძლებელია კათედრის თავჯდომარეობა სკოლაში ერთგვარი წახალისების ელემენტიც იყოს იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც უფრო მეტად ზრუნავენ სკოლისა და საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაზე.

შესაძლებელია კათედრებმა შემოიღონ თითოეულ საგნობრივ ჯგუფში საუკეთესო მოსწავლის (საფეხურის ან კლასის მიხედვით) პრიზი, რომელიც ყოველ წელს სკოლის დამთავრებისას საერთო შეკრებაზე გადაეცემა.

კათედრის მუშაობა ეფექტიანი იქნება, თუ მისი წევრები რეგულარულად შეიკრიბებიან (ერთხელ მაინც თითო ტრიმესტრში). სასურველია კათედრის შეკრება წლის დასაწყისში. ამ შეკრებებზე სასურველია მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამებისა და, შესაბამისად, არჩეული სახელმძღვანელოების განხილვა. წინასწარ უნდა მოხდეს იმის განხილვა: თუ რა საჭიროებები ექნებათ მასწავლებლებს წლის განმავლობაში; რა პრობლემების გადაჭრა იქნება აუცილებელი; რა რესურსების გამოყენება იქნება საჭირო ეფექტურად სწავლებისას და ა.შ. ტრიმესტრების ბოლოს კათედრის შეხვედრისას ასევე უნდა გადაიხედოს საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულების მიმდინარეობა. ამ დროისთვის უნდა მოხდეს პრობლემების გამოვლენა და შეფასება, თუ რა ხარისხით იქნება შესაძლებელი ყველა მოსწავლისთვის საგნობრივ პროგრამებში აღწერილი შედეგების მიღწევა.

სასკოლო სასწავლო გეგმა

საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ" განმარტავს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა არის – „სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს;"

ამავე კანონით, თითოეული სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ვალდებულია შეიმუშავოს საკუთარი, სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმას შეიმუშავებს (შესაძლებელია კათედრების მუშაობის საფუძველზე) პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით. პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა განახლდეს ყოველწლიურად.

სასკოლო სასწავლო გეგმის აუცილებელ ნაწილებს შეადგენს:

- სასკოლო საათობრივი ბადე;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;
- სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
- ინკლუზიური განათლება;
- შეფასების პრინციპები (საგნების და კლასების მიხედვით შეფასების კომპონენტები, აუცილებელი მინიმუმი, რომელიც მოსწავლემ უნდა დაძლიოს კლასიდან კლასში გადასაყვანად, შიდა სასკოლო ტესტირებები თუ სხვ.);
- საადამრიგებლო პროგრამა.

სასკოლო საათობრივი ბადე

სასკოლო საათობრივი ბადე მოიცავს თითოეული კლასის მიხედვით დაზუსტებულ გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, თუ კვირის რომელ დღეს და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. აქვე მითითებული უნდა იყოს, ვინ ასწავლის ამ საგნებს. ამავე ბადეში უნდა იყოს

აღნიშნული ყველა დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, ასევე დროის და პედაგოგის/წრის ხელმძღვანელის თუ სხვ. მითითებით.

ყველა სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ეს შეიძლება იყოს დამატებითი საგანი ან წრე. დამატებითი საგანი შეიძლება ისწავლებოდეს ფაკულტატური ან სავალდებულო სახით.

ფაკულტატურ საგანზე დასწრება ხდება მოსწავლეების სურვილის მიხედვით. სავალდებულო დამატებით საგანზე დასწრება აუცილებელია ყველა მოსწავლისთვის. (მაგ. შეიძლება საგანი ეკონომიკა მეშვიდე კლასში ისწავლებოდეს ფაკულტატურ საგნად. ამ შემთხვევაში ამ საგანს ესწრებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ. შეიძლება იგივე საგანი სკოლამ შემოიღოს სავალდებულო საგნად. ამ შემთხვევაში ყველა მეშვიდე კლასელი ვალდებულია, იაროს ამ საგანზე).



იმისთვის, რომ სკოლამ შესთავაზოს თავის მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი ან გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, აუცილებელია, რომ სკოლამ სასწავლო წლის დაწყებამდე წერილობით განმარტოს:

ა) ასეთი სახის მომსახურების ჩამონათვალი;

ბ) უნდა დაზუსტდეს თუ რა სახით ისწავლება ეს საგნები. აქ უნდა განიმარტოს ისიც, თუ რამდენად არის ეს საგანი სავალდებულო ან ფაკულტატური მოსწავლეებისთვის;

გ) დამატებითი საგნებისთვის სკოლამ უნდა შეიმუშაოს თითოეული საგნის სასწავლო გეგმა (თუ ასეთი გეგმა უკვე არ არის მოცემული ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში) რომელიც უნდა მოიცავდეს თითოეული საგნის შესწავლის მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებული იქნება, თუ რა ინფორმაციას, უნარების და დამოკიდებულებების განვითარებასა და შესწავლას ითვალისწინებს ეს კურსი), შეფასების პრინციპებს (იქნება თუ არა ამ საგანში სწავლა შეფასებული ჩვეულებრივი ნიშნებით ან ჩათვლების სისტემით) და საჭირო სასწავლო მასალის ჩამონათვალს (სახელმძღვანელოები, სხვა რაიმე წიგნები ან რვეულები).

სასწავლო მასალა

აუცილებელია, რომ ყოველი საჯარო სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ დაამტკიცოს სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებულ და კათედრების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოთა ნუსხა, რომლებსაც სკოლა გამოიყენებს სასწავლო პროცესში.

სახელმძღვანელოების შერჩევა სასურველია მოხდეს საგნობრივი კათედრის შეხვედრაზე. თითოეულ კლასში უნდა იყოს შერჩეული მაქსიმუმ ერთი სახელმძღვანელო (განაყოფების ჩათვლით, ანუ მაგ. მესამე კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო ერთია მთელი სკოლისთვის), მინიმუმ 5 წლით. 5 წლიანი ვადის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი სასწავლო გეგმის დანერგვასთან ერთად სახელმძღვანელოებიც იცვლება ან სახელმძღვანელოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩამოერთმევა სახელმძღვანელოს გრიფი. ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დადგენილი წესის შესაბამისად, თავიდან შეარჩიოს შესაბამისი კლასის სახელმძღვანელო.

სახელმძღვანელოების არჩევა და გამოყენება თითოეული საგნისთვის საჭიროებს სერიოზულ დაფიქრებას და შემდეგი წესების სრულ დაცვას:

- თითოეული კლასის ყველა განაყოფში უნდა ისწავლებოდეს ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი;
- თითოეული სახელმძღვანელო გამოყენებაში უნდა იყოს მინიმუმ 5 წლით, გარდა ამ გეგმით დადგენილი გამონაკლისებისა.
- სახელმძღვანელოების არჩევა უნდა მოხდეს კათედრის მიერ. შერჩეულ სახელმძღვანელოთა ნუსხას ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო;
- სახელმძღვანელოების არჩევა უნდა მოხდეს სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე;
- მასწავლებელს აქვს უფლება სწავლებისას გამოიყენოს სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სიაში არშესული წიგნები ან სხვა სასწავლო მასალები, თუ ის თვლის, რომ ეს გამოადგება მოსწავლეს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახული მიზნების მიღწევაში, მაგრამ ამ წიგნების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ დამხმარე, დამატებითი მასალის სახით. მასწავლებელი/სკოლა ვერ დაავალდებულებს მოსწავლეს შეიძინოს არაგრიფირებული წიგნები/სხვა სასწავლო მასალა.
- არჩეული სახელმძღვანელოების სია გამოკრული უნდა იყოს მშობლებისთვის თვალსაჩინო ადგილას სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა.
- არჩეული სახელმძღვანელოების სია (გარდა დამხმარე, დამატებითი მასალისა) უნდა მიეწოდოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს სპეციალურად ამ მიზნით სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით. სკოლა ასევე ვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს მიაწოდოს დასაბუთება იმ სახელმძღვანელოს არჩევის თაობაზე, რომელიც არ აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ დადგენილ და გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმების 20%-ს მაინც.
- სახელმძღვანელოს შერჩევისას პედაგოგიურმა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების შეფასება, რომელიც სკოლებისთვის ხელმისაწვდომია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელობის სპეციალური კატალოგის მეშვეობით. გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოების კატალოგს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი აქვეყნებს მის მიერ მითითებულ ვებ-გვერდზე და აწვდის სკოლებს ელექტრონული ფორმით. სახელმძღვანელოს არჩევისას მასწავლებლებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ ასევე სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ მითითებულ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სახელმძღვანელოს ნიმუშებითა და გამომცემლობების მიერ რესურსცენტრებში განთავსებული სახელმღვანელოს ეგზემპლარით.

სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სასურველია სკოლამ შეიმუშავოს მეორადი სახელმძღვანელოების ბაზრობების ან გაქირავების სისტემა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ გამონახოს სახსრები ბიბლიოთეკისთვის დამატებითი ეგზემპლარების საყიდლად, რაც დაეხმარება სოციალურად დაუცველ ბავშვებს იმ შემთხვევაში, თუ წიგნის შეძენა უჭირთ.

სახელმძღვანელოებით სარგებლობისას მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ სახელმძღვანელო არის ერთ-ერთი საშუალება და არა ერთადერთი, რომელიც ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში მოცემული შედეგების მიღწევას. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმძღვანელო არ არის თავისთავად პროგრამა შესაბამისად, მასწავლებელი არ უნდა იყოს

სახელმძღვანელოში მოცემული "მასალის გავლაზე" ორიენტირებული, არამედ აქცენტი გააკეთოს სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების, სავარჯიშოებისა თუ ილუსტრაციების გამოყენებაზე საგნობრივი სტანდარტების შედეგების მისაღწევად. სწორია, როდესაც მასწავლებელი არგებს სახელმძღვანელოს მოსწავლეების საჭიროებებს და არა პირიქით, როდესაც მასწავლებელი ცდილობს მოერგოს სახელმძღვანელოს. მასწავლებელს შეუძლია სწავლების პროცესს მიუდგეს შემოქმედებითად, არ გამოიყენოს რომელიმე ტექსტი ან აქტივობა, შეცვალოს დროის ხანგრძლივობა, რომელიც რომელიმე კონკრეტულ თემას ეთმობა, გადაანაცვლოს პარაგრაფების თანამიმდევრობა, დაამატოს საკუთარი აქტივობები და სხვ.

შეფასების პრინციპები

სკოლამ უნდა დააფიქსიროს ზოგადი შეფასების პრინციპები, რომლითაც მისი ყველა მასწავლებელი იხელმძღვანელებს. სხვა საკითხებთან ერთად უნდა განისაზღვროს:

ა) რა არის ის მინიმალური ბარიერი, რომელიც მოეთხოვება მოსწავლეს იმისთვის, რომ კლასიდან კლასში გადავიდეს?

ბ) რა არის ის მინიმალური ბარიერი, რომლის დაძლევაც მოეთხოვება მოსწავლეს იმისთვის, რომ საგნის დაძლევა დამაკმაყოფილებლად ჩაეთვალოს. აქვე უნდა იყოს განმარტებული, რა ალტერნატივებს სთავაზობს სკოლა იმათ, ვინც წლის დამთავრებისთვის ვერ შეძლებს ამ ბარიერის დაძლევას. თუ არსებობს ე.წ. „საშემოდგომო" რა იგულისხმება მის ფარგლებში? (მაგ. აძლევს თუ არა მასწავლებელი კონკრეტულ დავალებას მოსწავლეს, იცის თუ არა ამ უკანასკნელმა, თუ რის მიხედვით შეფასდება, აქვს თუ არა მას გამოცდა, თუ მოეთხოვება გარკვეული ნაშრომის წარმოდგენა და სხვ.) მინიმალური ბარიერის დადგენისას, სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საფეხურის წარმატებით დამთავრებისთვის, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საერთო საფეხურის ნიშანი, არანაკლებ 5.1-ისა (დამრგვალების შემდეგ), გარდა ამ გეგმით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მისი ნიშნები კლასების მიხედვითაც საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ამ შედეგს მიაღწიოს.;

გ) როგორ ხდება იმ მოსწავლეების შეფასება, რომლებიც ხშირად აცდენენ სკოლას საპატიო მიზეზების გამო? მაგ. როგორ უნდა აღიდგინოს გაცდენილი მასალა, დაჭირდება მას თუ არა დამატებითი გაკვეთილები და სხვ.;

დ) რა კომპონენტებით ფასდება მოსწავლეები კონკრეტულ საგანში და თითოეული კომპონენტის აღწერა.

სასკოლო შეფასების სისტემის შემუშავებისას გასათვალისწინებელი აუცილებელი მიდგომები

აკადემიური მოსწრების შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი. უნდა შეფასდეს

ნიშნები	მიღწევის დონეები
10	მაღალი
9	
8	
7	საშუალო
6	
5	საშუალოზე დაბალი
4	
3	სუსტი
2	
1	

არა მარტო ინფორმაციის ფლობა, არამედ შეძენილი უნარ–ჩვევები, აზროვნების დემონსტრირების ფორმები და სხვა. სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის არ არის საკმარისი, მოსწავლე მხოლოდ საკონტროლოების და ტესტების შედეგების საფუძველზე შეფასდეს. მასწავლებელი უნდა აფასებდეს მოსწავლეს დაკვირვების შედეგად დაგროვებული მონაცემების, ნამუშევრების კრებულების, პრეზენტაციების, მოსწავლისავე თვითშეფასების, ჯგუფური მუშაობის თუ სხვა ტიპის აქტივობების მიხედვით. მასწავლებელმა შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის ხარისხი (სახლში მიცემული დავალების შესრულების ხარისხი, გაკვეთილზე აქტიურობა, შემოქმედებითობა და სხვა). აუცილებელია მოსწავლემ წინასწარ იცოდეს, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

დაბალი ნიშნით შეფასება დისციპლინური სასჯელის მოტივით არ არის გამართლებული. საგნის ნიშანი გამოხატავს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას. მოსწავლე არასათანადო საქციელისთვის (რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული სასწავლო პროცესთან) საგნის ნიშნით არ უნდა დაისაჯოს. თუ მოსწავლე გაკვეთილებზე არასათანადოდ იქცევა, ეს ავტომატურად იმოქმედებს მის აკადემიურ მოსწრებაზე, რაც შესაბამისად ნიშნავს, რომ მოსწავლის აკადემიური მოსწრება მის შესაძლებლობებთან შედარებით დაბალი იქნება.

ნიშნების წერის სისტემა

შეფასების სისტემა ათქულიანია. 10 საუკეთესო ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, რომ აკადემიურ მოსწრებაში პროგრესი და რეგრესი დაანახოს მოსწავლეს.

დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები) მოქმედებს ნიშნების დაწერის სპეციალური სქემა. I-IV კლასებში წლიური შეფასება ნიშნებით არ ხდება. ამ კლასებში ტრიმესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა თითოეულ მოსწავლეს უნდა დაუწეროს მოკლედ შემაჯამებელი კომენტარი ტექსტის სახით, სადაც დაახასიათებს მოსწავლის წარმატებებს და მისცემს რჩევებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენისთვის (განმავითარებელი შეფასება).

V-XII კლასებში ხდება უკვე ნიშნების დაწერა 10 ქულიანი სისტემით (განმსაზღვრელი შეფასება).

V-VI კლასებსა და საბაზო და საშუალო საფეხურებზე ფიზიკურ აღზრდაში მოსწავლე ფასდება სისტემით: არ ჩაეთვალა, ჩაეთვალა, წარჩინებით ჩაეთვალა.

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნები – მოსწავლის აკადემიური ცოდნისა და უნარის შეფასება;
- საგნის ტრიმესტრული ნიშანი – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ ტრიმესტრში;
- საგნის წლიური ნიშანი – ტრიმესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში;
- საერთო წლიური ნიშანი – ნიშანი, რომელიც გამოხატავს ყველა საგნის შეფასების ერთობლიობას;
- საერთო საფეხურის ნიშანი – ზოგადი განათლების თითოეული საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) საერთო შეფასება.

თუ მშობელს აინტერესებს თავისი შვილის აკადემიური მოსწრება და გაკვეთილებზე დასწრება, ის პირველ რიგში უნდა დაუკავშირდეს დამრიგებელს და სთხოვოს მას ინფორმაციის შეგროვება მისი შვილის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ. დამრიგებელი ვალდებულია, მასწავლებლებისგან შეაგროვოს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების თაობაზე არსებული ინფორმაცია, რის შემდეგაც ის ხვდება მშობელს და გააცნობს ინფორმაციას შვილის სწავლისა თუ ქცევის შესახებ.

შეფასების ორი ძირითადი ტიპი

შეფასების ტიპები და მათი გამოყენება დროის მიხედვით		
	განმსაზღვრელი	განმავითარებელი
მიმდინარე	ყოველდღიური დავალე-ბების შესრულება, გაკვეთილ-ზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვ. რომელშიც ნიშანი იწერება.	ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვ. რომელშიც ვუხსნით მოსწავლეს, როგორ გააუმჯო-ბესოს შედეგები.
შემაჯამებელი	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული ნიშანი.	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული სიტყვიერი შეფასება, კომენტარი, რუბრიკით შეფასება და სხვ.

სკოლაში ძირითადად მისაღებია ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. როდესაც მასწავლებელი ნიშანს უწერს მოსწავლეს და მხოლოდ ამით შემოიფარგლება, ეს ნიშანი განსაზღვრავს მოსწავლის მიღწევის დონეს დასახულ მიზნებთან მიმართებით. მაშინ, როდესაც მასწავლებელი შეფასების ისეთ ფორმას იყენებს, რომელიც მოსწავლეს არა მხოლოდ საკუთარი მიღწევის დონის განსაზღვრაში ეხმარება, არამედ განვითარებაშიც – ეს განმავითარებელი შეფასებაა. განმავითარებელი შეფასების ტიპური ფორმაა კომენტარები, რომელიც ტრიმესტრის განმავლობაში ან ბოლოს, ან რომელიმე დავალების შესრულების შემდეგ იწერება და რომელიც აღწერს ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ამავდროულად შეიცავს რეკომენდაციებს მიღწევების გაუმჯობესების თაობაზე. განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია შეფასების ცხრილების (რუბრიკების) გამოყენება.

მნიშვნელოვანია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მუდმივად გამოყენება სწავლის პროცესში. რეკომენდებულია, რომ განმავითარებელი შეფასების წილი სასწავლო პროცესისას უფრო მეტი იყოს, ვიდრე განმსაზღვრელის.

ტრიმესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები

მოსწავლის ნიშანი უნდა გამომდინარეობდეს მის მიერ საგნის შესწავლის სხვადასხვა კომპონენტისგან. მოსწავლეები შესაძლებელია შეფასდეს შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

ა) გაკვეთილზე ჩართულობა;

ბ) საშინაო დავალებები;

გ) მიმდინარე საკლასო დავალებები;

დ) შემაჯამებელი დავალებები (საკონტროლო/გამოცდა/ტესტირება და სხვ.);

ე) პროექტები;

ვ) დამატებითი კომპონენტი, რომელიც არაუმეტეს საერთო შეფასების 10%-ია და რომელიც მოსწავლეების მიერ დგინდება (მაგ. ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, ჯგუფში ეფექტური მუშაობა და სხვ.).

თითოეული საგნის სწავლებისას, სკოლა კათედრების მეშვეობით ჩამოთვლილი კომპონენტებიდან აღგენს მინიმუმ სამ სავალდებულო კომპონენტს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ 3 სავალდებულო კომპონენტში გათვალისწინებულია მე-6 (დამატებითი) კომპონენტი, დანარჩენი 2 კომპონენტისათვის

მინიჭებული პროცენტული წილი 90%-ია. ერთი კომპონენტისათვის მინიჭებული პროცენტული წილი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს.

მე-6 (დამატებითი) კომპონენტისათვის გათვალისწინებული 10 პროცენტის განაწილება ხდება მასწავლებლის მიერ უკვე მოსწავლეებთან შეთანხმებით. პირველად მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს კათედრის მიერ შემუშავებულ კომპონენტებს და უხსნიან, თუ რას მოელიან თითოეული კომპონენტის შეფასებისას. ამის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად ეძებენ იმ კრიტერიუმს, რომელიც, მათი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ დამატებით ათი პროცენტის ფარგლებში ყოფილიყო გამოყენებული. მასწავლებელი შესაძლებელია ეხმარებოდეს მოსწავლეებს ამ კომპონენტის გააზრებაში, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თვითონ გადაწყვიტონ ამ კომპონენტის რაობა და შეფასების დონეები.

თითოეული კომპონენტის მიხედვით დგება შეფასების დონეები ერთიდან ათამდე, რომელიც განმარტავს, თუ რა ქულები იწერება სხვადასხვა დონის მიხედვით. ტრიმესტრული შეფასება აუცილებლად მოიცავს განმსაზღვრელ შეფასებას. რეკომენდებულია, ტრიმესტრული შეფასება ასევე მოიცავდეს განმავითარებელ შეფასებასაც. რეკომენდებულია კომენტარების დაწერა ტრიმესტრის ბოლოს ყველასთვის და ტრიმესტრის შუაში იმათთვის, ვინც აუცილებლად უნდა გამოასწოროს საკუთარი სწავლა, რათა ტრიმესტრული შეფასება დადებითი ჰქონდეს. ტრიმესტრის შუაში ასევე შეიძლება დაიწეროს კომენტარი, თუ მოსწავლემ წინა ტრიმესტრთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მოსწრება. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს მოსწავლეს იმისთვის, რომ სწავლის ხარისხი ტრიმესტრის ბოლომდე შეინარჩუნოს.

არ არის აუცილებელი მასწავლებელი ყველა მოსწავლეს, ყოველ გაკვეთილზე აფასებდეს ყველა კომპონენტით. კომპონენტების მიხედვით, ნიშნების პროცენტული დათვლა ხდება ტრიმესტრის ბოლოს, ან მაშინ, როდესაც მასწავლებელს, დროის რაიმე მონაკვეთში, აინტერესებს მოსწავლის საერთო ნიშნის გამოყვანა.

ტრიმესტრული ნიშნის გამოანგარიშება ხდება შემდეგი წესით:

1. თითოეულ კომპონენტში იანგარიშება საშუალო ქულა, ანუ მოსწავლის მიერ საგნის ერთ-ერთ კომპონენტში მიღებულ ქულათა ჯამი უნდა გაიყოს ქულების რაოდენობაზე (მაგალითად, თუ მოსწავლეს ერთ-ერთ კომპონენტში ტრიმესტრის განმავლობაში აქვს 9; 8; 6; 8 და 8 მისი საშუალო ქულა იქნება (9+8+6+8+8): 5=7,8-ს)

2. კომპონენტის საშუალო ქულა უნდა გამრავლდეს ხვედრით წილზე (მაგალითად, თუ კომპონენტის ხვედრითი წილია 20%, მაშინ ქულათა საშუალო არითმეტიკული გამრავლდება 0,2-ზე. ანუ 7,8 ⨯ 0,2 = 1,56)

3. კომპონენტების ხვედრითი წილის გათვალისწინებით გამოყვანილი ქულები უნდა შეიკრიბოს (მაგალითად, თუ მოსწავლეს პირველ კომპონენტში აქვს - 1,56; მეორე კომპონენტში- 2,32; მესამე კომპონენტში - 1,77; ხოლო მეოთხე კომპონენტში - 2,43. საგნის ტრიმესტრული ნიშანი იქნება 1,56 + 2,32 + 1,77 + 2,43 = 8.08). მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წესის მიხედვით მეათედის სიზუსტით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა ნიშანი, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე. საგნის ტრიმესტრული ნიშნის მეათედების სიზუსტით დამრგვალების წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს, როცა მოსწავლეს ტრიმესტრული ნიშნების შესახებ ინფორმაცია სჭირდება უცხო ქვეყანაში წარსადგენად. ამ შემთხვევაში ტრიმესტრული ნიშანი მრგვალდება ერთეულის სიზუსტით (მაგალითად, 6.15 მრგვალდება 6-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე).

საგნის წლიური ნიშანი

მოსწავლე თითოეული ტრიმესტრის ბოლოს იღებს საგნის ტრიმესტრულ შეფასებას. წლის ბოლოს მასწავლებელი ამ სამი ტრიმესტრული შეფასების საფუძველზე საგანში საბოლოო ნიშანს წერს. მე-12 კლასის შემთხვევაში იმ არჩევითი საგნის წლიური ნიშნის გამოთვლა, რომელიც ისწავლება მხოლოდ

პირველი ორი ტრიმესტრის განმავლობაში, ხდება ამ ორი ტრიმესტრის შეფასების საფუძველზე. საგნის წლიური ნიშანი მრგვალდება ერთეულის სიზუსტით (მაგალითად, 6.15 მრგვალდება 6-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე).

დაუშვებელია მხოლოდ გამოცდის შედეგების მიხედვით მოსწავლეების შეფასება კონკრეტულ საგანში. საგნის წლიური ნიშანი შესაძლებელია ითვალისწინებდეს ასეთი ტესტირების ნიშანსაც ტრიმესტრულ ნიშნებთან ერთად. შესაძლებელია მოსწავლეს, რომელიმე ტრიმესტრის ნიშანი ჰქონდეს მიღებული ექსტერნატის გამოცდის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, ამ ნიშანსაც გავლენა აქვს საგნის წლიური ნიშნის გამოყვანაზე.

საშუალო საფეხურის მოსწავლის მიერ არასაპატიო მიზეზით კონკრეტული საგნისთვის 1 სასწავლო წლის მანძილზე გათვალისწინებული საათების 1/5-ის გაცდენის, ან საპატიო მიზეზით 1 სასწავლო წლის მანძილზე გათვალისწინებული საათების 1/2-ის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლე ამ საგანში არ იღებს საგნის წლიურ ნიშანს და აღნიშნულ საგანში შეფასებას იღებს ექსტერნატის გამოცდის საფუძველზე. საბაზო საფეხურის მოსწავლის მიმართ ამ წესის გავრცელების საკითხი და მისი გავრცელების შემთხვევაში მოსწავლის შეფასების წესი დგინდება სკოლის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში.

საერთო წლიური ნიშანი

საერთო წლიური ნიშანი გამოითვლება საფეხურის ფარგლებში მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის მიზნებისათვის.

საერთო წლიური ნიშანი არის ის ნიშანი, რომელიც მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას გამოხატავს ყველა საგანში. საერთო წლიური ნიშანი ერთი ნიშნით უნდა გამოიხატებოდეს. ამ ნიშნის გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით: ვიღებთ ყველა საგნის წლიურ ნიშანს, ვაჯამებთ და ვყოფთ ნიშნების საერთო რაოდენობაზე.

საერთო წლიური ნიშანი მრგვალდება **მეათედის სიზუსტით** (მაგალითად, 7.14 მრგვალდება 7.1-ზე, 8.15 მრგვალდება 8.2-ზე, ხოლო 9.27 მრგვალდება 9.3-ზე). აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა ნიშანი, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე.

სკოლამ უნდა გადაწყვიტოს თუ რას აკეთებს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საგანში მოსწავლე ტრიმესტრის განმავლობაში არ არის შეფასებული. შესაძლებელია მოსწავლეს ამ ტრიმესტრში ჩაეთვალოს ნული, საგნის ან საერთო წლიური ნიშნის გამოყვანისას. შესაძლებელია სკოლამ დაავალდებულოს მოსწავლე დავალებების ნაწილი აანაზღაუროს, ზაფხულის განმავლობაში აღიდგინოს და სხვ. ამასთან, საშუალო საფეხურის მოსწავლის მიერ არასაპატიო მიზეზით კონკრეტული საგნისთვის 1 სასწავლო წლის მანძილზე გათვალისწინებული საათების 1/5-ის გაცდენის, ან საპატიო მიზეზით 1 სასწავლო წლის მანძილზე გათვალისწინებული საათების 1/2-ის გაცდენის შემთხვევაში, ამ მოსწავლისთვის სკოლას სასწავლო წლის ბოლოს არ გამოყავს საერთო წლიური ნიშანი. ამ შემთხვევაში სკოლას მოსწავლის საერთო წლიური ნიშანი გამოყავს მოსწავლის მიერ შესაბამისი საგნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის გამოცდის წარმატებით დაძლევის შემდეგ ექსტერნატის გამოცდის შეფასების გათვალისწინებით. საბაზო საფეხურის მოსწავლის მიმართ ამ წესის გავრცელების საკითხი და მისი გავრცელების შემთხვევაში მოსწავლის შეფასების წესი დგინდება სკოლის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში.

საერთო საფეხურის ნიშანი

საერთო საფეხურის ნიშანი გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც საერთო წლიური ნიშანი, ანუ ვაჯამებთ საფეხურის მანძილზე ნასწავლი თითოეული საგნის წლიურ ნიშნებს (მათემატიკა მე-10 კლასი, ქართული მე-10 კლასი, მათემატიკა მე-11 კლასი, ქართული მე-11 კლასი და ა.შ.) და ვყოფთ

ნიშნების საერთო რაოდენობაზე, გამოვთვლით საშუალო არითმეტიკულს. საერთო საფეხურის ნიშანი მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგალითად,6.55 მრგვალდება 6.6-ზე, 7.58 მრგვალდება 7.6-ზე, ხოლო 9.43 მრგვალდება 9.4-ზე). აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა ნიშანი, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე.

საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული იმ მოსწავლეებისათვის, რომლებისთვისაც ვერ ხერხდება ზოგადი განათლების საფეხურებში შემავალი საგნების წლიური ნიშნების ამსახველი დოკუმენტაციის მოძიება, ზოგადი განათლების საფეხურის საერთო ნიშანი გამოითვლება ამ მოსწავლეთა მიერ გავლილი საგნების წლიური ნიშნების ამსახველი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

თითოეული საფეხურის წარმატებით დასრულება აუცილებელია იმისთვის, რომ მოსწავლეს შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების და/ან საბაზო ზოგადი განათლების ატესტატის ან სრული ზოგადი განათლების ატესტატის მიღების უფლება ჰქონდეს. წარმატებულად ჩაითვლება ის მოსწავლე, რომელსაც საერთო საფეხურის ნიშანი (დამრგვალების შემდეგ) ექნება არანაკლებ 5.1-სა. საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი, რომელიც იქნება არანაკლებ 5.1, არის სრული ზოგადი განათლების ატესტატის გაცემის საფუძველი.

საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული იმ მოსწავლეებისათვის, რომლებისთვისაც ვერ ხერხდება ზოგადი განათლების საფეხურებში შემავალი საგნების წლიური ნიშნების ამსახველი დოკუმენტაციის მოძიება, ზოგადი განათლების თითოეული საფეხური წარმატებით დასრულებულად ჩაითვლება მიუხედავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოთვლილი საერთო საფეხურის ნიშნისა. აღნიშნული სახით გამოთვლილი საერთო საფეხურის ნიშანი ამ მოსწავლეებისათვის წარმოადენს შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების და/ან საბაზო ზოგადი განათლების ან სრული ზოგადი განათლების ატესტატის გაცემის საფუძველს.

შესაძლებელია, რომ საფეხურის წარუმატებლად დაძლევის შემთხვევაში, მოსწავლემ გაიმეოროს მხოლოდ ის საგნები, რომლებიც ხელს უშლის საერთო საფეხურის დადებითი ნიშნის მიღებაში.

მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარება

საერთო წლიური ან საერთო საფეხურის ნიშანი 8, 9 და 10 გულისხმობს წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას. ყოველი წლის ბოლოს თითოეული საფეხურისთვის უნდა მოეწყოს საერთო შეკრება, სადაც წარჩინებულ მოსწავლეებს წარუდგენენ სკოლას წარჩინების ხარისხის მიხედვით. შესაძლებლობების მიხედვით სკოლამ შეიძლება გადაწყვიტოს ასეთი მოსწავლეების დაჯილდოებაც. ასეთი ღონისძიებები მნიშვნელოვნად ზრდის აკადემიური მოსწრებისადმი პატივისცემის გრძნობას მოსწავლეებში და სკოლაში ზოგადად.

პირი, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანია 10 დამრგვალების გარეშე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. ყველა დანარჩენი, ვისი საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი დამრგვალების შედეგად არის 9.8-დან 10-ის ჩათვლით, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსწავლეზე სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატი გაიცემა, თუ ამ მოსწავლის ნიშნების ამსახველი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მისი საშუალო საფეხურის საერთო ნიშანია 10 დამრგვალების გარეშე, ხოლო თუ მოსწავლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი დამრგვალების შედეგად არის 9.8-დან 10-ის ჩათვლით – მოსწავლეზე გაიცემა სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატი.

დაუშვებელია ყველა მოსწავლის ქულების საჯაროდ გამოცხადება. სკოლამ წლის ბოლოს საჯაროდ უნდა გამოაცხადოს მხოლოდ წარჩინებულების ვინაობა. ნაკლებად წარმატებულების აღნიშვნამ სასკოლო მასშტაბით შეიძლება მნიშვნელოვნად დათრგუნოს ასეთი მოსწავლეები და უარყოფითად იმოქმედოს მათ მომავალ წარმატებებზე.

სადამრიგებლო პროგრამა

თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰყავდეს სკოლაში დამრიგებელი. სადამრიგებლო პროგრამაში, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია, განმარტებული უნდა იყოს თუ რა პრინციპით ხდება მოსწავლეების ჯგუფების განაწილება ე.წ. სადამრიგებლოებად. ასევე უნდა იყოს განმარტებული პრინციპი, თუ რა პერიოდით არის კონკრეტული დამრიგებელი მოსწავლეებზე პასუხისმგებელი და რას მოიცავს ეს პასუხისმგებლობები გარდა იმისა, რაც ეროვნული სასწავლო გეგმების მოთხოვნებია. (მაგ. არსებობს თუ არა სკოლაში დაწესებული სპეციალური დრო, როდესაც დამრიგებელი ხვდება საკუთარ სადამრიგებლოს მოსწავლეს).

სადამრიგებლო პროგრამა უნდა განმარტავდეს იმას, თუ რა ღონისძიებებს ატარებს დამრიგებელი იმისათვის, რომ მის სადამრიგებლოს მოსწავლეებს გაუწიოს სათანადო დახმარება წარმატებების მიღწევაში (მაგ. აქვს თუ არა გამოყოფილი დრო მოსწავლეებთან შესახვედრად, ხვდება თუ არა ის მშობლებს რეგულარულად იმისთვის რომ პრობლემებზე ან მიღწევებზე ესაუბროს, აგროვებს თუ არა ის საგნის მასწავლებლებისგან ინფორმაციას მისი სადამრიგებლო ჯგუფის მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ და სხვ.).

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. სკოლამ უნდა დაადგინოს თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ საკითხების კოორდინირებაზე (ეს პიროვნება შეიძლება იყოს დირექციის წევრი, მომსახურე პერსონალი, მასწავლებელი ან მშობელიც კი). ამ პიროვნებასთან უნდა იყოს დანიშნული შეხვედრების დრო, როდესაც სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების მშობლები შეძლებენ გასაუბრებას შესაძლო პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

თუ სკოლას ჰყავს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე, სკოლამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს თუ რას აკეთებს იმისთვის, რომ ამ მოსწავლის განათლებისთვის ადეკვატური პირობები შექმნას (მაგ. მას შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, ან სპეციალური სივრცე სადაც შეძლებს დასვენებას და სხვ.) ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ ასეთ მოსწავლეს შეუდგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. თუ მოსწავლეს სწავლის შეფერხებები აქვს, მისი შეფასების კრიტერიუმები უნდა შედგეს მისი ინდივიდუალური გეგმიდან და მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მასწავლებელს არ უნდა მოერიდოს ორი აბსოლუტურად სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლისთვის ერთი და იმავე ქულის დაწერა, რადგან შესაძლებელია ეს ქულა ამ ორი მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზების დონეს გამოხატავდეს. ერთი მოსწავლის ქულები ყოველთვის არ არის შედარებადი მეორე მოსწავლის ქულებთან.

მეთოდიკის ძირითადი ორიენტირები

სწორი ლექსიკის გამოყენება

მნიშვნელოვანია სწავლების პრიორიტეტული მხარეების სასკოლო ლექსიკაში გათვალისწინება. გაკვეთილზე სწორი ლექსიკის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში ამ პრიორიტეტების გათავისებას. ამიტომ მასწავლებელი ხშირად უნდა იყენებდეს ისეთ ფრაზებს, რომლებიც შეიცავენ სიტყვებს აზროვნების შესახებ: „მოვიფიქროთ, ამოვიცნოთ, გავიაზროთ, დავახარისხოთ, შევაფასოთ“. სწავლების პროცესში ხშირად უნდა ისმებოდეს ისეთი კითხვები, რომელიც ხელს უწყობს და სტიმულს აძლევს აზროვნებას.

სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს ფიქრის კულტურა და ფიქრის გარემო. მასწავლებელი ამას დავალებებსა და გაკვეთილზე გამოყენებული ლექსიკით უნდა უწყობდეს ხელს. მოსწავლეს არ უნდა ეშინოდეს საკუთარი აზრის გამოთქმის, რაც უნდა სულელურად ეჩვენებოდეს მას ის ან მის გარშემო მყოფებს.

საგნების ინტეგრირებული სწავლება

სკოლაში მიღებული გამოცდილება, ცოდნა და უნარ–ჩვევები ადამიანს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, სამყარო მთლიანობაში აღიქვას. შესაბამისად, საგნები, რომლებიც სკოლაში ისწავლება, უნდა ითვალისწინებდეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს. უნარ–ჩვევები და საბაზო ცოდნა, რომელთაც ჩვენ ვუვითარებთ სკოლაში, უნდა იყოს იმდენად ფართო პროფილის, რომ დაეხმაროს ადამიანს წარმატების მიღწევაში არა ერთ რომელიმე, არამედ ნებისმიერ სფეროში, რომელშიც ის მოღვაწეობს.

აქცენტი მრავალმხრივ პერსპექტივაზე

მოვლენების შეფასება, იქნება ეს ისტორიული, ფიზიკური თუ ესთეტიკური, უნდა მოხდეს მრავალი კუთხით. სასწავლო მასალის მრავალი კუთხით შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია სტერეოტიპების დაძლევისთვის. სააზროვნო კითხვას მრავალი სწორი პასუხი აქვს. სკოლის მოვალეობაა, დაეხმაროს მოსწავლეებს ამ სწორი პასუხების აღმოჩენაში პრობლემის სხვადასხვა კუთხით შეფასების სწავლებით. სკოლამ აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი სასწავლო დაწესებულებაში მრავალფეროვნების არსებობას, არა მარტო მოსწავლეების ინტერესების, ენობრივი, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების პატივისცემის გზით, არამედ სხვადასხვა იდეისა და აღმოჩენის დაფასებით.

დისციპლინა

სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ–ჩვევები. მასწავლებლების მაგალითი გადამწყვეტია სკოლაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად. სკოლაში ნორმალური ატმოსფეროს დასანერგად ასევე გადამწყვეტია მოსწავლეებისათვის იმის ჩანერგვაც, რომ სკოლა მათია და მათ ეკუთვნით. მხოლოდ ამის დაჯერებით შეიძლება მოსწავლეებმა უარი თქვან სასკოლო ინვენტარისა თუ შენობის განზრახ დაზიანებაზე, სკოლებში უხეში კონფლიქტების წამოწყებაზე და სხვა. აღმინისტრაციული ზომები რომლებსაც სკოლა იყენებს მოსწავლეების დასასჯელად, უნდა იყოს ორგანიზებული მხოლოდ ისე, რომ მათი ღირსება არ შეილახოს. სკოლაში დისციპლინის მხრივ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს უნდა წარმოადგენდეს სკოლის შინაგანაწესი და ქცევის კოდექსი, რომელსაც ყველა მოსწავლე უნდა იცნობდეს.

ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროგრამა და სწავლის მეთოდები არ უნდა იყოს განსხვავებული სხვა მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პროგრამისაგან. ასეთ მოსწავლეებს სოციალური ქცევის სპეციფიკური ინსტრუქციები სჭირდებათ. სოციალურ უნარ-ჩვევათა სწავლება ნიშნავს მოსწავლისათვის ადექვატური საკომუნიკაციო ჩვევის გამომუშავებას, თვითდისციპლინასა და პრობლემათა გადაწყვეტის უნარის ჩამოყალიბებას. მოსწავლის უნარი ურთიერთობა დამყაროს თანატოლებთან, მასწავლებელთან, ოჯახთან დაკავშირებულია მისი სოციალური ქცევის განვითარებასთან და რეგულაციასთან. სოციალური უნარჩვევებს მოსწავლე სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში ითვისებს – სახლი, სკოლა, თემი. სკოლა უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ, სოციალურ და ქცევით განვითარებაზე.

ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეებს ნაკლებად მკაცრი გარემო უნდა შევუქმნათ და გავითვალიწინოთ, რომ ყურადღების გაფანტულობა, იმპულსური ქცევა, ჰიპერაქტიურობა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ბავშვებში. ზოგიერთ მოსწავლეს არ შეუძლია დიდი დრო დაუთმოს ერთი საქმის კეთებას, არ აქვს სხვების მოსმენის უნარი და გაკვეთილის მიმდინარეობის დროს გამუდმებით საუბრობს.

ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს მასწავლებელ-

მა უნდა გაითვალისწინოს: თუ მოსწავლე უარს ამბობს მასწავლებლის მითითებების შესრულებაზე და აგრესიულად იქცევა, არ იქნება კარგი, რომ ის მაშინვე კლასიდან გავაგდოთ ან გარკვეული პერიოდით ცალკე მოვათავსოთ. პედაგოგი უნდა შეეცადოს გამოავლინოს და გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები, შეინარჩუნოს მის მიმართ კეთილგანწყობა. სასურველია მთელი კლასი ჩაერთოს ამ პროცესში;

თუ მოსწავლე თანატოლებთან ხშირად ჩხუბობს და აგრესიულია, პედაგოგმა სასურველია არ აკრძალოს სხვა მოსწავლეების ასეთ ბავშვთან ურთიერთობა, არამედ მისცეს მას დამშვიდების დრო და შეეცადოს ასწავლოს მას თანატოლებთან ურთიერთობების დამყარების წესები. სასურველია მთელი კლასი ჩავრთოთ ამ პროცესში;

თუ მოსწავლემ ხშირად არ იცის გაკვეთილი და სწავლის უნარის დაქვეითებასთან გვაქვს საქმე, პედაგოგი სასურველია მუდმივად ცუდ ნიშანს არ უწერდეს მოსწავლეს ან დავალების აუცილებლად შესრულებას არ თხოვდეს მას, არამედ მოსწავლის ინტერესებზე დაყრდნობით ადგენდეს დავალებას. სასურველია მასწავლებელმა ასეთი მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების ინდივიდუალურ მეთოდი შეიმუშაოს.

თუ მოსწავლე დეპრესიულია გაკვეთილზე, შესვენებაზე თანატოლებთან ურთიერთობას არ ამყარებს, პედაგოგმა მას ხშირი შენიშვნები არ უნდა მისცეს, არამედ შეეცადოს თანატოლებთან დაამეგობროს ის. ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა სკოლაში თანატოლის მიერ თანატოლის დახმარებას ენიჭება. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სერიოზული ემოციური და ქცევითი დარღვევები აღენიშნება, მაშინ ასეთი მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სათანადო სამედიცინო დახმარებაა საჭირო.

მოსწავლეთა დასწრება

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი გულისხმობს მოსწავლეების აქტიურად ჩართვას საკუთარი ცოდნის აგების პროცესში. ეს გულისხმობს მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ საკუთარი ცოდნის აგებაში მონაწილეობას, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობასაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად - მოსწავლეების დასწრების უზრუნველყოფა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია.

სკოლამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გასწიოს იმისთვის, რომ მოსწავლეები რეგულარულად დაესწრონ გაკვეთილებს. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით, შესაძლებელია, რომ სკოლებმა ასევე იზრუნონ ამ მოსწავლეების მიერ სახლის, ან საავადმყოფოს პირობებში პერიოდული საგანმანათლებლო მომსახურების მიღებაზე.

დასწრების აღრიცხვა

მოსწავლეების დასწრების რეგულარული აღრიცხვა, მისი ანალიზი და პრობლემებზე რეაგირება სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობაა. ყველა კლასს (ან განაყოფს) უნდა ჰქონდეს მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღიცხვის ჟურნალი საგნების მიხედვით, სადაც მოხდება თითოეული კლასის მოსწავლის გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა. ეს ჟურნალი ინახება სკოლის ადმინისტრაციაში, მესამე პირთაგან დაცულ ადგილას.

მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია დამრიგებელი. დამრიგებელი ვალდებულია მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების თაობაზე შეგროვებული ინფორმაცია, სკოლის დირექტორის მიერ შესაბამისი ანალიზისა და პრობლემებზე რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველკვირეულად ასახოს საკუთარი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც ასევე ინახება სკოლის ადმინისტრაციაში, მესამე პირთაგან დაცულ ადგილას. დირექტორი

ვალდებულია განსაზღვროს ის უფლებამოსილი პირი, რომელიც შესაძლოა იყოს მისი ერთ-ერთი მოადგილე და რომელიც მონიტორინგს გაუწევს დამრიგებელთა მიერ მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას.

გაცდენების ტიპები

მოსწავლის მიერ გაკვეთილის/გაკვეთილების გაცდენა შეიძლება იყოს საპატიო ან არასაპატიო.

საპატიოდ ჩაითვლება გაცდენა, რომელიც გამოწვეულია: მოსწავლის ავადმყოფობით; სამედიცინო გამოკვლევებით; ახლო ნათესავის გარდაცვალებით; დაწყებით საფეხურზე მშობლის, ან მეურვის უუნარობით, მიიყვანოს მოსწავლე სკოლაში; მოსწავლის მოკლევადიანი მოგზაურობით, რომელიც 1 სასწავლო წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს; მოსწავლის ვალდებულებით გამოცხადდეს ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში; მოსწავლის ოჯახის წევრების ავადმყოფობისას, მოსწავლის მიერ მათზე ზრუნვის აუცილებლობით ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მოსწავლე იღებს მონაწილეობას ისეთ ღონისძიებაში, რომელიც ეხება მოსწავლის უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას ან წარმოჩენას. საპატიოდ ითვლება ასევე გაცდენები, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს.

მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ აცნობებს დამრიგებელს მოსწავლის მიერ გაკვეთილის მოსალოდნელი გაცდენის თაობაზე. იმისთვის, რომ გაცდენა მიჩნეულ იქნას საპატიოდ, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია მოსწავლის სკოლაში გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში წარმოადგინოს განცხადება, სადაც ის აღწერს მისი შვილის ან მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის მიერ გაკვეთილის გაცდენის მიზეზებს. გაცდენის საპატიოდ მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი დამრიგებლის წარდგინების საფუძველზე. თუ დირექტორი გაცდენას მიიჩნევს არასაპატიოდ, მოსწავლის გაცდენის საკითხი განსახილველად გადაეცემა დისციპლინურ კომიტეტს, თუ მოსწავლე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ ეთანხმება დირექტორის გადაწყვეტილებას. საბოლოო გადაწყვეტილებად ითვლება დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსწავლის გაცდენის არასაპატიოდ მიჩნევის თაობაზე, რომელიც საჩივრდება სკოლის სამეურვეო საბჭოში ან სააპელაციო კომიტეტში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ განცხადების წარმოდგენამდე ან თუ გაკვეთილის გაცდენა არ არის გამოწვეული ერთ-ერთი ზემოთჩამოთვლილი საპატიო მიზეზით, გაცდენა მიიჩნევა არასაპატიოდ, თუ მშობლი/კანონიერი წარმომადგენლი 5 დღეში არ წარმოადგენს შესაბამის განცხადებას.

დამრიგებელი ვალდებულია დასწრების წესების შესახებ ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს მშობლებსა და/ან მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რასაც ზედამხედველობას უწევს სკოლის დირექტორი.

გაცდენების ოდენობა

თუ საშუალო საფეხურის მოსწავლე 1 სასწავლო წლის განმავლობაში, რომელიმე საგანში არასაპატიო მიზეზით აცდენს საგნისთვის 1 სასწავლო წლის მანძილზე გათვალისწინებული საათების 1/5-ს, მოსწავლე ამ საგანს აბარებს ექსტერნატის ფორმით და მხოლოდ ასე გადადის შემდეგ კლასში/საფეხურზე ან რჩება იმავე კლასში.

თუ საშუალო საფეხურის მოსწავლე აცდენს გაკვეთილებს საპატიო მიზეზით და გაცდენების რაოდენობა შეადგენს კონკრეტული საგნისთვის 1 სასწავლო წლის მანძილზე გათვალისწინებული საათების 1/2-ს, მოსწავლე ამ საგანს აბარებს ექსტერნატის ფორმით და მხოლოდ ისე გადადის შემდეგ კლასში/საფეხურზე ან რჩება იმავე კლასში. ეს ნორმა არ ეხება შეზღუდული შესაძლებელობების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც შესაძლოა იღებდნენ საგანმანათლებლო მომსახურებას სახლის/საავადმყოფოს პირობებში და/ან სწავლობენ სკოლის მიერ დამტკიცებული ზოგადი განათლების მიღების ალტერნატიული ფორმით.

ამასთან, თუ საშუალო საფეხურის მოსწავლის მიერ 1 სასწავლო წლის განმავლობაში რომელიმე საგანში საპატიო და არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების ჯამური რაოდენობა შეადგენს

ამ საგნისათვის 1 სასწავლო წლის მანძილზე გათვალისწინებული საათების 1/2-ს, მოსწავლე ამ საგანს აბარებს ექსტერნატის ფორმით და მხოლოდ ისე გადადის შემდეგ კლასში/საფეხურზე ან რჩება იმავე კლასში.

საპატიო და არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის საფუძველზე მოსწავლის ექსტერნატის გამოცდაზე დაშვების მიზნებისათვის, მე-12 კლასში გაცდენების პროცენტული რაოდენობა გამოიყვანება მხოლოდ 1-2 ტრიმესტრიდან.

საბაზო საფეხურის მოსწავლის მიმართ ამ წესის გავრცელების საკითხი და მისი გავრცელების შემთხვევაში მოსწავლის შეფასების წესი დგინდება სკოლის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში.

სკოლის დირექტორი ვალდებულია დამრიგებლის წარდგინების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, დროულად შეატყობინოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიერ გაკვეთილის/გაკვეთილების გაცდენის ფაქტის მოსალოდნელი შედეგის შესახებ.

აქცენტი პიროვნული ღირსებების განვითარებაზე

სკოლამ განსაკუთრებულად უნდა მიაქციოს ყურადღება ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორიცაა ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში დიდი ყურადღება ექცეოდეს ისეთი გავრცელებული სენის აღმოფხვრას, როგორიცაა პლაგიატობა (ანუ სხვისი აზრების მითვისება). სკოლა უნდა ქმნიდეს ისეთ ატმოსფეროს, სადაც სხვისი აზრების, მოსწავლისა თუ მასწავლებლის, მეცნიერისა თუ მწერლის აზრების საკუთრად გასაღება სირცხვილად ითვლება. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ სხვისი ნაშრომის მითვისება და საკუთარ მიღწევად გამოცხადება ისეთივე ქურდობაა, როგორც სხვისი ნივთის მითვისება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი პირად მაგალითზე აჩვენებდეს მოსწავლეს, რას ნიშნავს სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა.

განსხვავებული შესაძლებლობებისა და უნარების მქონე მოსწავლეების მაქსიმალური ჩართვა სასწავლო პროცესში

სკოლა და მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ ნებისმიერი მიდრეკილების, შესაძლებლობის თუ ინტერესის მქონე მოსწავლე მაქსიმალურად ჩართოს სასწავლო პროცესში. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იქნეს მრავალი თავისებურება, რაც მოსწავლეებში გვხვდება. ზოგიერთ მოსწავლეს, უჭირს მკაფიოდ მეტყველება. ამ შემთხვევაში პედაგოგი დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრას მოსწავლეს, აგრძნობინოს, რომ აინტერესებს მისი საუბარი, დაუკვირდეს მის ნააზრევს; არ შეაწყვეტინოს მეტყველების პრობლემის მქონე მოსწავლეს საუბარი; აქტიურად ჩართოს ასეთი მოსწავლე საკლასო დისკუსიებში, ყურადღებით უნდა მოუსმინოს მას და წაახალისოს; მეტყველების პრობლემის მქონე მოსწავლეს მასწავლებელმა სასურველია არ დაუსვას ბევრი შეკითხვა ერთდროულად, რათა მას გრძელი პასუხი არ მოყვეს.

სკოლის ასაკის ბავშვებს შორის ცაციების რაოდენობა მეყეობს 15-დან 29%-მდე. ეს ნიშნავს, რომ სკოლის100 მოწაფიდან 15 მაინც ცაციაა. ცაცია მოსწავლეებთან ურთიერთობისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს რომ: დაწყებითი საფეხურის კლასების მოსწავლეებმა, მათ შორის ცაციებმა, თავად უნდა აირჩიონ, თუ რომელი ხელით ურჩევნიათ წერა, ხატვა და სხვა დავალებების შესრულება. ცაცია ბავშვისათვის მარჯვენა ხელით წერის, ხატვის და სხვა სოციალურად მნიშვნელოვანი მოქმედებების შესრულების დაძალებამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე; ბავშვის ცაციობა არ უნდა გახდეს არაჯანსაღი ყურადღებისა და დაცინვის საგანი. ცაციას ცუდი კალიგრაფია, წერის ნელი ტემპი არ უნდა იყოს მისი აკადემიური მოსწრების უარყოფითად შეფასების კრიტერიუმი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის შეფასებისას ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინება, სადაც შეფასება ხდება იმ სისტემით, რომელიც ამ მოსწავლის შესაძლებლობებზეა მორგებული.

სავალდებულო და არჩევითი საგნები

საგნების და ჯგუფების მთავარი პრინციპები

ქართული საგანმანათლებლო ტრადიციისა და განათლების მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, I-XII კლასებში ცალკეული საგნების სწავლა–სწავლება შემდეგ ძირითად პრინციპებს ეფუძნება:

ა. სასწავლო საგნებში გამოიყოფა ექვსი ძირითადი ჯგუფი:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური და ქართული);
2. მათემატიკა;
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
4. საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები;
5. უცხოური ენები;
6. ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა.

სასწავლო საგნების ჯგუფებად გაერთიანების მთავარი მიზანია მრავალფეროვანი საგნობრივი პროგრამის სისტემატიზაცია. საგნობრივი ჯგუფები შეიცავს მსგავსი მიზნებისა და შესწავლის სფეროების მქონე საგნებს. საგნობრივ ჯგუფებად საგნების დალაგება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საათების დანაწილების პრინციპი.

ბ. თითოეული საგნობრივი ჯგუფი ისწავლება ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად

თანამედროვე მსოფლიოში წარმატების მისაღწევად ადამიანს მრავალმხრივი განვითარება ესაჭიროება, რაც სასკოლო გეგმასა და საგნობრივი ჯგუფების საათობრივ განაწილებაზეც უნდა აისახოს.

გ. დაწყებით საფეხურზე საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლება უფრო მეტად ინტეგრირებულია, ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

აზროვნების განვითარების კვალდაკვალ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, უფრო დაწვრილებით გაეცნონ და შეისწავლონ სამყაროში მიმდინარე მოვლენები, ღრმად გაიაზრონ და აქტიურად ჩაებან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ დაწყებით საფეხურზე საგნები მეტად ინტეგრირებულად ისწავლება, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კი – უფრო სპეციალიზებულად. სასწავლო პროცესში ამ საგნების შესწავლის შედეგად მიღებულ ცოდნასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა უნარ–ჩვევების და დამოკიდებულებების გამომუშავებას და განვითარებას.

X-XII კლასებში მოსწავლეთა მიერ საკუთარი ინტელექტუალური მიდრეკილებების განსაზღვრა და გაღვივება ხდება. ამ კლასებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ აუცილებელ საგნებთან ერთად (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, მათემატიკა) აირჩიონ დამატებით საბუნებისმეტყველო, საზოგადოებათმცოდნეობითი ან ესთეტიკურ–შრომითი მიმართულების საგნები.

საგნობრივი ჯგუფები

ქართული ენა და ლიტერატურა

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აფხაზური და ქართული

ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლამ უნდა განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო

უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) საქართველოს სახელმწიფო ენაზე. ამ საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, გამოუმუშავოს მოზარდს ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა, შეაყვაროს კითხვა, ხელი შეუწყოს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმის და შეფასების უნარის ჩამოყალიბებას. ამ ამოცანის გადაჭრაში დაგვეხმარება ქართული ლიტერატურის სწავლების პროცესში თემატურად და შინაარსობრივად მსგავსი უცხოური ლიტერატურის გაცნობა და მათ შორის პარალელების ძიება. საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარება. მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების ტექსტების წერის უნარი.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფი აერთიანებს ქართულის, როგორც მშობლიურის და ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო გეგმებს. ქართული, როგორც მეორე ენა ისწავლება ძირითადად იმ მოსწავლეების მიერ, რომლებისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა, ან რომლებისთვისაც ქართულენოვანი გარემოა შეზღუდული და სასწავლო ენა არ არის ქართული. თუმცა აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ იმ მოსწავლეების მიერ, რომლებიც არაქართულენოვან ოჯახებში იზრდებიან, მაგრამ რომლებიც ქართულენოვან სკოლებში სწავლობენ, შესაძლებელია ორივე სასწავლო გეგმა იყოს დაძლევადი.

მათემატიკა

მათემატიკური საგნების სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში კვლევის ჩვევის, აგრეთვე ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნების გამომუშავება. მათემატიკის სწავლამ მოსწავლეს უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომელიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა მოზარდს უნდა გამოუმუშავოს კვლევის, სამყაროსა და გარემოს შესწავლის, მისი დაცვისა და შენარჩუნების უნარ-ჩვევები. მოსწავლე გაეცნობა სამეცნიერო მეთოდებს და შეისწავლის მათი გამოყენების ხერხებს სამყაროს აღქმისა და გააზრებისათვის, აგრეთვე, გაეცნობა მეცნიერებათა მიღწევებს და მათ კავშირს ყოველდღიურ ცხოვრებასთან. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია იმ უნარების გამომუშავება, რომელიც ეხმარება ადამიანს, განსაზღვროს თავისი ადგილი ბუნებრივ გარემოში და დააკვირდეს მიმდინარე ბუნებრივ პროცესებს.

ამ საგნობრივ ჯგუფში შედის შემდეგი საგნები: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და დაწყებით კლასებში ბუნებისმეტყველების კურსი. ამ საგნობრივ ჯგუფთან ერთად ისწავლება ფიზიკური გეოგრაფიის საკითხებიც.

საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და საზოგადოებრივი მეცნიერებები

ამ საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, გამოუმუშავოს მოზარდს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, უნარი, განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში გეოგრაფიული, ისტორიული, რელიგიური, პოლიტიკური, კულტურული თუ ეთნიკური რეალობების გათვალისწინებით. ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად ამ საგნობრივი ჯგუფის მიზანია, ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც მოამზადებს მოსწავლეს აქტიური და პასუხისმგებელი მოქალაქეობისთვის და საფუძვლად დაედება საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესების შეცნობას, საკუთარი და სხვა კულტურების და მათი წარმომადგენლების მიმართ პატივისცემას და შემწყნარებლობას.

ამ საგნობრივ ჯგუფს შეადგენს: სავალდებულო საგნები – საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, სამოქალაქო აღზრდა, არჩევითი კურსები – ეკონომიკა, სახელმწიფო და მოქალაქეობა, სამართალი, რელიგიების ისტორია.

უცხოური ენები

უცხოური ენების საგნობრივმა ჯგუფმა მოსწავლეს უნდა განუვითაროს სახელმწიფო ენასთან ერთად მინიმუმ ორ ენაზე კომუნიკაციის უნარი. დასაშვებია, რომ არაქართულენოვანმა სკოლებმა/სექტორებმა თავიანთ მოსწავლეებს მშობლიური და სახელმწიფო ენის გარდა, არანაკლებ ერთი უცხოური ენა ასწავლონ.

ამ საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სხვა ენობრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან წერილობით და ზეპირად ურთიერთობის უნარის განვითარება. ძირითადი ყურადღება, ისევე, როგორც ყველა სხვა საგნობრივ ჯგუფში, აქაც შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს ექცევა.

ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს რუსულის, ინგლისურის, გერმანულის და ფრანგულის სასწავლო პროგრამას, თუმცა სკოლებს ეძლევათ უფლება, ამ ენების მაგივრად ან დამატებით რომელიმე სხვა ენა ასწავლონ.

ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა

ამ საგნობრივი ჯგუფის მიზნებია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ჯგუფური მუშაობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის უნარების გამომუშავება, შრომითი, პრაქტიკული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარება, ამ საგნობრივმა ჯგუფმა უნდა განუვითაროს მოზარდებს ხელოვნების ნიმუშების შექმნისა და მათი შეფასების, შეცნობის უნარი.

ამ საგნობრივ ჯგუფში შედის მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების კურსი და ფიზიკური აღზრდა. ამასთან ერთად, არჩევითი საგნების სახით საშუალო საფეხურზე ამ საგნობრივი ჯგუფის ნაწილია აგრეთვე შემდეგი საგნები: თეატრალური ხელოვნება, ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული კურსები, მუსიკა და ხაზვა.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამის ფონზე სულ უფრო შესაძლებელი ხდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროცესში. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების პრიორიტეტია ამ ტექნოლოგიების გამოყენებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში, სხვადასხვა საგნების სწავლებისას ინტეგრირებისა და ასევე ცალკე სწავლების გზით. სწავლების ეს მიმართულება არ არის გამოყოფილი ცალკე საგნობრივ ჯგუფად და მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ გამჭოლ სასწავლო პრიორიტეტებს.

სავალდებულო საგნების სწავლება საფეხურების მიხედვით

სავალდებულო საგნების სწავლების სქემა

საგნობრივი ჯგუფები	საგანი	დაწყებითი						საბაზო			საშუალო		
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ქართული ენა და ლიტერატურა	ქართული ენა და ლიტერატურა												
მათემატიკა	მათემატიკა												
საქართველოს ისტორია, საქართველოს გეორგაფია და საზოგადოებრივი მეცნიერებები	საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია												
	სამოქალაქო განათლება											X	X
	საქართველოსა და მსოფლიოს გეოგრაფია												X
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველება												
	ბიოლოგია												X
	ფიზიკა												X
	ქიმია												X
უცხოური ენები	პირველი უცხოური ენა												
	მეორე უცხოური ენა												
ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/შრომითი სწავლება											X	X
	მუსიკა											X	X
	ფიზიკური აღზრდა												

მუქად დაშტრიხული – საგნის სავალდებულო სწავლება

X -არჩევითი საგნები

სქემის განმარტებები

ქართული ენა და ლიტერატურა

- ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ფიზიკური აღზრდის სწავლა სავალდებულოა I-XII კლასების განმავლობაში.
- საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და საზოგადოებრივი მეცნიერებები
- საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია სავალდებულოდ ისწავლება 5–12 კლასებში;
- საქართველოსა და მსოფლიოს გეოგრაფია სავალდებულოდ ისწავლება 5–11 კლასებში;
- სამოქალაქო განათლება სავალდებულოდ ისწავლება 5–10 კლასებში;
- საქართველოს გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების საკითხები 1–6 კლასებში ინტეგრირებულია ბუნებისმეტყველების კურსში;
-

უცხოური ენები

- პირველი უცხოური ენის სწავლას მოსწავლე იწყებს მე–3 კლასში, მეორისას კი მე–7 კლასში, გარდა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის დადგენილი გამონაკლისისა. მეათე კლასიდან ნებადართულია პირველი უცხოური ენის სწავლისათვის თავის დანებება და მესამე უცხოური ენის სწავლის დაწყება (X-XII კლასებში). ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მესამე კლასამდე დაიწყონ სკოლებმა უცხოური ენის სწავლება, ან მეშვიდე კლასამდე ასწავლონ ორი უცხოური ენა თუ სკოლა გადაწყვეტს, რომ მას აქვს ამის საშუალება და ხედავს ამ საგნების შეთავაზების მნიშვნელობას. თუმცა პირველ ორ კლასში უცხოური ენის სწავლება არ არის რეკომენდებული. ასევე სკოლას აქვს უფლება ორ უცხოურ ენაზე მეტი ასწავლოს თავის მოსწავლეებს.

საბუნებისმეტყველო საგნები

- ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული კურსი სავალდებულოა 1–6 კლასებში.
- საბუნებისმეტყველო საგნები, ქიმია ფიზიკა, ბიოლოგია ისწავლება მე-7-მე12 კლასებში თითოეული ისწავლება 4 წლის განმავლობაში სავალდებულო სახით. მე-12 კლასში საბუნებისმეტყველო საგნებიდან მოსწავლე ირჩევს მინიმუმ ერთ ან მაქსიმუმ ორ საგანს.

ესთეტიკური, შრომითი და ფიზკური აღზრდა

- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების კურსი ისწავლება 1-მე-10 კლასებში როგორც სავალდებულო საგანი. იმ სკოლას რომელსაც აქვს შესაბამისი ბაზა, ყავს ადამიანური რესურსები და ხედავს ამის საჭიროებას, შეუძლია შეკვეცოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების სწავლება მაგ. ერთი ტრიმესტრით და ნაწილი ამ საგნის დაუთმოს შრომის სწავლებას, სადაც ასწავლიან ხელსაქმეს, სხვადასხვა სამუშაო იარაღების გამოყენებას, კულინარიას და სხვ.)
- მე-8 და მე-9 კლასებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების და მუსიკის სწავლება სავალდებულოა ერთი ტრიმესტრის განმავლობაში მაინც ან სკოლის გადაწყვეტილებით შესაძლოა ისწავლებოდეს ორი ტრიმესტრის განმავლობაში. იმ კლასში სადაც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/შრომითი სწავლება ისწავლება ორი ტრიმესტრის განმავლობაში, მუსიკა ისწავლება ერთი ტრიმესტრის განმავლობაში და პირიქით.

საშუალო საფეხურის სქემა (მე-10-12 კლასები)

- სავალდებულოა მე–10–12 კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, ორი უცხოური ენის (გარდა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისათვის დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა) და ფიზიკური აღზრდის საგნების შესწავლა.
- მე–10 კლასში თითო ტრიმესტრი სავალდებულოდ ისწავლება:
- სამოქალაქო განათლების ინტენსიური კურსი;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/შრომითი სწავლება;
- მუსიკა;
- მე-11 კლასში გეოგრაფია სავალდებულო საგანია.
- მე–11-მე-12 კლასებში მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სავალდებულო საგნების სწავლის გარდა, აირჩიოს მისთვის სასურველი საგნები ორი საგნობრივი ჯგუფიდან: საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და საზოგადოებრივი მეცნიერებები და ესთეტიკური შრომითი და ფიზიკური აღზრდა.
- მე-12 კლასში მოსწავლეს ეძლევა საშუალება სავალდებულო საგნების გარდა აირჩიოს მისთვის

სასურველი ერთი ან ორი საბუნებისმეტყველო საგანი. ქიმია სავალდებულოა მე-12 კლასში და ამ კლასში მისი დამატებით არჩევის დროს, ის ისწავლება გაძლიერებული სახით.

- თითოეულ არჩევით ბლოკში სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლებისთვის მინიმუმ ორი საგნის შეთავაზება. მცირეკონტიგენტიან სკოლებს, რომლებსაც შეიძლება არ ჰქონდეთ საშუალება, შესთავაზონ მოსწავლეებს 11-12 კლასში არჩევანის ფართო თავისუფლება, აქვთ უფლება თვითონ განსაზღვრონ ზემოთჩამოთვლილი არჩევითი საგნებიდან რომელი ოთხი შეთავაზონ თავიანთ მოსწავლეებს. საუკეთესო შემთხვევაში, ეს მოხდება მოსწავლეების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არჩევითი საგნები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით

საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და საზოგადოებრივი მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (მე-12 კლასში მხოლოდ)	ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური აღზრდა
1. ეკონომიკა 2. სახელმწიფო და მოქალაქეობა 3. სამართალი	1. ქიმია 2. ფიზიკა 3. ბიოლოგია	1. მუსიკა 2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (პრაქტიკული კურსი) 3. ხელოვნების ისტორია (თეორიული კურსი) 4. ხაზვა 5. თეატრალური ხელოვნება
4. გლობალური პრობლემების გეოგრაფია (მე-12 კლასში მხოლოდ)		

თითოეული ზემოთმოყვანილი საგანი წარმოადგენს ერთწლიან ან 2 ტრიმესტრიან ინტენსიურ კურსს. საერთო ჯამში მე–11 მე-12 კლასებში მოსწავლემ უნდა ისწავლოს მინიმუმ ერთი საგანი თითოეული საგნობრივი ჯგუფიდან და შესაძლოა ორი.

- მეთორმეტე კლასის ბოლო ტრიმესტრი შესაძლოა დაეთმოს მხოლოდ სავალდებულო საგნებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მისაღები გამოცდებისათვის მომზადებას. სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა დაადგინოს თუ რომელი არჩევითი საგნის სწავლების შეწყვეტას აპირებს მესამე ტრიმესტრში. ამ შემთხვევაში, არჩევითი საგნის ჯამური საათები გადანაწილდება ორ ტრიმესტრზე.

- გლობალური პრობლემების გეოგრაფია მეთორმეტე კლასში არჩევითი კურსია და შესაძლებელია როგორც საბუნებისმეტყველო ისე საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკის ფარგლებში ისწავლებოდეს.

მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასებში სკოლამ შესაძლებელია მოსწავლეს შესთავაზოს არჩევითი აკადემიური საგნების ნაცვლად სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილი უნდა იყოს პროფესიული სწავლების ცენტრებთან და სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან კონსულტაციების საფუძველზე. მოსწავლე, რომელიც გაივლის სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას და სავალდებულო საგნებს, აიღებს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ატესტატს და, თუ პროფესიული სწავლების ცენტრის შესაბამის კომისიასთან ჩააბარებს გამოცდას, მიიღებს სახელობო განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის სერტიფიკატს.

თუ სკოლას აქვს იმის შესაძლებლობა რომ ოთხზე მეტი საგანიც ასწავლოს, შეზღუდვა ამ მხრივ არ არსებობს. ნებისმიერ სკოლას აქვს უფლება სავალდებულო მინიმუმის გარდა ნებისმიერი რაოდენობის საგანი ასწავლოს, თუ მოსწავლეების ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს მიიღებს მხედველობაში.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაუთვალისწინებელი ფაკულტატური საგნები

სკოლას აქვს უფლება შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნები. (მაგ. ცეკვა, ტოლერანტობის პროგრამა, ფოტოგრაფია, ასტრონომია, ჯანსაღი ცხოვრების წესი, რელიგიების ისტორია და სხვა.) ამ საგნების სწავლება წლის დასაწყისშივე უნდა იყოს შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან. სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს:

1. საგნის მიზნები და ამოცანები და დასაბუთება, თუ რამდენად ემსახურება ეს მიზნები და ამოცანები ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში მოცემულ იდეალებს.
2. საგნის ორგანიზების ფორმები (საგნის მასწავლებლის ვინაობა, საგაკვეთილო დატვირთვა, დავალებების ხასიათი და სიხშირე, შეფასების კრიტერიუმები)

საგნების საათობრივი განაწილების ძირითადი პრინციპები

საათობრივი ბადე

საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა სავალდებულო და მაქსიმალური დატვირთვის ოდენობას. საათობრივი ბადე განსაზღვრავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სავალდებულო საგნების სწავლების სავალდებულო ხანგრძლივობას.

სასწავლო დღის და გაკვეთილის ხანგრძლივობა

მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა.

კლასი	1	2	3	4–5	6–7	8	9-12
მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული)	3	4	4	4	5	5	5–6

გაკვეთილების რაოდენობა მოზარდის განვითარების კვალდაკვალ იზრდება. გაკვეთილების ხანგრძლივობაა 45 წუთი. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილი გრძელდება 35 წუთი. შესვენებები გრძელდება მინიმუმ 10 წუთი.

გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.), როდესაც სკოლამ შესაძლოა ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების და/ან დასვენებების ხანგრძლივობები სასწავლო დღის შემცირების მიზნით.

სკოლების თავისუფლება საათების განაწილებისას (ფაკულტატური საათები)

თითოეულ კლასში სკოლას ეძლევა უფლება, სავალდებულო საათების გარდა, დაამატოს გარკვეული რაოდენობის საათები, რომელსაც იყენებს მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე ფაკულტატური კურსებისა თუ დამატებითი გაკვეთილების ჩასატარებლად. ასეთი საგნები ტრადიციულად სკოლაში იყო რელიგიების ისტორია, ცეკვა, ფოტოგრაფია და სხვ.

2007-08 სასწავლო წლამდე ფაკულტატური საათების რაოდენობა საათობრივ ბადეში იყო ხოლმე ჩაწერილი როგორც მაქსიმალურ და სავალდებლო საათებს შორის სხვაობა. ახალ საათობრივ

ბადეში ამ საათებზე კონკრეტული შეზღუდვა აღარ არსებობს. სკოლამ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში უნდა დაამატოს საათები ფაკულტატური საგნებისთვის ან სავალდებულო საგნების სწავლების გასაძლიერებლად. საათების დამატებისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს სასწავლო დღის და გაკვეთილის რეკომენდებული ხანგრძლივობა და ეცადოს, რომ საათების დამატებისას მიაქციოს ყურადღება იმას, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება შუალედებში სათანადოდ დაისვენონ.

სკოლას ასევე აქვს უფლება, სამინისტროს მიერ მიწოდებული რეკომენდებული საათობრივი ბადის ფარგლებში საათების 25% საკუთარი მოსაზრებებით გადაანაწილოს საგნებს შორის. საათების გადანაწილებისას შესაძლებელია ასევე ჯამური საათებით მანიპულირება. მაგ. ერთ-ერთ საგანს ეთმობა რეკომენდებულ საათობრივ ბადეში 4 საათი კვირაში. ეს ნიშნავს რომ ჯამურად წელიწადში ეს საგანი ისწავლება 4*36 (კვირების რაოდენობა)=144 საათის განმავლობაში. სკოლას შეუძლია შეცვალოს ამ საგნის საათობრივი დატვირთვა ისე, რომ ვთქვათ გაზარდოს 150 საათამდე, ან შეამციროს მაგ. 120 საათამდე და სხვ... საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს ნიშნავს იმას, რომ სკოლამ კარგად უნდა დაგეგმოს საკუთარი საგაკვეთილო ცხრილი, რადგან ზოგიერთ ტრიმესტრში შეიძლება ამ საგანს კვირაში 4 საათი დაეთმოს და ზოგიერთში კი 5, ან 3 და ა.შ.

გამჭოლი საგანმანათლებლო პრიორიტეტები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

იმ სკოლებში, სადაც არსებობს შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა, თითოეულ მოსწავლეს დამამთავრებელი კლასისთვის კომპიუტერების გამოყენების საბაზისო უნარ-ჩვევების შესასწავლად მინიმუმ 36 საათიანი კურსი უნდა ჰქონდეს გავლილი. თუ სკოლას აქვს შესაძლებლობა, რომ წინა კლასში მყოფ მოსწავლეებსაც გაატაროს მსგავსი კურსი, მაშინ მათაც მსგავსი წესი ეხებათ და ა.შ. (რაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს სკოლას, მით უფრო მეტი კლასი უნდა მოიცვას)

რაც შეეხება ამ 36 საათის გადანაწილებას, აქ სკოლას ეძლევა სრული თავისუფლება თვითონ გადაწყვიტოს რა სქემით ასწავლის მოსწავლეებს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება გარკვეული დრო ინდივიდუალურად იმუშავონ კომპიუტერთან. ამისთვის, შესაძლებელია, რომ საკლასო განაყოფები დაიყოს კიდევ უფრო მცირე ჯგუფებად. ასევე შესაძლებელია, რომ მოსწავლეების ერთმა ნაწილმა, ვთქვათ, ინტენსიურად იმუშავოს ერთი ტრიმესტრის განმავლობაში, მომდევნო ტრიმესტრში კი მოსწავლეების სხვა ნაწილმა ჩაანაცვლოს. ანუ 36 საათი არ არის აუცილებელი, რომ თითოეული მოსწავლისთვის მთელს წელიწადზე, კვირაში თითო საათის სახით იყოს გადანაწილებული. ასევე დასაშვებია ინფორმაციული და კომუნიკაციული ტექნოლოგიების სწავლება არა ცალკე საგნად, არამედ სხვა საგნების ფარგლებში ისწავლებოდეს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული კომპიუტერული ტექნიკა. ეს გულისხმობს იმასაც, რომ კომპიუტერები (კომპიუტერების ლაბორატორიაში თუ სხვაგან) უნდა იყოს ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის გაკვეთილების შემდეგაც იმისთვის, რომ გააკეთონ დავალებები, გაიღრმავონ საკუთარი უნარჩვევები, ან საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენონ ეს ტექნიკა კომუნიკაციისთვის, თვალსაწიერის გაფართოებისთვის, დამატებითი პროექტების მომზადებისა თუ სხვა საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

საბიბლიოთეკო და სხვა ინდივიდუალური სამუშაო დრო

სასურველია, რომ მოსწავლეები მივაჩვიოთ ინდივიდუალურ მუშაობას ბიბლიოთეკაში. ამისთვის სკოლა, რომელსაც ამის საშუალება აქვს, მოსწავლეების ბიბლიოთეკაში მუშაობისთვის გამოყოფს განსაზღვრულ დროს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა მისცენ მოსწავლეებს დავალებები, რომლებიც ბიბლიოთეკით სარგებლობას გულისხმობს. სასურველია, სკოლამ ბიბლიოთეკის ბაზაზე შექმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ გაკვეთილების შემდეგ ბიბლიოთკაში დარჩენა და მეცადინეობა, თუ ეს მათთვის უფრო მოსახერხებელია.

საქართველოს შრომის კოდექსი

მიღებულია - 25.05.2006 წ ძალაშია - 03.07.2006 წ

25.01.2010 წ - მდგომარეობით

კარი 1 - ზოგადი დებულებანი

თავი 1 - შესავალი დებულებანი

მუხლი 1 - მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

2. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

მუხლი 2 - შრომითი ურთიერთობა

1. შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

3. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.

4. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

5. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

6. შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 3 - შრომითი ურთიერთობის სუბიექტები

1. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ: დამსაქმებელი, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება.

2. დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო.

3. დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

4. კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან: დასაქმებულთა გაერთიანება და დამსაქმებელი.

კარი 2 - ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობა

თავი 2 - შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

მუხლი 4 - სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

მუხლი 5 - წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე

1. დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

2. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს.

3. დამსაქმებელს უფლება აქვს შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე.

4. დამსაქმებლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ და კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის კანდიდატის თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. კანდიდატს უფლება აქვს გამოითხოვოს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, თუ მასთან დამსაქმებელმა არ დადო შრომითი ხელშეკრულება.

6. კანდიდატი უფლებამოსილია მიიღოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს, შრომის პირობების, შრომითი ურთიერთობისას მისი უფლებრივი მდგომარეობის, შრომის ანაზღაურების შესახებ.

7. კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულად ითვლება მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების დადებით ან დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებით.

8. დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 6 - შრომითი ხელშეკრულების დადება

1. შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

2. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

3. პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

4. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

5. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომში - მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

6. თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება.

7. წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

8. დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

მუხლი 7 - შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 8 - შრომითი ხელშეკრულების შეთავსებით სამუშაოზე დადების შეზღუდვა

1. შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.

2. დასაქმებულის უფლება, შეასრულოს სხვა სამუშაო, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულებით შეიზღუდოს, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას ან/და თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენტია.

მუხლი 9 - გამოსაცდელი ვადა

1. შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

2. დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

3. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა, თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

თავი 3 - სამუშაოს შესრულება

მუხლი 10 - სამუშაოს პირადად შესრულების მოვალეობა

დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრული ვადით სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულებაზე.

მუხლი 11 - დამსაქმებლის მითითების უფლება, შრომითი ხელშეკრულების პირობების არაარსებითი შეცვლა და შეცვლა

1. დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულისათვის მითითებით დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოება, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.

2. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

3. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების პირობების არაარსებით შეცვლად მიიჩნევა:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს;

ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;

გ) ისეთი ცვლილება, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის შეცვლით და შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების ზუსტ შესრულებას, ამასთანავე, არ ცვლის მის ძირითად არსს.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებებიდან ერთდროულად ორის შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად.

მუხლი 12 - მივლინება

1. მივლინება არის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე.

2. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს.

3. დამსაქმებლის მიერ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვადის გადამეტების შემთხვევა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად.

4. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 13 - შრომის შინაგანაწესი

1. დამსაქმებელს უფლება აქვს დაადგინოს შრომის შინაგანაწესი.

2. შრომის შინაგანაწესი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს:

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა;

ბ) დასვენების ხანგრძლივობა;

გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი;

დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

ვ) შრომის პირობების დაცვის წესები;

ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი;

თ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

3. სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა შრომის შინაგანაწესით შეიძლება განსაზღვროს სპეციალური წესები.

თავი 4 - სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო

მუხლი 14 - სამუშაო დროის ხანგრძლივობა

1. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს

სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების და დასვენების დრო.

2. სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

მუხლი 15 - ცვლაში მუშაობისას განსაზღვრული სამუშაო დრო

ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დამსაქმებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

მუხლი 16 - სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესი

სამუშაოს პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება.

მუხლი 17 - ზეგანაკვეთური სამუშაო

1. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის - ანაზღაურების გარეშე;

ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის - სათანადო ანაზღაურებით.

2. აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

3. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაო დროს. თუ შრომითი ხელშეკრულებით სამუშაო დრო არ არის განსაზღვრული, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 41 საათს ან ამ კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ 41 საათის ფარგლებში განსაზღვრულ სამუშაო დროს.

4. ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 18 - ღამით მუშაობის შეზღუდვა

აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება - მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 19 - დამატებითი შესვენება მეძუძური ქალისათვის

1. დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა.

2. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

მუხლი 20 - უქმე დღეები

1. უქმე დღეებია:

ა) 1 და 2 იანვარი - ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;

ბ) 7 იანვარი - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;

გ) 19 იანვარი - ნათლისღება - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;

დ) 3 მარტი - დედის დღე;

ე) 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე;

ვ) 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;

ზ) სააღდგომო დღეები - დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე - აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);

თ) 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

ი) 12 მაისი - საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის - წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;

კ) 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

ლ) 28 აგვისტო - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

მ) 14 ოქტომბერი - მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;

ნ) 23 ნოემბერი - გიორგობის დღე.

2. დასაქმებული უფლებამოსილია ამ კოდექსით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები, რაც უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უქმე დღეებში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და მისი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

თავი 5 - შვებულება

მუხლი 21 - შვებულების ხანგრძლივობა

1. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით - არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღით.

2. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით - არანაკლებ წელიწადში 15 კალენდარული დღით.

3. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

მუხლი 22 - შვებულების მიცემის წესი

1. დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

2. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს.

3. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება.

4. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

5. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებელი უფლებამოსილია დაადგინოს დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა.

მუხლი 23 - ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დამსაქმებლის წინასწარ გაფრთხილების ვალდებულება

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

მუხლი 24 - შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობა

1. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო.

2. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში არ ითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან 7 სამუშაო დღეზე მეტი ხნით ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დრო.

მუხლი 25 - ანაზღაურებადი შვებულების გადატანის გამონაკლისი შემთხვევები

1. თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია არასრულწლოვნის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის.

2. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

მუხლი 26 - საშვებულებო ანაზღაურება

დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია - ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში - ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

თავი 6 - შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო

მუხლი 27 - შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

1. დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო - 477 კალენდარული დღის ოდენობით.

2. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 140 კალენდარული დღე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შვებულება დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

მუხლი 28 - შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო

დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო - ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

მუხლი 29 - ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურება

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 30 - დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო

1. დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო - 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.

2. ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

თავი 7 - შრომის ანაზღაურება

მუხლი 31 - შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა, გაცემის დრო და ადგილი

1. შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. ამ მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, სამუშაო ადგილზე.

3. დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.

მუხლი 32 - შრომის ანაზღაურება იძულებითი მოცდენის დროს

1. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.

2. დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.

მუხლი 33 - დაქვითვა შრომის ანაზღაურებიდან

1. დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულის შრომითი ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მისთვის აქვს გადასახდელი.

2. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

მუხლი 34 - საბოლოო ანგარიშსწორება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

თავი 8 - შრომის პირობების დაცვა

მუხლი 35 - უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება

1. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.

2. დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.

3. დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

4. დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

5. დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის.

6. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან

დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.

7. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

8. მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, შრომის უსაფრთხოების წესები, მათ შორის, დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევები და წესები, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი 9 - შრომითი ურთიერთობის შეცვლა, შეჩერება და შეწყვეტა

მუხლი 36 - შრომითი ურთიერთობის შეჩერება

1. შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

2. შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:

ა) გაფიცვა;

ბ) ლოკაუტი;

გ) აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელება;

დ) საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება;

ე) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;

ე') სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა;

ვ) შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო;

ზ) დროებითი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 50 კალენდარულ დღეს;

თ) კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს;

ი) ანაზღაურების გარეშე შვებულება;

კ) ანაზღაურებადი შვებულება.

3. დასაქმებულის მიერ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით (გარდა "ბ" ქვეპუნქტისა) შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს.

4. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილის "ე1" ქვეპუნქტისა, დასაქმებულს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება, თუ კანონმდებლობით ან შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

5. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების მოშლა.

მუხლი 37 - შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები

1. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულების მოშლა;

ე) მხარეთა შეთანხმება;

ვ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ზ) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა - თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 50 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამ კოდექსის 21-ე მუხლით განსაზღვრული შვებულება;

თ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება;

ი) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება.

2. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დაუშვებელია დასაქმებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის გამო ან/და დასაქმებულის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში.

მუხლი 38 - შრომითი ხელშეკრულების მოშლა

1. შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. თუ შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი დასაქმებულია, იგი ვალდებულია გააფრთხილოს დამსაქმებელი არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნები არ ვრცელდება ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევებზე.

მუხლი 39 - არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა

არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა, მნიშვნელოვან ინტერესებს.

მუხლი 40 - მუშაობის უნებლიე გაგრძელება

თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა გავიდა, მაგრამ, სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, მუშაობის

დაუყოვნებლივ შეწყვეტა მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს და საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, დასაქმებული ვალდებულია გააგრძელოს მუშაობა, სანამ ასეთი ვითარება არ დასრულდება, ხოლო დამქირავებელი ვალდებულია მისცეს მას შრომის ანაზღაურება.

კარი 3 - კოლექტიური შრომითი ურთიერთობა

თავი 10 - კოლექტიური ხელშეკრულება

მუხლი 41 - ზოგადი დებულებანი

1. კოლექტიური ხელშეკრულება იდება დამსაქმებელსა და ორ ან მეტ დასაქმებულს - დასაქმებულთა გაერთიანებას შორის.

2. კოლექტიური ხელშეკრულება ეფუძნება იმავე პრინციპებს, რომლებსაც ინდივიდუალური ხელშეკრულება.

3. კოლექტიური ხელშეკრულების დადების ან პირობების შეცვლის დროს დაუშვებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩარევა. ამგვარი ჩარევით დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ბათილია.

მუხლი 42 - წარმომადგენლობა

1. კოლექტიური ხელშეკრულების დადების, პირობების შეცვლის, მოშლის ან დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიზნით დასაქმებულთა გაერთიანება მოქმედებს წარმომადგენლების მეშვეობით.

2. წარმომადგენლობის დადასტურება ხდება წერილობითი მინდობილობით, რომელსაც ხელს აწერენ დაინტერესებული დასაქმებულები და პირი, რომელსაც ენიჭება წარმომადგენლობის უფლება.

3. წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი.

4. წარმომადგენელი მოქმედებს მხოლოდ იმ დასაქმებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებმაც მას მიანიჭეს წარმომადგენლობის უფლება.

მუხლი 43 - კოლექტიური ხელშეკრულება

1. კოლექტიური ხელშეკრულება იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

2. შესაძლებელია დასაქმებულმა დამსაქმებელთან დადოს ინდივიდუალური ან/და რამდენიმე კოლექტიური ხელშეკრულება.

3. ხელშეკრულებები, რომლებიც იდება თავდაპირველი ხელშეკრულების შემდეგ, ითვლება ამ ხელშეკრულების ნაწილებად და განიხილება, როგორც ერთი ხელშეკრულება.

4. თუ ერთ-ერთი მხარის ინიციატივით გაუქმდება ხელშეკრულების რომელიმე ნაწილი, ეს გამოიწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას ამ კოდექსით დადგენილი წესით.

5. კოლექტიური ხელშეკრულების არსებობა არ ზღუდავს დამსაქმებლის ან დასაქმებულის უფლებას, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა, რაც არ იწვევს ამავე ხელშეკრულების მონაწილე სხვა დასაქმებულებისათვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

6. ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ან თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კარი 4 - პასუხისმგებლობა და დავა

თავი 11 - პასუხისმგებლობა

მუხლი 44 - მიყენებული ზიანისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა

შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 45 - წერილობითი ხელშეკრულება პასუხისმგებლობის შესახებ

1. წერილობითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს დასაქმებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე და ფარგლები, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან.

2. წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება დაიდოს სრულწლოვან დასაქმებულთან, რომელიც ახორციელებს მისთვის გადაცემული ფასეულობების შენახვას, დამუშავებას, გაყიდვას (გადაცემას), გადაზიდვას ან წარმოების პროცესში გამოყენებას.

მუხლი 46 - შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვები

1. დასაქმებული და დამსაქმებელი შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდნენ მხარის უფლებათა შეზღუდვაზე. ასეთი შეზღუდვა პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს მხარის ინტერესებიდან, უნდა იყოს გონივრული და ამ ინტერესების პროპორციული.

2. დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია მას წერილობითი ფორმით განუმარტოს უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა.

3. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც, მაგრამ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან არა უმეტეს 3 წლის განმავლობაში.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ შეიძლება დაუწესდეს იმ პირებს, რომლებიც ახორციელებენ პედაგოგიურ საქმიანობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაწყებით ან/და საბაზო საფეხურზე.

5. ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი 12 - დავა

მუხლი 47 - დავა

1. დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შეძლის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში.

2. დავა წარმოიშობა მხარის მიერ მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით უთანხმოების შესახებ.

3. შრომით ურთიერთობაში დავის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე შრომითი ხელშეკრულების ან/და შრომის პირობების დარღვევა.

4. დავის განხილვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს და მათ წარმომადგენლებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს დავა.

5. დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას.

6. ინდივიდუალური დავის განხილვა შესაძლებელია შემათანხმებელი პროცედურებით, ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით ან სასამართლოს საშუალებით.

7. კოლექტიური ხელშეკრულების მონაწილე დასაქმებული არ იზღუდება, მოცემული დავის შემთხვევაში ინდივიდუალურად დაიცვას თავისი უფლებები სხვა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 48 - დავის განხილვა და გადაწყვეტა

1. დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით.

2. შემათანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მოთხოვნები.

3. მეორე მხარე ვალდებულია წერილობითი შეტყობინება განიხილოს და თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს მხარეს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. წარმომადგენლები ან მხარეები იღებენ წერილობით გადაწყვეტილებას, რომელიც ხდება არსებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილი.

5. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს.

6. დავის დროს დაუშვებელია დავის განხილვის პროცესში მხარეთა მიერ მოთხოვნის გაზრდა ან დავის საგნის შეცვლა.

მუხლი 49 - გაფიცვა და ლოკაუტი

1. გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. გაფიცვაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირებს.

2. ლოკაუტი არის დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

3. მხარეები გაფიცვის ან ლოკაუტის უფლების გამოყენებამდე ვალდებული არიან მოაწყონ გამაფრთხილებელი გაფიცვა ან გამაფრთხილებელი ლოკაუტი.

4. გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის დაწყებამდე მხარეებმა არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ერთმანეთს წერილობით უნდა შეატყობინონ დავის საგნის და წარმოშობის საფუძვლის, აგრეთვე გაფიცვის ან ლოკაუტის დროის, ადგილისა და ხასიათის შესახებ.

5. გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ მხარეები ვალდებული არიან ამ კოდექსით დადგენილი წესით კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემათანხმებელ პროცედურებში.

6. გაფიცვის ან ლოკაუტის უფლება წარმოიშობა მხოლოდ გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. გაფიცვის ან ლოკაუტის პერიოდში მხარეები ვალდებული არიან განაგრძონ შემათანხმებელი პროცედურები.

8. გაფიცვა ან ლოკაუტი არ შეიძლება გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს.

9. გაფიცვის ან ლოკაუტის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება.

10. გაფიცვა ან ლოკაუტი არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 50 - გაფიცვისა და ლოკაუტის გადადება ან შეჩერება

თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს გადადოს გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა ან ლოკაუტი შეაჩეროს ამავე ვადით.

მუხლი 51 - უკანონო გაფიცვა და ლოკაუტი

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს გაფიცვის ან ლოკაუტის უფლება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით.

2. დაუშვებელია უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს გაფიცვის უფლების გამოყენება იმ დასაქმებულთა მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან, ან თუ ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ საქმიანობის შეჩერება.

3. თუ ერთ-ერთმა მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას და მოაწყო გაფიცვა ან ლოკაუტი, ასეთი გაფიცვა ან ლოკაუტი უკანონოდ ჩაითვლება.

4. უკანონოდ ჩაითვლება იმ დასაქმებულთა გაფიცვა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ინფორმირებული იყვნენ დავის წარმოშობამდე.

5. თუ გაფიცვის უფლება წარმოიშვა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დასრულებამდე, გაფიცვა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკანონოდ ჩაითვლება.

6. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება მხარეებს. სასამართლო გადაწყვეტილება გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სრულდება დაუყოვნებლივ.

მუხლი 52 - დასაქმებულთა გარანტიები

1. დასაქმებულთა მონაწილეობა გაფიცვაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევისა.

2. თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ ცნო, დამსაქმებელი ვალდებულია აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულებთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

3. დასაქმებულები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გაფიცვაში, მაგრამ გაფიცვის გამო ვერ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს, დამსაქმებელმა შეიძლება გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე ან აუნაზღაუროს შეჩერების პერიოდი სამუშაოს საათობრივი განაკვეთის მიხედვით.

4. ამ კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნული დროის განმავლობაში დამსაქმებელს არ აქვს უფლება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა გამაფრთხილებელ გაფიცვაში მონაწილე დასაქმებულებთან.

კარი 5 - გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

თავი 13 - გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 53 - კოდექსის გავრცელება არსებულ შრომით ურთიერთობებზე

ეს კოდექსი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა.

მუხლი 54 - კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებანი

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს:

ა) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესი - ამ კოდექსის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში;

ბ) მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, აგრეთვე დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალი და წესები - 2007 წლის 1 ივლისამდე;

გ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

დ) დასაქმების კერძო სააგენტოს სახელმწიფო რეესტრის წარმოების წესი - ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში. დასაქმების კერძო სააგენტოდ ითვლება ნებისმიერი ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ეწევა მომსახურებას უმუშევრის (სამუშაოს მაძიებლის) დასაქმების მიზნით. ამ ნორმის მიზნებისათვის უმუშევრად (სამუშაოს მაძიებლად) ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი ან ნაწილობრივ შრომისუნარიანი პირი, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესასრულებლად;

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 15 მარტის [1]85/ნ ბრძანება "დროებითი შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ორსულობისა და მშობიარობის და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის ამ კოდექსის შესაბამისად დამტკიცებამდე.

3. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

4. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

5. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

6. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ უზრუნველყოს უმუშევართა შემწეობებზე მხოლოდ ამ კოდექსის ამოქმედების დღემდე არსებული დავალიანებების დაფარვა.

7. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო რეორგანიზებულ იქნეს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად - სოციალური სუბსიდიების სააგენტოდ და ჩაითვალოს აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს უფლებამონაცვლედ, მათ შორის, ქონებრივი სახის ურთიერთობებში, აგრეთვე ჩაითვალოს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლედ სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის, ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის ფულადი სახის სოციალური დახმარების (შეღავათის) ანაზღაურების ნაწილში.

მუხლი 55 - კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასაუქმებელი ნორმატიული აქტები

ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) 1973 წლის 28 ივნისის "საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი";

ბ) 1997 წლის 10 დეკემბრის საქართველოს კანონი "კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ";

გ) 1998 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონი "კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ";

დ) 2001 წლის 28 სექტემბრის საქართველოს კანონი "დასაქმების შესახებ";

ე) 1990 წლის 22 ნოემბრის საქართველოს რესპუბლიკის კანონი "არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ";

ვ) "საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - შრომის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 16 ნოემბრის №310/ნ ბრძანება;

ზ) ამ კოდექსით განსაზღვრული გასაუქმებელი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოცემული/მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 56 - კოდექსის ამოქმედება

ეს კოდექსი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2006 წლის 25 მაისი.

ბავშვის უფლებათა კონვენცია

მიღებულია - 29.12.1989 წ ძალაშია - 21.04.1994 წ

25.01.2010 წ - მდგომარეობით

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები

მიიჩნევენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრის ღირსების, თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის დედამიწაზე თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველი,

მხედველობაში იღებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხებმა წესდებაში ცხადყვეს თავიანთი ერთგულება ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისადმი და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მეტი თავისუფლების პირობებში ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას,

აღიარებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტებში გამოაცხადა, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს ამ დოკუმენტებში მითითებული ყველა უფლება და თავისუფლება განურჩევლად ისეთი ნიშნებისა, როგორიცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება თუ სხვა ვითარებანი,

ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა ბავშვთა უფლება, განსაკუთრებული მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი,

დარწმუნებული არიან რა, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებელად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი,

აღიარებენ რა, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში,

მიაჩნიათ რა, რომ ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული იდეალების, განსაკუთრებით კი მშვიდობის, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით,

მხედველობაში იღებენ რა, რომ ბავშვის ასეთი განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა ჟენევის 1924 წლის დეკლარაციით, 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მე-10 მუხლით), აგრეთვე ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტებით,

მხედველობაში იღებენ რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ "ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ",

ეყრდნობიან რა დეკლარაციის დებულებებს იმ სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ, რომლებიც მოიცავს ბავშვების დაცვასა და კეთილდღეობას, განსაკუთრებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვთა აღსაზრდელად გადაცემისა და შვილად აყვანისას, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების გაერთიანებული ერების ორგანიზაციისეულ მინიმალურ სტანდარტულ წესებს("პეკინის წესები"), განსაკუთრებულ ვითარებაში და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ დეკლარაციას,

აღიარებენ რა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ განსაკუთრებით რთულ პირობებში და რომ ასეთი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას,

სათანადოდ ითვალისწინებენ რა ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის ყოველი ხალხის ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების მნიშვნელობას,

აღიარებენ რა ყველა ქვეყანაში, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი 1

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვეციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას ღებულობენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამჟღავნებულ მრწამსს.

მუხლი 3

1. ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

2. მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვისათვის ზრუნვაზე ან მის დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რიცხობრიობისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვაგვარ ზომას წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განსახორციელებლად. მონაწილე სახელმწიფოები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა რეალიზაციისათვის ასეთ ზომებს ღებულობენ მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი - საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივი ადათ-წესების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელნი არიან ბავშვზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით.

მუხლი 6

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას.

მუხლი 7

1. ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებათა განხორციელებას საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის შესატყვისად და თავისი მოვალეობების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი სხვაგვარად ბავშვს არ ექნება მოქალაქეობა.

მუხლი 8

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.

2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს ან მის ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას აუცილებელი მფარველობით და დახმარებას აღმოუჩენენ მისი ინდივიდუალობის უსწრაფესი აღდგენისათვის.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი განხილვის დროს ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები.

3. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცილებული ბავშვის უფლებას, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

4. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი დაშორება გამომდინარეობს მონაწილე სახელმწიფოთა რომელიმე გადაწყვეტილებიდან, ანუ როცა საქმე ეხება, მაგალითად, ერთი ან ორივე მშობლის ან ბავშვის დაპატიმრებას, გასახლებას, დეპორტაციას ან სიკვდილს (მოცემული პირის სახელმწიფო გამგებლობაში ყოფნისას ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული სიკვდილის ჩათვლით), მონაწილე სახელმწიფო ასეთ მშობლებს, ბავშვს ან, თუ ეს აუცილებელია, ოჯახის სხვა წევრს მათი თხოვნით აძლევს აუცილებელ ინფორმაციას ოჯახიდან წასული წევრის/წევრების ადგილსამყოფელის შესახებ, თუ ამ ინფორმაციის მიცემა ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნა თავისთავად არ იწვევდეს შესაბამისი პირისათვის (პირთათვის) არასასურველ შედეგებს.

მუხლი 10

1. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით თავის თავზე აღებული ვალდებულების შესაბამისად, ბავშვის ან მისი მშობლის განცხადება ოჯახის გამთლიანების მიზნით მონაწილე სახელმწიფოში შესვლის ან იქიდან გასვლის თაობაზე მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ პოზიტიურად, ჰუმანურად და ოპერატიულად. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნის წარდგენას არ მოჰყვეს არასასურველი შედეგები განმცხადებლის ან მათი ოჯახის წევრებისათვის.

2. ბავშვს, რომლის მშობლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, უფლება გააჩნია, განსაკუთრებული ვითარების გარდა, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პატივს სცემენ ბავშვისა და მისი მშობლების უფლებას დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, საკუთარი ქვეყნის ჩათვლით, და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლების მიმართ მოქმედებს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის (ორდრე პუბლიც), მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის და შეთავსებადია წინამდებარე კონვენციაში აღიარებულ სხვა უფლებებთან.

მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ზომებს ბავშვთა უკანონოდ გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადებას ან მოქმედ შეთანხმებებთან შეერთებას.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

2. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება, როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 13

1. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.

2. ამ უფლების განხორციელება, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;

ბ) სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის (ორდრე პუბლიც), ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მეურვეთა უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლებების იმ მეთოდით განხორციელებაში, რომელიც შეესატყვისება ბავშვის განვითარებად უნარებს.

3. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს ასოციაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებით.

2. მოცემული უფლების განხორციელების მიმართ არ შეიძლება დაწესდეს რაიმე შეზღუდვა, გარდა შეზღუდვებისა, რომლებიც დაწესდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ

საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის (ორდრე პუბლიც) ინტერესებისათვის, ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

მუხლი 16

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.

2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევის ან ხელყოფისაგან.

მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობას, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციისა და მასალებისა, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები:

ა) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელების წახალისებას, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით და გამოხატავს 29-ე მუხლის სულისკვეთებას;

ბ) ახდენენ საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მოპოვებული ამგვარი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცვლისა და გავრცელების მიზნით;

გ) ახდენენ საბავშვო ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების წახალისებას.

დ) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წახალისებას, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას;

ე) ახდენენ იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების წახალისებას, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის, მე-13 და მე-18 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს.

2. წინამდებარე კონვენციაში გამოკვეთილ უფლებათა განხორციელების გარანტიის შექმნისა და ხელშეწყობის მიზნით მონაწილე სახელმწიფოები სათანადო დახმარებას უწევენ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს მათი მოვალეობის შესრულებაში, აღზარდონ ბავშვი და უზრუნველყოფენ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის განვითარებას.

3. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას ღებულობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც მუშაობენ, უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი სამსახურებითა და დაწესებულებებით, რომელთაც ბავშვთა მოვლა-პატრონობა ეკისრებათ.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.

2. დაცვის ასეთი ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების ზემოთაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი გამომძღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი - სასამართლო პროცედურის აღძვრას.

მუხლი 20

1. ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისივე ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით სარგებლობდეს.

2. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ ასეთი ბავშვის მიმართ მზრუნველობის ფორმის შეცვლას.

3. ასეთი მზრუნველობა შეიძლება მოიცავდეს, კერძოდ, ბავშვის აღსაზრდელად გადაცემას, მუსლიმანური სამართლის "კაფალას", შვილად აყვანას ან აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვთა მოვლა-პატრონობისათვის მოწოდებულ შესაბამის დაწესებულებაში მის მოთავსებას. მზრუნველობის ფორმის შეცვლის ვარიანტების განხილვისას აუცილებელია სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული ბავშვის აღზრდის მემკვიდრეობითობის სასურველობა და მისი ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური და კულტურული კუთვნილება და მშობლიური ენა.

მუხლი 21

მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ ან თანხმდებიან შვილად აყვანის სისტემის არსებობას, უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები გათვალისწინებული იქნეს უწინარეს ყოვლისა, და ისინი:

ა) უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის შვილად აყვანის ნებართვას იძლეოდეს მხოლოდ კომპეტენტური ხელისუფლება, რომელიც სათანადო კანონებისა და პროცედურების შესაბამისად და საქმესთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავს, რომ შვილად აყვანა დასაშვებია მშობლებთან, ნათესავებთან და კანონიერ მეურვეებთან მიმართებაში ბავშვის სტატუსის გათვალისწინებით და რომ, თუ ეს საჭიროა, დაინტერესებული პირები შეგნებულად დათანხმდნენ შვილად აყვანას ისეთი კონსულტაციის საფუძველზე, როგორიც შეიძლება აუცილებელი იყოს;

ბ) აღიარებენ, რომ შვილად აყვანა სხვა ქვეყანაში შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი არ შეიძლება აღსაზრდელად გადაეცეს ან შეუერთდეს ოჯახს, რომელიც შეძლებდა უზრუნველეყო მისი აღზრდა ან შვილად აყვანა და თუ იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვი დაიბადა, შეუძლებელია მისი შესაფერისი რამენაირი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა;

გ) უზრუნველყოფენ, რომ სხვა ქვეყანაში ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში არსებობდეს ისეთივე გარანტიები და ნორმები, როგორიც არსებობს ქვეყნის შიგნით შვილად აყვანის დროს;

დ) იღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვა ქვეყანაში შვილად აყვანის დროს ამ საქმესთან დაკავშირებულ პირებს არ მიეცეთ გაუმართლებელი ფინანსური მოგების მიღების საშუალება;

ე) აუცილებელ შემთხვევაში ხელს უწყობენ წინამდებარე მუხლის მიზნების მიღწევას ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების გზით და ცდილობენ ამ საფუძველზე უზრუნველყონ, რომ ბავშვის მოწყობა სხვა ქვეყანაში ხორციელდებოდეს კომპეტენტური ხელისუფლების ან ორგანოების მიერ.

მუხლი 22

1. მონაწილე სახელმწიფოები აუცილებელ ზომებს იღებენ, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვმა, რომელსაც სურს მიიღოს ლტოლვილის სტატუსი ან რომელიც შესატყვისი საერთაშორისო ან საშინაო სამართლისა და პროცედურების ძალით ითვლება ლტოლვილად და რომელსაც თან ახლავს ან არ ახლავს მშობლები ან ნებისმიერი სხვა პირი, ისარგებლოს სათანადო დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით წინამდებარე კონვეციაში და ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ იმ სხვა საერთაშორისო ან ჰუმანიტარულ დოკუმენტებში აღიარებული უფლებების გამოყენებისას, რომელთა მონაწილენი არიან აღნიშნული სახელმწიფოები.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, როცა ამას აუცილებლად მიიჩნევენ, ხელს უწყობენ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იმ სხვა კომპეტენტური სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობას, რომლებიც თანამშრომლობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, დაიცვან ასეთი ბავშვი, დაეხმარონ მას და მოძებნონ ნებისმიერი ლტოლ-ვილი ბავშვის მშობლები თუ ოჯახის სხვა წევრები, რათა მიიღონ მისი ოჯახთან შეერთებისათვის აუცილებელი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, როცა არ ხერხდება მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მოძებნა, მაშინ ბავშვი, როგორც ამას ითვალისწინებს წინამდებარე კონვენცია, უზრუნველყოფილია ისეთივე დაცვით, როგორითაც სხვა ნებისმიერი ბავშვი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო მუდმივად ან დროებით მოკლებულია ოჯახურ გარემოს.

მუხლი 23

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ გონებრივად ან ფიზიკურად უნარშეზღუდული ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

2. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ უნარშეზღუდული ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით და სათანადო რესურსების არსებობის პირობებში, ახალისებენ და უზრუნველყოფენ ამ უფლების მქონე ბავშვისათვის და მის მიმართ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ისეთი დახმარების გაწევას, როგორსაც ითხოვდნენ და რომელიც შეესაბამება ბავშვისა და მისი მშობლების, ან იმ სხვა პირთა მდგომარეობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვზე მზრუნველობას.

3. უნარშეზღუდული ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებათა აღიარების ნიშნად, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დახმარება, მშობლებისა და ბავშვზე მზრუნველობის უზრუნველმყოფი სხვა პირების ფინანსური რესურსების გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად უფასოა, და მიზნად ისახავს უნარშეზღუდულ ბავშვს მისცეს იმის ეფექტური შესაძლებლობა, რომ მან ისარგებლოს საგანმანათლებლო, სამედიცინო, ჯანმრთელობის აღმდგენი, პროფესიული და შრომითი საქმიანობისათვის საჭირო მომსახურებით და დასვენების საშუალებებით, რაც ბავშვს მაქსიმალურად სრულად ჩართავს სოციალურ ცხოვრებაში და ხელს შეუწყობს მისი პიროვნების განვითარებას, რაც კულტურული და სულიერი თვალსაზრისით მის ზრდასაც მოიცავს.

4. მონაწილე სახელმწიფოები საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით ხელს უწყობენ ინფორმაციის გავრცელებას უნარშეზღუდული ბავშვების პროფილაქტიკური ჯანდაცვისა და სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ფუნქციონალური მკურნალობის დარგში, სათანადო რეაბილიტაციის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების მეთოდებზე ინფორმაციის გავრცელების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას იმისათვის, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა გაიფართოვონ ამ დარგში თავიანთი შესაძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

მუხლი 24

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ ჩამოერთვას უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ასეთი მომსახურებით.

2. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ მიაღწიონ მოცემული უფლების სრულ განხორციელებას და, კერძოდ, აუცილებელ ზომებს იღებენ:

ა) ჩვილთა სიკვდილიანობის დონისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისათვის;

ბ) ყველა ბავშვისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის, იმისათვის, რომ უპირატესი ყურადღება დაეთმოს პირველადი სამედიცინო სანიტარული დახმარების გაწევას;

გ) დაავადებებთან და შიმშილობასთან ბრძოლისათვის, მათ შორის პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარების ფარგლებში, ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიისა და საკმაო სურსათითა და სასმელი წყლით მომარაგების გზით, გარემოს დაბინძურების საშიშროებისა და რისკის გათვალისწინებით;

დ) დედებისათვის მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სათანადო მომსახურების გაწევისათვის;

ე) საზოგადოების ყველა ფენის, კერძოდ, მშობლებისა და ბავშვებისათვის ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ძუძუთი კვების უპირატესობების გაცნობის უზრუნველყოფისათვის, ჰიგიენის, ბავშვის საცხოვრებელი გარემოს სანიტარიის დაცვისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების, აგრეთვე მათთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და ცოდნის გამოყენებაში დახმარების გაწევისათვის;

ვ) პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარების და ოჯახის დაგეგმვის სფეროში საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისა და მომსახურების განვითარებისათვის.

3. მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ყოველგვარ ეფექტურ და აუცილებელ ზომებს იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

4. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ წაახალისონ საერთაშორისო თანამშრომლობა და განავითარონ იგი მოცემულ მუხლში აღიარებული უფლების სრული განხორციელების თანდათანობით მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

მუხლი 25

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კომპეტენტური ორგანოების მიერ მოვლის მიზნით

სამეურვეოდ გამწესებული ბავშვის უფლებას, იყოს დაცული და ისარგებლოს ფიზიკური თუ ფსიქიკური მკურნალობით; აღიარებენ ბავშვის უფლებას, პერიოდულად ხდებოდეს მისთვის გაწეული მკურნალობის და მის მიმართ ასეთ მეურვეობასთან დაკავშირებული სხვა პირობების შეფასება.

მუხლი 26

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას, ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით, სოციალური დაზღვევის ჩათვლით, და აუცილებელ ზომებს იღებენ ამ უფლების სრული განხორციელებისათვის თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ეს შეღავათები ბავშვს ეძლევა აუცილებლობისამებრ, მისი და მის რჩენაზე პასუხისმგებელ პირთა რესურსებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე ბავშვის მიერ ან მისი სახელით ამ შეღავათების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოსაზრების გათვალისწინებით.

მუხლი 27

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

3. მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, აუცილებელ ზომებს იღებენ იმისათვის, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უწინარესად საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

4. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას ახორციელებენ იმისათვის, რათა უზრუნველყონ მშობლების, ან ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელ სხვა პირთა მიერ ბავშვის რჩენის აღდგენა, როგორც მონაწილე სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, თუ ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთებას ან ასეთი ხელშეკრულებების დადებას, აგრეთვე სხვა შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას.

მუხლი 28

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს აქვს განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების თანდათანობით განხორციელების მიზნით ისინი, კერძოდ:

ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;

ბ) ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას და ღებულობენ ისეთ აუცილებელ ზომებს, როგორიცაა უფასო განათლების შემოღება და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა;

გ) ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის თითოეულის უნარის შესატყვისად;

დ) უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის;

ე) ღებულობენ ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება.

3. მონაწილე სახელმწიფოები ახალისებენ და ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება განათლებას, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების მისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

მუხლი 29

1. მონაწილე სახელმწიფოები ეთანახმებიან იმას, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს:

ა) ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული განვითარებისაკენ;

ბ) ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემის გაღვივებისაკენ;

გ) ბავშვისათვის თავისი მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენის და ფასეულობების პატივისცემის ჩანერგვისაკენ; ბავშვის აღზრდისაკენ იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, რომელშიც ის ცხოვრობს, ასევე იმ ქვეყნისა, საიდანაც იგი არის წარმოშობით; ბავშვის პატივისცემის გაღვივებისაკენ მისი საკუთარი ცივილიზაციისაგან განსხვავებული ცივილიზაციისადმი;

დ) თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ქალისა და მამაკაცის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფების, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა მიმართ თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ;

ე) გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით ბავშვის აღზრდისაკენ.

2. წინამდებარე ან 28-ე მუხლის არც ერთი ნაწილი არ ზღუდავს ცალკეული პირებისა და ორგანოების თავისუფლებას, შექმნან სასწავლო დაწესებულებები და უხელმძღვანელონ მათ წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული პრინციპების მუდმივი დაცვისა და იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ ასეთ სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლება შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ნორმებს.

მუხლი 30

იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობები ან პირები, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნებიან, ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნება, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, რომ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ეზიაროს საკუთარ კულტურას, აღიაროს თავისი რელიგია და შეასრულოს მისი წეს-ჩვეულებები, აგრეთვე გამოიყენოს მშობლიური ენა.

მუხლი 31

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება, მისი ასაკისათვის შესაფერის თამაშობებსა და გასართობ ღონისძიებებში

მონაწილეობის უფლება, აგრეთვე უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და ახალისებენ ბავშვის უფლებას, ყოველმხრივი მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში, ხელს უწყობენ მისთვის სათანადო და თანასწორი შესაძლებლობების შექმნას კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობისათვის, თავისუფალი დროით სარგებლობისა და დასვენებისათვის.

მუხლი 32

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სოციალურ ზომებს, ატარებენ ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა განხორციელდეს წინამდებარე მუხლი. ამ მიზნით, ხელმძღვანელობენ რა სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი ღებულებებით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ:

ა) აღგენენ სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკს ან მინიმალურ ასაკებს;

ბ) განსაზღვრავენ სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და შრომის პირობებთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებს;

გ) ითვალისწინებენ სასჯელის შესაბამის სახეობებს ან სხვა სანქციებს წინამდებარე მუხლის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 33

მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ზომების ჩათვლით, აგრეთვე ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა დაიცვან ბავშვები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ხმარებისაგან და არ დაუშვან ბავშვების გამოყენება ამ ნივთიერებათა კანონსაწინააღმდეგო წარმოებაში ან ვაჭრობაში.

მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისაგან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ორმხრივ და მრავალმხრივ ეროვნულ დონეებზე ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ:

ა) ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებაზე ან ბავშვის იძულება, მონაწილეობდეს ასეთ ქმედებაში;

ბ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;

გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში.

მუხლი 35

მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ღებულობენ ყველა

აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ ბავშვთა მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნებით და ნებისმიერი ფორმით.

მუხლი 36

მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.

მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

ა) არც ერთი ბავშვი არ იყოს წამების, საერთოდ, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს;

ბ) არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.

გ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების განუყრელი ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებები. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო; ბავშვს ჰქონდეს უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით;

დ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყონებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე უფლება, გააპროტესტოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყონებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.

მუხლი 38

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, პატივი სცენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს მათ მიმართ ძალის მქონე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ბავშვებთან დაკავშირებულ ნორმებს და უზრუნველყონ მათი დაცვა.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წელს მიუღწეველი პირები პირდაპირ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში.

3. მონაწილე სახელმწიფოები თავს იკავებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებში ყველა იმ პირის გაწვევისაგან, რომელთაც არ მიუღწევიათ 15 წლის ასაკისათვის. 15 წელს გადაცილებულ იმ პირთა გაწვევისას, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ შეარჩიონ უფრო ასაკოვანი პირები.

4. შეიარაღებული კონფლიქტების დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინაშე თავისი ვალდებულებების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილ ბავშვთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 39

მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას იღებენ, რათა ხელი შეუწყონ იმ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას და სოციალურ რეინტეგრაციას, რომელიც ნებისმიერი სახის უგულებელყოფის, ექსპლუატაციის ან ბოროტად გამოყენების, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, სასჯელის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლია. ასეთი გაჯანსაღება და რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების გრძნობის შენარჩუნების უზრუნველმყოფ პირობებში.

მუხლი 40

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას.

2. ამ მიზნით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ:

ა) არც ერთი ბავშვი არ ითვლებოდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, მას ბრალად არ დაედოს მისი დარღვევა და ის არ იქნეს აღიარებული დამნაშავედ იმ ქმედების ან არქმედების მიზეზით, რომლებიც მათი ჩადენის დროს არ იყო აკრძალული ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით;

ბ) ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:

I) უდანაშაულობის პრეზუმცია, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად;

II) მისი დაუყოვნებელი და უშუალო ინფორმირება - აუცილებლობის შემთხვევაში კი ინფორმირება მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით - მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ და სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის;

III) კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებული ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად განსახილველ საკითხზე დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება კანონის თანახმად, ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით და, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი ასაკის ან მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;

IV) იმისაკენ მიმართული ძალდატანებისაგან თავისუფლება, რომ ბავშვმა მოწმის სახით მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული; ბრალდების მოწმეთა ჩვენებების შესწავლა ან დამოუკიდებლად, ან სხვა პირთა დახმარებით და დაცვის მოწმეთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობისა და მათი ჩვენებების შესწავლის უზრუნველყოფა;

V) თუ ითვლება, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ზემდგომი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებული ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ კანონის თანახმად შესაბამისი გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვა;

VI) თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ბავშვს არ ესმის გამოყენებული ენა ან ვერ ლაპარაკობს ამ ენაზე;

VII) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ ხელი შეუწყონ იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად და, კერძოდ:

ა) მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის მიღწევამდეც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი;

ბ) როცა ეს აუცილებელი და სასურველია, ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით;

4. აუცილებელია ისეთი სხვადასხვაგვარი ღონისძიებები, როგორიცაა მოვლა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის დებულება, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და მოვლის ისეთი ფორმები, რომლებიც დაწესებულებებში მოვლას შეიძლება შეენაცვლოს. ამ ღონისძიებათა მიზანია ბავშვისადმი იმგვარი მოპყრობის უზრუნველყოფა, როგორიც შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობის ინტერესებს, აგრეთვე მის მდგომარეობას და დანაშაულის ხასიათს.

მუხლი 41

წინამდებარე კონვენცია არ აბრკოლებს იმგვარ დებულებათა განხორციელებას, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს ბავშვის უფლებათა რეალიზაციას და შეიძლება დაფიქსირებული იყოს:

ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონში;

ან

ბ) მოცემული სახელმწიფოს მიმართ მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმებში.

ნაწილი 2

მუხლი 42

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით ფართო ინფორმაცია მიაწოდონ როგორც მოზრდილებს, ასევე ბავშვებს კონვენციის პრინციპებისა და დებულებების თაობაზე.

მუხლი 43

1. მონაწილე სახელმწიფოების მიერ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული პროგრესის განხილვის მიზნით ფუძნდება ბავშვის უფლებების კომიტეტი, რომელიც ასრულებს ქვემოთ მითითებულ ფუნქციებს.

2. კომიტეტი შედგება ათი ექსპერტისაგან, რომლებსაც აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და კომპეტენტურად არიან აღიარებულნი წინამდებარე კონვენციით მოცულ

სფეროში. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეთა შორის და ისინი წარმოდგენილნი არიან დამოუკიდებელ პიროვნებათა სტატუსით, ამასთან, ყურადღება მახვილდება სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებაზე, აგრეთვე ძირითად სამართლებრივ სისტემებზე.

3. კომიტეტის წევრები აირჩევიან მონაწილე სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ, სიაში შეტანილ

პირთაგან ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წამოაყენოს ერთი პირი თავისი მოქალაქეებიდან.

4. კომიტეტში პირველი არჩევნები ტარდება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, შემდგომ კი - ორ წელიწადში ერთხელ. ყოველ არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე მაინც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს მიმართავს წერილით და სთავაზობს მათ წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურები ორი თვის ვადაში. შემდეგ გენერალური მდივანი ანბანის რიგის მიხედვით ადგენს ამგვარად დასახელებული ყველა კანდიდატის სიას, მიუთითებს რა მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც წამოაყენეს ეს პირები, და ამ სიას წარუდგენს წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს.

5. არჩევნები ტარდება მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე, რომელიც მოიწვევა გენერალური მდივნის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში. ამ თათბირზე, სადაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი ქმნის ქვორუმს, კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ დამსწრე და ხმის მიცემაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.

6. კომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხწლიანი ვადით. მათ აქვთ უფლება, ხელახლა იქნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში. პირველ არჩევნებში არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდება ორწლიანი პერიოდის ბოლოს; პირველი არჩევნებისთანავე ამ ხუთ წევრს წილისყრით განსაზღვრავს თათბირის თავმჯდომარე.

7. კომიტეტის რომელიმე წევრის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში, ან თუ მას რაიმე მიზეზით აღარ შეუძლია შეასრულოს კომიტეტის წევრის მოვალეობები, ამ წევრის წამომყენებელი მონაწილე სახელმწიფო თავის მოქალაქეთაგან დარჩენილი ვადისათვის ნიშნავს სხვა ექსპერტს, კომიტეტის მიერ მისი მოწონების შემთხვევაში.

8. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.

9. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით.

10. კომიტეტის სესიები, როგორც წესი, ტარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ან კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას. კომიტეტი, როგორც წესი, თავის სესიებს ატარებს ყოველწლიურად. კომიტეტის სესიების ხანგრძლივობა განისაზღვრება და აუცილებლობის შემთხვევაში იცვლება წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე გენერალური ასამბლეის თანხმობით.

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გამოყოფს აუცილებელ პერსონალსა და მატერიალურ საშუალებებს, რათა კომიტეტმა, წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, ეფექტურად განახორციელოს თავისი ფუნქციები.

12. წინამდებარე კონვენციის შესაბამისად დაფუძნებული კომიტეტის წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან ღებულობენ გენერალური ასამბლეის მიერ დაწესებულ ანაზღაურებას გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

მუხლი 44

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ კონვენციით განმტკიცებულ უფლებათა დამკვიდრებისა და ამ სფეროში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით:

ა) მონაწილე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში;

ბ) ყოველ მომდევნო ხუთ წელიწადში;

2. წინამდებარე მუხლის მიხედვით წარდგენილ მოხსენებებში მითითებულია ფაქტორები და სირთულეები, თუკი ასეთი არსებობს, რომლებიც ზემოქმედებს ამ კონვენციის ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე. მოხსენებები აგრეთვე შეიცავს საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რათა კომიტეტისათვის სრულიად გასაგები იყოს, როგორ მოქმედებს კონვენცია მოცემულ ქვეყანაში.

3. მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც კომიტეტს წარუდგენს ყოვლისმომცველ პირველად მოხსენებას, არ სჭირდება წინამდებარე მუხლის 1ბ პუნქტის მიხედვით წარდგენილ შემდგომ მოხსენებებში გაიმეოროს ადრე გადმოცემული ძირითადი ინფორმაცია.

4. კომიტეტს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება წინამდებარე კონვენციის განხორციელებას.

5. მოხსენებები კომიტეტის საქმიანობის შესახებ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით ორ წელიწადში ერთხელ წარედგინება გენერალურ ასამბლეას.

6. მონაწილე სახელმწიფოები საკუთარ ქვეყნებში უზრუნველყოფენ თავიანთი მოხსენებების ფართო საჯაროობას.

მუხლი 45

კონვენციის განხორციელებისათვის ეფექტური ხელშეწყობისა და წინამდებარე კონვენციით მოცულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით:

ა) სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს უფლება აქვთ წარმოდგენილნი იყვნენ წინამდებარე კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების შესახებ საკითხთა განხილვაში, რომლებიც მათ უფლებამოსილებაში შედის. მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში, კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს შესთავაზოს, წარმოადგინონ ექსპერტთა დასკვნა კონვენციის განხორციელების თაობაზე იმ სფეროებში, რომლებიც შედის მათი შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს სთხოვოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის;

ბ) მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში კომიტეტი სპეციალიზებულ დაწესებულებებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში გადაგზავნის მონაწილე სახელმწიფოების ნებისმიერ მოხსენებას, რომელიც შეიცავს თხოვნას ტექნიკური კონსულტაციის ან დახმარების შესახებ, ან მიუთითებს მის საჭიროებაზე, აგრეთვე კომიტეტის შენიშვნებსა და წინადადებებს მსგავსი თხოვნისა და მითითებების თაობაზე.

გ) კომიტეტს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს გენერალურ ასამბლეას, წინადადება მისცეს გენერალურ მდივანს, რათა მან ასამბლეის სახელით ჩაატაროს კვლევა ცალკული საკითხების შესასწავლად, რომლებიც ბავშვთა უფლებებს ეხება.

დ) კომიტეტს შეუძლია წარადგინოს წინამდებარე კონვენციის 44-ე და 45-ე მუხლების შესაბამისად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები. ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნება ნებისმიერ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს და ეცნობება გენერალურ ასამბლეას მონაწილე სახელმწიფოთა შენიშვნებთან ერთად, თუკი ასეთი რამ არსებობს.

ნაწილი 3

მუხლი 46

წინამდებარე კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოს მიერ ხელმოსაწერად.

მუხლი 47

წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 48

წინამდებარე კონვენცია ღიაა მასთან ნებისმიერი სახელმწიფოს შეერთებისათვის. დოკუმენტები შეერთების შესახებ ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 49

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს ან მას შეუერთდება, სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ასეთი სახელმწიფოს მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 50

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შესწორების შეთავაზება და წარდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის. ამის შემდეგ გენერალური მდივანი შესწორებას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით - მიუთითონ, მხარს უჭერენ თუ არა ამ წინადადების განსახილველად და კენჭის საყრელად მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევას. თუ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ოთხი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოების თუნდაც ერთი მესამედი მაინც მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ამ კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მიღებული შესწორება დასამტკიცებლად წარედგინება გენერალურ ასამბლეას.

2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მისი დამტკიცებისა და მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის მომცველი უმრავლესობის მიერ მისი მიღების შემდეგ.

3. შესწორება ძალაში შესვლისთანავე ხდება სავალდებულო იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც იგი მიიღეს, სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის კი სავალდებულო რჩება წინამდებარე კონვენციის დებულებები და ნებისმიერი წინა შესწორება, რომელიც მათ მიერ არის მიღებული.

მუხლი 51

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ღებულობს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში სახელმწიფოს მიერ გაკეთებული შენიშვნების ტექსტს.

2. არ დაიშვება შენიშვნა, რომელიც შეუთავსებელია წინამდებარე კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან.

3. შენიშვნების მოხსნა შესაძლებელია ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც შემდეგ ამის თაობაზე აცნობებს ყველა სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.

მუხლი 52

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 53

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ინიშნება წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარად.

მუხლი 54

წინამდებარე კონვენციის დედანი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

რის დასამოწმებლადაც ქვემორე ხელისმომწერნი, თავიანთი შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადო რწმუნებით აღჭურვილი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ხელს აწერენ წინამდებარე კონვენციას.

საქართველოს კონსტიტუცია

ტესტი N1

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა არის ერთ-ერთი დასტურება იმისა, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო?
ა. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი.
ბ. 1993 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის მიღება.
გ. 1993 წლის 6 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა.

ტესტი N2

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება:
ა. მხოლოდ დაბადებით.
ბ. საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით).
გ. როგორც დაბადებით, ასევე ნატურალიზაციით.

ტესტი N3

შეიძლება თუ არა საქართველოს მოქალაქე იმავდროულად იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე?
ა. არ შეიძლება.
ბ. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოქალაქე.
გ. შეიძლება, მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილ გამონაკლის შემთხვევაში.

ტესტი N4

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად….. .“ (აირჩიეთ წინადადების არასწორი გაგრძელება) -:
ა. ფიზიკური მდგომარეობისა.
ბ. სქესისა.
გ. წარმოშობისა.

ტესტი N5

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ვისი აქტის (გადაწყვეტილების ან სხვა დოკუმენტის) საფუძველზე დაიშვება ყოველი ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილის, ჩანაწერების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა?
ა. სასამართლოს.
ბ. საქართველოს სახალხო დამცველის.
გ. პროკურორის სანქციის საფუძველზე.

ტესტი N6

არის თუ არა საქართველოში შემოქმედებითი საქმიანობის ცენზურა დაშვებული?
ა. დაუშვებელია.
ბ. დაშვებულია.
გ. დაშვებულია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

ტესტი N7

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვის არ აქვს შეკრებებში მონაწილეობის უფლება?
ა. საქართველოს პარლამენტის წევრებს.
ბ. საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეებს.
გ. საქართველოს სამხედრო ძალების ოფიცრებს.

ტესტი N8

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვის არ აქვს მანიფესტაციაში მონაწილეობის უფლება?
ა. ნასამართლობის მქონე პირებს.
ბ. საქართველოს სამხედრო ძალების ოფიცრებს.
გ. საქართველოს პარლამენტის წევრს.

ტესტი N9

რა ასაკიდან აქვს საქართველოს მოქალაქეს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება?
ა. 18 წლის ასაკიდან.
ბ. 25 წლის ასაკიდან.
გ. 20 წლის ასაკიდან.

ტესტი N10

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას.
ბ. ქორწინება ემყარება მეუღლეთა სქესობრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას.
გ. ქორწინება ემყარება მეუღლეთა ქონებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას.

ტესტი N11

ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?
ა. საქართველოს პარლამენტი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.
ბ. საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.
გ. საქართველოს პარლამენტი არის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანო.

ტესტი N12

რა ფუნქციას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი?
ა. საქართველოს პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას.
ბ. საქართველოს პარლამენტი ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას.
გ. საქართველოს პარლამენტის თანამშრომლები დებენ საერთაშორისო ხელშეკრულებას.

ტესტი N13

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რა ვადით არიან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრები?
ა. 5 წლის ვადით.
ბ. პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატები - 4 წლის ვადით, დანარჩენები - 5 წლის ვადით.
გ. 4 წლის ვადით.

ტესტი N14

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რა ეწოდება საქართველოს პარლამენტის უმაღლეს თანამდებობას?
ა. საქართველოს პარლამენტის მანდატურთუხუცესი.
ბ. საქართველოს პარლამენტის სპიკერი.
გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

ტესტი N15

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
ბ. განათლების მიღება სავალდებულოა.
გ. განათლების მიღება სავალდებულო არ არის.

ტესტი N16

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რა ადგილი უკავია საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებაში საქართველოს პრეზიდენტს?
ა. საქართველოს პრეზიდენტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.
გ. საქართველოს პრეზიდენტი არის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მეთაური.

ტესტი N17

საქართველოს პარლამენტი თავის მორიგ სხდომაზე იკრიბება:
ა. წელიწადში ოთხჯერ საზამთრო, საგაზაფხულო, საზაფხულო და საშემოდგომო სესიაზე.
ბ. წელიწადში ორჯერ: საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიაზე.
გ. კანონმდებლობაში ეს საკითხი არ არის განსაზღვრული.

ტესტი N18

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს:
ა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრს;
ბ. არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს;
გ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს.

ტესტი N19

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართეველოს ოფიციალური სახელწოდებაა:
ა. საქართველოს დემოკრატიული პესპუბლიკა.
ბ. საქართველო.
გ. საქართველოს რესპუბლიკა.

ტესტი N20

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმაა:
ა. დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკა.
ბ. დემოკრატიული რესპუბლიკა.
გ. დემოკრატიული საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

ტესტის ნომერი	სწორი პასუხი	ტესტის ნომერი	სწორი პასუხი
1	ა	11	ბ
2	გ	12	ა
3	გ	13	გ
4	ა	14	გ
5	ა	15	ა
6	ა	16	ბ
7	გ	17	ბ
8	ბ	18	ბ
9	ა	19	ბ
10	ა	20	ბ

ზოგადი განათლების შესახებ კანონი

ტესტი N1

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად რა არის აკრედიტაცია?
ა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა საგანმანათლებლო საქმიანოს განხორციელებისათვის;
ბ. ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის შესაბამისობა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება.
გ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

ტესტი N2

დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა არის:
ა. მასწავლებლის მუშაობა მოსწავლეებთან ინდივიდუალურად;
ბ. მასწავლებლის მუშაობა მოსწავლეებთან ეროვნული სასწავლო გეგმით გუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის გაწევის მიზნით;
გ. ეროვნული და სასწავლო გეგმებით დადგენილი გაკვეთილების (საათების) გარდა, მასწავლებლის მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნის მისაღწევად.

ტესტი N3

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად დისციპლინური გადაცდომა არის:
ა. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო მეცადინეობის დროს ჩადენილი დარვევა;
ბ. მასწავლებლის მიერ მუშაობის პროცესში ჩადენილი დარღვევა;
გ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა.

ტესტი N4

რა არის ეროვნული შეფასების სისტემა?
ა. მოსწავლის ცოდნის შემოწმების სისტემა;
ბ. სისტემა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ამოწმებს, რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა მიღწევები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიღწევათა დონეებს და რამდენად რეალურია ამ დონეების დაძლევა;
გ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული სისტემა, რომლის მიხედვითაც მოწმდება მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნა.

ტესტი N5

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად ზოგადი განათლება არის:
ა. მოსწავლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებელებაში მიღებული განათლება;
ბ. განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.
გ. საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც მოსწავლე იღებს ზოგად განათლებას.

ტესტი N6

საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს:
ა. 12 წელს;
ბ. 11 წელს;
გ. 10 წელს.

ტესტი N7

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად ინკლუზიური სწავლება არის:
ა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა;
ბ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად;
გ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებისაგან გამორჩეულად.

ტესტი N8

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად პედაგოგი არის:
ა. უმაღლესი განათლების მქონე პირი;
ბ. უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირი;
გ. კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, უმაღლესი განათლების მქონე პირი.

ტესტი N9

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
ა. სკოლას უფლება აქვს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე შეზღუდოს გარეშე პირთა უფლებები და თავისუფლებები;
ბ. სკოლას უფლება არ აქვს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე შეზღუდოს გარეშე პირთა უფლებები და თავისუფლებები;
გ. სკოლას უფლება აქვს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე დადგინოს გარეშე პირთა უფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები.

ტესტი N10

მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის შესახებ წარმოშობილი დავისას მტკიცების ტვირთი ეკისრება:
ა. დარღვევის ჩამდენ მხარეს;
ბ. ორივე მხარეს;
გ. შეზღუდვის ინიციატორს.

ტესტი N11

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს:
ა. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით;
ბ. საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით;
გ. მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათავლისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურებით.

ტესტი N12

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად რომელი მსჯელობაა არასწორი?
ა. სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იყოს მეთოდებით, რომელიც ეფუძნება მოსწავლისა და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღისების პატივისცემას.
ბ. დისციპლინური გადაცდომისას სკოლა ვალდებული არ არის განუმარტოს მოსწავლეს ან მასწავლებელს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.
გ. დისციპლინური გადაცდომისას სკოლა ვალდებულია განუმარტოს მოსწავლეს ან მასწავლებელს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.

ტესტი N13

5-10 დღემდე ვადით მოსწავლის სკოლიდან დათხოვნის უფლება აქვს:
ა. მასწავლებელს;
ბ. დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით;
გ. სკოლის დირექტორს.

ტესტი N14

დაუშვებელია სკოლაში ძალადობა:
ა. მოსწავლის მიმართ;
ბ. მასწავლებლის მიმართ;
გ. მოსწავლის ან სხვა ნებისმიერი პირის მიმართ.

ტესტი N15

მასწავლებლის ანაზღაურება სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში არ უნდა იყოს:
ა. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურის მინიმალურ ხელფასზე ნაკლები;
ბ. საარსებო მინიმუმზე ნაკლები;
გ. 115 ლარზე ნაკლები.

ტესტი N16

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება?
ა. საჯარო სკოლებში სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამების განხორიელების ხელშეწყობა;
ბ. მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
გ. სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების დაფუძნება.

ტესტი N17

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა:
ა. შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა;
ბ. შექმნას პირობები ინკლუზიური სწავლებისათვის;
გ. უზრუნველყოს მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკით.

ტესტი N18

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს:
ა. პედაგოგიურ საბჭოს; სამეურვეო საბჭოს და დირექციას;
ბ. პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას და მოსწავლეთა თვითმმართველობას;
გ. პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს.

ტესტი N19

სამეურვეო საბჭო ზოგადი განათლების შესახებ კანონს თანახმად აირჩევა:
ა. 2 წლის ვაადით;
ბ. 3 წლის ვადით;
გ. 5 წლის ვადით.

ტესტი N20

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭო შედგება:
ა. არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 წარმომადგენლისაგან;
ბ. 13 წარმომადგენლისაგან;
გ. არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 წარმომადგენლისაგან და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან.

ტესტი N21

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სამეურვეო საბჭოს ფუნქცია?
ა. უფლებამოსილია ხელშეკრულება შეუწყვიტოს სკოლის დირექტორს;
ბ. ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს;
გ. უფლებამოსილია ხელშეკრულება შეუწყვიტოს მასწავლებელს.

ტესტი N22

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სამეურვეო საბჭოს ფუნქცია?
ა. სკოლის საშტატო განრიგის შემუშავება;
ბ. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება;
გ. პედაგოგთა საათობრივი დატვირთვის განაწილება.

ტესტი N23

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად სკოლის დირექტორის ფუნქციაა:
ა. სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ზედამხედველობა;
ბ. სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება;
გ. სასკოლო-სასწავლო გეგმის შემუშავება.

ტესტი N24

რიგგარეშე პედაგოგიური საბჭოს სხდომის მოწვევის უფლება აქვს:
ა. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს;
ბ. საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს;
გ. საბჭოს წევრთა ორ მესამედს.

ტესტი N25

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არ შედის პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებში?
ა. სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება;
ბ. სამეურვეო საბჭოდან მის მიერ არჩეული წარმომადგენლის გამოწვევა;
გ. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის ტესტების პასუხების ფურცელი

ტესტის ნომერი	სწორი პასუხი	ტესტის ნომერი	სწორი პასუხი
1	ბ	14	გ
2	გ	15	ა
3	გ	16	გ
4	ბ	17	ა
5	ბ	18	გ
6	ა	19	ბ
7	ბ	20	გ
8	გ	21	გ
9	ბ	22	ბ
10	გ	23	ა
11	გ	24	ა
12	ბ	25	გ
13	ბ		

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

ტესტი N1

ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს:

ა. შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის;

ბ. შექმნას ხელსაყრელი პირობები თავისუფალი და განათლებული პიროვნების ჩამოყალიბებისათვის;

გ. შექმნას ხელსაყრელი პირობები თავისუფლად მოაზროვნე და გონებრივად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებისათვის;

დ. შექმნას ხელსაყრელი პირობები ქვეყნის ინტერესების დამცველი და მისი პოლიტიკის გამტარებელი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ტესტი N2

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა. ქვეყნის ინტერესების და ტრადიციების თავის სასარგებლოდ გამოყენების გააზრება, თეორიული ცოდნის შეძენა და მისი პრაქტიკაში გამოყენება, გადაწყვეტილებების მიღება ოჯახთან შეთანხმების საფუძველზე;

ბ. ქვეყნის ინტერესების და ტრადიციების პასუხისმგებლობის გააზრება, ბუნებრივი გარემოს დაცვა, ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება;

გ. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სრულყოფილად ცოდნა, უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება, საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა;

დ. ეროვნული სასწავლო გეგმით და მის გარეთ არსებული სასწავლო მასალის და ლიტერატურის ცოდნა, ბუნებრივი გარემოსადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულება.

ტესტი N3

სასკოლო განათლების მეშვეობით მიღებული მოზარდის უნარებია:

ა. ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის და გააზრების უნარი;

ბ. ქვეყნის სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო სფეროს და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გააზრების და გამოყენების უნარი;

გ. ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრის და აქტიური მოქმედების უნარი;

დ. ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ტრადიციული ღირებულებების უგულვებელყოფა და მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული ღირებულებების გააზრების უნარი.

ტესტი N4

ერვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს:

ა. მოსწავლეთა განათლების მეთოდებს და ხერხებს, აუცილებელ მისაღებ საგანმანათლებლო ინფორმაციას;

ბ. მოსწავლეთა, მასწავლებლების, ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობებს, მასწავლებელთა თვითშეფასების წესებს, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმებს;

გ. მოსწავლეთა მიერ გასავლელ პროგრამას, ცოდნის გაღრმავების ეფექტურ საშუალებებს, უნარ-ჩვევების სწავლებას და განვითარებას;

დ. მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელ ოდენობას, ცოდნის განვითარების ზოგად ხერხებს, ინფორმაციის ოდენობას, საგნებს სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

ტესტი N5

მოზარდის უნარ-ჩვევებისათვის საქართველოს სახელმწიფომ უნდა დანერგოს:

ა. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა, ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემა, სასკოლო სისტემის რეგულირების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ბ. ზოგადი განათლების კანონმდებლობა, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებული სკოლების რაოდენობა, სასკოლო ლიტერატურა და მათი გამოყენება;

გ. ზოგადი განათლების პრინციპები, ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის ცნება, სკოლების შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის წესი;

დ. ზოგადი განათლების მიზნები და ამოცანები, სკოლებში კომპიუტერული ტექნიკის აქტიური გამოყენება, საგამოცდო სისტემების შექმნა და მართვა.

ტესტი N6

უნარ-ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს:

ა. სასკოლო გარემოს ჩარევით: მოსწავლეების, მასწავლებლების და ადმინისტრაციის;

ბ. სასკოლო გარემოს ჩარევით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინიდტრაციის და სხვა დაინტერესებული პირების;

გ. სასკოლო გარემოს ჩარევით: მასწავლებლების, მშობლების და სხვა დაინტერესებული პირების;

დ. სასკოლო გარემოს ჩარევით: მასწავლებლების, ტექნიკური პერსონალის და ადმინისტრაციის.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ტესტების
პასუხების ფურცელი

ტესტის ნომერი	სწორი პასუხი
1	ა
2	ბ
3	გ
4	დ
5	ა
6	ბ

მასწავლებლების პროფესიული სტანდარტი

ტესტი N1

საგნის სწავლების რა მეთოდებს უნდა ფლობდეს საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

ა. მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და საგაკვეთილო პროცესის წარმართვას;
ბ. სასწავლო მიმართულებებისა და კანონზომიერებების დადგენასა და სწავლებასთან დაკავშირებული ინსტრუქციების ნათლად ჩამოყალიბებას;
გ. ცოდნის ათვისების უზრუნველყოფასა და გამოკითხვის ტექნიკის ფლობას;
დ. განზოგადოებულ მსჯელობასა და დავალებათა ინსტრუქციების ნათლად ჩამოყალიბებას.

ტესტი N2

დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის უცხო ენის მასწავლებელი უნდა ფლობდეს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

ა. უცხო ენაზე კომუნიკაციის წარმართვის უნარსა და წაკითხულის შინაარსის ზოგად გააზრებას;
ბ. უცხო ენაზე გაკეთებულ მოხსენებებში საერთო შინაარსის გაგებასა და გადმოცემას;
გ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებული განცხადებებისა და ინსტრუქციების გაგებასა და ინტერაქციაში მონაწილეობას;
დ. უცხო ენის გრამატიკის საბაზო დებულებების ცოდნასა და პრაქტიკაში გამოყენებას.

ტესტი N3

მასწავლების პროფესიული სტანდარტის რეგულირების სფეროს წარმოადგენს:

ა. მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსაზღვრა;
ბ. მასწავლებელთა პროფესიული ცოდნის შემოწმება;
გ. მასწავლებელთა ზოგადი უნარების გამოკვეთა;
დ. მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისი უნარ-ჩვევების დადგენა.

ტესტი N4

მასწავლებელთა პროფესიული სანდარტის მიზანს წარმოადგენს:

ა. მასწავლებელთა პროფესიული დონის დადგენა და გაუმჯობესება;
ბ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
გ. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ადეკვატური მეთოდების შემუშავება;
დ. მასწავლებელთა პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შემოწმება.

ტესტი N5

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მოიცავს:

ა. დედუქციურ და ინდუქციურ მსჯელობას;
ბ. დაკვირვებასა და ექსპერიმენტს;
გ. განზოგადოებულ მსჯელობას;
დ. დასკვნებისა და ფაქტების გააზრებას.

ტესტი N6

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი უნდა ფლობდეს სწავლების შემდეგ მეთოდებს:
ა. შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, სოც-ემოციური, შემეცნებითი და კომუნიკაციური სფეროების გათვალისწინებით;
ბ. მოსწავლეთა გაკვეთილებზე აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მეთოდოლოგიას;
გ. სწავლების თეორიისა და სტანდარტების შემუშავებასა და მათ მიზნობრივ გამოყენებას;
დ. შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების სისტემის შექმნასა და მის პრაქტიკაში რეალიზაციას.

ტესტი N7

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მიერ სახვითი და გამოყენებითი ნიმუშის შექმნისას რა არის განმსაზღვრელი:
ა. მხატვრული ხერხის ფლობა;
ბ. ნამუშევრის შესრულების ხარისხი;
გ. ნამუშევრის ფერთა პალიტრა;
დ. ნამუშევრის შესრულების მანერა.

ტესტი N8

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს მუსიკაში მოეთხოვება:
ა. ქორეოგრაფიული და სამსახიობო ხელოვნების მაღალ დონეზე ფლობა;
ბ. სასიმღერო და საცეკვაო რეპერტუარის და მუსიკის თეორიის ცოდნა;
გ. საღირიჟორო ხელოვნების მაღალ დონეზე ფლობა;
დ. მუსიკალური ნაწარმოებების შექმნა და დამუშავება.

ტესტი N9

რა სამართლებრივ ბაზას უნდა ფლობდეს მასწავლებელი პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით:
ა. მასწავლებელი უნდა იცნობდეს და ხელმძღვანელობდეს პედაგოგიური საქმიანობის შესახებ არსებული ძირითად და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს;
ბ. მასწავლებელი უნდა იცნობდეს პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა სახის კანონმდებლობას;
გ. მასწავლებელი უნდა იცნობდეს სამართლის თეორიას და მის ძირითად დებულებებს;
დ. მასწავლებელი უნდა იცნობდეს საერთაშორისო სამართლის ისტორიას, სამართლის პრინციპებსა და თეორიას.

ტესტი N10

კოლეგებთან ეფექტური თანამშრომლობითი ურთიერთობის ფორმებია:
ა. მასწავლებლის მიერ კონკურენტული გარემოს შექმნა სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად;
ბ. მასწავლებლის ურთიერთობა საზოგადოებასთან, მათი განათლებისა და გათვითცნობიერების მიზნით;
გ. მასწავლებლის თანამშრომლობა კოლეგებთან მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლად და აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად;
დ. მასწავლებლის თანამშრომლობა და ურთერთობა კოლეგებთან ახალი მეთოდების და მოსწავლეთა შეფასების ახალი სისტემები შემუშავების მიზნით.

ტესტი N11

სტანდარტის სტრუქტურა შედგება 3 ნაწილისაგან, ესენია:

ა. განვითარების და სწავლის თეორიები, სწავლება და შეფასება, პროფესიული გარემო;

ბ. განვითარებისა და სწავლების თეორიები, მოტივაცია და კომუნიკაცია, სწავლების სტრატეგია და მეთოდები.

ტესტი N12

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი ფლობს სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა. მოსწაველეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, შედეგებზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა, შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა;

ბ. მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტიერებული სასწავლო პროცესის წარმართვა, სტრუქტურებისა და პროცესის მოდელირება, მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნისა და მაღალი დონის სააზროვნო კომპეტენციების შესაფასებლად ადეკვატური ხერხების შექმნა და გამოყენება.

ტესტი N13

მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა, აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, სწავლებასა და სწავლას შორის, იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგებზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის, ამ მიზნით:

ა. იგი იყენებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას, იგი აცნობიერებს შეფასების ძირითად პრინციპებს და იცავს მათ საკუთარ პრაქტიკაში;

ბ. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში, სხვათა შესაძლებლობების შეფასება/აღიარებასა და საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაში;

გ. არცერთი პასუხი არ არის სრულყოფილი.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის
ტესტების პასუხების ფურცელი

ტესტის ნომერი	სწორი პასუხი
1	ა
2	გ
3	ა
4	ბ
5	ბ
6	ა
7	ბ
8	ბ
9	ა
10	გ
11	ა
12	ა
13	გ

ეროვნული სასწავლო გეგმა

ტესტი N1

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებითი საფეხური გულისხმობს:
ა. 1-4 კლასებს;
ბ. 1-6 კლასებს;
გ. 1-5 კლასებს.

ტესტი N2

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბაზო საფეხური გულისხმობს:
ა. 5-9 კლასებს;
ბ. 7-10 კლასებს;
გ. 7-9 კლასებს.

ტესტი N3

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საშუალო საფეხური გულისხმობს:
ა. 10-11 კლასებს;
ბ. 9-12 კლასებს;
გ. 10-12 კლასებს.

ტესტი N4

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანა?
ა. შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური თუ სულიერი თვისებებისა თუ მიდრეკილებების გამოსავლენად და გასავითარებლად;
ბ. შეუქმნას მოსწავლეს პირობები ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასავითარებლად, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდება;
გ. შეუქმნას მოსწავლეს პირობები ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასავითარებლად მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ტესტი N5

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანა?
ა. შეუქმნას მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში აღწერილი იდეალების დახვეწის პირობები;
ბ. მიაღწევინოს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში აღწერილ იდეალებს;
გ. ჩამოაყალიბოს წინაპირობები მოსწავლეების მომავალი არჩევანისათვის, აპირებს თუ არა სწავლის გაგრძელებას მომავალში და თუ აპირებს რა სახით.

ტესტი N6

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანა?
ა. შეუქმნას მოსწავლეს პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად;
ბ. შეუქმნას მოსწავლეს პირობები ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასავითარებლად მთელი ცხოვრების განმავლობაში;

გ. შეუქმნას მოსწავლეს პირობები, რათა მან სწორად აირჩიოს თავისი მომავალი გზა (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში ან ჩაებას შრომით საქმიანობაში).

ტესტი N7

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო წელი გრძელდება:
ა. 180 სასწავლო დღეს;
ბ. მინიმუმ 180 სასწავლო დღეს;
გ. 200 სასწავლო დღეს.

ტესტი N8

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. სკოლისათვის არდადეგების რაოდენობა მკაცრად განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით;
ბ. არდადეგები არის წელიწადში მაქსიმუმ სამჯერ – ზამთრის, სააღდგომო და საშემოდგომო;
გ. სკოლებს უფლება აქვთ დადგენილი კალენდარი საკუთარი საჭიროებისათვის მოირგონ.

ტესტი N9

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. დასაშვებია მოსწავლეთა დაყოფა სიძლიერის მიხედვით;
ბ. მოსწავლეთა დაყოფა სიძლიერის მიხედვით ხელს უწყობს სუსტ მოსწავლეებს დაეწიონ ძლიერებს ინტენსიური სწავლების პირობებში;
გ. დაუშვებელია მოსწავლეთა დაყოფა სიძლიერის მიხედვით.

ტესტი N10

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დასაშვებია:
ა. დაწყებით საფეხურზე კლასს ჰყავდეს მხოლოდ ერთი დამრიგებელი;
ბ. აუცილებელია დამრიგებელი ასწავლიდეს ამ მოსწავლეებს;
გ. საბაზო და საშუალო საფეხურებიდან დამრიგებელი ჰყავდეს არა კლასს, არამედ გარკვეულ ჯგუფს.

ტესტი N11

საგნობრივი ჯგუფების მასწავლებელთა კათედრის ფუნქციაში არ შედის:
ა. საგნობრივი ჯგუფების საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია;
ბ. სკოლის საათობრივი ბადის შემუშავება;
გ. სახელმძღვანელოების შერჩევა.

ტესტი N12

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. სკოლა ვალდებულია, შეიმუშაოს საკუთარი სასკოლო სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით;
ბ. სასურველია სკოლამ ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით შეიმუშაოს საკუთარი სასკოლო სასწავლო გეგმა;
გ. სკოლამ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით.

ტესტი N13

სახელმძღვანელობის ან სხვა რაიმე წიგნების ნუსხას, რომელსაც მასწავლებლები რეგულარულად იყენებენ სწავლის პროცესში ამტკიცებს:
ა. სკოლის სამეურვეო საბჭო;
ბ. სკოლის პედაგოგიური საბჭო;
გ. საგნობრივი კათედრები.

ტესტი N14

სახელმძღვანელოების არჩევა უნდა მოხდეს:
ა. პედაგოგიური საბჭოს მიერ;
ბ. სამეურვეო საბჭოს მიერ;
გ. კათედრის მერ.

ტესტი N15

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. მოსწავლე შეიძლება დაისაჯოს საგნის ნიშნით არასათანადო საქციელისათვის, რადგანაც არასათანადო ქცევა ავტომატურად მოქმედებს მის აკადემიურ მოსწრებაზე;
ბ. დაბალი ნიშნით შეფასება დისციპლინარული სასჯელის მოტივით არ არის გამართლებული;
გ. დაბალი ნიშნით შეფასება დისციპლინარული სასჯელის მოტივით გამართლებულია.

ტესტი N16

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. სკოლამ წლის ბოლოს საჯაროდ უნდა გამოაცხადოს მხოლოდ წარჩინებულების ვინაობა;
ბ. დასაშვებია ყველა მოსწავლის ქულების საჯაროდ გამოცხადება;
გ. ყველა მოსწავლის ქულების გამოცხადება საჯაროდ დასაშვებია მშობლების მოთხოვნის საფუძველზე.

ტესტი N17

ეროვნული სასწვლო გეგმის მიხედვით რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნების სწავლა შეიძლება მოსწავლეებისათვის იყოს ნებაყოფლობითი;
ბ. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნების სწავლა აუცილებლად უნდა იყოს მოსწავლეებისათვის ნებაყოფლობითი.
გ. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნის სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანის შემდეგ იგი სავალდებულოა მოსწავლეებისათვის.

ტესტი N18

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს:
ა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;
ბ. პირობების შექმნას საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად;
გ. შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ტესტი N19

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის შესაბამისად სახელმწიფო კისრულობს პასუხისმგებლობას შეიმუშაოს და დანერგოს:
ა. განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის კონსტიტუციური უფლების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებები;
ბ. განათლების სისტემის ინდიკატორები;
გ. ეროვნული სასწავლო გეგმა.

ტესტი N20

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით რეკომენდირებულია, რომ კლასში მოსწავლეების რაოდენობა არ აღემატებოდეს:
ა. 25-ს, ხოლო მასწავლებელს არ უნდა ჰყავდეს 125 მოსწავლეზე მეტი საერთო ჯამში;
ბ. 30-ს, ხოლო მასწავლებელს არ უნდა ჰყავდეს 125 მოსწავლეზე მეტი საერთო ჯამში;
გ. 35-ს, ხოლო მასწავლებელს არ უნდა ჰყავდეს 125 მოსწავლეზე მეტი საერთო ჯამში;

ეროვნული სასწავლო გეგმის ტესტების ფასუხების ფურცელი

ტესტის ნომერი	სწორი პასუხი	ტესტის ნომერი	სწორი პასუხი
1	ბ	11	ბ
2	᾽გ	12	ა
3	გ	13	ბ
4	გ	14	გ
5	ა	15	ბ
6	ბ	16	ა
7	ბ	17	ბ
8	გ	18	გ
9	გ	19	გ
10	გ	20	ა

საქართველოს შრომის კოდექსი

ტესტი N1

საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, შრომითი ურთიერთობა არის:
ა. გარკვეული სამუშაოს შესრულება;
ბ. შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ;
გ. შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების გარეშე.

ტესტი N2

შრომის კოდექსის მიხედვით რომელი მსჯელობა არ არის სწორი?
ა. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის გამო.
ბ. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია დისკრიმინაცია სქესის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.
გ. შრომით ურთიერთობაში დასაშვებია დისკრიმინაცია ასაკის, სექსუალური ორიენტაციის და შეზღუდული შესაძლობების გამო.

ტესტი N3

შრომის კოდექსის მიხედვით რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით;
ბ. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დამსაქმებლის ნების საფუძველზე, მიღწეული შეთანხმებით;
გ. შრომითი ურთიერთობის წარმოშობისას განმსაზღვრელია დასაქმებულის ნების გამოვლენა.

ტესტი N4

შრომითი ურთიერთობის მხარეები არიან:
ა. დამსაქმებელი და დასაქმებული;
ბ. დამსაქმებელი და დასაქმებულთა გაერთიანება;
გ. დამსაქმებელი, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება.

ტესტი N5

კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან:
ა. დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებული;
ბ. დამსაქმებელი და დასაქმებულთა გაერთიანება;
გ. დამსაქმებელი, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება.

ტესტი N6

შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა:
ა. 14 წლის ასაკიდან;

ბ. 18 წლის ასაკიდან;
გ. 16 წლის ასაკიდან.

ტესტი N7

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს:
ა. ნებისმიერ სამუშაოზე;
ბ. მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოების შესასრულებლად;
გ. ნებისმიერ სამუშაოზე, მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

ტესტი N8

შრომითი ხელშეკრულება იდება:
ა. ზეპირი ფორმით;
ბ. წერილობით;
გ. ზეპირად ან წერილობით.

ტესტი N9

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა:
ა. შრომითი ხელშეკრულების დადების მომენტიდან;
ბ. სამუშაოს ფაქტიურად დაწყების მომენტიდან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
გ. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე.

ტესტი N10

შრომის კოდექსის მიხედვით:
ა. შეთავსებით სამუშაო დაუშვებელია;
ბ. შეთავსებით სამუშაო დასაშვებია დამსაქმებლის თანხმობით;
გ. შეთავსებით სამუშაო დასაშვებია, თუ იგი ხელს არ უშლის დასაქმებულის ძირითად სამუშაოს.

ტესტი N11

გამოსაცდელი ვადით ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს:
ა. მხოლოდ წერილობითი ფორმით;
ბ. როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
გ. დამსაქმებელის შეხედულების მიხედვით.

ტესტი N12

შრომის კოდექსის მიხედვით ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობაა:
ა. წელიწადში არანაკლებ 36 სამუშაო დღე;
ბ. წელიწადში არანაკლებ 24 სამუშაო დღე;
გ. წელიწადში არანაკლებ 24 კალენდარული დღე.

ტესტი N13

შრომის კოდექსის მიხედვით დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით:
ა. წელიწადში არანაკლებ 15 კალენდარული დღით;
ბ. წელიწადში არაუმეტეს ერთი წლით;
გ. წელიწადში არანაკლებ 15 სამუშაო დღით.

ტესტი N14

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია:
ა. ერთი კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ;
ბ. 30 დღით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ;
გ. ორი კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ.

ტესტი N15

შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო არის:
ა. 477 კალენდარული დღე;
ბ. ვიდრე ბავშვი 3 წლის გახდება;
გ. 470 სამუშაო დღე.

ტესტი N16

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება:
ა. არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა;
ბ. არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა;
გ. არაუგვიანეს 10 დღისა.

ტესტი N17

თუ შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი დასაქმებულია, იგი ვალდებულია:
ა. გააფრთხილოს დამსაქმებელი 30 კალენდარული დღით ადრე;
ბ. გააფრთხილოს დამსაქმებელი 15 კალენდარული დღით ადრე;
გ. გააფრთხილოს დამსაქმებელი ორი კვირით ადრე;

ტესტი N18

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი?
ა. გაფიცვა;
ბ. შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;
გ. ლოკაუტი.

ტესტი N19

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველი?
ა. მხარეთა შეთანხმება;
ბ. სასამართლო გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
გ. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.

ტესტი N20

კოლექტიური ხელშეკრულება იღება:
ა. მხოლოდ წერილობითი ფორმით;
ბ. როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
გ. დამსაქმებლის შეხედულების მიხედვით.

ტესტი N21

შრომის კოდექსის მიხედვით დავა წარმოიშობა:
ა. მხარეთა შორის უთანხმოების მომენტიდან;
ბ. მხარის მიერ მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით უთანხმოების შესახებ;
გ. დამსაქმებლის ან დასაქმებულის არაკანონიერი ქმედების განხორციელების მომენტიდან.

ტესტი N22

შრომის კოდექსის მიხედვით რამდენ დღეში უნდა გადაწყდეს უთანხმოება მხარეთა შორის:
ა. 10 დღის ვადაში;
ბ. 15 დღის ვადაში;
გ. 14 დღის ვადაში.

ტესტი N23

შრომის კოდექსის მიხედვით რომელი მსჯელობაა არასწორი?
ა. გაფიცვა ან ლოკაუტი არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი;
ბ. გაფიცვა ან ლოკაუტი არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი;
გ. გაფივა ან ლოკაუტი არის შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველი.

შრომის კოდექსის ტესტების პასუხების ფურცელი

ტესტის ნომერი	სწორი პასუხი	ტესტის ნომერი	სწორი პასუხი
1	ბ	13	ა
2	ᵓგ	14	გ
3	ა	15	ა
4	გ	16	ბ
5	ბ	17	ა
6	გ	18	ბ
7	ბ	19	გ
8	გ	20	ა
9	ბ	21	ბ
10	გ	22	გ
11	ა	23	ბ
12	ბ		

ბავშვის უფლებათა კონვენცია

ტესტი N1

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს:
ა. თუ ამას გადაწყვეტენ ბავშვის მშობლები;
ბ. ზნეობრივი ნორმებიდან გამომდინარე;
გ.სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი N2

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის რელიგიური თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს:
ა. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე;
ბ. ამ უფლების შეზღუდვა კონვენციით დაუშვებელია;
გ. ამ უფლების შეზღუდვას ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები;
დ. სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ტესტი N3

რა გარანტიებს აწესებს ბავშვის უფლებათა კონვენცია შვილად აყვანისას ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინების კუთხით?
ა. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ სხვა ქვეყანაში ბავშვის შვილად აყვანის დროს ამ საქმესთან დაკავშირებულ პირებს არ უნდა მიეცეთ გაუმართლებელი ფინანსური მოგების მიღების საშუალება;
ბ. ასეთ გარანტიებს ბავშვის უფლებათა კონვენცია არ ითვალისწინებს;
გ. შვილად აყვანის გარანტიები ქვეყნის შიდა კანონმდებლობით წესრიგდება.
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი N4

რა გარანტიებს აწესებს ბავშვის უფლებათა კონვენცია განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით?
ა. უფასო საშუალო და უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა;
ბ. მხოლოდ უფასო დაწყებითი განათლების შესაძლებლობა;
გ. უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი N5

ითვალისწინებს თუ არა ბავშვის უფლებათა კონვენცია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ ბავშვთა უფლებების დაცვას?
ა. ასეთ უფლებას კონვენცია არ იცნობს;
ბ. დიახ, ითვალისწინებს;
გ. ეს უფლება გარანტირებულია მხოლოდ კონვენციის მონაწილე ქვეყნების შიდა კანონმდებლობით;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი N6

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, სიცოცხლის უფლება წარმოადგენს:
ა. აბსოლუტურ უფლებას, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია;
ბ. აღნიშნული უფლება იზღუდება საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს;
გ. სიცოცხლის უფლებას კონვენცია არ ითვალისწინებს;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი;

ტესტი N7

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, რა ზომებია გათვალისწინებული ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის უფლების გარანტირების კუთხით?
ა. ჩვილთა სიკვდილიანობის დონისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
ბ. ფასიანი სამედიცინო მომსახურეობის გაწევა;
გ. ამ უფლებას კონვენცია არ ითვალისწინებს;
დ. აღნიშნული უფლება გარანტირებულია კონვენციის მონაწილე ქვეყნის შიდა კანონმდებლობით.

ტესტი N8

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, პატივი და ღირსება წარმოადგენს:
ა. კონვენციით დაცულ აბსოლუტურ სიკეთეს;
ბ. ამ უფლებას კონვენცია არ ითვალისწინებს;
გ. კონვენციის თანახმად, აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი;

ტესტი N9

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვთა უფლებების დასაცავად იქმნება:
ა. ბავშვთა უფლებების დაცვის საბჭო;
ბ. ბავშვთა უფლებების დაცვის ბიურო;
გ. ბავშვის უფლებების კომიტეტი;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი N10

რა ვადით აირჩევიან ბავშვის უფლებების კომიტეტის წევრები:
ა. სამი წლის ვადით;
ბ რვა წლის ვადით;
გ. ოთხი წლის ვადით;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ბავშვის უფლებათა კონვენციის ტესტების
პასუხების ფურცელი

ტესტის ნომერი	სწორი პასუხი
1	გ
2	დ
3	ა
4	გ
5	ბ
6	ა
7	ა
8	ა
9	გ
10	გ

სარჩევი

საქართველოს კონსტიტუცია 3-36
კანონი ზოგადი განათლების შესახებ 37-85
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები 86-88
მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 89-178
ეროვნული სასწავლო გეგმა 179-205
შრომის კოდექსი 206-223
ბავშვის უფლებათა კონვენცია 224-242
საქართველოს კონსტიტუციის ტესტები 243-246
ზოგადი განათლების შესახებ კანონის ტესტები 247-252
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ტესტები 253-255
მასწავლებლების პროფესიული სტანდარტის ტესტები 256-259
ეროვნული სასწავლო გეგმის ტესტები 260-264
შრომის კოდექსის ტესტები 265-269
ბავშვის უფლებათა კონვენციის ტესტები 270

დაიბეჭდა: გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47.
39-15-22
E-mail: info@meridianpub.com